

სოლომონ  
ასლანიშვილი-ბავრალი

ნაჩილაზი  
„ოსგალოს  
საქართველოზე“

სამხრეთ კავკასიისა და ანატოლიის კვლევის ცენტრი

---

სამხრეთ კავკასია და ანატოლია

5

სამხრეთ კავკასია და ანატოლია  
სამხრეთ კავკასია და ანატოლია  
სამხრეთ კავკასია და ანატოლია  
სამხრეთ კავკასია და ანატოლია



K 267.009

სერიის მთავარი რედაქტორი რონი მებრეველი

სერიის სარედაქციო საბჭო  
გუბა კუდავა  
გონდო კუვათაძე  
გოჩა საითიძე  
ჯაბა სამუშია  
თემო ჯოჯუა

საქართველო  
პარლამენტის  
ეროვნული  
ბიბლიოთეკა

ISSN 1512-4479  
ISBN 978 99940-59-12-6

© სამხრეთ კავკასიისა და ანატოლიის კვლევის ცენტრი, 2008.  
© გამომცემლობა „არტანუჯი“, 2008.

სოლომონ ასლანიშვილი-გავრეალი



# წერილები „ოსმალოს საქართველოზე“

ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, შესავალი წერილი, შენიშვნები და  
საძიებლები დაურთეს ლელა ქურდაძემ და გოჩა საითიძემ

თბილისი  
2008

## სარჩევი

წინათემა.....	9
სოლომონ ასლანიშვილი-გავრეელი (ცხოვრება-მოღვაწეობა).....	17
<b>მგზავრის შენიშვნები</b>	
(ახალქალაქიდან არტაჰანამდის).....	34
<b>არტაჰანი</b>	
[სოცოგრაფია].....	44
<b>არტაჰანი, 25 ივნისს</b>	
[საავადმყოფოში ერთი ახალციხელის გარდაცვალება, რომელიც დაპატიმრებული იყო ყალბი აბაზიანის გამო. მაიორ იასონ იოსელიანის გულკეთილობა].....	47
<b>არტაანიდამ</b>	
[ხმები ზავის შესახებ] .....	50
<b>ქართველების გაქართველება</b>	
[ნერილი არტაანიდამ].....	53
<b>არტაანი, 4 მარიამობისთვის</b>	
[სამხედრო პირების დროსტარება].....	56
<b>არტაჰანი</b>	
[ბათუმ-აჭარის გადასვლა რუსეთის ხელში და დერვიშ-ფაშას მიერ ხალხის აღელვება. რუსის ჯარის დაბანაკება არტაჰანში] .....	58
<b>ერთი სიხარული</b> .....	60

არტაანი, 8 სექტიონი	
[სოფლის მეურნეობა. სიძვირე].....	63
არტაანი, 18 სექტიონი	
[სოფელ ჩილდირის აოხრება მეჭრი-ალის მიერ ცხოვრების შეცვლა ომის შემდეგ].....	66
პატარა შენიშენები არტაანზე	
[ძველი ტაძრებისა და ციხე-დარბაზების ნაშთები. საუბარი ადგილობრივ მცხოვრებლებთან].....	68
პატარა შენიშენები არტაანზე	
(დასასრული).....	71
ატარლები რათ გვიფრთხილებინ?	77
ნავით მოგზაურობა ქოროხზე	
(მგზავრის შენიშვნები).....	80
ახალი ქვეყნის ამბავი	
[არტანუჯის ცხოვრება ომის შემდეგ ბაირამობა. ქალაქის მდებარეობა].....	102
ახალი ქვეყნის ამბავი	
(გაგრძელება).....	105
ახალი ქვეყნის ამბავი	
(დასასრული).....	109
ახალი ქვეყნის ამბავი	
[ლივანის დედაქალაქის ართვინის მდებარეობა. მცხოვრებლების დახასიათება. თათრული და სომხური სკოლები. ართვინის ძველი ციხე].....	114
ახალი ქვეყნის ამბავი	
(დასასრული).....	119
არტაანიდამ ართვინამდინ	
(მგზავრის შენიშვნები).....	123
არტაანიდამ ართვინამდინ	
(მგზავრის შენიშვნები) (გაგრძელება).....	128
არტაანიდამ ართვინამდინ	
(მგზავრის შენიშვნები) (გაგრძელება).....	133
არტაანიდამ ართვინამდინ	
(მგზავრის შენიშვნები) (გაგრძელება).....	138

არტანუჯის არქივიზაცია  
(მგზავრის შენიშვნები) (დასასრული)..... 142

ბი-ბი-ბა-ბა

[ოსმალეთთან საზღვრების გამოურკვევლობის გამო  
მოთქმა-მოთქმა ართვინ-არტანუჯში. ოსების სამხედრო  
ნაწილის ცუდი მდგომარეობა ჯამაგირის მიუღებლობის გამო.  
უექიმობა]..... 144

საუბარი უსაქმო კაცისა

[მტაცებლობა, ავაზაკობა და მისი მიზეზები •  
შემთხვევები სოფელ ახაშენში და რაბათში]..... 147

ჰაეროსტატიტ ტანტალი მავმადიანთ საქართველოში

[ყოფა-ცხოვრება ახლად შემოერთებულ არტანში, არტანუჯში,  
ართვინში, შავშეთში და აჭარაში. მცხოვრებთა ოსმალეთში  
გადასახლება]..... 150

ჰაეროსტატიტ ტანტალი

[არტანელ მოხელეთა ბოროტმოქმედების  
გამოაჰკარავება და კორესპონდენტის დევნა]..... 156

მავმადიანთ საქართველოდამ

(ნერილი არტანუჯიდან)  
[ოსმალეთში გადასახლების საკითხი. გზების გაყვანა. სიძვირე.  
მოხელეების მიერ ჩადენილი უნესობა. დიმიტრი ბაქრაძის  
დახასიათება და მისი მოგზაურობა]..... 161

მავმადიანთ საქართველოდამ

[ავაზაკები. ხანგში ხალხის გადასახლება. ძლივს!  
- მადნები მავმადიანთ საქართველოში. გზები. უფორტობა]..... 166

ავაზაკთ-მთავარი ეგრულა..... 173

არღანუჯი, 20 ნოემბერს

[სოფელ ტანძოთისა და მისი ეკლესიის აღწერა]..... 176

გამ ახალაღებულ უდაზნოდამ

[სურათი ახალაღებული ქვეყნისა. რაც საჭიროა გვაქვს და  
რაც არა, რად გვინდა? ექიმი. სკოლები. ტამოყნა. თორმეტი  
ვირი და ბზები. კეთილშობილური გაცარცვა. შერემეტივეის  
მოძახება. ხალხს თხოვნა რად დაზარდა? მომრიგებელი  
მოსამართლე საჭიროა ართვინში თუ არა?]..... 178

**ჰაეროსტატიმ ტანტალი**

(მაჰმადიანთ საქართველოდამ)

[ჩემი ჰაეროსტატი. რა ვაკეთებ ამავე წლის განმავლობაში ართვინის მხარეს? სასწავლებლები ართვინის მაზრაში. გზები. უნაღველელობა ხალხის ჯანმრთელობის საქმისა. მადნები.].....182

**ველელები**

[როგორ მიიღეს ველელმა ქართველებმა კათოლიკობა].....186

**ველელები**

(გაგრძელება).....191

**ველელები**

(დასასრული).....194

**რაბათის ეკლესია**

(ნაშთი).....198

**ველელი ქართველები** .....200

**საქართველოს ძველი ნაშთები ეკლესიებისა, ციხეებისა და სხვა შენობებისა**

[ჩემი ნაცნობის ოცნება, მისი სიზმარი და აზრი „ტეატრზე“. ძველი ნაშთები ახალაღებულ ქვეყნებში: ოპიზა, პორტა, რაბათი].....202

*კომენტარები*.....207

Solomon Aslanishvili-Bavreli, Letters on “Ottoman Georgia”  
(Summary).....215

**საძიებლები**

პირთა.....218

გეოგრაფიულ სახელთა.....221

ეთნიკურ სახელთა.....224



## წინათქმა

XVI საუკუნის მეორე ნახევარში, ხანგრძლივი და სისხლისმღვრელი ბრძოლების შემდეგ, ოსმალეთის იმპერიამ საქართველოს ჩამოაცალა მისი ერთ-ერთი უდიდესი კუთხე, ქართული სახელმწიფოებრიობის აკვანი – მესხეთი (აღნიშნულ პერიოდში მის ტერიტორიაზე არსებობდა სამცხე-საათაბაგოს დამოუკიდებელი სამთავრო, რომელსაც სათავეში ჯაყელთა ფეოდალური საგვარეულო სახლი ედგა) და მისი პროვინციები: ტაო, კლარჯეთი, კოლა, არტაანი, სამცხე, ჯავახეთი, ერუშეთი, შავშეთ-იმერხევი, ჩრდილი, ბასიანი, სპერი, აჭარა, აგრეთვე, ჭანეთი (ლაზისტანი).

დაპყრობილ ტერიტორიაზე სულთანმა დააარსა გურჯისტანის ვილაიეთი, იგივე ახალციხის საფაშო, რომელშიც ისტორიული მესხეთის უდიდესი ნაწილი გააერთიანა. აქედან მოყოლებული, რამდენიმე საუკუნის განმავლობაში, XIX საუკუნის პირველ ნახევარამდე, ახალციხის საფაშოს აღწერა მსოფლიოს მეცნიერთაგან თითქმის არავის უწარმოებია, თუ არ ჩავთვლით გამოჩენილ თურქ მოგზაურსა და მკვლევარს ევლია ჩელების, რომელმაც აღნიშნულ რეგიონში XVII საუკუნის პირველ ნახევარში იმოგზაურა და თავისი მოგზაურობის აღწერილობაც დაგვიტოვა<sup>1</sup>.

რაც შეეხება ქართველ მეცნიერებს, ამ უკანასკნელთ საქართველოს ფარგლებს გარეთ დარჩენილი ისტორიული ტერიტორიების შესწავლის შესაძლებლობა არ ჰქონდათ. მესხეთის შესახებ ინფორმაცია მოეპოვება ვახუშტი ბაგრატიონს, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მას სამხრეთ საქართველოში პირადად არ უმოგზაურია და მხოლოდ ინფორმატორებისაგან მონოდებულ გადაუმოწმებელ ცნობებს ეყრდნობოდა<sup>2</sup>.

<sup>1</sup> ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“, თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გიორგი ფუთურიძემ, ნაკვ. I, თბ., 1971.

<sup>2</sup> ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგნ. „ქართლის ცხოვრება“, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. IV, თბ., 1973.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში რუსეთის იმპერიამ დაიწყო ბრძოლა ირანისა და ოსმალეთის წინააღმდეგ კავკასიის რეგიონში გაბატონებისათვის. XIX საუკუნის დამდეგს რუსეთმა რამდენიმე ქართული პოლიტიკური ერთეულის (ქართლ-კახეთის სამეფო, იმერეთის სამეფო) ანექსია მოახდინა, რის შემდეგაც სამხრეთ კავკასიაში მისი ექსპანსიონისტური პოლიტიკის ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას ახალციხის საფაშოს დაპყრობა წარმოადგენდა. აღნიშნული პრობლემა რუსეთმა წარმატებით გადაჭრა ოსმალეთის წინააღმდეგ 1828-1829 წლებში წარმოებული ომის შედეგად – ადრიანოპოლის ზავით ახალციხის საფაშომ, როგორც პოლიტიკურმა ერთეულმა, არსებობა შეწყვიტა. 1828-1829 წლების ომით რუსეთმა შეიერთა სამცხე და ჯავახეთი; რაც შეეხება მესხეთის სხვა პროვინციებს, აგრეთვე, ლაზისტანს, ისინი ოსმალეთის გამგებლობაში დარჩა და მისმა ხელისუფლებამ სხვა საფაშოებში გადაანაწილა. ამგვარი ვითარება XIX საუკუნის 70-იანი წლების მიწურულამდე გაგრძელდა.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში ლაზური ენის თაობაზე სამეცნიერო ნაშრომი გამოაქვეყნა ცნობილმა გერმანელმა ენათმეცნიერმა, დოქტორმა გეორგ როზენმა (1820-1891 წწ.)<sup>1</sup>. მის გარდა, ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში მყოფი ქართული პროვინციების შესახებ ცნობები მოეპოვება კიდევ ერთ გერმანელ მეცნიერს – კარლ კოხს (1809-1879 წწ.)<sup>2</sup>.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ასეთი ვითარება XIX საუკუნის 70-იანი წლების მიწურულამდე გაგრძელდა – 1877 წელს რუსეთსა და ოსმალეთს შორის მორიგი ომი დაიწყო. ომისწინა პერიოდში, 1874 წელს, ოსმალეთის მიერ დაპყრობილი ისტორიული სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე, კერძოდ, აჭარაში, შავშეთ-იმერხევსა და კლარჯეთში რუსეთის მთავრობის დავალებით დაზვერვითი მიზნით იმოგზაურა, აღნიშნული რეგიონი აღწერა და შემდგომ თავისი მოგზაურობის დღიური სახელწოდებით „სამი თვე თურქეთის საქართველოში“ რუსულ ენაზე გამოაქვეყნა ცნობილმა ქართველმა სამხედრო და საზოგადო მოღვაწემ გიორგი ყაზ-

<sup>1</sup> Rosen, G., Ueber die Sprache der Lazen, Lemgo, 1844.

<sup>2</sup> Koch, K., Wanderungen im Orient waehrend 1843 und 1844, Weimar, 1846-1847; იხ. აგრეთვე, კ. კოხისა და ო. სუენსერის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო ლონდა მამაცაშვილმა, თბ., 1981.

ბეგმა. მისი ნაშრომი XX საუკუნის მინურულს ქართულ ენაზე თარგმნეს და გამოსცეს რამაზ სურმანიძემ და მამია ხარაზმა<sup>1</sup>.

გარდა ამისა, XIX საუკუნის 60-იანი წლების ბოლოსა და 70-იანი წლების პირველ ნახევარში გაზეთ „დროებასა“ და ჟურნალ „ცისკარში“ იბეჭდებოდა პუბლიკაციები „ოსმალოს საქართველოს“ თემატიკაზე. ძირითადად, ეს იყო ინფორმაციები სამცხეში, აჭარასა და ლაზისტანში ოსმალეთის ხელისუფლების წინააღმდეგ დაწყებული საპროტესტო მოძრაობის შესახებ<sup>2</sup>. რამდენიმე სტატიაში აღწერილი იყო ოსმალეთის იმპერიაში მცხოვრები ქართველების ყოფა, იქაური ხუროთმოძღვრული ძეგლები და ა. შ. მაგალითისთვის დავასახელებდით გამოჩენილი ქართველი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის რაფიელ ერისთავის პუბლიკაციას „ცნობანი ოსმალოს საქართველოზე“.<sup>3</sup>

რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომის მსვლელობისას და მისი დასრულების შემდეგ მკვეთრად მოიმატა ქართულ პერიოდულ გამოცემებში გამოქვეყნებული პუბლიკაციების რიცხვმა „ოსმალოს საქართველოს“ შესახებ, რაც სავსებით ბუნებრივ მოვლენას წარმოადგენდა – როგორც ცნობილია, სან-სტეფანოს დროებითი ზავისა და ბერლინის კონგრესის შედეგების მიხედვით, რუსეთის იმპერიამ შემოიერთა XVI საუკუნის მეორე ნახევარში ოსმალეთის მიერ საქართველოსთვის წართმეული მესხეთის რამდენიმე პროვინცია, კერძოდ, კლარჯეთი, შავშეთ-

<sup>1</sup> გიორგი ყაზბეგი, სამი თვე თურქეთის საქართველოში, ნაშრომი თარგმნეს, შესავალი წერილი, კომენტარები და საძიებლები დაურთეს და გამოსცეს რამაზ სურმანიძემ და მამია ხარაზმა, ბათ., 1995.

<sup>2</sup> ივანე კერესელიძე, წიგნი მონერილი აზიის ოსმალეთის სამზღვრით ფოცხოვის საბაჟოთგან, ჟურნ. „ცისკარი“, თბ., 1869, № 5, გვ. 1-7; დავით მიქელაძე, სურათი ოსმალოს საქართველოს ცხოვრებითგან (ქართველი მაჰმადიანის ნაამბობი), გაზ. „დროება“, თბ., 1873, 15/1, № 2, გვ. 1-3; კონსტანტინე გეგიაძე, გურიის საოსმალო ნაწილი: აჭარა, ქობულეთი, ლაზისტანი. მცხოვრებლების აჯანყება ოსმალეთის მთავრობის წინააღმდეგ, გაზ. „დროება“, თბ., 1873, 2/III, № 9, გვ. 3; სერგეი მესხი, ჩვენი მოვალეობა (მოძრაობა ქობულეთ-აჭარასა და ლაზისტანში ოსმალეთის მთავრობის წინააღმდეგ), გაზ. „დროება“, თბ., 1875, 17/IX, 106, გვ. №1; ლაზისტანის სანჯაყის მცხოვრებნი (მცხოვრებთა რაოდენობა ეროვნებისა და სარწმუნოების მიხედვით), გაზ. „დროება“, თბ., 1875, 21/XII, № 145, გვ. 3; ოსმან-ალა ქელალ ოღლი, ლაზისტანი (ოსმალეთის მთავრობის მიერ მცხოვრებთა შევიწროების შესახებ), გაზ. „დროება“, თბ., 1876, 3/III, № 23, გვ. 2-3 და სხვ.

<sup>3</sup> რაფიელ ერისთავი, ცნობანი ოსმალოს საქართველოზე, გაზ. „დროება“, თბ., 1875, 16/VII, № 80, გვ. 1-2; 18/VII, № 81, გვ. 1.

იმერხევი, აჭარა ბათუმითურთ, არტაანი და ოლთისი. მათმა დაბრუნებამ დედასამშობლოსთან ქართველი საზოგადოებრიობის უდიდესი სიხარული და აღტყინება გამოიწვია. ინტელიგენციის არაერთი წარმომადგენელი პირადად გაეცნო აღნიშნულ პროვინციებს. 1878-1921 წლებში, სანამ დასახელებული პროვინციები ჯერ რუსეთის, ხოლო შემდეგ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში შედიოდა, აქ მოგზაურობა და მათი აღწერა სახელმწიფოში მცხოვრებ ნებისმიერ მოქალაქეს შეეძლო. სწორედ ამ პერიოდში შექმნეს თავიანთი ნაშრომები დიმიტრი ბაქრაძემ, ზაქარია ჭიჭინაძემ, ექვთიმე თაყაიშვილმა და ნიკო მარამა; ქართულ პერიოდიკაში – „დროებაში“, „ივერიაში“ და სხვ. გამოაქვეყნეს არაერთი სტატია სერგეი მესხმა, ლევან მჭედლიშვილმა, ალექსანდრე ნათაძემ, დავით წერეთელმა, ივანე გვარამაძემ („ვინმე მესხი“), ივანე ჯაიანამ, ალექსანდრე ყიფშიძემ („ფრონელი“), ვასილ კობტონაშვილმა, სერგი გორგაძემ, ვლადიმერ გოგიაშვილმა და სხვ.; „ოსმალოს საქართველოში“ იმოგზაურეს და მას საგანგებო გამოკვლევები მიუძღვნეს ცნობილმა რუსმა მეკვლევრებმა – ე. ვეიდენბაუმმა, პ. უვაროვამ, ვ. დევიციმ ა. პავლინოვმა და სხვ. აღნიშნულ პუბლიკაციებში მოთხრობილი და აღწერილი იყო ომის შემდეგ შემოერთებულ მესხეთის ტერიტორიაზე მოსახლე ქართველი-მაჰმადიანების ყოფა-ცხოვრება, რეგიონის ხუროთმოძღვრული ძეგლები და ა. შ.<sup>1</sup>

<sup>1</sup> Д. Бакрадзе, Заметка о Батумской области, “Известия Кавказского отдела Императорского Географического общества”, том VI, Тиф., 1879; მისივე, ბათუმის მაზრა, გაზ. „დროება“, თბ., 1880, 4/IV, № 74, გვ. 1-3; 10/IV, № 78, გვ. 1-2; 12/IV, № 80, გვ. 1-3; 15/IV, № 82, გვ. 1-3 და სხვ.; ზაქარია ჭიჭინაძე, წერილი მაჭახლიდგან, გაზ. „ივერია“, თბ., 1893, 27/VII, № 158, გვ. 3; 28/VII, № 159, გვ. 2; 29/VII, № 160, გვ. 2-3; მისივე, წერილი ლივანიდგან, გაზ. „ივერია“, თბ., 1893, 4/VIII, № 165, გვ. 2-3; 5/VIII, № 166, გვ. 2-3; მისივე, წერილი მურღულიდგან, გაზ. „ივერია“, თბ., 1893, 10/VIII, № 169, გვ. 2-3; 11/VIII, № 170, გვ. 2; 12/VIII, № 171, გვ. 2; 13/VIII, № 172, გვ. 3 და სხვ.; Е. Такашвили, Археологические экскурсии, разыскания и заметки, вып. 1, Тб., 1905; вып. 2, Тб., 1905; вып. 3, Тб., 1907; вып. 4, Тб., 1913; вып. 5, Тб., 1915; მისივე. არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისსა და სოფელ ჩანგლში 1907 წელს, წგნ. „დაბრუნება“, ტ. 1, თბ., 1991; მისივე, 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში, თბ., 1960 და სხვ.; Н. Марр, Из поездки в турецкий Лазистан, С.-Пб., 1910; его же, Дневник поездки в Шавшетию и Кларджию, С.-Пб., 1911; სერგეი მესხი, ახლად შეძენილი საქართველო, გაზ. „დროება“, თბ., 1878, 10/III, № 50, გვ. 1-2; 12/III, № 52, გვ. 1; მისივე, შემოერთებულ ქვეყნების გამგეობაზე, გაზ. „დროება“, თბ., 1879, 23/IX, № 197, გვ. 1-2 და სხვ.; ლევან მჭედლიშვილი, არტაანი, გაზ. „დროება“,

ერთ-ერთი ქართველი მოღვაწე, რომელმაც „ოსმალის საქართველოს“ თემატიკას არაერთი პუბლიკაცია მიუძღვნა, იყო სოლომონ ასლანიშვილი („ბაერელი“). ამ უკანასკნელმა თავისი თითქმის ნახევარსაუკუნოვანი მოღვაწეობის შედეგად უმდიდრესი მემკვიდრეობა დაგვიტოვა და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მესხეთის, ქართველი მაჰმადიანების ისტორიის შესწავლის საქმეში.

თბ., 1878, 28/IX, № 195, გვ. 2; მისივე, ბათუმის ამბები, გაზ. „დროება“, თბ., 1881, 13/XII, № 262, გვ. 1-3 და სხვ.; ალექსანდრე ნათაძე, გამაჰმადიანებულს საქართველოში (მგზავრის შენიშვნები), გაზ. „დროება“, თბ., 1879, 19/VII, № 149, გვ. 1-3; 20/VII, № 150, გვ. 1-2; 22/VII, № 151, გვ. 2-3; მისივე, ართვინი, გაზ. „დროება“, თბ., 1879, 14/IX, № 190, გვ. 2 და სხვ.; დავით წერეთელი, მაჭახელა, გაზ. „დროება“, თბ., 1878, 19/XI, № 237, გვ. 1-2; მისივე, მაჭახელა (ერთი თვალის გადავლება), ჟურნ. „ივერია“, თბ., 1878, № 47, გვ. 8-9 და სხვ.; ივანე გვარამაძე (ვიწმე მესხი), ახალციხური ფელეტონი, გაზ. „დროება“, თბ., 1878, 7/X, № 203, გვ. 1-2; 8/X, № 204, გვ. 1-2; მისივე, არხეოლოგიური მოგზაურობა, გაზ. „დროება“, თბ., 1882, 12/VIII, № 167, გვ. 1-2; 13/VIII, № 168, გვ. 1-3; 14/VIII, № 169, გვ. 1-3 და სხვ.; ივანე ჯიანი, სოფ. ბორჩხა, გაზ. „ივერია“, თბ., 1892, 12/X, № 218, გვ. 2; მისივე, ჭოროხის ხეობა, გაზ. „ივერია“, თბ., 1894, 1/I, № 1, გვ. 3 და სხვ.; ივანე ჯიანის შესახებ იხ. ივანე ჯიანი, წერილები შავშეთიდან, შეადგინა, შესავალი წერილი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო რამაზ სურმანიძემ, თბ., 1991; ალექსანდრე ყიფშიძე („ფრონელი“), მაჭახელი, გაზ. „ივერია“, თბ., 1893, 30/VII, № 161, გვ. 1; მისივე, ნახული და გაგონილი, გაზ. „ივერია“, თბ., 1903, 4/IV, № 97, გვ. 2-3 და სხვ.; იხ. აგრეთვე: ალექსანდრე ფრონელი (ყიფშიძე), დიდებული მესხეთი, თბ., 1991; ვასილ კოპტონაშვილი, მგზავრის დღიურიდან, გაზ. „ივერია“, თბ., 1894, 21/VII, № 155, გვ. 1-3; სერგი გორგაძე, აჭარისწყლისა და მაჭახელასწყლის ხეობები, გაზ. „ივერია“, თბ., 1901, 18/VIII, № 177, გვ. 3; მისივე, შავშეთი, გაზ. „ივერია“, თბ., 1902, 7/IV, № 76, გვ. 3; ვლადიმერ გოგიაშვილი, წერილი ართვინიდან, გაზ. „ცნობის ფურცელი“, თბ., 1903, 14/III, № 2096, გვ. 3; მისივე, არდანუჯი, გაზ. „ცნობის ფურცელი“, თბ., 1903, 17/IV, № 2124, გვ. 4; E. Вейденбаум, От Батума до Артвина (Путевые заметки), Тиф., 1901; ე. ვეიდენბაუმის შესახებ იხ.: ევგენი ვეიდენბაუმი, ბათუმიდან ართვინამდე (მგზავრის ჩანაწერები), თარგმნეს მზია ჩხაიძემ და გოჩა საითიძემ, შესავალი, კომენტარები და საძიებლები დაურთო გოჩა საითიძემ, თბ., 2005; П. Уварова, Кавказ (Абхазия, Аджария, Шавшетия, Посховский участок), Москва, 1891; В. Девичкий, Из поездок по Ольгинскому округу Карсской области, “Известия Кавказского отдела Имп. Русского Географического общества”, том XIV, Тиф., 1901, стр. 120-133; А. Павлинов, Экспедиция на Кавказ 1888 года, “Материалы по Археологии Кавказа”, вып. III, Москва, 1893, стр. 1-91.

ჯერ კიდევ 1923 წელს გაზეთ „ტრიბუნაში“ გამოქვეყნებულ სტატიაში – „სამშობლო ქვეყნის მოღვაწენი“ – გამოჩენილი ქართველი პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე ზაქარია ჭიჭინაძე შენიშნავდა: „ბევრისთვის ამ კაცის სახელი იქნება პირველი გაგონება იყოს და ზოგიერთათვის წარმოდგენაც საკვირველიც, მაგრამ როცა ამ პიროვნების სამსახურს და მოღვაწეობის ცნობებს მოვსთვლით, მაშინ კი იგი იქნება ჯილდო ჩვენის ღირსების, პატივისცემის და სიყვარულის, რასაც მოითხოვს ჩვენი ზნეობრივი ვალი და მასთან განათლებულ და შეგნებულ კაცთა სამართლიანობის მოვალეობა და ეს ცხადი ჭეშმარიტება არის საბუთი იმ გარემოების.

როცა კი გაბრწყინდა სერგეი მესხის გაზეთი „დროება“ და ილია ჭავჭავაძის გაზეთი ჯერ კვირის და მერე თვიური ჟურნალი „ივერია“, სოლომონ ასლანიშვილი იმ ცნობილ კაცთა მეგობარია და გამოცემათა კარგი თანამშრომელი; იმის კალმით ერთ დროს საკმარისად ბრწყინავდა ილია ჭავჭავაძის გაზეთი „ივერია“ და სერგეი მესხის გაზეთი „დროება“.

ამ პირთა გარდა, სოლომონ ასლანიშვილს იცნობდნენ კარგათ ყველა ჩვენი წარჩინებული კაცები: იაკობ გოგებაშვილი, გიორგი წერეთელი, ანტონ ფურცელაძე, კირილე ლორთქიფანიძე და ბევრიც სხვანი, ყველა იგინი გატაცებულნი იყვნენ იმის ნაწერების კითხვით...

...ამ კაცის საინტერესო წერილებით სავსეა ძველი ჟურნალ-გაზეთები და ვისაც უნდა სამცხე-საათაბაგოს, ქართველ მაჰმადიანთა ცხოვრების გაცნობა და ქართველ კათოლიკეებისა, ის იმის ნაწერების გაუცნობლობას ვერ ასცდება, თვით მეც კი იმის წერილების მიზაძვით დავიწყე სამუსულმანო საქართველოში მოგზაურობა და მუშაობა...

სოლომონ ასლანიშვილის ნაწერები რომ შეიკრიბოს და ცალკე წიგნად გამოიცეს, იგი იქნება რამდენიმე ტომი, აზრიანი განძი, დაუფასებელი გვირგვინი და წყარო სამცხე-საათაბაგოს შესწავლის და ნამეტურ ქართველ მაჰმადიანთა ცხოვრებისა“<sup>1</sup>.

სოლომონ ასლანიშვილი-ბავრელის პუბლიკაციები, რომლებიც XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის დამდეგის მესხეთის ისტორიის შესწავლისათვის ერთ-ერთ უძვირფასეს წყაროს წარმოადგენს, ამჟამად ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ითვლება, ამიტომაც გადავწ-

<sup>1</sup> ზ. ჭიჭინაძე, სამშობლო ქვეყნის მოღვაწენი (სოლომონ ევლამპის ძე ასლანიშვილი (ბავრელი), გაზ. „ტრიბუნა“, თბ., 1923, 9/V, № 464, გვ. 3-4.

ყვიცეთ მათი გაცნობა საზოგადოებრიობის ფართო მასებისა და სპეციალისტებისათვის სათანადო სამეცნიერო აპარატის დართვით, რათა აღნიშნული პრობლემატიკით დაინტერესებული ნებისმიერი პირისთვის ხელმისაწვდომი გაგვეხადა. მისი პუბლიკაციების ჩვენეულ გამოცემას საერთო სათაურად „ნერილები „ოსმალოს საქართველოზე“ ვუნოდეთ, რაც შემდეგმა გარემოებამ განაპირობა: XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართველი მოღვაწეები ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში მყოფ ისტორიული მესხეთის ტერიტორიას პირობითად „ოსმალოს საქართველოს“ ან „თურქეთის საქართველოს“ სახელწოდებით მოიხსენიებდნენ. მაგალითისთვის დავასახელებდით გიორგი ყაზბეგის ნაშრომს „სამი თვე თურქეთის საქართველოში“, რაფიელ ერისთავის სტატიას „ცნობანი ოსმალოს საქართველოზე“, დავით მიქელაძის პუბლიკაციას „სურათი ოსმალოს საქართველოს ცხოვრებითგან“ და სხვ.

სანამ უშუალოდ სოლომონ ბავრელის სტატიებსა და ჩვენეულ კომენტარებს შემოგთავაზებდეთ, მიმოვიხილოთ მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითადი ასპექტები. ამთავითვე აღვნიშნავთ, რომ სოლომონ ბავრელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მეტ-ნაკლებად სრული სურათის აღსადგენად ვისარგებლეთ შემდეგი მასალებით: 1) სოლომონ ბავრელის მიერ ქართულ პერიოდულ პრესაში („ივერია“, „დროება“, „ჯვარი ვაზისა“) დასტამბული სტატიებით, რომლებიც ქრონოლოგიურად 1878-1906 წლებს განეკუთვნება; მათში ბიოგრაფიული ხასიათის არაერთი ცნობაა დაცული, რომლებსაც შესაბამის ადგილას მივუთითებთ;

2) სხვადასხვა დროს ქართულ ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული პუბლიკაციებით სოლომონ ბავრელის ცხოვრება-მოღვაწეობის შესახებ, კერძოდ: ზაქარია ჭიჭინაძე, ქართველ კათოლიკენი ყველა ასპარეზზე და ზოგი რამ ნერილები დასავლეთ საქართველოზე, ტფ., 1905, გვ. 51-53; ზაქარია ჭიჭინაძე, ისტორია ოსმალეთის ყოფილი საქართველოსი, ბათ., 1912, გვ. 266; ზაქარია ჭიჭინაძე, სამშობლო ქვეყნის მოღვაწენი (სოლომონ ევლამპის ძე ასლანიშვილი (ბავრელი), გაზ. „ტრიბუნა“, თბ., 1923, 9/V, № 464, გვ. 3-4; გ. შენგელია, სოლომონ ბავრელი-ასლანიშვილი (გარდაცვალებიდან 35 წლისთავის გამო), გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, თბ., 1959, 14/V, № 57, გვ. 3; ილია მაისურაძე, სოლომონ ბავრელი, ჟურნ. „დროშა“, თბ., 1959, № 7, გვ. 16; ილია მაისურაძე, სოლომონ ბავრელი-ასლანიშვილი, ჟურნ. „ლიტერატურული აჭარა“, ბათ., 1962, № 6, გვ. 80-82; შოთა ლომსაძე, წინაპართა ნაკვალევზე (ს. ბავრელის გარდაცვალებიდან 35 წლისთავის გამო), ჟურნ. „მნათობი“, თბ., 1959,

№ 3, გვ. 128-130; შოთა ლომსაძე, სოფელ ველის ისტორიიდან, ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XXV-, თბ., 1968, გვ. 203-210; შოთა ლომსაძე, სამცხე-ჯავახეთი (XVIII საუკუნის შუანლებიდან XIX საუკუნის შუანლებამდე), თბ., 1975; დ. კოფორიძე, სოლომონ ასლანიშვილი (1851-1924 წწ.), ნგნ. „განათლება და კულტურა სამცხე-ჯავახეთში“, თბ., 1986, გვ. 176-178; ლელა ქურდაძე, გოჩა საითიძე, მესხეთის დიდი მოჭირნახულე (სოლომონ ასლანიშვილი-ბავრელი) [გარდაცვალებიდან 80 წლისთავის გამო], გაზ. „ლიტერატურული მესხეთი“, ახალციხე, 2004, № 12 (დეკემბერი), გვ. 7; გარდა ამისა, ვისარგებლეთ ზოგადი ხასიათის რამდენიმე სხვა პუბლიკაციით, რომლებსაც ქვემოთ აღვნიშნავთ;

3) ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული სოლომონ ბავრელის პირადი არქივით (ფონდი № 150), სადაც ქართულ პერიოდიკაში დაბეჭდილი სტატიების ორიგინალებთან ერთად ინახება დღემდე გამოუქვეყნებელი რამდენიმე პუბლიკაცია, რომლებიც პირველად შემოგვაქვს სამეცნიერო მიმოქცევაში. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია სოლომონ ბავრელის სტატია სახელწოდებით „საქართველოს ძველი ნაშთები ეკლესიებისა, ციხეებისა და სხვა შენობებისა“, სადაც ავტორი გვანვდის ძვირფას ცნობებს ოპიზის, ხანძთის და მესხეთის სხვა ეკლესია-მონასტრების შესახებ.

K 267.009





სოლომონ ასლანიშვილი-გავრელი  
(1851-1924)

## სოლომონ ასლანიშვილი-გააკრელი

(ცხოვრება-მოღვაწეობა)

სოლომონ ასლანიშვილი დაიბადა 1851 წელს ჯავახეთში, ახალქალაქის მაზრის სოფელ ბაერაში (აქედან წარმოსდგა შემდგომში მისი ფსევდონიმიც), ადგილობრივი გლეხის – ევლამპი ასლანიშვილის ოჯახში. იგი წარმოშობით არტაანის პროვინციიდან, ჩრდილის (ჩილდირის) ტბის მახლობლად მდებარე სოფელ ველიდან იყო. ირან-ოსმალეთის 1578-1590 წლების ომის პერიოდში ველის ციხე, აგრეთვე, ჩილდირის ციხე, თეთრციხე და ქაჯეთის ციხე მეზობლ მხარეებს შორის ხელიდან ხელში გადადიოდა. საბოლოოდ, სოფელი ოსმალებმა დაიპყრეს. ამ ბრძოლების შედეგად ველის მოსახლეობის რაოდენობა შესამჩნევად შემცირდა. „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მიხედვით, ოსმალთა მიერ დაპყრობილ ველში 1595 წლისთვის მხოლოდ 30 კომლი ცხოვრობდა.

XVI საუკუნის ბოლოდან მოყოლებული, ცხოვრების ურთულესი პირობების მიუხედავად, სოფელ ველის მცხოვრებლებმა ქრისტიანული სარწმუნოების შენარჩუნება მოახერხეს. მაშინ, როცა ირგვლივ ყველა სოფელი მაჰმადიანდებოდა, ველელებმა კათოლიკობა მიიღეს და, შემდგომში, ოსმალთა არაერთგზისი მცდელობის მიუხედავად, ბოლომდე მისი ერთგულნი დარჩნენ. XVIII საუკუნის 80-იანი წლებისთვის ველი არტაანის მხარეში ერთადერთ ქრისტიანულ სოფელს წარმოადგენდა. რუსეთ-ოსმალეთის 1828-1829 წლების ომის დასრულების შემდეგ, მომდევნო ორი წლის განმავლობაში, სოფელ ველის მოსახლეობის ნაწილი ჯავახეთში გადასახლდა და ოსმალთაგან გავერანებულ სოფლებში:

ბავრაში, ხულგუმოში, კარტიკამსა და ტურცხში დაფუძნდა<sup>1</sup>. მოგვიანებით ს. ბავრელი ერთ-ერთ პუბლიკაციაში წერდა: „იმ სოფელზედ, საიდამაც ისინი არიან გადმოსახლებულნი, ბევრი ქება გამიგონია ჩემთა მოხუცებულთაგან. იმისთანა გულის სიმხურვალით და სიყვარულით იგონებდნენ ხოლმე თავის სამშობლო სოფელს, რომ ბევრჯელ შევნიშნავდი, რომ იმის მოგონებაზე თვალში ცრემლი მოჰსდიოდათ და ოხვრას ამოატანდნენ ხოლმე თავის გულის სევდას. ისინი ამ სოფელს იგონებდნენ, როგორც თავიანთ საყვარელს სამშობლოს, რა გვარადაც დიდი ხნის მოშორებული ყმანვილი იგონებს თავის საყვარელს დედას“<sup>2</sup>.

საინტერესოა, რომ სოლომონ ასლანიშვილის წინაპრები გვარად ლეონიძეები ყოფილან. რუსეთ-ოსმალეთის ომის დასრულების შემდეგ, ბავრაში გადასახლების დროს, არეულობის გამო, პირადი საბუთები დაკარგვიათ, ხოლო რუს მოხელეებს, მოსახლეობის აღწერისას, ისინი ჩაურიცხავთ ასლანოვებად, რადგანაც ოჯახის უფროსს სახელად ასლანი რქმევია. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, ს. ბავრელის პირად არქივში, ინახება ამ უკანასკნელისა და მისი შვილების თხოვნა, მათთვის ძველი გვარის (ლეონიძე) აღდგენის შესახებ<sup>3</sup>.

<sup>1</sup> ზ.ჭიჭინაძე, ქართველ კათოლიკენი ყველა ასპარეზზედ და ზოგი რამ წერილები დასავლეთ საქართველოზე, ტფ., 1905, გვ. 51; ზ. ჭიჭინაძე, სამშობლო ქვეყნის მოღვაწენი (სოლომონ ელაშვილის ძე ასლანიშვილი (ბავრელი), გაზ. „ტრიბუნა“, თბ., 1923, 9/V, № 464, გვ. 3-4; ი. მაისურაძე, სოლომონ ბავრელი, ჟურნ. „დროშა“, თბ., 1959, № 7, გვ. 16; შ. ლომსაძე, წინაპართა ნაკვალევზე (ს. ბავრელის გარდაცვალებიდან 35 წლისთავის გამო), ჟურნ. „მნათობი“, თბ., 1959, № 3, გვ. 128-130; ი. მაისურაძე, სოლომონ ბავრელი-ასლანიშვილი, ჟურნ. „ლიტერატურული აჭარა“, ბათ., 1962, № 6, გვ. 80; შ. ლომსაძე, სოფელ ველის ისტორიიდან, აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XXV-, თბ., 1968, გვ. 203-208; შ. ლომსაძე, სამცხე-ჯავახეთი (XVIII საუკუნის შუანლებიდან XIX საუკუნის შუანლებამდე), თბ., 1975, გვ. 363; დ. კოჟორიძე, სოლომონ ასლანიშვილი (1851-1924 წწ.), წგნ. „განათლება და კულტურა სამცხე-ჯავახეთში“, თბ., 1986, გვ. 176; ლ. ქურდაძე, გ. საითიძე, მესხეთის დიდი მოჭირანაბულე (სოლომონ ასლანიშვილი-ბავრელი) [გარდაცვალებიდან 80 წლისთავის გამო], გაზ. „ლიტერატურული მესხეთი“, ახალციხე, 2004, № 12 (დეკემბერი), გვ. 7.

<sup>2</sup> ს. ბავრელი, მგზავრის შენიშვნები (ახალქალაქიდან არდაჰანამდის), ჟურნ. „ივერია“, თბ., 1878, № 26, გვ. 9.

<sup>3</sup> ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ს. ასლანიშვილი-ბავრელის პირადი არქივი, ფონდი № 150, საქმე № 8.

მშობლების ხელმოკლეობისა და ბავრაში ადგილობრივი სკოლის არარსებობის გამო, ს. ბავრელმა სწავლა მხოლოდ 15 წლის ასაკში, ახალციხის ქართველ კათოლიკეთა იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესიასთან არსებულ სამრევლო სკოლაში, დაიწყო. მის მასწავლებელთა შორის იყო ცნობილი პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე ივანე გვარამაძე („ვინმე მესხი“). სამრევლო სკოლაში სწავლის პერიოდში სოლომონი ერთ-ერთ ადგილობრივ ოჯახში მოჯამაგირედ მსახურობდა და ყოველგვარ მძიმე სამუშაოს ასრულებდა. მიუხედავად ამისა, მან მოახერხა წარმატებით ჩაებარებინა გამოცდები და ახალციხის სამაზრო სასწავლებელში ჩარიცხულიყო; განსაკუთრებული ინტერესითა და გულმოდგინებით ქართულ წიგნებს კითხულობდა, მშობლიურ ენასა და ლიტერატურას ეუფლებოდა, და ეს იმ დროს, როდესაც ქართული ენა რუსეთის იმპერიის მხრიდან სასტიკ დევნასა და შევიწროებას განიცდიდა<sup>1</sup>.

ახალციხის სამაზრო სასწავლებლის დასრულების შემდეგ, ს. ბავრელი ახალციხის ქართველ კათოლიკეთა იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესიასთან არსებული სამრევლო სკოლის მასწავლებელი გახდა. ზაქარია ჭიჭინაძის თქმით, მას „მამინ ცნობდნენ, როგორც ლიბერალს და იმიტომ ზოგნი ქართველ მამულიშვილობასაც სწამებდნენ, იმიტომ სოლომონს ყოველგან ეჭვის თვალთ უყურებდნენ“<sup>2</sup>.

1876 წელს ს. ბავრელმა მასწავლებლობას თავი დაანება და სახელმწიფო სამსახურში შევიდა, ფოსტა-ტელეგრაფის ახალციხის სადგურში დაიწყო მუშაობა. მომდევნო ორი წლის მანძილზე იგი სურამის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში მოღვაწეობდა. 1878 წელს, რუსეთოსმალეთის ომის დასრულების შემდეგ, ს. ბავრელი სამუშაოდ ახლად შემოერთებულ არტაანში, ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში, გადავიდა. აქედან დაიწყო სოლომონის საქმიანობა „ოსმალის საქართველოში“. მას სურდა, გაეცნო დედასამშობლოს წიაღში დაბრუნებული ქართველი მაჰმადიანები და ახალ ვითარებასთან ადაპტაციაში დახმარებოდა; გარდა ამისა, შესაძლებლობა ეძლეოდა, მოენახულებინა და შეესწავლა წი-

<sup>1</sup> ზ. ჭიჭინაძე, ქართველ კათოლიკენი..., გვ. 51-53; ზ. ჭიჭინაძე, სამშობლო ქვეყნის..., გვ. 4; ი. მაისურაძე, სოლომონ ბავრელი, გვ. 16; ი. მაისურაძე, სოლომონ ბავრელი-ასლანიშვილი, გვ. 80; დ. კოფორიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 176-178; ლ. ქურდაძე, გ. საითიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 7.

<sup>2</sup> ზ. ჭიჭინაძე, სამშობლო ქვეყნის..., გვ. 4.

ნაპართა მინა, მათ მიერ საუკუნეების წინ შექმნილი და იმხანად უკვე თითქმის დავინყებული უმდიდრესი კულტურული მემკვიდრეობა.

არტაანიდან ს. ბავრელი სამუშაოდ ჯერ არტანუჯის, შემდეგ - ახალციხის, ბოლოს კი კვლავ არტანუჯის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში გადაიყვანეს. აქ იგი სახელმწიფო მოხელის მოვალეობის შესრულების გარდა, საგანმანათლებლო საქმიანობასაც ეწეოდა - არტანუჯელი მაჰმადიანი ბავშვებისათვის დააარსა კერძო სკოლა, სადაც მათ ქართულ ენას საკუთარი ხელით შედგენილი სახელმძღვანელოებით უსასყიდლოდ ასწავლიდა. ორ ათეულ წელზე მეტი ხნის განმავლობაში სოლომონი მუსლიმი ქართველების გარემოცვაში ცხოვრობდა და მათი ლხინისა თუ ჭირის გამზიარებელი იყო. ის განსაკუთრებული სიყვარულითა და ავტორიტეტით ღარიბ მოსახლეობაში სარგებლობდა, შვიწროვებულ და დაბეჩავებულ ადგილობრივ გლეხობას მუდამ მხარში ედგა, უწერდა თხოვნებს, საჩივრებს, აძლევდა რჩევა-დარიგებებს და ა.შ. ქართველი საზოგადოებრიობის მოწინავე ნაწილი მაღალ შეფასებას აძლევდა „ოსმალის საქართველოში“ ს. ბავრელის მამულიშვილურ მოღვაწეობას. ზაქარია ჭიჭინაძე აღნიშნავდა: „ბატონი ასლანოვი წარჩინებული ქართველი მამულიშვილია, გულშემატკივარი ჩვენი საქმეების, თანამავალი და თანამგრძნობი ჩვენის ძარღვის და მაჯისცემის... მე კარგად ვიცნობ მის გულის და სულის ვითარებას, იგი მსახურობს ჩვენგან უყურადღებოთ დატოვებული შავშეთის დაბა არდანუჯს. იმედი, იქ ყოფნას იგი ჩვენის ტომის სასარგებლოთაც გამოიყენებს“<sup>1</sup>.

აღნიშნულ პერიოდში ს. ბავრელი დაოჯახდა. მართალია, მისი მეუღლის შესახებ ინფორმაცია არ მოგვეპოვება, სამაგიეროდ, ზემოთ ჩვენს მიერ დასახელებული, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, ს. ბავრელის პირად საარქივო ფონდში, დაცული დოკუმენტიდან, აგრეთვე, იმავე არქივში შენახული სოლომონის ერთ-ერთი ჩანაწერიდან ვგებულობთ მისი შვილების ვინაობას. უფროსი ქალიშვილი - თამარი 1888 წელს

<sup>1</sup> ზ. ჭიჭინაძე, ქართველ კათოლიკენი..., გვ. 52-53; იხ. აგრეთვე: ზ. ჭიჭინაძე, სამშობლო ქვეყნის..., გვ. 4; შ. ლომსაძე, წინაპართა..., გვ. 128-130; გ. შენგელია, ს. ბავრელი-ასლანიშვილი (გარდაცვალებიდან 35 წლისთავის გამო), გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, თბ., 1959, 14/V, № 57, გვ. 3; ი. მაისურაძე, სოლომონ ბავრელი, გვ. 16; ი. მაისურაძე, სოლომონ ბავრელი-ასლანიშვილი, გვ. 80; დ. კოჭორიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 176-178; ლ. ქურდაძე, გ. საითიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 7.

დაბადებულია ქუთაისში, დანარჩენი სამი შვილი: ელენე (ლენიჩკა), მარგარიტა და შალვა კი - არტანუჯში<sup>1</sup>.

თუკი ს. ბავრელის ქალიშვილების შესახებ მხოლოდ შემოხსენებული ცნობები გაგვაჩნია, ქართველი საზოგადოებრიობის ფართო წრეებისათვის კარგადაა ცნობილი გამოჩენილი პედაგოგის, მუსიკათმცოდნის, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, ზაქარია ფალიაშვილის სახელობის პრემიის ლაურეატის, პროფესორ შალვა ასლანიშვილის სახელი, რომელიც 1896 წლის 23 მარტს დაბა არტანუჯში დაიბადა. 1930-1973 წლებში შ. ასლანიშვილი იყო თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკის თეორიის კათედრის გამგე; 1945-1950 წლებში - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის მუსიკალური ფოლკლორის განყოფილების გამგე. იგი ავტორია ნაშრომებისა: „ქართლისა და კახეთის საგუნდო ხალხური სიმღერების ჰარმონია“, „მრავალხმიანობის ფორმები ქართულ ხალხურ სიმღერაში“, „ქართული ხალხური სიმღერების ჟანრები“, „დასავლეთ საქართველოს ხალხური სიმღერების კილოები“ და სხვ.<sup>2</sup>

არტანუჯში ს. ბავრელის მოღვაწეობა არ მოსწონდათ ბათუმისა და ქუთაისის რუსიფიკატორ გუბერნატორებს, რომლებიც ხელსაყრელ საბაბს ეძებდნენ ამ „საშიში“ პიროვნების თავიდან მოსაცილებლად, მაგრამ სოლომონს მფარველობდნენ ართვინის მაზრის უფროსები - ჯერ მიხეილ მეფისაშვილი, შემდეგ კი - მიხეილ ერისთავი, რომელთა წყალობითაც იგი დიდი ხნის განმავლობაში ხელშეუხებელი რჩებოდა.

ვითარება შეიცვალა XX საუკუნის დამდეგს, როდესაც ართვინის მაზრის უფროსად ვინმე შუბინსკოი დაინიშნა. ამ პერიოდიდან ს. ბავრელის აშკარა დევნა დაიწყო, შუბინსკოიმ იგი სახელმწიფოს მტრად გამოაცხადა. აღნიშნულ ნიადაგზე ს. ბავრელსა და მაზრის უფროსს შორის კონფლიქტი იმდენად გამწვავდა, რომ ამ უკანასკნელმა მას დაქირავებული მკვლელიც კი მიუგზავნა, რის შედეგადაც სოლომონი დალუპვას მხოლოდ შემთხვევით გადაურჩა. შუბინსკოი მოითხოვდა, რომ ს. ბავრელი, როგორც არასანდო პიროვნება და ხელისუფლების

<sup>1</sup> ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ს. ასლანიშვილი-ბავრელის პირადი არქივი, ფონდი № 150, საქმე № 2; № 8.

<sup>2</sup> ვ. ახოზაძე, მეცნიერი, მუსიკოსი, ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, თბ., 1966, № 6, გვ. 51-53; ქსე, ტ. 1, თბ., 1975, გვ. 637.

მტერი, არტანუჯიდან რუსეთში გადაესახლებინათ. კონფლიქტი დიდ-  
ანს გაგრძელდა. საბოლოოდ, შუბინსკოიმ მიანიც მოახერხა და 1900  
წელს ს. ბავრელი სამუშაოდ ჯულფის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში  
გადააყვანინა, სადაც სახელმწიფო სამსახურში მხოლოდ ე. წ. „დამნა-  
შავე ელემენტები“ იგზავნებოდნენ. აქ ს. ბავრელს შემწედ ძველი ნაც-  
ნობი, ადგილობრივი ფოსტა-ტელეგრაფის უფროსი ლინდენი მოეკლინა,  
რომლის დახმარებით მან სამსახური ჯერ ქუთაისის ფოსტა-ტელე-  
გრაფის კანტორაში დაიწყო, ცოტა ხნის შემდეგ კი თბილისის ფოსტა-  
ტელეგრაფის კანტორაში განაგრძო<sup>1</sup>.

1905-1907 წლების რევოლუციის დაწყების შემდეგ, ფოსტა-ტელე-  
გრაფის მუშაკებმა თავიანთი უფლებების დასაცავად მთელი რუსეთის  
იმპერიის მასშტაბით კავშირები დააარსეს. ერთ-ერთი ასეთი დამფუძნე-  
ბელი ყრილობა თბილისშიც გაიმართა, რომელზეც გადაწყდა დელე-  
გატების გაგზავნა მოსკოვში, იქაურ კავშირთან მოსალაპარაკებლად.  
დელეგატებს შორის იყო ს. ბავრელიც, რომელიც შემდგომში იგონებდა:  
„წევრებთა შორის ვიქმენი აღმორჩეული მე, თქვენი მორჩილი მონაც.  
თუმცა ჩემს ჭალარა თმას და მოხუცებულებას, მასთან დიდი ხნის ნამ-  
სახურს მოხელეს არ შეჭფეროდა გავრეულიყავ და საჭირო იყო უფრო  
ახალგაზდა ღონებისთვის დამეთმო ალაგი, მაგრამ რადგან ოთხასმა  
ამხანაგმა იკადრა ჩემი აღმორჩევა საზოგადო საქმისათვის და, მასთან,  
ჩემის საკუთარის პრინციპების მიხედვით, მე უბრალო მაყურებლობას  
ვერ მოვიწოდომებდი, მისთვის უარი ვერ ვუთხარი ჩემს დაჩაგრულ მოძ-  
მებებსა“<sup>2</sup>.

1905 წლის დეკემბრის აჯანყების ჩახშობის შემდეგ, რუსეთის ხე-  
ლისუფლებამ რევოლუციის მონაწილეთა წინააღმდეგ მთელი იმპერიის  
მასშტაბით რეპრესიები დაიწყო. დაპატიმრებას ვერც ს. ბავრელი გად-  
აურჩა – იმავე წლის ბოლოს იგი სამსახურიდან დაითხოვეს და მეტეხის

<sup>1</sup> ზ. ჭიჭინაძე, ქართველ კათოლიკენი..., გვ. 51-53; ზ. ჭიჭინაძე, სამშობლო ქვეყნის..., გვ. 4; შ. ლომსაძე, წინაპართა..., გვ. 128-130; გ. შენგელია, დასახ. ნაშრ., გვ. 3; ი. მაისურაძე, სოლომონ ბავრელი, გვ. 16; ი. მაისურაძე, სოლომონ ბავრელი-ასლანიშვილი, გვ. 80; დ. კოჭორიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 176-178; ლ. ქურდაძე, გ. საითიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 7.

<sup>2</sup> ს. ბავრელი, მეტეხის ციხეში, ჟურნ. „ჯვარი ვაზისა“, თბ., 1906, № 12, გვ. 10.

ციხეში ჩასვეს, სადაც რამდენიმე თვის განმავლობაში უარესად მძიმე პირობებში უწევდა ყოფნა. ციხეში ს. ბავრელი მძიმედ დაავადდა, რის გამოც 1906 წელს გაათავისუფლეს, თუმცა ამის შემდეგ ის მუდმივად პოლიციის მკაცრი ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებოდა. მეტეხის ციხეში პატიმრობის პერიოდის შთაბეჭდილებები ს. ბავრელმა აღწერა სტატიაში, რომელიც 1906 წელს გამოაქვეყნა ჟურნალში „ჯვარი ვაზისა“. პუბლიკაციას იგი შემდეგი სიტყვებით ამთავრებდა: „მივეჩქარები ცხოვრებისაკენ საბრძოლველად ერთი ლუკმა პურისათვის“<sup>1</sup>.

ს. ბავრელმა მოახერხა, აღედგინა თავი ძველ სამსახურში – თბილისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში, სადაც შემდგომში დიდხანს მუშაობდა ექსპედიციის გამგის თანამდებობაზე. 1923 წლიდან იგი თბილისის ქართველ კათოლიკეთა აღმასრულებელი კომიტეტის წევრი იყო.

სოლომონ ასლანიშვილი-ბავრელი გარდაიცვალა 1924 წელს თბილისში, 73 წლის ასაკში<sup>2</sup>.

\* \* \*

ზემოთ მივუთითებდით, რომ 1877-1878 წლებში სოლომონ ასლანიშვილი სურამის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში მოღვაწეობდა. სწორედ ამ პერიოდში დაიწყო მან „ბავრელის“ ფსევდონიმით ქართულ პერიოდულ გამოცემებთან – ილია ჭავჭავაძის „ივერიასა“ და სერგეი მესხის „დროებასთან“ თანამშრომლობა. მისი პირველი სტატია სახელწოდებით „სურამი [რუსეთ-ოსმალეთის ომში დაჭრილთა მოთავსება სურამის საავადმყოფოში. სწავლა-განათლების საკითხისადმი გულგრილობა]“ 1877 წელს ჟურნალ „ივერიაში“ (№ 24, გვ. 1-2) გამოქვეყნდა. აქედან მოყოლებული, მომდევნო ორი წლის განმავლობაში, ს. ბავრელი „ივერიაში“ ბეჭდავდა წერილებს, რომლებშიც სურამის სოციალურ-ეკო-

<sup>1</sup> ს. ბავრელი, მეტეხის ციხეში, ჟურნ. „ჯვარი ვაზისა“, თბ., 1906, № 13, გვ. 15.

<sup>2</sup> ზ. ჭიჭინაძე, სამშობლო ქვეყნის..., გვ. 4; ი. მაისურაძე, სოლომონ ბავრელი, გვ. 16; ი. მაისურაძე, სოლომონ ბავრელი-ასლანიშვილი, გვ. 82; დ. კოჭორიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 176-178; ლ. ქურდაძე, გ. საითიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 7.



ნომიკური და კულტურული ცხოვრების პერიპეტიებს აღწერდა. ამისა, ამავე პერიოდში ს. ბავრელი ქართულ ჟურნალ-გაზეთებში აქვეყნებდა პუბლიცისტურ წერილებს საქართველოს ცხოვრების სხვადასხვა სფეროს შესახებ, რომლებიც ქართველი საზოგადოებრიობის ფართო მასებში დიდი მონონებით სარგებლობდა<sup>1</sup>.

XIX საუკუნის 70-იან წლებში მომხდარ უმნიშვნელოვანეს მოვლენას – აჭარის შემოერთებას ს. ბავრელმა გაზეთ „დროებაში“ დასტამბული ორი პუბლიკაცია მიუძღვნა<sup>2</sup>.

სამცხე-ჯავახეთში მოღვაწეობის პერიოდში, 1880 წელს, ს. ბავრელი გაზეთ „დროებაში“ ბეჭდავდა სტატიებს ახალციხესა და ახალქალაქში

<sup>1</sup> ს. ბავრელი, სურამი [ბერძნების გადმოხიზვნა სოხუმიდან რუსეთ-ოსმალეთის ომთან დაკავშირებით და მათი უმწეო მდგომარეობა. გადამდები სწულებანი და უეჭიმობა], ჟურნ. „ივერია“, თბ., 1877, № 28, გვ. 2-3; ს. ბავრელი, სურამი, 6 სექტემბერს [მოსავალი და ჩარჩ-ვაჭრები სოფლად. რუსეთ-ოსმალეთის ომში მიმავალი რუსის ჯარი გზად სურამში], ჟურნ. „ივერია“, თბ., 1877, № 30, გვ. 1-2; ს. ბავრელი, სურამი, 22 ოქტომბერს [საზოგადოებრივი ყოფა-ცხოვრება], ჟურნ. „ივერია“, თბ., 1877, № 36, გვ. 2-3; ს. ბავრელი, სურამი, 7 ნოემბერს [მამასახლისის არჩევა], ჟურნ. „ივერია“, თბ., 1877, № 38, გვ. 6-7; ს. ბავრელი, სურამი [სუსხიანი ზამთარი. ავაზაკობა და ადგილობრივი პოლიცია. ყაჩაღი ტატო ნულუკიძე], ჟურნ. „ივერია“, თბ., 1878, № 3, გვ. 4-5; ს. ბავრელი, ყველაფერზედ (წერილი სურამიდან) [სურამის ცხოვრება. დიდი თოვლი. გლეხების სახლებში ჯარისკაცების დაბინავება. ბავშვთა გადამდები სწულებანი. მღვდლების გაუმადლობა. ბანქოს თამაში. ავაზაკობა. სოხუმიდან გადმოსული ბერძნები], ჟურნ. „ივერია“, თბ., 1878, № 6, გვ. 8-10; ს. ბავრელი, სურამი [ავაზაკის შეპყრობა], ჟურნ. „ივერია“, თბ., 1878, № 7, გვ. 4-5; ს. ბავრელი, სურამი [ამინდი. ქუჩების ანტიხანითაროული მდგომარეობა. ჭორები. სურამის უზნები. გლეხები. ფოსტის საჭიროება], ჟურნ. „ივერია“, თბ., 1878, № 12, გვ. 2-4.

<sup>2</sup> ს. ბავრელი, მგზავრის შენიშვნები [მატარებლით სურამიდან თბილისამდე. თბილისის ქუჩები. ქართული ნიგნი ბაზარზე. მცხეთობა], ჟურნ. „ივერია“, თბ., 1877, № 33, გვ. 7-10; ს. ბავრელი, ზამთარი [ზამთრის სუსხი და მდიდარ-ღარიბნი. ვაჭრები. მღვდლები. წერილი და მსხვილი მოხელეები. გლეხების მდგომარეობა საქართველოში. სასამართლო და მოსამართლე], ჟურნ. „ივერია“, თბ., 1878, № 8, გვ. 3-5; ს. ბავრელი, მგზავრის შენიშვნები [თბილისიდან ახალქალაქამდე, ბორჯომის ხეობით], ჟურნ. „ივერია“, თბ., 1878, № 24, გვ. 9-16; № 25, გვ. 9-11.

<sup>3</sup> ს. ბავრელი, ერთი სიხარული [აჭარის შემოერთების გამო], გაზ. „დროება“, თბ., 1878, 16/IX, № 186, გვ. 2-3; ს. ბავრელი, აჭარლები რათ გვიფრთხებიან (წერილი რედაქტორთან), გაზ. „დროება“, თბ., 1878, 31/XII, № 268, გვ. 6.

მიმდინარე კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური პროცესების თაობაზე<sup>1</sup>.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ს. ბავრელის ვრცელი პუბლიკაცია 1911 წელს იტალიაში ტრაგიკულად დაღუპული გამოჩენილი ქართველი მეცნიერის მიხეილ თამარაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ<sup>2</sup>.

ს. ბავრელის მიერ დატოვებული პუბლიცისტური და სამეცნიერო მემკვიდრეობის, გამოქვეყნებული თუ გამოუქვეყნებელი მასალების მხოლოდ უბრალო ჩამონათვალიც კი ნათელ წარმოდგენას გვიქმნის მის ფართო შემოქმედებით დიაპაზონზე: სოლომონის კალამს ეკუთვნის სატირულ-იუმორისტული ჟანრის მოთხრობა „მათრახი“<sup>3</sup>, რომანი „საბრალო ქეთო“, ზღაპრები „ანჩხლი ცოლი“<sup>4</sup> და „მამულოვი ივანემღვდელი“<sup>5</sup>, გაზეთ „თეატრი“ გამოქვეყნებული მოთხრობის – „ბასკი“ – თარგმანი<sup>6</sup>, სასწავლო ხასიათის ჩანაწერები ქართულ, რუსულ და ფრანგულ ენებზე<sup>7</sup> და სხვ.; მან აღმოაჩინა, შეაგროვა და „ივერიაში“

<sup>1</sup> ს. ბავრელი, ახალციხე, 29 აგვისტოს [ქალაქის კულტურულ-საზოგადოებრივი ცხოვრება], გაზ. „დროება“, თბ., 1880, 3/IX, № 185, გვ. 3; ს. ბავრელი, ახალციხე, 15 სექტემბერს [გაზ. „მშაკიდან“ გადმობეჭდილი კორესპონდენტის უსაფუძვლობა, თითქოს მაჰმადიან ქართველებს სძულთ ქრისტიანი ქართველები], გაზ. „დროება“, თბ., 1880, 23/IX, № 201, გვ. 3; ს. ბავრელი, ხმა ახალქალაქიდან [ახალქალაქის გაზრდა. მეფის მოადგილის ჩამოსვლა. ქურდობა-აუჯაკობა. კორესპონდენტის საჭიროება. გზის ბეგარისაგან გლეხების შეწუხება], გაზ. „დროება“, თბ., 1880, 15/X, № 217, გვ. 1-3; ს. ბავრელი, ახალციხე, 28 ნოემბერს [ქალთა სასწავლებლის მდგომარეობა], გაზ. „დროება“, თბ., 1880, 3/XII, № 255, გვ. 2-3.

<sup>2</sup> ს. ბავრელი, მღვდელი მიხეილ თამარაშვილი (ბიოგრაფიული ცნობანი), გაზ. „სახალხო გაზეთი“, თბ., 1911, 21/X, 430, გვ. 3; 26/X, № 434, გვ. 3.

<sup>3</sup> ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ს. ასლანიშვილი-ბავრელის პირადი არქივი, ფონდი № 150, საქმე № 3.

<sup>4</sup> იქვე, საქმე № 10.

<sup>5</sup> იქვე, საქმე № 13.

<sup>6</sup> ბასკი [მოთხრობა; თარგმანი ს. ბავრელისა], გაზ. „თეატრი“, თბ., 1890, 24/III, № 13, გვ. 1-2.

<sup>7</sup> ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ს. ასლანიშვილი-ბავრელის პირადი არქივი, ფონდი № 150, საქმე № 16.

დაბეჭდა ქართული ფოლკლორის არაერთი ძვირფასი ნიმუში<sup>1</sup>; ისტორიული ძეგლების ფოტოსურათებისა და საკუთარი ჩანახატების ალბომები<sup>2</sup>, რუსულ-ქართული თვითმასწავლებელი<sup>3</sup>, ფრანგულ-რუსული ლექსიკონი<sup>4</sup>, ფრანგული ენის შემსწავლელი პრაქტიკული კურსი საშუალო სკოლებისათვის, რომელიც ამჟამად სტამბულის ქართველ კათოლიკეთა მონასტრის ბიბლიოთეკაში ინახება<sup>5</sup>, „საკითხავი ნიგნი გამაჰმადიანებული ქართველებისათვის“<sup>6</sup>, „ქართულ-ოსმალური ლექსიკონი მაჰმადიანი ქართველებისათვის“, რომელიც გამოსაცემად „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ გადასცა. 1912 წელს ზაქარია ჭიჭინაძე წერდა, რომ აღნიშნული ლექსიკონი „დიდათ გამოადგებათ სახმარად იმ ქართველ მაჰმადიანთ, რომელთაც ჟამთა ვითარების წყალობით ქართული ენა დაკარგეს, თუმცა დღესაც კი თავი ქართველად, გურჯად მიაჩნიათ. დიდათ საჭიროა ამ ნიგნის გამოცემა. ამ ნიგნით ქართველი მაჰმადიანები ადვილათ შეისწავლიან ქართულ ენას და წერა-კითხვას“<sup>7</sup>. სამწუხაროდ, მაშინ ქართულ-ოსმალური ლექსიკონის დაბეჭდვა ვერ მოხერხდა; შემდგომში, დროთა განმავლობაში, ხელნაწერი დაიკარგა; ასეთივე სავალალო ბედი ეწია ს. ბავერელის სახელმძღვანელოს ელექტროობაზე ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთათვის. ორივე ნაშრომი დღემდე დაკარგულად ითვლება<sup>8</sup>.

<sup>1</sup> გლეხური ლექსები [მოგროვილი ს. ბავერელისაგან], ჟურნ. „ივერია“, თბ., 1877, № 37, გვ. 11.

<sup>2</sup> ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ს. ასლანიშვილი-ბავერელის პირადი არქივი, ფონდი № 150, საქმე № 9; 23.

<sup>3</sup> ზ. ჭიჭინაძე, სამშობლო ქვეყნის..., გვ. 4.

<sup>4</sup> ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ს. ასლანიშვილი-ბავერელის პირადი არქივი, ფონდი № 150, საქმე № 22.

<sup>5</sup> ზ. ჭიჭინაძე, სამშობლო ქვეყნის..., გვ. 4; რ. დაუშვილი, ევროპული საისტორიო მწერლობა XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში, თბ., 2003, გვ. 40.

<sup>6</sup> ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ს. ასლანიშვილი-ბავერელის პირადი არქივი, ფონდი № 150, საქმე № 4.

<sup>7</sup> ზ. ჭიჭინაძე, ისტორია ოსმალეთის ყოფილი საქართველოსი, ბათ., 1912, გვ. 266.

<sup>8</sup> ზ. ჭიჭინაძე, სამშობლო ქვეყნის..., გვ. 4.

„ოსმალის საქართველოს“ პრობლემატიკით სოლომონ ასლანიშვილი-ბავრელი პირველად რუსეთ-ოსმალეთის ომის დასრულების შემდეგ, 1878 წლის ზაფხულში დაინტერესდა, როდესაც სამუშაოდ ახლად შემოერთებული არტაანის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში გადავიდა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მას სურდა, გაეცნო დედასამშობლოს წინააღმდეგობრივი ქართველი მაჰმადიანები და ახალ ვითარებასთან ადაპტაციაში დახმარებოდა; გარდა ამისა, შესაძლებლობა ეძლეოდა, მოენახულებინა და შეესწავლა წინაპართა მინა, მათ მიერ საუკუნეების წინ შექმნილი და იმხანად უკვე თითქმის დავინწყებული უმდიდრესი კულტურული მემკვიდრეობა. სოლომონის სურვილი დაემთხვა დიდი ქართველი მოღვაწეების, „ივერიასა“ და „დროების“ მესვეურების – ილია ჭავჭავაძისა და სერგეი მესხის მისწრაფებას, თავიანთი პერიოდული გამოცემების ფურცლებზე სრულყოფილად გაეშუქებინათ ისტორიული ქართული პროვინციების ყოფა-ცხოვრება. აქედან გამომდინარე, ს. ბავრელმა, რომელიც თავისუფლად ფლობდა ქართულ, რუსულ, თურქულ და სომხურ ენებს, სახელმწიფო მოხელის მოვალეობების შესრულების პარალელურად, „დროებისა“ და „ივერიას“ კორექსონდენტის ფუნქციებიც შეითავსა.

ს. ბავრელი პირველი ქართველი ჟურნალისტი იყო, რომელმაც ქართველ მაჰმადიანთა ომის შემდგომი ყოფა-ცხოვრების საჭირობოტო საკითხების პრესაში გაშუქება დაიწყო. ზაქარია ჭიჭინაძის თქმით, „მოკლე დროის განმავლობაში მთელი არტაანის თემის ქართველ მაჰმადიანთა ცხოვრება სოლომონმა გააცნო იმ დროის ქართველობას გაზეთ „დროებას“ ფურცლებით, რასაც ამ დროის ქართველობა ალტაცებით კითხულობდა. ამ დრომდის ჩვენ კი არტაანის ქართველ მაჰმადიანების შესახებ სულ არაფერი ვიცოდით“<sup>1</sup>.

ზემოთ ვწერდით, რომ არტაანიდან ს. ბავრელი სამუშაოდ ჯერ არტანუჯის, შემდეგ – ახალციხის, ბოლოს კი კვლავ არტანუჯის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში გადაიყვანეს. მას ინტენსიური პუბლიცისტური მოღვაწეობა არც არტანუჯში შეუწყვეტია. იმავე ზ. ჭიჭინაძის შენიშვნით, „სოლომონ ასლანიშვილისთვის ეს გარემოებაც სასიხარულო იყო, ნამეტურ ის პირობებიც, რომ იმ დრომდის ჩვენთვის არდანუჯი ისეთივე

<sup>1</sup> ზ. ჭიჭინაძე, სამშობლო ქვეყნის..., გვ. 4.

უცნაური იყო, როგორც არტანნი. მართლაც, ს. ასლანიშვილი არდანუჯშიც თავისებურის ნიჭით დატრიალდა და ახლა იქიდან დაიწყო ქართულ გაზეთებში არდანუჯის შესახებ წერა. არდანუჯი და მთელი მისი თემის, ანუ შავშეთის, არდანუჯის და იმერხევის სოფლების მცხოვრები ქართველი მაჰმადიანებიც იმან გააცნო ქართველობას... მკითხველი, გადაშლიდა თუ არა იმ დროის გაზეთს, შიგ ყველა ს. ბავრელის წერილს ეძებდა, რადგანაც იგი აცნობებდა ქართველ ერს დიდის ხანიდამ მოწყვეტილი და მოგლეჯილი ქართველ მაჰმადიანთა ცხოვრებას<sup>1</sup>.

ს. ბავრელის მიერ „ივერიაში“, „დროებასა“ და „ჯვარი ვაზისაში“ დასტამბულ პუბლიკაციებში დაცული ცნობები ადგილობრივი მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებაზე, ადათ-წესებზე, ისტორიულ ძეგლებსა და ა. შ. მნიშვნელოვანი პირველწყაროა „ოსმალის საქართველოს“ ისტორიის შესასწავლად. ს. ბავრელმა აღნიშნულ თემატიკას მიუძღვნა 1878-1906 წლებში დასახელებულ პერიოდულ გამოცემებში გამოქვეყნებული 26 სტატია, რომელთაგან 5 გაგრძელებებით დაიბეჭდა. განსაკუთრებული პროდუქტიულობით 1878-1879 წლები გამოირჩეოდა, როდესაც გამოქვეყნდა ს. ბავრელის 18 პუბლიკაცია (1878 წ. – 10 სტატია, მათგან გაგრძელებებით 1 სტატია; 1879 წ. – 8 სტატია, მათგან გაგრძელებებით 3 სტატია); 1880 წელს დაიბეჭდა 4 სტატია; 1885 წელს – 1 სტატია; 1891 წელს – 1 სტატია; 1906 წელს – 2 სტატია, მათგან გაგრძელებებით 1 სტატია.

ს. ბავრელის პუბლიკაციებში განხილული პრობლემატიკა შეიძლება რამდენიმე თემატურ ჯგუფში მოექცეს: 1) ცნობები შემდეგი ქალაქებისა და დაბების შესახებ: არდაჰანი (არტანნი), რომელიც, მისი თქმით, 1878 წელს წარმოადგენს ყოვლად უსახურ, გასამხედროებულ ქალაქს, „ცარიელი ცხოვრების უდაბნოს“; არტანუჯი: აღწერს ქალაქის მდებარეობას, მასთან მისასვლელ გზებს, ქუჩებს, საცხოვრებელ სახლებს, მეჩეთს, სასაფლაოს, ასახელებს მცხოვრებთა რაოდენობას და ა. შ.; ართვინი: აღწერს მის მდებარეობას, უბნებს (მაჰალეებს), ქუჩებს, ჰავას, სახნავ-სათეს სავარგულებს, სარწმუნოებრივ მდგომარეობას, სწავლა-განათლებას, ეკლესიებს, მეჩეთებს, სასაფლაოს, ადგილობრივი მოსახლეობის რაოდენობას, მათ გარეგნობას, ხასიათის თვისებებს, ტანსაცმელს და ა. შ. გარდა ამისა, ს. ბავრელის სტატიებში ვხვდებით ინფორმაციას ბორჩხისა და ბათუმის შესახებ.

<sup>1</sup> ზ. ჭიჭინაძე, სამშობლო ქვეყნის..., გვ. 4.

2) ცნობები შემდეგი სოფლების შესახებ: ვაჩიანი, ცულდა (სულდა), კარნახი, ჩაისოსი (ჯავახეთში); რაბათი, ბაგრაბათუნი, ოლჩაკი (ერუშეთში); ჩილდირი; ველი, ჩუმი, ფარიყმა, საზარა, ყიზილქალე, დუდუნა, ური, ხარისამანი, ახჩაყალა, ნაქალაქევი, ბორქი, ქვემო ჯინჭარა, ზემო ჯინჭარა, ზინდისგომი, შადრევანი, ქინძათამარა, დიკაშენი (არტაანში); ხევა (ხევი), ლონგითხევი, ხერთვისი, ახაშენი, შავგულარი, შვათახევი, მაცალახევი, ბოცა, ბიჭა, ახიზა, ვაზიხევი, დოლისყანა, ზედა თოლგომი, ქვედა თოლგომი, ლომაშენი, ტანძოთი, სინკოტი, ნაჯვა, ონი, ომანა, ლამაშენი, მარადიდი, ხება (კლარჯეთსა და ლივანაში, ანუ არტანუჯისა და ართვინის მხარეში); მაჭახელისპირი (აჭარაში).

უნდა აღინიშნოს, რომ ს. ბავრელს არ მოეპოვება ერთნაირი მოცულობისა და მნიშვნელობის ცნობები ყველა სოფლის შესახებ, თუმცა, ამის მიუხედავად, იგი მაინც ახერხებს თუნდაც მცირეოდენი ინფორმაციის მონოდებას ზემოთ დასახელებულ პუნქტებთან დაკავშირებით. მაგალითისთვის მოვიტანთ სოფელ ურის ს. ბავრელისეულ აღწერილობას, საიდანაც კარგად ჩანს, თუ რა ძვირფას ისტორიულ წყაროსთან გვაქვს საქმე: „ური პატარა სოფელია; შესდგება ოცი კომლისგანა. მცხოვრებლები არიან გადმოსახლებულნი ახალციხის სოფლებიდან. ყოფილა პატარა ეკლესია, რომლის ნანგრევი ახლაც სდგას. აქ ცხოვრობს ხიმშიაშვილის მესამე ცოლი თავისი შვილებით. სოფელს აქვს კარგი ჰავა და მშვენიერი მდებარეობა. იქაური ჰავის კარგობა მტკვრისა და ახლო გორაკებზე ტყის ბრაღია. აღმოსავლეთ-სამხრეთის მხარეს, პატარა გორაკზე, ტყის პირად, დგას და დაღვრემით გადმოჰყურებს პატარა ციხე. აქაურობა ყოფილა მოსილი ტყით, ახლაც ნახავთ კარგ მანძილზე ტყეს. არტაანის მაზრა ორ ნაწილათ იყოფება: პირველ ნაწილს, სადაც თვით ქალაქია, უწოდებენ არტაანს, მეორე ნაწილს – მემა-არტაანს (ტყე-არტაანს). ური იმყოფება მემა-არტაანში. ამ სოფელს ჩემობენ უ[ფალი] ხიმშიაშვილები. სწორედ უნდა აღვნიშნოთ, როგორღაც იმის შვილებს იქაურები არ ემადლიერებიან“<sup>1</sup>.

3) ცნობები შემდეგი ეკლესიების შესახებ: ეკლესიის ნანგრევები სოფელ ოლჩაკში (ერუშეთი); ეკლესიის ნანგრევები სოფელ ფარიყმაში; ეკლესიის ნანგრევები სოფელ ყიზილქალეში; ეკლესიის ნანგრევები სოფელ დუდუნაში; ეკლესიის ნანგრევები სოფელ ურში; ეკლესიის

<sup>1</sup> ს. ბავრელი, პატარა შენიშვნები არტაანზედ, გაზ. „დროება“, თბ., 1878, 20/X, № 212, გვ. 1.



ნება ამ ჩვენი წარსულის ცხოვრების მოწამე ნაშთთა იმათზე იქონიონ სხვა გავლენა და ესენი შეიქმნენ იმათთვის გზის მჩვენებლნი სხვა ცხოვრებისადმი<sup>1</sup>.

8) ცნობები ახლად შემოერთებულ რაიონებში რუსეთის სახელმწიფო აპარატის ფუნქციონირების, მოხელეთა ბიუროკრატიის, ადგილობრივი მოსახლეობისადმი მათი გულგრილი დამოკიდებულების შესახებ.

9) ცნობები არტაანის, არტანუჯის, შავშეთისა და აჭარის მოსახლეობის მუჰაჯირობის, ამ მოვლენის გამომწვევი მიზეზების შესახებ: ს. ბავრელის დაკვირვებით, მუჰაჯირობის გამომწვევ უმთავრეს მიზეზს რეგიონში რუსეთის ხელისუფლების მიერ გატარებული პოლიტიკისადმი ადგილობრივი მოსახლეობის უკმაყოფილება, აგრეთვე, ქართველი საზოგადოებრიობის უდიდესი ნაწილის მაჰმადიან ქართველთა პრობლემებისადმი გულგრილი დამოკიდებულება წარმოადგენს. 1891 წელს გაზეთ „ივერიაში“ დასტამბულ ერთ-ერთ პუბლიკაციაში იგი გულისტკივილით შენიშნავს: „საუკუნის ერთი მეათედის განმავლობაში (ს. ბავრელი გულისხმობს 1878-1891 წლებს. ლ. ქ., გ. ს.) რა ვაკეთეთ ჩვენ, ქართველებმა, ამ ახალაღებულ მხარეს? პასუხი ძალიან მოკლეა: არაფერი, გარდა იმისა, რომ ზოგიერთი ქართველი ან სამსახურის მიზეზით, ანუ სამეცნიერო აზრით ესტუმრებოდა ართვინის მაზრას და მოაგონებდა აქაურ გამაჰმადიანებულ ქართველებს, რომ თქვენი მამაპაპა ქართველნი იყვნენო და სხვა მეტი არაფერი, ამით თავდება საქმე. ჩვენსა და მათ შორის იმისთანა მაგარი კედელია ამოყვანილი ისტორიულის გარემოებით, ფანტიკოსობისა, რომ ვერა ღონე ამ შემთხვევაში ნაყოფს ვერ მოიტანს. მართალია, აქაურებიც იძახიან, „ბაილი“, „ჩვენ გურჯები ვართ“, მაგრამ მაინც, თითქმის მესამედი წილი მცხოვრებლებისა გადაიხვენა ოსმალში სხვადასხვა მხარეს, დანარჩენებიც შემთხვევას ეძებენ, რომ საუკუნოდ დასტოვონ თავიანთი სამშობლო“<sup>2</sup>.

10) ცნობები გზების, ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის მუშაობის, ჯანმრთელობის დაცვის მდგომარეობის, ვაჭრობა-მრეწველობის, კანონებისადმი ადგილობრივი მოსახლეობის დამოკიდებულების შესახებ: განსაკუთრებით აღსანიშნავია ს. ბავრელის პუბლიკაცია ცნობილი იმერხვეელი ყაჩაღის, „ავაზაკთ-მთავარი“ ემრულა მალქვაძის შესახებ.

<sup>1</sup> ს. ბავრელი, პატარა შენიშვნები..., გვ. 1.

<sup>2</sup> ს. ბავრელი, ჰაეროსტატით ტანტალი (მაჰმადიანთ საქართველოდამ), გაზ. „ივერია“, თბ., 1891, 6/IV, № 75, გვ. 2.



11) ცნობები სასარგებლო ნიაღვრის მადნების შესახებ: ს. ბავერელი აღნიშნავს, რომ სოფელ გუმუშხანეში (არტანუჯის მახლობლად) „ძველად ყოფილა მადანი რალაცისა, რასაც დღემდე შემორჩენილი ძველი ნაშთები მოწმობენ“. იგი მოუწოდებს ხელისუფლებას, მეტი ყურადღება მიაქციოს რეგიონში მადნების აღმოჩენისა და ხალხის ადგილზე დასაქმების საქმეს.

12) ცნობები ქალაქებში, დაბებსა და სოფლებში არსებული დემოგრაფიული მდგომარეობის შესახებ: ს. ბავერელის თქმით, ჯავახეთში ძირითადად ცხოვრობენ XIX საუკუნეში არზრუმიდან გადმოსახლებული სომხები, აგრეთვე, თარაქამები, არტაანსა და ერუშეთში – ახალციხიდან გადმოსახლებული გამაჰმადიანებული ქართველები, სოფელ ჩილდირის მოსახლეობას მთლიანად თარაქამები შეადგენენ და ა. შ.

13) ცნობები ქართველი მეცნიერებისა და საზოგადო მოღვაწეების შესახებ: ერთ-ერთ სტატიაში ს. ბავერელი საუბრობს ცნობილი ქართველი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის, ართვინის მაზრის უფროსის მიხეილ მეფისაშვილის შესახებ, რომელსაც ადგილობრივი გამაჰმადიანებული ქართველები დიდად ემადლიერებოდნენ და ამგვარად ახასიათებდნენ: „მიხეილ-ალა ჩვენია, ყველაფერს გავაგებინებთ; იმან იცის ჩვენი დარდ-ვარამი და ადათი; ის ჩვენთვის ავს არ მოინდომებს და ძალიან კარგია“.<sup>1</sup>

ს. ბავერელის „ოსმალის საქართველოში“ მოღვაწეობის პერიოდში, კერძოდ, 1879 წელს, რეგიონში სამეცნიერო ექსპედიცია მოაწყო გამოჩენილმა ქართველმა ისტორიკოსმა, რუსეთის მეცნიერებათა საიმპერატორო აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა დიმიტრი ბაქრაძემ, რასაც მაშინვე გამოეხმაურა ს. ბავერელი. ეს უკანასკნელი აღნიშნავდა: „ჩვენი მეცნიერი დიმიტრი ბაქრაძე მოგზაურობს ამ ახალ ქვეყნებში და ჩხრეკავს ძველ ნაშთებს. არდანუჯში, შავშეთში იყო და წავიდა ართვინში. სასიამოვნო სანახავია, როგორ თითქმის მოხუცებული, მაგრამ მარდი, როგორც თუთხმეტი წლის ახალგაზდა, დარბის კლდეებზე, უალ ალაგებზე. ყველაფერში ეტყობა უფალ ბაქრაძეს, რომ თავისი საქმის არსიყია. აურიცხველი მასალები მოკრიფა აქაურობაში და ეჭვი არ არის, რომ მალე ველირსებით იმის თხზულების ნაკითხვას“.<sup>2</sup>

<sup>1</sup> ს. ბავერელი, პატარა შენიშვნები არტაანზე, გაზ. „დროება“, თბ., 1878, 19/X, № 211, გვ. 1.

<sup>2</sup> ს. ბავერელი, მაჰმადიანთ საქართველდამ, გაზ. „დროება“, თბ., 1880, 18/1, № 13, გვ. 3.

იქვე ს. ბავრელი გულწრფელად სთხოვს დ. ბაქრაძეს, თავისი წამოშობილები ქართულ ენაზეც გამოაქვეყნოს, რითაც მათ მკითხველთა უფრო ფართო წრისათვის გახდის ხელმისაწვდომს, „ჩვენ, დიდნი თუ პატარანი, ნავიკითხავთ, გავიგებთ, თუ რა ძვირფასი ადგილები და ხალხი გვეკარგებოდა აქნობამდი... ჩვენი ჩამომავალნიც გულმხურვალედ ნაიკითხვენ და გაიხდიან წარსულს დროშათ, გამოიღვიძებენ, მოიგონებენ, გაიგებენ, რომ ერთხელ საქართველო ყოფილა აყვავებული, ჰყოლია გმირი და ერთგული შვილები და მერე გაჩენილან ჩვენი-სთანა „ჩანჩურ ივანიჩები“<sup>1</sup>.

1905 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში სახელწოდებით „ქართველ კათოლიკენი ყველა ასპარეზზე და ზოგი რამ წერილები დასავლეთ საქართველოზე“ ზაქარია ჭიჭინაძე ამგვარად აფასებდა ს. ბავრელის მიერ „ოსმალის საქართველოს“ შესწავლის საქმეში შეტანილ წვლილს: „ბატონმა ასლანოვმა ქართული ისტორია კარგად იცის, მის გულში ღრმად არის ჩანერგილი საქართველოს ერის სიყვარული და ნამეტურ დასავლეთ-სამხრეთ საქართველოსი. მან მიმოვლო ეს კუთხეები და ბევრი რამ ძველი ნაშთები დიდის გულმდულარებით აღწერა. მის ნაწერებში ბევრი რამ ძვირფასი ცნობები მოიპოვება ჩვენი ისტორიის და ნაშთების შესახებ, რადგანაც დასავლეთ-სამხრეთ საქართველოს შესახებ ჩვენ ამ სამი საუკუნის განმავლობაში ბევრი რამ დავკარგეთ და დავივიწყეთ. ამ კუთხეში ჩვენი ტომის ყოველივე ნაშთები ძაძით მოსილნი არიან, მგლოვიარენი. ბატონმა ასლანოვმა ამ ძაძა მოსილთ ნაშთების ბევრი რამ აღგვინუსხა“<sup>2</sup>.

ასეთია სოლომონ ასლანიშვილი-ბავრელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითადი ასპექტები. აქვე ვთავაზობთ მის პუბლიკაციებს. ავტორის სტილი უცვლელად დავტოვეთ, ზოგ ადგილას მხოლოდ პუნქტუაციის ნიშნები შევცვალეთ, რამდენიმე სიტყვა ორთოგრაფიულად შევასწორეთ; სოლომონ ბავრელის მიერ შემოკლებულ სიტყვებს დასრულებული სახე მივეციტ, ხოლო დამატებული ასოები ოთხკუთხა ფრჩხილებში ჩავსვით, მაგ., ს[ოფელი].

პუბლიკაციებს ბოლოში დავურთეთ კომენტარები.

<sup>1</sup> ს. ბავრელი, მაჰმადიანთ საქართველდამ, გაზ. „დროება“, თბ., 1880, 18/1, № 13, გვ. 3.

<sup>2</sup> ზ. ჭიჭინაძე, ქართველ კათოლიკენი..., გვ. 51.

## მგზავრის შენიშვნები

(ახალქალაქიდან არტაჰანამდის)

ვერ წარმოიდგენთ, მკითხველო, რა სიხარული მომეცა, როცა გარემოებამ ისე მოატანა, რომ არტაჰანისკენ<sup>1</sup> წასვლის შემთხვევა მომეცა! თუმცა მენანებოდა, რომ ვჰსტოვებდი ქართლის მშვენიერ ბუნებას და იქაურ ტოლ-ამხანაგებს, მაგრამ მაინც ჯერ ის მიხაროდა, რომ მივდიოდი იქ, სადაც ამ ბოლოს დროს ბევრი შესანიშნავი ამბავი მოხდა. მერე მიხაროდა ის, რომ ჩვენის დიდის ხნის მოშორებულის მოძმების ნახვა მეღირსებოდა, და კიდევ ის მიხაროდა, რომ ვნახავდი იქ ჩემის მამა-პაპის სამშობლო სოფელს.<sup>2</sup> იმ სოფელზედ, საიდანაც ისინი არიან გადმოსახლებულნი, ბევრი ქება გამიგონია ჩემთა მოხუცებულთაგან. იმისთანა გულის სიმხურვალით და სიყვარულით იგონებდნენ ხოლმე თავის სამშობლო სოფელს, რომ ბევრჯელ შევნიშნავდი, რომ იმის მოგონებაზე თვალში ცრემლი მოჰსდიოდათ და ოხვრას ამოატანდნენ ხოლმე თავის გულის სევდას. ისინი ამ სოფელს იგონებდნენ, როგორც თავიანთ საყვარელს სამშობლოს, რაგვარადაც დიდი ხნის მოშორებული ყმანვილი იგონებს თავის საყვარელს დედას. მართალია, ჯერ მიხაროდა, მაგრამ როდესაც გამოველი გზასა და უკანასკნელ გადავავლე თვალი ქართლის არე-მარეს და წარმოვიდგინე, რომ სრულობით ვშორდები, დავღონდი და გულზედ რაღაცამ მიკბინა. ეჰ, სოფელო რასშიგან ხარ?

ახალქალაქიდან<sup>3</sup> არტაჰანამდის ფოშტით ტარება არ არის გამართული. წასვლა იქით ოთხის შემთხვევით შეიძლება: ან ფოშტის ფურგონით, ან ინტენდანტის ფურგონით, ან მაზრის უფროსს უნდა სამგზავრო ფურცელი გამოართო და სოფლი-

დამ სოფლამდი ნახვიდე კანონიერი „პრაგოხის“ გადახდით, და ან არა და ცხენები უნდა იქირაოს კაცმა. ყველაზე კარგი ეს უკანასკნელია, მაგრამ უბედურება ის არის, რომ ძალიან ძვირად უჯდება მგზავრს ეგრედ სიარული, მეტადრე, ჩემისთანას რა ხელს მისცემს სამის, და ოთხის თუმნის მიცემა, თუ ღმერთი ვნამთ?

ფოშტის და მაზრის უფროსისაგან უარი მეთავაზა. ფოშტის უფროსმა მიტომ მიუარა, რომ ფოშტის ფურგონში ადგილი დაჭერილი იყო სხვა მგზავრისაგან. მაზრის უფროსმა, არ ვიცი, რა მიზეზით, ცოტა ბრუდე თვალით შემომხედა...

გზაზე ხომ ვერ დავრჩებოდი – ჩემი იარა ჩემი ხელითვე უნდა შემეხვია. „ობოლი თავის ჭიპს თვითონვე მოიჭრისო,“ ნათქვამია, მაშინვე შევეუდეგი ცხენის ქირაობას. ჩემ ბედზე ძალიან სინიდისიანი კაცი შემხვდა. ქართველი იყო, რომლისაგან ვიქირავე ორი ცხენი – ძალიან იაფად კი. ერთზე ავკიდეთ ბარგი, მეორეზე მე დავბძანდი ორმოცის თხის პატრონ ქურთისავით და გავემგზავრეთ. მზემ ახლად ამოჰყო გაშველუპილი თავი აბულის მთის<sup>4</sup> თოვლიან კეფიდამ, როცა ჩვენ პირველად „გზა მშვიდობის მოგვეცეს“, ვუთხარით მე და ჩემა ლევანემ (ჩემს მოქირავეს ლევანე ერქვა) ერთმანეთს და წავედით. დასავლეთისკენ ცოტა მოსარიდი ღრუბლები ცურავდნენ ცაზედ. წინადლით მოსულის წვიმისაგან გზა ტალახიანი იყო. მაშინვე წარმოვიდგინე, რომ ბევრი წვალემა უნდა გამოვიარო – მეთქი, მაგრამ მაინც კიდევ ზაფხულის გაცხარებული მზის იმედი მქონდა, ის გააშრობს გზას, თუ ქეიფზე იქნა – მეთქი.

ახალქალაქს გავშორდით. წინ გაგვეშალა ვაჩიანის მინდორი; ეს მინდორი მორთულია ამწვანებულის ყანებით, ჭალა-მინდვრებით და ერთგვარის ყვითელის ფერის ყვავილით; ვაჩიანის მინდვრის გარშემო არტყია – აღმოსავლეთით თრიალეთის მთების სერები, დასავლეთით – ლივანის, და სამხრეთით – ალბაბის მთები. აქ რომ ტოროლა არ იყოს, სრული სიჩუმე იქმნება, მერე ასეთი, რომ შორით ბალახის შრიალსაც კი გაიგონებს კაცი. ტოროლები ისე აცხოველებენ ამ მინდორს და იმისთანა ხანგრძლივი ჟღერისილი გააქვთ, რომ ყოველ კაცს იამება. ამ მინდვრის ბულბულიც

ესენი ყოფილან. მინა აქ შავი და ძალიან ნაყოფიერია, იმიტომ ძალიანი მოსავალი იცის ხოლმე. აქ მოდის: პური, დიკა, ქერი და კარგი სელი. ვაჩიანთან<sup>5</sup> რომ მიველით, საუზმის დრო იყო. ვაჩიანი კარგა მოზდილი სოფელია. ჰსცხოვრობენ აქ აზრუმიდგან<sup>6</sup> გადმოსახლებულნი სომხები, იქმნება ერთი ოთხმოცამდი კომლი. თვითონ სოფელი ფერდობაზეა აშენებული. ხალხი მდიდარი ჰყავს, რადგან ის სულით და გულით მინდობილი არის მიწის მუშაობაზედ. ახლად რომ გადმოსახლებულან, ძალიან ღარიბად ყოფილა, მაგრამ ახლა იმნაირად ჰსცხოვრებენ, რომ უკეთესი არ შეიძლება. ჩემმა ცხენის პატრონმა მთხოვა ცხენების დასვენება და მისთვის მიჩნია ცივი წყაროს თავი პატარა მთის ძირში. ცხენი ვსთქვი და მომაგონდა, იცით, რა უბედურებას შევეყარე? თურმე იმიტომ მაქირავა ცხენები ისე იეფათ, რომ ორივე ცხენები ბრმები იყვნენ. ერთი ორივე თვალით, მეორე – ერთით. ეს მაშინ შევნიშნე, როცა ვნახე, რომ ჩემი ცხენი სულ ერთ გვერდზე მიდის და ერთხელაც კინალამ არხში გადამაგდო; მეორე ცხენს კი პატრონი არ ჰსცილდებოდა და დაჰყავდა ბრმა მგოსანივით.

- ეს ცხენი ასე რად შვრება? – ვკითხე.

- ბრმაა, ჯანუმ და იმიტომ.

- თუ ბრმა იყო, რად მაქირავე, – შეტევით ვუთხარი, რადგან ძალიან მეჯავრა.

- ფიქრი ნუ გაქვს, ჩიტვით ნაგიყვან, – მიპასუხა იმან.

- ცხენები გავუშვით ბალახზე და ჩვენც დავსხედით მწვანე მინდორზე. ჩემმა ლევანემ შემნიშნა, რომ გაჯავრებული ვარ და მიზეზიც იცოდა, იმიტომ ცდილობდა შევექეცი როგორმე და ლაპარაკი დამიწყო.

- აიმ სერს უყურებთ, ბატონო? – მკითხა მან და თითოთ მაჩვენა პატარა გორაკი, რომლის გარშემო რალაც კედლების ნაშთი ეტყობოდა.

- ვხედამ.

- ერთხელ მონადირეები გამოეკიდნენ მელასა და შეშინებული მელა თურმე შეძვრა სოროში. მონადირეებმა სორო შეჰსთხარეს იმის გამოსაყვანათ და იმ თხრილში იპოვეს დიდი-ვებერთელა ქვევრი. ეტყობა, რომ აქ როდესმე ვენახები ყოფილან.

ლევანე მართალი იყო. ჯავახეთში ბევრს ნახავთ ხევებში და მინდორ-გორაკებზე ვენახების ნაშთებს, რომელიც ამტკიცებს, რომ აქაურობაში ყურძნის ვენახები ყოფილან.

საცა ჩვენ ჩამოვხვით, იყო მშვენიერი მინდორი და ცივი წყარო. კარგად რომ დავისვენეთ, გავემგზავრეთ. ჩვენს ორს ცხენს, რომელთაც მარტო ერთი თვალი ჰქონდათ, უძნელდებოდათ სიარული უწინამძღვროთ, რადგან იქიდან იწყობოდა დაღმართი და იქ თავდებოდა ვაკე-მინდორი. ჯავახეთსა აქვს თითქმის ყველგან ერთი და იგივე ბუნება. ტიტველა მინდვრები, მთა-გორაკები, ქალები უსუნო ყვავილებით, თეთრის ხავსით მოსილი მაგარის ქვის კლდეები და ცივი მთის წყაროები შეადგენენ აქაურს ბუნების სამკაულს. გზა უფრო და უფრო ატალახებული იყო. ცხენებს ფეხები მალმალე უსხლტებოდათ. ერთ-ორჯერ ჩემა ცალთვალამ ნაიბორძიკა კიდევაც, მაგრამ მგზავრობის არაღმერთმა - ზევესმა დამიფარა - გადავრჩი. ბოლოს კი აივსო სანყვევი: ცალთვალამ დაისვენა ერთ მშენიერ არხში, რომელშიც წყლის მაგიერად ტლაპოს ლილლილი გაჰქონდა. ბევრი ვინყველე ბედი... როგორც იყო, ჯერ მე ამოვედი და შემდეგ გამოვათრიეთ ცალთვალა ცხენი. ავიარეთ ერთი აღმართი კიდევ, გადუხვიეთ სამხრეთისაკენ და ჩვენდა სანუგეშოთ დავადექით მშრალს გზასა. სოფელ ცულდასთან<sup>7</sup> შეგვხვდნენ ფურგონები. ისინი მოდიოდნენ არტაჰანიდამ. ვკითხე გზის ვითარება. მითხრეს, რომ გზა იქით კარგი და მშრალიაო. სწორედ მოგახსენოთ, ეს ძალიან მიამა. ცულდა დიდი სოფელია. მცხოვრებლები სომხები არიან.

შუადღემ გადაიარა. ჩვენც მივედით ს[ოფელ] კარნახს.<sup>8</sup> ეს ყველაზე დიდი სოფელია ახალქალაქის მაზრაში. მცხოვრებლების რიცხვი იქმნება ორას კომლამდისინ, ისინიც სომხები არიან. შიგ სოფელში ავიარეთ. წითელ ფეშტამლიანი სომხის ქალები მზეთუნახაებსავით გვემალებოდნენ, მაგრამ თვითონ კი ჩვენი ნახვა ძალიან უნდოდათ. ცდილობდნენ, როგორმე კარების ჯურჭულნიდამ გამოეხედნათ და ჩვენ დავენახენით. ჩვენც რამდენიც შეგვეძლო ვცდილობდით, რომ იმათი მზეთ-უნახავის სახების ნახვა გვღირსებოდა. დედობრივს სქესსა აქ ძალიან მშვენიერი შეხედულობა აქვს. კაცები ძალზე უშნოები არიან. ვინც ქართლ-

იმერეთში და სხვა საქართველოს ნაწილებში ყოფილა, ხალხი ჯოჯოებათ ეჩვენება – სულ მდაბალი და განზე გასულის ტანისანი არიან. როგორც ჯავახეთის ბუნება ერთნაირია, ისეც ხალხი ერთის ჯურისაა. გეგონება, ერთ კალაპოტიდამ არიან გამოსულიო. კარნახს რომ მოვშორდით, წინ გაგვეშალა ხოზაპინის ტბა.<sup>9</sup> იმ ტბის კიდიდამ იწყობა ჩვენი ახალი შექმნილი მიწები. ხოზაპინის ტბა უსარგებლო ტბაა. კარგა მოზდილია, მაგრამ არცერთმხრით სარგებლის მოტანა არ შეუძლია, არც სასმელად ვარგა და არც თევზი იცის. წყალი მწარე-მლაშედ სცემს – ზღვის წყლის გემო აქვს. შიგ არიან უშველებელი კუნძულები და საკმაოდ ღრმაც არის. ჩვენი გზა ამ ტბის კიდე მისდევდა ხვევითა. ცხენების პატრონმა ამ ტბაზე ერთი გულის მოსაკლავი ამბავი მიაგვამო, რომელსაც მოგახსენებთ.

– იმ სოფელს ჰხედავთ, ბატონო, ჩაისოსი<sup>10</sup> ჰქვიან, – მითხრა ლევანემ და განაგრძო: ერთხელ ლეკები დაეცნენ იმ სოფელს, ეს პაპა ჩემმა მიაგვამო, გააოხრეს, ხალხი საქონელივით წაასხეს და დაამწყვდიეს იმ კლდის ძირს. ახალგაზდები გამოარჩიეს მოხუცებულებისაგან. უნდოდათ ახალგაზდები წაესხათ ტყვეთ, მოხუცებულები დაეტოვებინათ. იმ დროს სასწრაფოდ გამოჩნდნენ სამი ახალგაზდა ვაჟი და სამი ქალი. ხელი-ხელთ მისცეს და ტბაში ჩაცვინდნენ. საუკუნოდ წყლის ძირში ყოფნა ირჩიეს თავიანთ საყვარელ დანიშნულებთან, ვიდრე ლეკებთან დროებით ტყვეობა. ლეკები ბევრს ეცადნენ, მაგრამ ველარ გამოიყვანეს ცოცხლები, დანარჩენები კი წაიყვანესო. ცხონებული პაპაჩემი ამბობდა: მთელი ჯავახეთი ლეკებისაგან არის გაოხრებულიო. ლევანემ გაათავა ბაასი.

მთელი სამი საათი ვიარეთ ტბის პირზე. გზა ტბას არ შორდება. ტბას რომ ავცილდით, წინ გაგვეშალა მშვენიერი ჭალა და მივადექით ერთ აღმართს. აღმართის ძირში ამოჩუხჩუხებდა მოკამკამე წყარო. იქ ჩამოვხდით, დავისვენეთ და გავგრილდით ცივის წყლით და ავუდექით აღმართს. აღმართი მშვიდობით ავიარეთ. აქედგან იწყობა პატარა ვაკე. შორს არაფერი სჩანს, რადგან თვალსახედი (გარიზონტი) პატარაა. ცოტა კიდე ვიარეთ და მივედით ზეზუნას დაღმართთან. ეს დაღმართი ძალიან ქვი-

ანია, მაგრამ კარგათ ჩაგვატარეს ჩვენმა ბრძებმა. დღეს ყველა შემთხვევაში ეტყობოდა, რომ ზევესი კაის თვალთ გვიყურებდა. წინ შეგვხდა კარა-ჩასი მდინარე. ამ წყალზე ხიდი არ ედო, მაგიერად ბოგირი ცახცახებდა. ამაზე გასვლა საცდური იყო. ამიტომ იძულებულნი გავხდით ბარგი ჩამოგვეხადა და ზურგით გაგვეზიდა მეორე მხარეზე – მეტი ჩარა არ იყო. ძალიან კი გავივლიდით ჩვენი ბარბაცა ცხენით აი! ისეთაც მოვიქეციით. ჯერ გავზიდეთ ბარგი და მერე გავიყვანეთ ცხენები. ამ წყალს კარა-ჩაი ჰქვიან, მაგრამ ადგილის მცხოვრებლები უძახიან ჯალდრის წყალს, რადგან იწყობა ჯალდრის ტბიდან და ჩადის ღრმა ხევში, უერთდება მტკვარს. ცოტა რომ მალლა ავიარეთ, გამოჩნდა ხევში ლამაზი ციხე მაგარ კლდეზე.<sup>11</sup> ციხის გარდა კლდეზე სჩანდა საცერივით მალარები<sup>12</sup> და საფარი ადგილები, როგორც მიამბო ჩემმა მოქირავემ. ამ წყლის ხევში და მტკვრის პირებზე ბევრი ყოფილა მაგისტანა ციხე-ეკლესიები და საფარ-მალარების ნაშთი.

დაღამებისას მიველით ს[ოფელ] რაბათში.<sup>13</sup> მიველით თუ არა, დავიბარეთ ახსახალელი – მამასახლისი, რომელიც მალე მოვიდა და მიგვიყვანა ერთ იქაურ მცხოვრებელთან ყონალათ – ლამე სადგომათ. სახლის პატრონმა დიდის სიამოვნებით მიგვილო ჩვენ. ჩვენს მეყონალეს კარზე ისხდნენ ბევრი ქალები. ჩვენ დაგვინახეს თუ არა, ჯოჯოებივით შეიმაღლნენ, საცა კი მოასწრეს. მე ვკითხე, რათ იმალებიან-მეთქი, განა ჩვენ კაცის მკვლელები, ანუ მჭამელები ვართ?

– არა, აღაჯან, მართალია, კაცის მკვლელები არა ხართ, მაგრამ ჩვენი ადათი ისეა, რომ თუ კაცი ისლამი (მაჰმადის სარწმუნოებისა) არ არის, არ უნდა დაენახონ, თორემ ნამაჰრამი გახდებიან, – მიპასუხა თარაქამელ კილოზე ასლან ბეგმა – სახლის პატრონმა.

შეგვიყვანეს ახორის ოდაში. შევიარეთ გრძელი და ბნელი ბაკი და მიველით ოდაში. აქაურებმა იციან ახორ ოდა. ის არის იმისთანა სადგომი, გაყოფილია ბოსლისაგან დარაბით. ჯავახეთშიც სულ ამნაირი სადგომი იციან (აქ ჯავახეთში შენობა ქვის და ტალახისა იციან). ადამიანები და საქონელი ერთს ჰაერში



სულს იტრიალებენ – დგანან ერთ ოთახში, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ადამიანების სადგომი სადრები – ტახტები ქეჩახალიჩებით არის სუფთად მორთული, პირუტყვებს კი ვერ მართვეს ეს ბედნიერება.

ახორ ოდაც თავისდაგვარ პატრონების გემოზეა გაკეთებული: გარშემო კედლებთან გაკეთებულია სადრები – ტახტები, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ სადრები უძრავი, მაღალი და უფრო ვიწროა ტახტზე; იმ სადრიდამ მოყოლებული იწყობა სხვა სადრი უფრო დაბალი და განიერი პირველზე. ამ ორის სადრის შუა არღვით ადგილია მოსამსახურის სასიარულოდ. ძირის სადრები მოფენილია ქეჩახალიჩებით და გძელის ბალიშებით, რომელიც წარმოადგენს ჩვენებურს ღვინის ტიკსა. იმ არღის თავზე მხიარულად და რალაც საიდუმლოდ გადმოჰყურებს ბუხარი. ჭერი სწორი არ არის, როგორც ქართლში და სხვა ადგილებში იციან. ჯერ დადებულია ოთხი ხე, ისე რომ ერთი ხე მეორეზეა. ერთის ხიდიდგან მეორეზედ გადადებულია მოკლე ფოცხები – ხანდისხან შეღებილი წითლად, ფიცრების ზევიდამ მინაა და იმით თავდება ბანი, ანუ ერდო. სინათლისათვის არის გაკეთებული პატარა სასინათლე. ისიც შუაზე კი არა – თავში.

რაბათი პატარა, მაგრამ მდიდარი სოფელია; ძვეს მთის ფერდობაზე. მთელს სოფელს შეადგენს ერთი ნათესაობა – სამი ბიძაშვილები. ცოტა მუსაიფის შემდეგ შემოვიდა ასლანას მამა, მოხუცებული ოთხმოცდაათის წლის კაცი, მაღალის ტანისა და მარდის ქცევისა. აღმოჩნდა, რომ მოხუცებულმა იცოდა ქართული კარგა. თურმე ის ყოფილა ახალციხის საათაბეგოდამ გადასახლებული ბორჩალოში, მემრე ადგილის ვინროობის გამო გადმოსახლებულა აქედ. უყიდნიათ ძმებთან ერთად მთელი სოფელი და ცხოვრობენ მდიდრათ და ბედნიერად. რომ გაიგო მე ქართული ვიცოდი, ძალიან გაეხარდა და მთელი სამი საათი არ შეუნყვებია ლაპარაკი, მაგრამ მაინც ცდილობდა ყველაფერი ქართულად ეთქვა. თათრულს მამა ახალციხურს კილოზე ლაპარაკობს, შვილები კი თარაქამულს. ასლანამ სანთლით დამატარა ჩაის შემდეგ ბოსელი და ფარეხი – ორივე რჯულამდის გატენილი იყო. ასლანას ჰყავდა თორმეტი ძროხა, სამი ზაქი

კამბეჩი, შვიდი ულელი ხარ-კამბეჩები და ხუთასი თავი თხა-ცხ-  
ვარი. ჩვენშიაც ბევრია ამისთანები, არა?

აქაურებმა ხვნა-თესვა ძალიან ცოტა იციან, რადგან ადგილი  
მთიანია – საძოვარი ბევრია. რამეთიც შეუძლიანთ, საქონელს  
ინახვენ – პურს, ქერს იმდენსა სთესენ, რომ მარტო თვითონ  
საჭმელად ეყოთ.

ცისკარმა ახლად ამოჰყო თავი, როცა ჩვენ გამოვედით რა-  
ბათიდამ. ღამე უმთვარო იყო. ცა მონმენდილი უთვალავის ვარ-  
სკვლავებით მხიარულად გადმოჰყურებდა. იყო დუმილი. ქროდა  
საამო ნელი ნიავი. ხანდისხან ისმოდა მეცხვარეების სტვენა და  
იმათი ერთგული ძაღლების ყეფა. ბუნებას ამგვარ შემთხვევაში  
სულ სხვანაირი ზემოქმედება აქვს ადამიანზე. კაცი მაშინ რო-  
გორი დარდიანიც უნდა იყოს და გული ვარამითა ჰქონდეს სავსე,  
მანც გულს მოეშვება და როგორღაც ავიწყდება ყველაფერი.  
იმავე დროს ფიქრები დაეხვევა და გაიტაცებს ხოლმე. იმისი  
აზრი სავსეა შესაძლებელისა და შეუძლებელის სიტყვა-პასუხით,  
მაგრამ უფროდაუფრო ბუნების სიტურფეზე და იმის გაუგებელ  
აგებულებაზედ ჰფიქრობს. კაცი გრძნობს, რომ რაღაც საიდუმ-  
ლო კავშირია იმის და ბუნების შორის, მაგრამ რა ჰქმნას იმან,  
ვინც არ იცის და ვერ წარმოიდგენს რაში მდგომარეობს ეს კავ-  
შირი!... და თუ არც ის იცის, თუ რითი შეიძლება მაგისი ცოდნა,  
მაშინ ოცნება და შფოთვა ებრძვიან ერთმანეთსა...

– აი, ვენაცვალე შენს პატრონს, ამოხველი! – წამოიძახა  
ღამით ადრე ადგომისაგან ხმა გაბოყიანებულმა ლევანემ.

– რომელსა, ლევანევ?

– აიმ ცისკარსა, ბატონო.

– მერე ვისია ის ვარსკვლავი, რომ ეგრე გულიანად ენაცვა-  
ლები?

– განა არ იცით, ბატონო, რად მეკითხებით? ეგ გახლავს  
ყოვლა-წმიდისა, ვენაცვალე იმის მადლსა. ყოველ კაცს ხომ თა-  
ვისი ვარსკვლავი აქვს. როცა კაცი მოკვდება, მაშინ ვარსკვლავ-  
იც ჩამოვარდება და გაქრება.

– მერე შენ იცნობ, რომელია შენი ვარსკვლავი, ლევანევ?

- რა ვიცი, შენი ჭირიმე, მაგრამ მე იმთონი ვიცი, რომ აგერ იმ ბნელ ვარსკვლავებში უნდა იყოს ერთ-ერთი.

- შენ რა იცი, რომ შენი ვარსკვლავი ბნელია სხვებზე?

- იმით ვიცი, ბატონო, რომ გლეხისა, როგორც ბედი მწარეა, ისეც ვარსკვლავი ბნელი უნდა იყოს. რაში არის კარგის ბედისა, რომ იმაში იყოს!..

- რითი ხარ უბედური მერე?

- ყველაფრით, შენი ჭირიმე. ერთი ესლა გვაკლდა, აგერ, ესეც გვეღირსა.

- რა გელირსათ?

- აი, ეს სალდათობა, შენი ჭირიმე! აბა კარგი ამბავია, რაც ეს ამბავი გაიგეს, ქალები დღე-ღამე სტირიან და პანანინა ბიჭები შიშით პურსაც არა სჭამენ.

- ნუ გეშინიათ, ღმერთია მოწყალე! - ვანუგეშე დალონებული ლევანე, მაგრამ, საუბედუროდ, ვერ ვეცი კი ნუგეში; იმ დროს რალაც ნალველი დამანვა გულზე და რალაც გრძნეული ძალა ნებას არ მადღევდა თავისუფლად სიტყვების წარმოთქმისას. მე ეხლაცა ვსწყევლი იმ ძალას, ქოქით ვიღებ, მაგრამ ჩემი წყევლა - წყევლად რჩება...

ირიფრაჟა, ჩვენც მივედით სოფ[ელ] ბაგრაბათუნთან.<sup>14</sup> ბაგრაბათუნი არის პატარა სოფელი, ნაშენი მთის ძირში, მშვენიერის ქალა-მინდვრით შემკული. მტკვარი ახლოა ამ სოფელთან. აქვს პატარა ტბა, რომლის გარშემო სულ ქალაა. მცხოვრებლები თათრები არიან (ყოფილი ქართველები). ბევრმა ღრმა მოხუცებულმა იციან ქართული. კარნახედგან დაწყებული, როგორც მოგახსენეთ, აქაური გლეხები ძალიან შევიწროებულნი არ არიან; უფრო მისდევენ პირუტყვების მოშენებას. ადგილი იმნაირია, რომ ეს ხელობა აძლევს კარგს სარგებელს და მოსაუაღს, ბატონებიც არ ანუხებენ, საქონლით უფრო მდიდრად არიან აქაური გლეხები.

ბაგრაბათუმიდამ დაწყებული სოფელს ოლჩაკამდე<sup>15</sup> კარგა მანძილზე მთა-მინდვრები მოფენილია ახლად ამოხეთქილ ტყეებითა, რადგანაც ძველი გაუოხრებიათ. ეს ტყე მაინც ისე არ არის გაფუჭებული, რომ მთავრობამ ყურადღება მიაქციოს.

ხუთი წლის შემდეგ ისევ მშვენიერი ტყე გაჩნდება. ბაგრატ-  
თუნიდამ, საცა ეს ხეობა იწყება, მალლა სერზედ დგას ძველის  
ეკლესიის ნანგრევი და იმ ადგილს ჩაგოსტანს ეძახიან ადგი-  
ლის მცხოვრებნი. ისე გაუოხრებიან ეს ეკლესია, რომ კაცს ვერ  
გაუგია, რა გეგმაზე ყოფილა ნაშენი. ამ გაოხრებულს ტყეს რომ  
მოვცილდით, ჩავიარეთ ერთი დაღმართი და მიველით სოფ[ელ]  
ოლჩაკს. სოფ[ელი] ოლჩაკი არტაჰანიდამ იქმნება რვა ვერსზე,<sup>16</sup>  
მდებარეობა, ჰავა და წყლები კარგი აქვს. წინ ჩამოუდის პატარა  
მდინარე კალმახით სავსე. არის სოფლის გარეთ ეკლესიის გა-  
ოხრებულივე ნანგრევი. იმ მდინარის პირზე – კლდეში მალარები  
და საფარები სჩანს. კლდის თავზე ეტყობა კოშკის ნაშთი. წყლის  
პირას ცოტა ხანს დავისვენეთ. რამთონიმე აღმართ-დაღმართი  
გავიარეთ და ვესტუმრეთ არტაჰანს. სანამ მივიდოდეს მგზა-  
ვრი, მალლა სერიდამ მოჩანან: რამაზან-თაბი, გველავერდის და  
გველაშენის სიმაგრეები, რომლებიც ახლა სრულობით გაუქმე-  
ბული და თავმინებებულნი არიან. კაცი რომ უყურებს მაგ სი-  
მაგრეებს, უკვირს, თუ როგორ და რა სასწაულით აიღეს არტაჰ-  
ანი, მაგრამ როცა კაცი მოიგონებს, რომ ჩვენის ჯარის ერთ-  
გულება და თავგანწირულება უსაზღვროა, რომ ამ ჩვენ წუთის-  
სოფელში ზოგიერთ შემთხვევის გარდა, შეუძლებელი არაფერია,  
მაშინ კი მშვიდდება კაცი...

მეტადრე, რამაზან-თაბი იმისთანა მალლობზე დგას და იმ-  
ისთანა სიმაგრე ჰქონია, რომ კაცს უჩინ-მაჩინის კი არა, ინდოე-  
თის ქუდიც რომ ხურებოდა, მაშინაც მაინც გაუძნელდებოდა  
ომის დროს იქ ცოცხლივ ასვლა...

მზის ჩასვლისას მიველით არტაჰანში – ჩვენს მგზავრობასაც  
ბოლო მიეცა. მე გამეხარდა, რომ მოვისვენებდი ხანგრძლივის  
სიარულისგან დაღალული, შენ კი, მკითხველო, ვიცი ის გაგეხ-  
არდა, რომ მორჩები ამ უმხიარულო კითხვას.

„ივერია“, 1878, № 26, გვ. 9-13.

## არტაჰანი

[სოციალბრაფია]

ამ მდგომარეობაში, რა მდგომარეობაშიც უხლა არიან არტაჰანი, ანუ სხვა ახალი აღებული ქალაქები, კაცს რალაც იმედი აქვს, რომ ბევრს თვალის და გულის შემაქცევარს საგანს ნახავს, მაგრამ როცა კაცი ათვარიელებს იქაურობას, ნინ ცარიელი ცხოვრების უდაბნო ჰხვდება, და თუ ჩემსავით ხანდისხან კალამთან შექიშება იცის, არ იცის გაშმაგებულმა საიღამ და რისგან დაინყოს – თავიდან თუ ბოლოდგან, ტყავიდამ თუ გულღვიძლიდამ? უკაცრაოდ ნუ ვიქმნები, თქვენის მოთმინების ჭირიმე! ამ ჯერად არტაჰანის გარეგან სახეს გაცოდინებთ შეძლებისამებრ, მემრე ნელ-ნელა გაცოდინებთ აქაურობის შიგნეულებასაც. რა გვეჩქარება? ნათქვამია: „ვინც ღამე ხნა, ისიც მოკვდაო“.

არტაჰანი, საზოგადოთ რომ ვსთქვათ, ამ წამს სამხედრო ქალაქია (ქალაქს რომ ვამბობ, ცოტას ვცოდავ). ჯარების ბანაკები თეთრის კარვებით, ჯარის მოძრაობა, სამხედრო მოსამსახურეების დეზ-ხმლების ჟრერა, ბუკ-მუზიკის ხმაურობა განა მაგას არ ამტკიცებს?

ლამაზი მდებარეობა აქვს არტაჰანს – ის დგას ცოტა მაღლობზე. ნინ გაშლილი აქვს მშვენიერი მწვანე ბალახით შემკული ვრცელი ჭალა-მინდორი, რომლის სიგძე იქმნება მთებამდისინ ოცდახუთი ვერსტი.

მტკვარი ჰყოფს არტაჰანს ორ ნაწილად: ძველი და ვითომ ახალი; ეს ორივე ნაწილი გძელის ხიდით არის შეერთებული: ეს ხის ხიდი თათრების დროს ძალიან ფურუშანად ყოფილა, მაგრამ ჩვენებს განუახლებიათ და სასეირნო ადგილის მაგიერებას გვინევს უხლა. ბაზარი ძველ ქალაქშია. ყველაფერში ეტყობა,

რომ არტაჰანი თათრის ქალაქია. ვინყველე ბედი, ბაზარში რომ პირველად გამოველი. რომ დადის კაცი, იმავე დროს ფიქრობს, არ იქმნა, არ ჩავიფლო სადმე ტალახში და თრევით ამოსაყვანი არ გავხდეთ. მტკვრის მარცხენა მხარეზედ დგას კარგა მოზდილი ძველი ციხე, რომელიც სრულებით გაუქმებულია. კედლები ზოგან სულ ახალია და შენობა ამტკიცებს, რომ ეს ციხე ქართველების ნაშენია. ციხის ერთი კედელი ზედ მტკვარზეა, ასე რომ წყალი ზედ მოდის. შიგნითა შენობები სულ დანგრეულია და ზოგან იმისთანა ნაშთია, რომ ეტყობა, რა შენობაც ყოფილა. ზედ ნანერები ბევრი ვეძებე, მაგრამ ვერსად ვერ ვნახე. კარებზე კი არის თათრული ზედ-ნარნერილი. ეს ზედ-ნარნერა გვამცნებს, რომ ეს კარები თათრებს განუახლებიათ. მეორე ნაწილში, ე. ი. ახალქალაქში უფრო განათლებულ ჰანგზეა შენობები. აქ შეხვდებით ორ-სამ სართულიან სახლებს ქვითკირისას, აქ მიღებულია ხის შენობებიც, ბევრს ნახავთ ხის ორ-სამ სართულიან შენობებს, როგორც ქართლ-იმერეთში. ყავარი არ იციან აქა, სახლები სწორე, მინა ნვრილი ერდოებით არიან დახურულნი. როცა წვიმა მოვა, ბანებზედ გაჩნდება მრავალი ტბები, წვიმის წყალი ბევრხანს ვერ მოითმენს ბანზე ყოფნას, ნელ-ნელა ჩაეშვება სტუმრად სახლის პატრონთან, და წვეთ-წვეთად ცემით შეაქცევს ხოლმე მას ციურის ამბების მბობით. სახლის პატრონს არ იამება ეს მოუწოდებელი სტუმარი, მაგრამ რა გაეწყობა! უნებურათ ისმენს იმის ნაამბობს და მემრე თავაზით თითბრის თასით ისტუმრებს გარეთ. სუფთა აქვს არტაჰანს ჰავა, მაგრამ ის არის უბედურება, რომ ერთ დონეზე არ დგას ხოლმე: ხან ცივა, ხან გრილა, ხან ცივი ქარი ქრის და ხანაც საშინლად ცხელია.

სამხრეთ-აღმოსავლეთით არტაჰანს ჩამოუდის პატარა მდინარე, რომელსაც ალაგეზის წყალს ეძახიან, და უერთდება მტკვარს. ახალი ნაწილი თითქმის ნახევრად გაოხრებულია. ბრძოლის უმალ სახლის პატრონები შემინებული გაქცეულან სოფლებში და სახლები დარჩენიათ უპატრონოდ.

დუქნები აქ ძალიან პატარები სცოდნიათ; იმოდენებია, რომ ცოტაოდენი საქონელი და თვითონ თეთრი ჩალმიანი პატრონი ძლივს თავსდებიან, და თუ მუშტარი მოემატა, გარედ უნდა

გამობძანდეს. მცხოვრებლების მომეტებული ნაწილი თათრები<sup>17</sup> არიან და ართვინელი ფრანგები<sup>18</sup>, რომლებიც ლაპარაკობენ სომხურს და ურევენ ბევრ ქართულ სიტყვებს. თათრები ახალციხის საათაბაგოდამ არიან გადმოსახლებულნი, მაგრამ ქართული ენა სრულებით დავინწყებული აქვთ. ახალციხელ და ახალქალაქელს სომხებს და ურიებს რიცხვი არა აქვთ. საცა ესენი იქმნებიან, იქ რა სიკეთე ინახება. ყველაფრის სიძვირეა, რომის, კონიაკის და სხვა ამისთანა სასმელებისა და მანვნის გარდა.

არტაჰანის შენობებში, რაც დარჩა, შესანიშნავია კაზარმები. სიგძე აქვთ სამას ნაბიჯამდისინ და ყოფილა თათრების დროს საავადმყოფონი, ტელეგრაფი, და სცხოვრობენ ექიმ-დოხტურები და გულშემატკივარი და-ძმები — წითელ-ჯვაროსანის საზოგადოებისა.

20 ივნისს.

„ივერია“, 1878, № 27, გვ. 3-4.

## არტაჰანი, 25 ივნისს,

[საავადმყოფოში ერთი ახალციხელის გარდაცვალება,  
რომელიც დაავადებულ იყო ყალბი აბაზიანის გამო.  
მაიორ იასონ იოსელიანის გულკეთილობა]

პატარაობისას, როცა კაცი ჯერ პურს ბაბას, ხორცს ჩიჩის, ხილს კაკას და წყალს ტრპტრპუს უძახის, მაშინ ხშირად მოსდის სასაცილო ყმანვილური ცნობისმოყვარეობის აზრები: თუ როდის გავხდები დიდი, მალალი, როგორც მამაა, ან როდის მექმნება ისე გძელი წვერ-ულვაში, როგორც იმას აქვს; თუ რისაგან და როგორ კეთდება კაცი და ან რომ გაიყიდოს, როგორ ეღირება ერთი კაცი? მეც ბევრჯერ მამდიოდა ეს აზრები. ვფიქრობდი: ვსთქვათ ჯამს თიხისაგან აკეთებენ, კოვზს ხისაგან, ქვაბს სპილენძისაგან, ანუ კიდევ თიხისაგან. კაცს? კიდევ ვამბობდი – ვსთქვათ სამი ვაშლი ერთ გროშად, ათი კვერცხი ხუთ გროშად, ერთი ქათამი ორ შაურად (მაშინ იეფობა იყო), ერთი პური ოთხ გროშად, ორი კამფეთი ორ გროშად. მაშ კაცი? ვფიქრობდი ღრმად. გამდელი, ანუ გადია არ მღირსებია, რადგან ბობოლა არა მყავდა. ამისთანა შემთხვევაში მე ჩემის თხოვნით მივმართავდი ხოლმე ბებერასთან – დედის დედასთან. ჩვენ სახლში ყველაზე ჭკვიანი ის მეგონა. პირველ კითხვაზე, თუ როდის გავიზდები – მიპასუხებდა, რომ მაშინ გახდებიო დიდი, თუ ჭკვიანათ იქნებიო (მე იმისგან უფრო ტყუილი ვისწავლე, ვიდრე მართალი), მეორე კითხვას უყურადღებოთ დააგდებდა, მესამე კითხვაზე კი, ჩემდა გასაოცრად მეტყოდა ხოლმე, რომ ცოცხალ კაცს ფასი არა აქვსო, უფასოაო და რომ ვინმემ მოინდომოს ყიდვა, ფასის მიცემას ვერ შეიძლებსო.



წარმოიდგინეთ, რანაირად შევწუხდებოდი ხოლმე ამისთანა გაურკვეველ პასუხზე!.. ამგვარის პასუხის შემდეგ მე ღრმად ჩავფიქრდებოდი ხოლმე და ვხმარობდი ჩემს ყმანვილურ ღონეს და ძალას, რომ გამეგო, აზრით მაინც, რა ეღირებოდა კაცი. ბოლოს გადავწყვეტიდი ხოლმე, რომ უეჭველად ათასი მანათი უნდა ჰქონოდა-მეთქი. ათასს იმიტომ ვფიქრობდი, რომ არ ვიცოდი, რამდენია ეს „ათასი“. ჩემის აზრით, განუსაზღვრული უნდა ყოფილიყო ეს რიცხვი.

ახლა კი (ამ ომის დროს) ნამდვილად დავრწმუნდი, რომ მართლა კაცს ფასი არა ჰქონია: ერთი კვერცხი, ბოთლი ღვინო მეტად ჰღირებია, ვიდრე კაცი... არტაჰანის საავათმყოფოში დღეს გადაიცვალა ერთი ახალციხელი – უფ[ალი] აბ. გადაიცვალა, მოკვდა, დამარხეს, – რა გამოვიდა? აქ ახალი არაფერია! განა ცოტანი კვდებიან და იმარხებიან? განა ცოტაა დედა, ცოლი, ძმა და შვილნი თვალ-სველნი?! ბევრი, რასაკვირველია.

ახლა საქმე იმაში არ არის, რომ მოკვდა; სიკვდილი არაფერი. საქმე სიკვდილის მიზეზი გახლავს. ეს საცოდავი ენაცვალა ერთს „აბაზს“, ესე იგი, ერთ აბაზად გაიყიდა წვალებით და ტანჯვით. უფ[ალი] აბ. იყო მოვაჭრე და სტამბოლში დიდხანს ნამყოფი. როცა ომი ასტყდა და არტაჰანი აიღეს, მაშინ ის გადმოვიდა არტაჰანში და ვაჭრობდა.

მის ნავაჭრ ფულებში, ვინ იცის, საიდგან, შერეულა ერთი ყალბი აბაზი. იმასაც ერთხელ ეს აბაზი უხაბროთ მიეცა სალდათისთვის ხურდაში; სალდათს უცვნია აბაზის სიყალბე და წარუდგენია გოროდნიჩისათვის. პოლიციის მოხელეები დიდ აქლემის ოდენა საქმეს ისე მნიშვნელობას არ აძლევენ, როგორც ნემსის ოდენასა. თუ სადმე შენიშნეს მაგისტანა საქმე, ეცემიან, როგორც ქორი ქათამს, რადგან ქორმა იცის, რომ ის ქათამი იმის მუცელს გააძღობს... მაშინვე შედგება ფიცხელი გამოძიება: პაი, როგორ და საიდგან მოხდა ესა?.. კაცი, რომელსაც უცხოვრია სათათრეში და მაგისტანა წმინდათ თავის დღეში არ დაურთავს, რასაკვირველია, გაშეშდა და არ იცოდა თუ რომელ ერთ კითხვაზედ მიეცა პასუხი. კაცს ბრალი დაედვა; დაამწყვდიეს, მალაზია დაუკეტეს, ვაჭრობა გაუჩერეს. სანყალს შიმ-კანკალისგან სი-

ყვითლე დაემართა. როცა სიარულის ჩარა აღარა ჰქონდა, მაშინ შეიყვანეს საავათმყოფოში და შეიყვანეს იმისთანა ალაგას, საცა იყო ათასი კვნესა, ოხვრა სახადით ავათმყოფებისა. კაცობრიობის ჯანმრთელობის მზრუნველთ სრულიად არ უფიქრნიათ, თუ უბედურზედ რა გავლენა ექმნებოდათ ამგვარ სურათებს. შენ არ მომიკვდე...

ეს ავათმყოფი ჩვენს ბებრებს იქმნება უფრო მალე მოერჩინათ. აქაური მკვიდრი მცხოვრებლები, გაიგეს ეს ამბავი თუ არა, შიშ-კანკალში არიან. ჯერ ამათ ისე არ გაუცვნიათ ჩვენი ფულები და რომ მიხვიდე სავაჭროდ, ფულის მიცემის დროს, სანამ თვრამეტჯერ ალლახს არ დაგაფიცებენ, რომ ყალბი არ არის, გულმშვიდათ არ აიღებენ ფულს.

კაცს ღმერთი ყოველის მხრით არ დაჰკარგავს: მართალია, ეს კაცი უბრალოდ ენაცვალა ერთ ყალბ აბაზს და დასტოვა ორი ობოლი და ღარიბი ცოლი უნუგეშოდ, მაგრამ გაჩნდა ერთი კეთილი კაცი და შვება მისცა მათ ძნელ მდგომარეობას...

ღმერთმა აცოცხლოს უფ[ალი] იასონ ევსელიანი და გაამრავლოს ამისთანა გულ-კეთილი ქართველები, რომელნიც არიან მანუგეშებელნი ბევრი ქვრივ-ოხერისა...

უფ[ალი] ევსელიანის გულ-კეთილობას, პატიოსნებას და ქართველებისთვის თავ-განწირულობას ყველა აქ ჯარში მყოფი მეომარი ღალადობს. ოსები ასობით სტოვებენ თავიანთ ცოლ-შვილს და მოდიან იმასთან სამსახურში შესასვლელად. რომ ჰკითხოთ, თუ რად მოდიან იქიდამ აქა სამი თუმნისთვის, გიპასუხებენ: — „იმიტომ, სენი წირიმე, რომ ნაცალნიკი კარგი ხარ. იმისი სული წირიმე, ისე, როგორც სვილი გიყურებ. ძალიან კარგი კაცი ხარ ყარა მაიორი“. თათრები იმას ყარა მაიორს (შავ მაიორს) უძახიან, და ყველა იმის მზესა ჰფიცავს. განა მაგისტანა კაცის მზე საფიცველი არ არის თუ?

## არტაანილა

[ხმები ზავის შესახებ]

ურა! შერიგება, ურა! – ამ ყვირილით შემოვარდა გულ-გახეთქილი ჩემთან ერთი ჩემი ამხანაგი, როცა მე ვიჯექი და ვფიქრობდი, რა დავსწერო იმისთანა, რომ მეგაზეთეს მოენონოს და მკითხველსაც იამოს-მეთქი...

როცა ჩემისთანა გამოუცდელი კაცი კალამს იღებს და უნდა რაიმეს წერა, არ იცის, რაზე სწეროს. აშფოთებული ფიქრობს: კერძო ცხოვრებაზე სწეროს, თუ საზოგადო ცხოვრებაზე? მუდამ კერძო ცხოვრებაზე ილაპარაკოს კაცმა, საამო არ იქმნება. აბა მიბრძანეთ, მუდამ იმაზე ვსწეროთ, რომ ეს ამავალი ასე ქრთამს იღებს, ის იმავალი ისე უსინიდისოთ, უსამართლოდ იქცევა; აქ კაცი გაჰქურდეს, იქ გაცარცვეს, ამავალი ასე, იმავალი და ჩამავალი ისე – რა გამოვა? მუდამ ერთი და იგივე მკითხველს იამება? – რასაკვირველია, არა. მიპასუხებთ: მუდამ ფლავის ჭამა და ჰალვის ყლაპაც მონყინდება კაცსა, არა თუ მაგისტანა უსიამოვნო ამბების სმენა.

საზოგადო ცხოვრებაზე რომ ვილაპარაკოთ, იმისი ნაწილები უნდა ვიცოდეთ: ამ ცოდნისათვის სათვალეები უნდა ჰქონდეს კაცს, რომ კარგათ დაინახოს ისა. სამწუხაროდ, მე ჯერ არა მაქვს ის სათვალეები...

მაშ, მანამ ახლა ვილაპარაკოთ იმ დღიურ მოვლინებებზე, რომელიც ჩვენ გარეშე გვარტყია და ხან თვალში და ყურში გვრჩებიან, მოსვენებას არ გვაძლევენ...

ახლა ჩვენ არტაანში გვიდგია კრიალა გაჩაღებული ზაფხული. პირველის გავლილი თვის და უფრო გავლილის უკანასკნელს

რიცხვებში წვიმებმა მოგვაბეზრეს თავი. ჰავაც ერთნაირი არ იყო, კაცი ვერ გაიგებდა: ცივა, ცხელა, თუ გრილა.

აქაურ უხეიროდ ნაშენ სახლებმა ხომ სულ ჩარა და „ზაჰლა“ ნაიღეს! აწვიმდებოდა თუ არა, სახლებში გაჩნდებოდა ტბები. ღამე კარავებში თუ სახლებში დანოლის დროს ისე წარმოვიდგენდით, ვითომ სადმე ტბის, ანუ მდინარის პირზე ვწევართო და გადაბრუნ-გადმობრუნების დროს სიფრთხილე უნდა გვექონოდა, რომ ტბაში არ ჩავცვივინდეთ... ეს ფიქრი ძილშიც ღრმად ყველას ჩაჰყვებოდა ხოლმე.

ახლა, მადლობა ღმერთსა და დიდება ალახს, გადავრჩით იმ შემავინროებელს შენუხებას...

შერიგება (სრული) არ იყო, მაგრამ მშვიდობა კი გახლდა. მეომრები მეტის უსაქმობით ამთქნარებდნენ დღისით, ღამე კი ყველას ეზმანებოდა „სრული შერიგება“.

ერთხელ ჩემთან მოვიდა ერთი აფიცარი და დამეკითხა:

– სრულ შერიგებას ამბობენ; მართალია?

– სულაც არა, – უპასუხე. იქნება მოგეზმანათ, უფალო, ძილში-მეთქი. უფალი განითლდა, ბოლოს მართლა აღიარა, რომ ვგონებ, სიზმარში მელანდებოა, მე კი, მართლა, წამდვილი მგონიაო...

ავსილან ყველანი: ზოგი ფულით, ზოგი ჩინით, ზოგი ჩინით და ფულით, ზოგი მარტო ჯვრით; ამას თუმცა ფული და ჩინი არ ღირსებია, მაგრამ იმ ჯვრის მადლის იმედი აქვს.

ილაჯ-განყვეტილი და უსაქმობისაგან მობეზრებულები, შოშინასავით პირებ-დაღებული ცას და ფოჩტის ფურგუნს დავცქეროდით ხოლმე, რომ ერთი როდის მოვა ის დალოცვილი ფურგუნი ან ვინმე, რომ გვიამბოს ამბავი რაიმე. ხანდის-ხან ტელეგრამები მოდიოდა ხოლმე, ისიც იმისთანა შეჭიდრული აზრებით, რომ ნუგეშის მაგიერად უფრო გულებს გვიხეთქავდა ხოლმე. იმ დღიდან, რაც ომი დაწყნარდა, მეომრები უკან დარჩნენ, ბრძოლის ველზედ ამოვიდნენ მკურნალები, წითელჯვრიანი დები და ძმები; მეომრები თათრებს ებრძოდნენ, მკურნალები უჩინო მტერს – ავათმყოფობას. პირველნი ხედავდნენ თავიანთ

მტერს, უკანასკნელნი - ვერა და თავის დღეშიც ვერ დაინახა  
ავენ...

მაგრამ ამ უკანასკნელებმაც გაიმარჯვეს, რადგან თვით  
ბუნება ეხმარებოდა მათ და ვინც ავად იყო, მოკვდა, ვინც არა  
და თავისთვის არიან.

მეორე გამარჯვება „არშინოკრატებისა“. იმათი დროშა უფრო  
მხიარულად და უფრო კმაყოფილად ფრიალებს ჰაერში და იმ  
დროშას აწერია:

„რა ერთიც გინდა, მოატყვილე; რა ერთიც გინდა და სინი-  
დისი ნებას გაძლევს, იძვირეთ; დრო, ბურთი და მეიდანის თქვე-  
ნია!“

დიდით დანყობილი პატარამდისინ, უნცროსით უფროსამდი...  
საღდათამდი სულ ვაჭრები არიან. ერთის სიტყვით, ახლა არტა-  
ანი სამხედრო-სავაჭრო ქალაქია...

აგერ, დღეს მივიღეთ ტელეგრამმა! ხმა ტკბილი, ხმა საა-  
მური, ხმა მშვიდობისა და შერიგებისა! ამ ხმით აღტაცებული  
აფიცრები დღეს მუზიკით ქუჩა-ქუჩა დადიან და მხიარულობენ.  
„ურას“ ძახილი და შამპანსკის ბოთლების გრიალი ცაში ანგე-  
ლოზებს ათრთოლებენ...

ამას რომ ვსწერდი, ჩემთან შემოვიდა სხვა ნაცნობი - მეტის-  
მეტი ხუმარა და ახირებული ხახიასთის კაცი. ქართველი იყო.

- რასა სწერ? - მკითხა იმან.

- რასაც ვხედამ ჩემს გარშემო დღეს - შერიგებაზე.

- გიხარიან მერე?

- რასაკვირველია! რას სულელობ? ქვეყანას უხარიან და მე  
არა?!

- .....

არტაანი, 4 ივლისს.

„დროება“, 1878, 18/VII, № 143, გვ. 1-2.

## ქართველების გაქართველება

[წერილი არტაანიძემ]

ეს ბერლინის კონგრესი<sup>19</sup> გათავდა. იმისმა ნევრებმა იმ-  
თონი იკრუხეს, იმთონი ეტრფიალეს კვერცხებს, რომ ბოლოს  
ძლივს გამოჩიკეს ბლარტი და იმ ბლარტს დაარქვეს: „ბერლინის  
ტრაქტატი!“

კონგრესი გათავდა და ყველას მიეცა იმედი, რომ ეს-ეს არის  
აგვცილდა ის მრისხოვანი ღრუბელი, რომელიც გვემუქრებოდა  
ჩვენ თავზე მეხის ტეხის გზავნას.

ომი გათავდა, სრული შერიგება მოხდა, - ამაზე ყველანი  
დარწმუნებული ვართ.

მაგრამ „ფიცი მრნამს, კუდი მაკვირვებს!“ სანამ ჩვენი  
მღვდელი ბათუმში, ზღვის კიდეში, ჩანგლით თავზს არ დაი-  
ჭერს, მე არასფერს არ დავიჯერებ...

როგორც კერძოთ გვესმის, როგორღაც ოსმალებს ეძნელე-  
ბათ ბათუმთან გამოსალმება და რაღაც ფაცა-ფუცში არიან და  
იმედსაც არ ინყვეტენ.

იმათში ქითაბის მკითხაები მოლლები ცდილობენ, რომ ცუდი  
აზრი გაავრცელონ ჩვენზე.

კერპი ხალხია იქა. ოსმალოს მთავრობას უნინ თურმე მოუ-  
ნადინებია იარალის ჩამორთმევა, მაგრამ ისინი არ დანებებუ-  
ლან. მშვიდობიანობის დროსაც, ბევრჯერ მოხდებოდა, რომ თუ  
მთავრობა გააჯავრებდა ხალხს, ისინი ხარკსაც არ გადიხდიდნენ  
ხოლმეო. იარალის ჩამოცლაზე უთქვამთ, რომ ჩვენ უსისხლოთ  
არც დავნებდებითო და არც იარალს დავყრიითო...

დღეს თუ ხვალ ჩვენ უნდა აჭარა დავიჭიროთ – ორივე აჭარა: ქვემო და ზემო. ეს ხომ აუცილებელია... ჩვენ ჯარს, როცა იქით წავა, უეჭველად უნდა ჰყავდეს გამოცდილი და გზის მცოდნე და როგორც მეორე – მხნე პირი. მხნე პირებს ბევრს მოვნახავთ ჩვენ ჯარში, მაგრამ გზების მცოდნეს კი ცოტას. ამ შემთხვევისათვის ჩვენ გვყავს ორი კაცი: უფ[ალი] მ. მეფისოვი<sup>20</sup> და შარიფ-ბეგი ხიმშიაშვილი<sup>21</sup>; მაგრამ აქ პირველობა უნდა მივცეთ უკანასკნელს, როგორც მცოდნეს ადგილის მდებარეობისა, გზებისა, ხალხის ხასიათისა და იმისი მიმართულებისა. შარიფ-ბეგმა იცის აჭარა, როგორც ყველა კანცელარიის ჩინოვნიკმა თავის საქმის ჩაქმაჯის ვითარება. იმას იქ უცხოვრია, იმას იქ უუფლია, ყოფილა მმართველად და მოსამართლედ.

მართალია, ბევრნი იფიქრებენ, რომ იმას იქ ბევრი მტერი ჰყავს; ეს რომ ვიფიქროთ, ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ იმას ორი თუ მტერი ჰყავს, ათი მოყვარე ჰყავს, იმიტომ რომ იმას თუ ერთისთვის სიავე უქმნია, ოცდაათისთვის სიკეთე უქმნია. იმის გარდა, რომ იმან იცის გზა და კვალი აჭარაში, ზნეობითაც მას შეუძლია იქონიოს გავლენა.

ჩვენ ვფიქრობთ მიმავალზე, ახლა უნდა ვიფიქროთ და ვილაპარაკოთ მომავლის მიმავალზე. აჭარას ჩვენ დავიჭერთ, ეს უეჭველია; მხოლოდ ის არის საფიქრებელი, რომ დაჭერის შემდეგ ისე უნდა მოვეპყრათ, რომ იქაური ჩვენი მოძმების სიყვარული და ყურადღება მივიზიდოთ. ცხადათ და ნათლად უნდა ვაჩვენოთ იმათ, რომ იმათი მოღლების და ყადების ქადაგება და ჩაგონება და მეცადინეობა ჩვენზე რომ გაავრცელონ ცუდი ხმები, ტყვილი მიქარვა იყო. აქ თათრებისგან მესმის, რომ იმათ იმიტომ დასტოვეს არტაანი და გაიფანტნენ შორს სოფლებში, რომ ჩაგონებული ჰქონდათ მოღლებისაგან, თუ რუსის ხელში ჩაგარდებიან ისინი, დაილუპებიან, ცოლ-შვილი ნაიბილნებიან და თვითონ კაცებს დიდიდგან დანყობილი პატარამდის თავები მოეკვეთებათ, ან არა და პალოებზე იქმნებიან აცმული.

როცა ჩვენი იქმნება აჭარა, აქ, უეჭველია, გაიხსნებიან სასამართლოები და სხვადასხვა სამმართველოები. ამ ადგილები-

სთვის აუცილებლად დაგვეჭირდება მოხელეები-ჩინოვნიკები; მთავრობამ ყურადღება უნდა მიაქციოს, რომ დაინიშნოს იქ იმისთანა კეთილ-სინიდისიანი, მცოდნე ქართულის და თათრულის ენის პირები, რომელთაც არა თუ უნდა ეცადონ, რომ მარტო სამსახური აასრულონ სინიდისიანად, არამედ ზნეობითაც იქონიონ გავლენა ხალხზე. მაშინ მოიმედე უნდა ვიყოთ, რომ საქმე კარგათ წავა.

არტანი, 17-ს ივლისს.  
„დროება“, 1878, 23/VII, № 148, გვ. 1-2.



## არტაანი, 4 მარია მოზისთვეს

[სამხედრო პირების დროსტარება]

სრული სიჩუმეა არტაანში.

კარტის და ბოთლების მეფობა გახლავს.

ყველა კაცი თავისთვის ცხოვრობს; თავის დარდს თავის გულში იკლავს. ქორები სულ არ გვესმის, რადგან იმისი წარმომადგენლები – ქალები არ არიან არტაანში. ხანდისხან კი ხდება კაცებში (განათლებულებში) ცხვირ-პირის ნტყრევა, მაგრამ ისევ მალე ჰრიგდებიან ხოლმე, რადგან იგივე წამაჩხუბარი კურთხეული ბოთლი მომრიგებელ მოსამართლეთ იქცევა...

მეომრები ხომ დიდი ხანია ბანაკად არიან მინდვრებში. საავადმყოფოებიც მიებაძნენ იმათ. თუმცა ჩვენ სახლებშიაც გვცვივა, მაგრამ ისინი მაინც თავისას არ იშლიან, გეგონება ბუნებას ეჯობრებიან:

– „აბა ვნახოთ, შენ მოგვერევი, თუ ჩვენაო!“

მეომრები თავისთვის სცხოვრობენ ბანაკში, სამოქალაქო მოხელეები ქალაქში – ჩვენს არა დასავიწყარ ვაჭრებთან. ჩვენ არც მივალთ იმასთან და არც მივდივართ. ისინი კი მუდამ გვესტუმრებიან. კინტოსი არ იყოს: „ხტო ლუბით, სამ პრიდოთო“, როცა კუჭის გაძლობის და ყელის ჩაღბობის დრო დაუდგებათ, მაშ სად უნდა წავიდნენ? ან სასტუმროში, ან ტრაქტიროში, ან ალის-ყიზილბაშის სასტუმროში – ამხანაში.

უსაქმო ენებით ბევრს ლაპარაკობენ: ზოგი ამბობს, ჩვენი არტაანის ატრიადი ართვინში უნდა გაემგზავროსო; ზოგი ამბობს, არაო, და უმატებენ სხვა ბევრსა.

არაფერის დაჯერება არ შეიძლება ახლა; იმისთანა დროა, რომ თუ თვალთ არ დაინახო ერთი რაიმე, ლაპარაკით და სხვისი ნათქვამით არ უნდა დაიჯერო.

მეზობელმა რომ გითხრას: იმის მეზობელს ხარი უყიდნია, სანამ ხარს თვალთ არ დაინახავ ან ამ ხარს ვიზიტს არ გაუკეთებ, ან ზედ-მინვენით არ გეცოდინება, მართლა იმის მეზობელს შეეძლო ხარის ყიდვა, არ დაიჯერო, რომ ის ხარი იყოს; ის ან კატა იქმნება, ან ხბო...

კარგი ამინდებია ჩვენკენ, მაგრამ... მაგარი ის არის, რომ დღეს როგორღაც დასავლეთისკენ – შავი ზღვისკენ ცა მოღრუბლულია – ქუხს. როგორც ქუხს, თუ ისე ინვიმა, ბევრი უნდა გვატიკტიკოს...

„დროება“, 1878, 13/VIII, № 164, გვ. 2.

## არტაჰანი

[ბათუმ-აჭარის გადასვლა რუსეთის ხელში და  
 დერვიშ-ფაშას მიერ ხალხის აღელვება. რუსის  
 ჯარის დაბანაკება არტაჰანში]

ათასფერი ამბავი მოგვდის აჭარიდამ და ბათუმიდამ. სანამ  
 ჩვენამდის მიახწევდეს, ამბავი ათასფერად იცვლება, ისე რომ  
 ნამდვილის განჩევვა გაუძნელდება კაცს. ზედა აჭარა ემორ-  
 ჩილება თავის ბედს – ჩვენის მიღებისთვის მზად არიან. მხ-  
 ოლოდ ქვემო აჭარა კურტანს ისვრის, რალაცას აპირობენ.

აქნობამდის დერვიშ-ფაშა<sup>22</sup> დიდის მეცადინობით ხელს უმარ-  
 თავდა და ყველა ღონისძიებას ხმარობდა, რომ ხალხი აეჯანყე-  
 ბია, ამოდოდა ზედა აჭარას და ტყუილ-ტყუილ იმედებს აძლევ-  
 და – კონგრესის ძალითა რუსი თქვენ თოფს ვერ გესვრისთო,  
 რომ მოვლენ, წინ დაუდექითო; თუ ის კანონი დაარღვიეს და  
 გესროლეს, მაშინ ჩვენ მოგეშველებითო. გზად მიმავალს დაე-  
 ბარებინა ზედა და ქვედა აჭარელები და ეთქვა: მოდითო, შუ-  
 რუთი (СОВЕТЪ) მაქვს თქვენთან, თუ თოფის წამალს მოიტანთ,  
 კარგი, თუ არადა ჩვენ დაგირიგებთო. ზედა აჭარელები უარზე  
 დამდგარან, ჩვენ არაფერში არ გავერევითო. ახლა, როგორც  
 იქიდან მოსულმა კაცმა მიაგებო, დერვიშ-ფაშას თავისი წურთ-  
 ვნა გადაუსხვაფერებია, ძლივს ჭკუაზე მოსულა. ახლა ხალხი-  
 სათვის ცხადათ უცნობებია, რომ მთავრობის მხრით არავითარი  
 შემწეობა არა გექმნებათ, რომ წინააღმდეგეთ რუსებს, როგორც  
 გინდათ ისე მოიქეცითო (რა ეშმაკია შეჩვენებული ჩვენი დარ-  
 ვიშელი!!). ართვინსა ჰსცლიან და თათრები მალე მოგვცემენ  
 უკანასკნელს სალამს. ჩვენი ჯარი და ტელეგრაფი მალე მილ-  
 აგდება.

დაბადების დღიდან იქმნება, არტაჰანს ეს დღეები არ უნახია. უეცრად გაცოცხლდა და დუღილი იწყო: დღეს ორი დღეა არტაჰანში მოვიდა სამი პოლკი გრენადერის დივიზიის ჯარი, რომელიც იყო დაბანაკებული ახალ-ქალაქის ახლო. ეს ჯარი დაბანაკდა არტაჰანის ახლო, მტკვრის პირზე.

იმავე საღამოზე მოვიდა არტაჰანში უფ[ალი] გენერალ ლეიტენანტი ტერგუკასოვი, რომელიც მიიღეს შესაფერის პატივით. მეორეს და მესამეს დღეს იმან დაიარა სულ საავატომყოფოები და მთელი არტაჰანი.

გენერალი ტერგუკასოვი არის მაღალი ტანისა და მოსული. თეთრი თმა და უღვაშები ამტკიცებენ, რომ აღმართი ამოუვლია და ახლა დაღმართში მიდის. ხნიერია, მაგრამ მაინც და მაინც მხნე შეხედულება აქვს, და როგორც ეტყობა, არის ცნობისმოყვარე და თავდაბალი. იმისი შეხედულება არ არის ესეთი, რომელიც ხელთქვეითებს მოჰგვრის ხოლმე ჟრუანტელს...

ტერგუკასოვი არის ახლა დანიშნული მთელს არტაჰანის და ახალციხის ატრიადების უფროსად. ეს ატრიადები თავისივე განკარგულებით უნდა გაჰყოს ნაწილებათ — კალონებათ.

თუ აქ მოსული ჯარი ბევრხანს დარჩა არტაჰანში, რა თქმა უნდა, რომ სიძვირე ჩამოვარდება და ეს სასიამოვნო ამბავი აქაურის ვაჭრებისთვის მართლა სასიამოვნო იქმნება, ჩვენთვის, დრასტი არ უნდა, კი სამწუხარო...

10 მარიამობისთვის,  
„ივერია“, 1878, № 34, გვ. 3-4

## ერთი სიხარული

ომს ბოლო მოელო ბერლინის ტრაქტატით, და ამ ბოლოს ის შედეგი ჰქონდა, რომ ჩვენ უნდა შეგვეძინა უომოთ ორი აჭარა – ბათუმი და ქობულეთი.

თათარს ეს არ ეჭაშნიკა, გულით არ ისურვა იმან დათმობა და დაკარგვა ამისთანა მშვენიერი ლუკმისა. გული და კუდი ენოდა, მაგრამ რა უნდა ექმნა, როცა საქმნელი არაფერი არ დაურჩა? ხმის ამოღების საშვალაი აღარა ჰქონდა, ჩამოსახრჩობი თოკი ყელამდის მიღწევილი ჰქონდა...

მაგრამ გამოუჩნდნენ მამულის მოყვარე და თანამგრძობი შვილები – დერვიშ-ფაშის სახით. ამან მაინც მოინდომა რითიმე ჯავრის ამოყრა. დაიწყო ქადაგება ჩვენ წინააღმდეგ თავისი ყორანიდამ აჭარაში, აქეზებდა ხალხსა, აგონებდა მაჰმადის ძლიერებას, ომის სუფევის მშვენიერებას თავისი უმშვენიერესი ფერიებით და შარბათით... არწმუნებდა ხალხს, რომ უკეთუ ისინი წინააღმდეგებიან ურჯულოებს, ეს ყოველი სიამოვნება საიქიოს იმათი იქმნება, გზავნიდა სოფლებში მოლლებს და ყადებს ხალხის მისაზიდველათ.

რისთვის შვრებოდა ამას? – ჯავრის ამოსაყრელათ. კიდევ იმისთვის, რომ უნდოდა შური ჩამოეგდო ჩვენ და ჩვენი მოძმეების შორის; უნდოდა, რომ ძმას ძმის სისხლი დაეღვარა...

მაგრამ ბოლოს საქმემ სხვა სახე მიიღო. დერვიშ-ფაშა ამას ჩადიოდა კერძოთ. ყოველიფერი რომ გამოაშქარდა, მაშინ დერვიშ-ფაშა ციცასავით უკან გადადგა, დაიწყო თითებით რძეპარიამ ტუჩების წმენდა. გამოუცხადა იმან გამზადებულ ხალხს: „ჩვენ ახლა ვერაფრით ვერ მოგეხმარებით, ხელს ვერ მოგიმართავთ, რადგან შურუთამა – კონგრესმა თქვენ გარგუნათ გიაურს; როგორც გინდათ, ისე მოიქეცით!“

ხალხმა მხოლოდ მაშინ გაიგო, რომ მოტყვილებული იყო, ჩაფიქრდნენ, წარმოიდგინეს თავიანთი აწმყო და მომავალი ბედი, დახედეს და გონებაზე მოვიდნენ.

თათარიც ამ შემთხვევაში ამბობდა: „ჩემთვის ურგები ქოთანი ქვას და მანონი – ძალსა.“

ახლა მკითხველი მეტყვის: რას აჭიანურებო, თუ გაქვს სათქმელი, სთქვი, ვნახოთ, რა სასიხარულო ამბავი უნდა გვიანბო!

სასიხარულო ამბავი იმაში მდგომარეობს, ჩემო მკითხველო, რომ გუშინ ჩვენი დაკარგული, დიდი ხნის განშორებული მოძმეები მოგვიბრუნდნენ და ჩვენგან მიღებას სთხოულობდნენ: ზედა და ქვედა აჭარიდამ მოვიდნენ თოლგომში იქაური ხალხის წარმომადგენლები ჩვენი ჯარის უფროსთან და გამოუცხადეს:

„მიგვიღეთ სიყვარულით და სიხარულით! რამეთუ ვიყავით დაკარგულნი – გპოვეთ, რამეთუ განწყენინეთ – მოგვიტყვეთ, დაივიწყეთ ყოველი ჩვენი შეცდომანი და მიგვიღეთ ვითარცა მუშაკნი დღიურის სასყიდლითა.“

იმათ წარმოადგინეს ადრესი მის უმაღლესობის სახელობაზედ იმ აზრისა, რომ ჩვენ მალე მივიღოთ ისინი ჩვენ ფრთებ ქვეშა.

დღეს ჩვენი ჯარი მოვიდა ართვინში და უნდა შესულიყო ციხის-ძირში. 25-ს ორივე აჭარები ჩვენი იქმნება...

ართვინში შესვლა იყო გულის შემადრწუნებელი სურათი. დილის საათის შვიდზე დღეს ამოვიდნენ თოლგომში ჯარის უფროსთან ართვინის წინაპირნი თანაგრძნობის და ერთგულობის გამოსაცხადებლათ.

მზე კარგათ ამოვიდა. ჩვენი ჯარი მზათ იყო ართვინში პარადით შესვლაზე. ზარბაზნის პირველმა ხმამ გვაცნობა, რომ ჯარის წასვლის დრო მოვიდა. ჯარი დაიძრა. ამოსული ხალხი ჯგუფ-ჯგუფათ მისდევდა ჯარს.

იკროდა მუზიკა. დეზ-ხმლების ხმაურობა, ჩვენი ჯარის და იმის უფროსების ტანისამოსის შეხედულება, ის საერო სიხარული, რომელიც ეწერა ყველასა სახეზე, ამშვენებდა ამ სურათს.

გავარდა ოცდაერთი ზარბაზანი, ირეკებოდა სომხის და ფრანგების საყდრებში ზარები.

მთელს ჯარის უფროსებს ქალაქმა გაუკეთა სადილი. სადილზე დაესწრნენ ართვინის იშხანები – თავი კაცები და აჭარიდამ მოსული წარმომადგენლები; ეს უკანასკნელები ამალამ უნდა დაბრუნდნენ შინ და გვაძლიეს პირობა, რომ ყოველგან ამ ნაირი თანაგრძნობები ეყოლება ჩვენს ჯარს.

აი, ეს სასიხარულო ამბავი გახლავს, რომელიც უნდა უძღვნა ჩემს მკითხველებს. აბა, ძმებო, გვმართებს დავკლათ ძროხა, ხარი, დაუკრათ ბუკი და ვიმხიარულოთ, რადგან ვპოვეთ დღეს ჩვენი გზა-დაბნეული ძმები!... მაგრამ მარტო სიხარულიც არ კმარა... მაგრამ ამაზედ სხვა დროს...

ამაზე უკეთესილა სიხარული იქმნება? იმაზე უკეთესი სიხარული იქმნება, რომ ეს ქვეყნები შეგვეძინა უსისხლისღვროთ და სრულის მშვიდობით?...

23 აგვისტოს  
„დროება“, 1878, 16/IX, № 186, გვ.2-3.

## არტაანი, 8 სექტემბერს

[სოფლის მეურნეობა. სიძვირი]

გრილი ზაფხული შეგვეცვალა უგრილეს და თითქმის ცივ შემოდგომად. დიდი ხანია მორჩნენ აქა მკას.

აქაურები ემდურებიან ჭირნახულს. არტაანის ახლო-მახლო სოფლების მოსავალი სუსტი იყო. მცხოვრებლები ზოგიერთნი ამ მოვლენაზე ფანატიკური აზრისანი არიან; რადგან აქაური მიწა სისხლით მოირწყო, იმისთვის ახლა ნაყოფს გვიზოგავსო...

მთებისკენ კი კარგი იყო მოსავალი, მაგრამ ისიც სიცივემ დასცა.

აქ, როგორც თესვა, ისე მკა გვიან არის ხოლმე; მკა იციან იმ დროს, როცა ქართლ-კახეთში და ახალციხეში კალოობა გათავებულია. აქაური ცივი ჰავა და გვიანი გაზაფხული ნებას არ აძლევენ ადრე თესვას. კალოობა გაცხარებული აქვსთ ახლა აქაურებს, მაგრამ ხალხი როგორღაც დაღონებით არის, არ ვიცი იმიტომ, რომ რამაზანი (მარხვა) აქვთ, თუ იმიტომ, რომ მამულს ჰგლოვენ...

აქაურ მეურნეობის იარაღს დიდი განსხვავება არა აქვს ჩვენ იარაღებთან – ურმის გარდა. ქართულ ურემს ხომ იცნობთ; თათრული ურემი წარმოადგენს მოკლე და მდაბალ სამკუთხიანს. გორგორა წარმოადგენს მთვარის მზგავს მრგვალს ფიცარს, გამაგრებულის ღერძის თავებზე.

კვერი, ულელი, ფარცხი, გუთანი და სხვა იარაღები სულ ჩვენნაირია.

გუთანი პატარა არ იციან, როგორც ქართლ-კახეთშია. აქაური გუთნის კუდზე აბია თორმეტი ულელი ხარ-კამეჩი. ხშირად მოხ-



დება ხოლმე, რომ ერთ გლეხს ცალკე შეეძლება გუთნის გამოყვანა და ამისთანა გლეხს დიდი სახელი აქვს. ღარიბები ამისთვის ადგენენ პატარა საზოგადოებას (ჰამგალს) და ყველასთვის რიგზე ამუშავებენ გუთანსა. მაგალითად, ერთი დღე ერთთან, მეორე დღე მეორესთან და ამ რიგს აქაურები „ალოს“ ეძახიან.

აქ თესვენ პურს, ქერს და სელს, რომლიდამაც ხდიან მწარე ზეთსა. გაზაფხულზე დასათესს ხნულს ამზადებენ რთველზევე.

აქაური ჯარები გაგვეცალენ გუშინსნინა. აქ დარჩა ცოტა ჯარი, ისინიც, როგორც ამბობენ, მალე გაგვეცლებიან. ამბობენ, არტაანში უნდა ორი ბატალიონი ჯარი დარჩესო.

ავაზაკები ჯერჯერობით ჭკვიანათ არიან. ხალხი მოსვენებით არის, მაგრამ ეს დიდხანს არ გასძლებს: ეს ჯარი და ხალხი აქედგან მოშორდებიან თუ არა, მე ვიცი, ავაზაკობა თავს ამოჰყოფს. ახლა, რაც უნდა იყოს, ამ ჯარის შიში აქვთ და თავიანთ ხელობას არ აჩენენ; მემრე კი თქვენი მტერი, მე რომ ვიცნობ ჩილდირის და ოლთის თარაქამებს, ბევრს ჩათო-ქახნობას მოახდენენ...

ახლავე აქ აქაურებს აცლიან იარაღს. ხალხი უკმაყოფილოდ დასცქერის ამ საქმეს. მართლაც, ეს ღონე ჩვენის მხრით, საჭიროა. ხალხმა რითი უნდა დაიცვას თავი ავაზაკებისაგან? ოც მოსახლეს ერთი ჟანგიანი თოფის შენახვის ნებას აძლევენ. ჩვენ ვამზადებთ ამ მშვიდობიან ხალხს ავაზაკების მსხვერპლათ. ერთ საშვალი-ღა დარჩება ხალხს: ცულებით და ქვებით უნდა დაიცვან თავი ავაზაკებისაგან...

„მონობა“ გათავდა, მაგრამ აქაური ვაჭრების „ონობა“ კი არ გათავდა. ისევ ის სიძვირე, ისევ ის ცეცხლი ეკიდება ყველაფერს! გეგონება, ის გაცხარებული ომი ჯერ არ გათავებულა, რომელსაც აბრალებდნენ აქაური ვაჭრები. გირვანქა პური ფასობს 10 კაპიკი, ხორცი 15 კაპიკი, ერბო დაუდნარი 45 კაპიკი, ისიც მწარე საძაგლად; ორი კვერცხი შენ მონონებულ მაურად.

ქალაქის გამგენი, ანუ ვისიც რიგია, ყურებსაც არ იბერტყვენ ამ საქმეზე და ამ უყურადღებობაში მცირე ჯამარიგის მექონენი

და ღარიბი ხალხი იტანჯება და ცდილობს ყველაფერში ორეულ და სამეულს ფასს.

რა ძნელია შეტყობინება და გაცნობა ხალხის ამისთანა გაჭირებისა მდიდარ, თბილ და მყუდრო ოთახში მდიდარ ქალაქის მზრუნველთან. სანამ კაცი არ გაბედავს და ხელში მოკეცილი ქალაქადით ცხვირში არ ჩაჰკრავს, ვერ დაანახებს ადვილათ ამისთანა ხალხის მოთხოვნილებას. „მაძღარს მშიერიც მაძღარი ეგონაო“ – ნათქვამია. ამ დალოცვილის შეილება, როგორც თვითონ არიან მაძღრები და ჭიპ-გაჭიმულები, სხვებიც ისე ჰგონიათ. აქაურ გოროდნიჩს (ქალაქის გამგეს), რომ შეუთვალაო, ან პირად უთხრა: „მონყალე ხელემწიფევე, ამა და ამ საგანს ყურადღება უნდა მიაქციოთ, – მაშინ ის გიპასუხებსთ: „უფალო, თქვენ უფლება არა გაქვთ, რომ მე მითხრათ – „მონყალე ხელემწიფე“, რადგან მე, როგორც მიყურებთ, უფროსი ვარ – და თქვენი უმთავრესი საგანი გაიპარება უკანა პლანზე.

მგონია, დროა მიაქციონ ამაზე ყურადღება და შეუმსუბუქონ ღარიბ ხალხს ბედი...

„დროება“, 1878, 22/IX, № 191, გვ. 2.

## არტანნი, 18 სექტემბერს

[სოფელ ჩილდირის აოხრება მეჰრი-ალის მიერ.  
ცხოვრების შეცვლა ომის შემდეგ]

მოგვილოცეთ! მეჰრ-ალიმ გამოჰყო თავი თავისი ამხანაგე-  
ბით! ასე ადრე არ მოველოდით, მაგრამ ის ჩვენი ლოდინის წი-  
ნალმდეგათ მოიქცა.

ნუხელის დაეცა ოცდაათი კაციტ სოფელს ჩალდირს<sup>23</sup> და  
ააოხრა, საქონლის – ცხვრის, ძროხისა, ხარ-კამეჩის გარდა,  
წაიყვანა სამი თათრის ქალი...

ამბობენ: „ძალი ძალის ძვალს არ გასტეხსო“! გატეხა კი  
არა, უარესი უყო. ჩილდირის მცხოვრებლები სულ თარაქამები  
არიან, თვითონაც მეჰრ-ალიც, მგონია, თარაქამაა. ეტყობა, თა-  
ვისი გვარის კაცებსაც არ ზოგავს. საქონელი რამთონი წაუსხ-  
ამს, არ ვიცვი, რადგან ჯერ ნამდვილი იქ მყოფი არ მინახავს,  
მაგრამ ის სამი ქალი კი შესაბრალისნი არიან, საცოდავები.

ძარცვის შემდეგ, როგორც ლაპარაკობენ, მეჰრ-ალი გადა-  
სულა არზრუმისაკენ.

მაზრის უფროსი სადევნელად წავიდა ყაზახებით. ჩვენც ვა-  
დევნეთ მათ კურთხევა; ვნახოთ, რა ნადირით დაბრუნდებიან...

ეს პირველი და უკანასკნელი არ იქმნება. აქაური სოფლელე-  
ბი უნდა მოელოდნენ იმის გახშირებულ სტუმრობას. არავის არ  
დაივიწყებს, სიფრთხილე და ყურადღება გვესაჭიროება.

ახალს ამბავს ამის მეტს ჯერჯერობით ვერაფერს მოგახ-  
სენებთ. აქ გრილა, წვიმები არ გვაკლია – უფრო ღამ-ღამით.

თათრებს რამაზანი<sup>24</sup> გაუთავდათ. გუშინსნინ იმათი ბაირამი  
იყო. ჩვეულებრივი მხიარულობა – ჯირითი, ჭიდაობა არა ჰქონ-  
დათ. ყველას სახეში რალაც მჭმუნვარებას ვხედავდით. ყავახ-

ანებში ჩვეულებრივი ჩონგურ-ქამანის კვრის და მხიარული მუხანბაზების (დივანისა და მევეთუნისა, მევეთუნი ახალციხელი ქართველი - პოეტი იყო) მაგიერათ, მესმის (თათრულ ენაზე) „რაც გინახავს, ველარ ნახავ“, ანუ: „ჰოი, მზენარო, რა ვიყავ, რად გარდავიქეცი?! ლხინის სანაცვლოთ, ჭირი-ცეცხლათ რა-ღად მოგვეცი!..“

„დროება“, 1878, 24/IX, № 193, გვ. 1-2.

## პატარა შენიშვნები არტაანზედ

[ძველი ტაძრებისა და ციხე-დარბაზების ნაშთები.  
საუბარი ალბილობრივ მცხოვრებლებთან]

არტაანის მაზრაში, საითაც გადადგას კაცმა ფეხი, ყოველ ნაბიჯზე შეხვდება ძველს ნაშთებს: ნანგრევ ეკლესიებს და ციხე-კოშკებსა.

ამ დღეებში ვიქონიე შემთხვევა სოფელში წასვლისა და იმდენი ღირს-შესანიშნავი საგნები ვნახე, რომ არ შემიძლიან გაგჩუმდე და არ განუზიარო თქვენს მკითხველებს.

სოფელი ველი<sup>25</sup> ძევს აღმოსავლეთის მხრით არტაანიდამ, თექვსმეტს ვერსზე.

საათის ოთხი იქმნებოდა, რომ დავადეგით გზასა და დავყევით მტკვარს.

დღე მოღრუბლული და გრილი იყო. სანამ მივიდოდი ჩემი ცხენის პატრონის სოფლამდე, სადაც იმ ღამეს უნდა დავრჩენილიყავ, გავიარეთ ბევრი სოფლები.

პირველი სოფელი, რომელიც ჩვენ გავიარეთ, იყო ჩუმი. სამ ვერსზე ამ სოფლიდამ, მტკვრის მარჯვენაზე სძევს ს[ოფელი] ფარიყმა, საცა არის კლდეზედ ძველი ციხის და ეკლესიის ნაშთები. ამ სოფლის პირ-და-პირ ძევს სოფელი საზარა<sup>26</sup>. პატარა აღმართი ავიარეთ. მიველით სოფელ ყიზილ-ყალას (წითელ ციხეს). ეს სოფელი ვერანად არის; აქვს მშვენიერი მდებარეობა: დგას მტკვრის ახლო კლდეზედ; ჰქონია მაღალი ციხე ამ მაღალ კლდეზე. მეორე მხარეს სოფლისა დგას გაოხრებული ეკლესია. ციხისაგან დარჩენილა ერთი მაღალი კოშკი. ვილაც ოხერ ბეგს დაუნგრევია ეს ციხე და მოუხმარია თავის სასახლისათვის. ეკლესია თითქმის სულ დარღვეულია.

მეორე მხარეს ფერდობზედ ეტყობა ვენახების ნაადგილები. სჩანს, ყოფილა აქ ტყე; ახლაც არის ტყის ნაშთები ცოტა მოშორებით; პატარა დაღმართი რომ ჩაიაროთ, ნახავთ სოფ[ელ] დუდუნას<sup>27</sup>. დუდუნაში არის გაოხრებული ეკლესია. ეს სოფელი ყოფილა ვილაც ჰამიდ-ბეგისა, რომლის სასახლე დგას ამავე სოფლის წინ გაშლილ ქალაში. ომის დროს ჩვენებს დაუნგრევიან ეს სასახლე და შეშა-ფიცარი მტკვარზე გადასასვლელ ხიდზედ უხმარიათ.

ეს სოფელი რომ გავიარეთ, დავადექით პატარა ბილიკს, რომელმაც მიგვიყვანა ერთ ვინრო ხევში და კიდევაც მივედით ს[ოფელ] ურს<sup>28</sup>. აქ მტკვარზედ გადადებულია ხიდი, რომელიც გააკეთეს ჩვენებმა ომის დროს და გადავიდნენ გაღმა. წელან რომ მოგახსენეთ, იმ ფაშის სასახლის შეშა-ფიცარი ამ ხიდზეა ნახმარი. ამ ხიდის გაკეთების დროს, როგორც მიაგმო ჩემმა მოქირავემ, მომხდარა პატარა შეტაკება: როცა თათრებს შეუტყვიან, რომ გაიურები ხიდს აკეთებენ, მაშინვე მოუტანინებიათ ზარბაზნები და ნდომებიან დაშლა, მაგრამ ჩვენებს უთავაზებიან ყუმბარები და თათრები გაქცეულან. სამ დღეზე ხიდი მზათ იყო.

დაბინდდა. ჩვენც მიველით სოფელში. მიმიყვანეს ერთი ახერის ოდაში, რომელიც დაფენილი იყო ქეჩებით (ნაბდებით). გააჩაღეს ცეცხლი.

ნახევარი საათის მემრე მე ვიჯექი ბუხრის წინ და ვმუსაიფობდი აქაურ გლეხებთან – თათრებთან. სანთლის მაგიერათ ბუხარში გვენთო კვარი, რომელიც საამოთ ანათებდა ჩემი მობაასების ჩალმებს. რამდენიც ბუხარში ცეცხლი იჩალებოდა, იმდონი ჩვენი ბაასი ცხარდებოდა და შევდიოდით ღრმა ცხოვრების კითხვების სჯაში...

აქაურები, რომ დაინახავენ ენის მცოდნე კაცს, რომელიც იმით ცხოვრებაზე დაუნყებს ლაპარაკს, დიდის გულმოდგინებით და დანდობით შლიან თავიანთ გულის დარდებსა; მუდამ მოხარული არიან მაგისტანა სტუმრის ყოლისათვის.

კერძო ლაპარაკის შემდეგ ბაასი გადავიდა იმით ახლანდელ მდგომარეობაზე. როგორც შევნიშნე, ის შთაბეჭდილება არ გვექონია ამათზე, რასაც მოველოდით.

აქაურები ემდურებიან საზოგადოთ ბუნებას, მოსავლის წაკლნობას, მაგრამ უფრო ემდურიან ზოგიერთ ჩვენ ახალ მოხელეებს, რომლების ხელშია ჩვენი ახალდაპყრობილი ქვეყნის ხალხის ბედი და უბედობა. სანამ უ[ფალი] მიხაილ მეფისოვი იყო მაზრის უფროსად, ყველანი იმას ემადრიელებოდნენ და კმაყოფილნიც იყვნენ, თითქმის შემძღვია ვსთქვა, იმას მზესა ჰფიცავდნენ. რო გეკითხათ იმაზე, გიპასუხებდნენ:

- რაც გინდა იყოს, მიხაილ-ალა ჩვენია, ყველაფერს გავაგებინებთ; ამან იცის ჩვენი დარდ-ვარამი და ადათი; ის ჩვენთვის ავს არ მოინდომებს და ძალიან კარგია...

თქმულა ბევრჯერ, რომ ამ ჩვენ ახლად დაპყრობილ ადგილებისთვის არის საჭირო კაცები, ენის მცოდნე, მცოდნე აქაური ჩვეულებისა და ხასიათისა. მიხეილ მეფისოვის აქედამ გადაყვანას, როგორც ვატყობ, სამწუხარო გავლენა ჰქონებია აქაურებისათვის. იმის ალაგას მივიდა ვილაც უ[ფალი] რაზდერიძინი. ღმერთმა ჰქნას, თავისი სახელის მნიშვნელობა არ გაამართლოს...

თათრის აგენტები დადიან სოფლებში, ადგენენ სიებს, ვისაც ჰსურს გადასახლება, და, როგორც მითხრეს, დიდის სიამოვნებით აწერენ ხელსა...

ისიც მოვიგონე, როგორც ჩერქეზები გადასახლდნენ და მერე ჩავარდნენ უბედურებაში, დაჰკარგეს მდიდარი სამშობლო...

ჩვენს ბაასს მივეციტ ბოლო. კუჭმა მოითხოვა თავისი, მოგვიტანეს ვახშამი. ვახშამიც გავათავეთ და მივეციტ თავი მოსვენებას.

არტაანი, 14 ოქტომბერს.

(დასასრული შემდეგ ნომერში).

„დროება“, 1878, 19/X, № 211, გვ.1.

## პატარა შენიშვნები არტაანზე

(დასასრული)

რადგან სოფ[ელ] ურში მოველით გვიან და დაღამებული იყო, ვერ დავათვარიელე. მეორე დღეს ადრე ავდექი და დავიარე მთელი სოფელი.

ური პატარა სოფელია, შესდგება ოცი კომლისაგანა. მცხოვრებლები არიან გადმოსახლებულნი ახალციხის სოფლები-დამ. ყოფილა პატარა ეკლესია, რომლის ნანგრევი ახლაც სდგას. აქ ცხოვრობს ხიმშიაშვილის მესამე ცოლი თავისი შვილებით. სოფელს აქვს კარგი შავა და მშვენიერი მდებარეობა. იქაური შავის კარგობა მტკვარისა და ახლო გორაკებზე ტყის ბრალია.

აღმოსავლეთ-სამხრეთის მხარეს, პატარა გორაკზე, ტყის პირად, დგას და დაღვრემით გადმოჰყურებს პატარა ციხე. აქაურობა ყოფილა მოსილი ტყით, ახლაც ნახავთ კარგ მანძილზე ტყეს.

არტაანის მაზრა ორ ნაწილათ იყოფება: პირველ ნაწილს, სადაც თვით ქალაქია, უწოდებენ არტაანს, მეორე ნაწილს — მეშა-არტაანს (ტყე-არტაანს). ური იმყოფება მეშა-არტაანში. ამ სოფელს ჩემობენ უ[ფალი] ხიმშიაშვილები. სწორედ უნდა აღვიაროთ, როგორღაც იმის შვილებს იქაურები არ ემადლიერებინან: „ცოტა ბაშიბუზუყობენო“...

მზე კარგათ ამოვიდა. ცხენებზე შევსხედით და დავადექით გზასა. ცა მონმენდილი იყო. მზე გზავნიდა თავის სუსტ სხივებს, მაგრამ მაინც ვერ გვათბობდა. მეც რამდენიც დავმალე პირი და ხელები ნაბდის ქვეშ, მაინც ვერ ავცდი დილის სუსსს.

მივედით ს[ოფელ] ხარისამანში<sup>29</sup>. ეს სოფელი ვერანაა; ურელებს საზაფხულოთ აქვთ. თვით სოფელი დგას კლდის თავზე.



მართალია, ამ სოფლის არე-მარეში ეკლესიის ნაშთი არაფერი ეტყობა, მაგრამ ჩემმა ცხენის პატრონმა დამარწმუნა, რომ აქ ქართველები და ბერძნები ცხოვრებულან. ძველ ნაშთთაგან ამ სოფელში ახლაც არის ძველი დარბაზი; ასი წლისა მაინც იქმნება. ხარისამანის პირდაპირ დგას სოფელი ახჩაყალა<sup>30</sup>. ამ ორი სოფლის შუა მდინარებს პატარა მდინარე, რომელიც ინყობა ყამარის მთებიდან. ამ სოფლის სახელი თათრული სახელია, რომელიც ნიშნავს თეთრ ციხეს; მაგრამ არა მგონია, რომ ქართული სახელი არა ჰქონდეს. ახლო ეკლესიის ნაშთი ამტკიცებს, რომ აქ ერთ დროს ქართველი ცხოვრებულა. ჩემმა ჩარვადარმა მიაგებო, რომ სოფელ ხარისამანის ქვეით ხევებში, ხუთი ვერსის სიშორეს არის მაღალი თვალაუნვდენელი კლდე, შიგ კლდეში არიან ბევრი მაღარებო და იმავე კლდეზე მიუდგომელ ალაგას სჩანს ხის „ტახტიო“. ასავალ-ჩასავალი არსაიდ არა აქეს. აქ ამბობენ, თამარ დედოფალის საბჭო ადგილი ყოფილაო, და ამ ალაგას „ჩარხი-ფალაგას“ უწოდებენო (ჩარხი-ფალაგ თქმა არის: „ბედის-ჩარხი“). იმ ტახტამდის ასვლა შეუძლებელია. მხოლოდ ერთი ვილაც აჭარელი ავიდაო და ენახა ტახტზე რალაც ცხენის თავიო (უეჭველად ფრინველის ატანილი იქმნება).

აქედამ ველამდის მოსვლამდე სოფელი არა გაგვივლია. შორით კი სჩანან ჩრდილოეთის მხარესა: დიდი სოფელი – ნაქალაქევი,<sup>31</sup> სადაც ასორმოცდაათი კომლი მცხოვრებელია და სოფელი ბორქი<sup>32</sup> – ნაეკლესიარი.

შუადღისას მიველით ს[ოფელ] ველში. ველი დიდი სოფელია. დგას კლდის თავზე. ადრე ყოფილა უფრო მოზდილი (სამასი კომლი დგომილა). აქაური ახლანდელი მცხოვრებლები გადმოსახლებული არიან ახალციხის სოფლებიდან. ქართულს არავინ არ ლაპარაკობს, გარდა სამი ღრმა მოხუცებულისა. იმათგანი ერთი ამ ახლო ხანებშია გადმოსახლებული, სახელად ჰქვიან ჰასარად მეზინიშვილი.

– რად გადმოხვედით აქეთ, რად გაგვექეცით?-მეთქი.

– რა ვქნათ, ბატონო, ყველა კაცი თავისი გვარის მიკერძვა უნდა! – მიპასუხა ჰასარადამ ქართულად. ბევრი შემეხვევნა, რომ როგორმე მეშუამავლა აქაურ მაზრის უფროსთან, რომ ნება

მისცეს პურების გალენვისა (მაგრამ ჩემისთანა პანანა კაცს სად შეუძლიან, მაგისთანა დიდი სამსახურის აღსრულება!..)

შიგ ველში არის ოთხი ძველებური დარბაზები. ფიცრების სიძველე ამტკიცებს, რომ დიდი ხნისა უნდა იყვნენ ისინი. საუბედუროდ, თათრებს დაუმდაბლებიათ ბანები და ის შეხედულება არა აქვთ, რაც უნდა ჰქონდესთ.

სოფლის პირიდან იწყობა ღრმა უფსკრული, სადაც მტკვარი მოუსვენრად მდინარებს. მეორე მხარე მტკვრისა უფრო მაღალია, თითქმის წარმოადგენს კარგ მოზრდილს მთას, რომელიც ყოფილა ტყით მორთული. ახლაც არის ამ ტყის დანარჩენი, ფერდობა მოფენილია არყის ხითა.

ხეობის ჩასავალზე (სოფლიდან) მაგარ კლდეზე დგას ძველი ციხე.<sup>33</sup> ციხე ყოფილა მოზდილი და შეზღუდული გალავნით. კლდის თავზე იშლება პატარა მინდორი, საცა ახლაც დგას მშვენიერი ნითელი-გათლილი ქვის ეკლესია. ეს ეკლესია კარგათ არის შენახული, მხოლოდ კარების (სამხრეთს და დასავლეთის მხრით) ამყოლები და ზღუდენი ჩაუნგრევიათ განგებ უსამართლოებს. კედლები იმისთანა ხელოვნებით არის ნაშენი, გეგონება მთელი კედელი ერთი ქვისააო; მხოლოდ დროს და ნვიმა-თოვლს დაუდნია ქვები. შიგნიდან ყოფილა სულ ნახატი, მაგრამ ჩაუნგრევიათ და ზოგიერთს ალაგას დარჩენილან მონმეთ წმინდანების თავები. მარჯვენა კედელზე, ეტყობა, ყოფილა დახატული ვიღაც გამირის სახე. თუმცა თავი და ფეხები არ ეტყობა, მაგრამ შუატანი ცხადათ ამტკიცებს, რომ ეკუთვნის გამირს და არა წმინდანს: ტანისამოსი მეომარისა აქვს. იქაურმა თათრებმა მითხრეს, რომ კარის ზეიდან ყოფილა დიდი ქვა, რომელზედაც ყოფილა ზედნარწერა; ჩამოვარდნილა და ზედ გადმონგრეულა კოშკის კედელი, რომელიც მიკრულია ჩრდილოეთის მხრით ეკლესიასთან. ეს კოშკი სჩანს ამ ეკლესიაზე, გვიან არის ნაშენი. დროების უქონველობის გამო ის ქვა ვერ ამოვალეზინე გასაშინჯავად.

ბევრი ნარწერები ვნახე კედელზე დანით ამოჭრილი კირზე. მაგალითად, აი ამისთანები:

„1784 პატრი ფოლიქარფი დავსწერე“.

„1799-სა მე ხოჯევათ ნიკოლოზმან დავსწერე“.

„ეს მე ბალღამათ რძალმა ვარინემ დავსწერე - ყულახ-სიზ-იანთ გარანას ქალმა“.

„1802 პატრი ბასილოსი ყოფილა“.

„ბ. თებერვლისა ყოფილა თოვლი“ და სხვა და სხვა.

ცოტა ქვეით ეკლესიიდან ყოფილა აბანო მშვენიერი თლილი ქვისა. ესეც ეკლესიის მგზავსად არის ნაშენი, მაგრამ დიდრონი ფანჯრები, ორი ფარნაგი წყლისა და მდებარეობა სიგძით ჩრდილოეთზე ამტკიცებენ, რომ აბანო ყოფილა ისა. შიგ ციხეში ახლა არ ეტყობა წყლის ადგილი, საიდან შქონიათ აბანოსთვის წყალი, ვერ გავიგე. აბანოს წინ, ცოტა მოშორებით, დგას სასახლე, გათლილი ქვით ნაშენი, ორსართულიანი, დიდრონი ფანჯრებითა. საცა მინახავს ძველი ნაშენები, არსად არ შემინიშნავს, რომ სადმე შქონოდათ ამისთანა ფართო ფანჯრები. ეტყობა, რომ აქ ერთხელ ცხოვრებულა ვიღაც გამოსაჩენი პირი და უშიშარი ხალხი. იმ ადგილას, საცა კლდე თავდება მტკვრისკენ, დგანან მაგარი კოშკები.

ამ შენობების გარდა, ნახავთ აქა ბევრ ნანგრევებს და ორმოებს ქვითკირისა. სოფლის გარეთაც ყოფილა ძველი ეკლესია, სრულებით გაოხრებული. მარტო ადგილი ეტყობა. ეკლესიის გვერდით, კარგ მოზრდილ გაშლილ მინდორზე, გაფენილია სასაფლაოები. ქვებზე ნაწერი ვერ ვპოვე. ერთ-ორ ქვაზე კი ჯვარის სახე და რაღაც მგზავსად გამოხატულია სურათი, მგონია, იესო ქრისტეა. ერთ ქვაზედ გამოსახულია წმიდა გეორგი თავის ცხენზე მჯდომარე და შუბით. თვით წმინდა გეორგის თავი ისე დიდათ არის გამოყვანილი, რომ ცხენი და მეომარის ტანი ერთად ავილოთ, კიდევ თავი გადააჭარბებს.

ერთმა ღრმით მოხუცებულმა მიაბმო, რომ აქ ერთხელ ცხოვრობდნენ ძრიელ გმირი ხალხიო. შქონიათ საკუთარი იარაღი, აკეთებდნენ თვითონვე ნამალს, იყვნენ მეომარნი, ბევრჯელ დაუხვდებოდნენ ხოლმე პირდაპირ ლაზებს და აჭარლებსაო, რომლებიც ბუზისავით დაესევოდნენ ამ სოფლის გასაოხრებლად, მაგრამ ვერას გაარიგებდნენო და ვერას ავნებდნენო.

უკანასკნელად უფ[ალ] ხიმშიაშვილის მამას<sup>34</sup> ნდომებია ამ სოფლის გაოხრება (1828 წ[ელს]), მაგრამ აქაურებს მალე შეუტყვიათ, აბარგულან, ჩასულან მტკვრის ხევში, დამალულან მალარებში და მემრე იქიდამ გადასახლებულან ახალქალაქის მაზრაში. იმ დროს ისე შესუსტებულან ისინი, რომ წინ ვერ დამდგარან განმაოხრებლებისა...

ს[ოფელ] ველის ზეიდამ ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის მხარეს მალალი მთაა, რომელსაც უწოდებენ „მალლოსი“. იმ მთის ნვერზედ რალაც მალალი ლოდი სჩანს, ამბობენ, აქაც ეკლესია ყოფილა. ქრისტიანობის დროს აქ სცოდნიათ ამაღლება დღესა დღეობა. შეიკრიფებოდნენ თურმე ყველა მხრიდამ და აქ დღესასანულობდნენ. როცა დღეობას გაათავებდნენ, მაშინ გაიმართებოდა ცხენებით ჯირითი და ჭიდაობა. ამ ჯირითობაში და ჭიდაობაში თავს გამოიჩენდნენ უფრო ველელებიო.

ახლანდელი მცხოვრებლებიც ძრიელ სტუმრისმოყვარენი არიან. პირველად რომ შეველი სოფელში, როგორღაც დაუნდობლათ მიყურებდნენ – „ურუსი“ ვეგონეთ და ერთმანერთს ეკითხებოდნენ თათრულად (ეგონათ, მე არ მესმოდა):

– რა უნდა ამ გაურს? იასაული ხომ არ არის? სოხრას ხომ არ თხოულობს?

როცა შეიტყვეს, რომ მაგათგანი არცერთი არა ვარ და ენაც ვიცი, მაშინ დიდის პატივით მთხოვეს დარჩენა ერთი-ორი დღით. მე უარი უთხარი. მოგვიტანეს კარგი სადილი, რომელიც შესდგებოდა ტკბილეულისაგან. ბოლოს მოგვიტანეს თაფლი. მე რომ უარი უთხარ თაფლის ჭამაზე, გაუკვირდათ – განა იმისთანა კაცი არის, რომ თაფლი არ უყვარდესო? აქ ძრიელ გემრიელი თაფლი სცოდნია. არა ჰგავს იმერულ საძაგელ, მყრალ თაფლს. სადილიც გავაგორეთ. გამოვემშვიდობე.

ჩემი უკანასკნელი თხოვნა ის იყო, რომ რაც ძველი ნაშთია: ციხე, ეკლესია და დარბაზები არ გააოხრონ. პირობა მომცეს. ნამოველი.

არ იქმნება ურიგო, ვისიც ხელშია, მიაქციონ ყურადღება და მოახდინონ განკარგულება, რომ ის ნაშთები, რაც დარჩენილია

ძველ ცხოვრებიდამ, ამის იქით მაინც არ გააფუჭონ და გააუ-  
ქმონ. იქმნება ჩვენი მომავალნი ჩვენსავით გულგრილები არ  
იყვნენ; იქმნება ამ ჩვენი წარსულის ცხოვრების მოწამე ნაშთთა  
იმათზე იქონიონ სხვა გავლენა და ესენი შეიქმნენ იმათთვის  
გზის მჩვენებელნი სხვა ცხოვრებისადმი.

არტანი, 14 ოქტომბერს.  
„დროება“, 1878, 20/X, № 212, გვ. 1-2.

## აჭარლები რათ გვიფრთხიან?

როგორც მთელი კაცობრიობის ისტორიაში, ეგრეთვე ცალკე, კერძო პირის ცხოვრებაში, ბევრჯერ მოხდება ხოლმე, რომ ერთი უბრალო საგანი, ერთი უბრალო გარემოება დიდის უბედურების, ანუ ბედნიერების მიზეზი ჰხდება...

ჩვენ უნდა მივიღეთ აჭარაში, მაგრამ იმის სანაცვლოდ, რომ ისინი დაგვიხვდნენ სიხარულით, საშინლად იმჭვალებიან.

ამის მიზეზი რა არის?

აი, დღეს უბრალო ლაპარაკმა ერთ აჭარელთან რა დამარ-  
ნმუნა, რასაც ბევრჯერ ვხედავდი, მაგრამ არაფრად არა ვსთ-  
ვლიდი.

– სადაური ხარ, ძმაო? – ვკითხე ერთ აჭარელს, რომელიც არტაანში მოსულიყო, ხილი ჩამოეტანა გასასყიდათ.

– მე, შენი ჭირიმე, ზედა აჭარიდამ ვარ.

– რისთვის მოსულხარ, ძმაო?

– ხილი ჩამოვიტანე გასასყიდათ. ფუხარა კაცისა არ მო-  
გეხსენებათ, იქიდან აქანა რაისათვის მოვა?.. მაგრამ აქაურობა  
ერთმა სუამეხმა გემანვალა. უჰ, ჰუ! რა ადამიანი ყოფილან... იმ  
უპატიურმა ერთი ბათმანი ქანჭურის ფასი გედიყლაპა, რავაც  
ქორი ნინილს გადაყლაპავს... ეგე, ბატონო, არაფერი, მაგრამ  
რჯულ-პირი არ შემარჩინა. აიმე! კუჭი-კი მემივიდა, ჰამა რა გე-  
მენყობოდა? რა ვქნა? აიმე რუსუბაა, თორემ იმას ან დამბაჩით,  
ან ამ ხანჯლით ავკუნნამდი, აიმე!

– რათა, რათა, ძმავ! უბრალო საქმისათვის კაცი რათ უნდა  
მოჰკლა! ეგეთი გულმოსულები რათა ხართ? ახლა არ იყოს აგერ,  
რათ გვენინაალმდეგებით? განა ჩვენი ძმები არა ხართ? ჩვენ  
თქვენთან საკეთილთ მოვდივართ, საბოროტეთ ხომ არა...

- რაისა ბძანებ, ბატონო?! ქართველები ოღონც მოდიო, ვინ გეური არ მიგიღებს. ვიცით რომელ ჩვენი ხართ, მარტო იმანი (რჯული) ცალკე გაქვთ!.. ჰამა სომხები და სხვები რამე მოდიან, იგია ჩვენი დარდი... ჯერ აქანა მუსაფორად - სტუმრათ მოვდივართ, ბატონო, ასთე გვიშვრებიან და იქანა რომე მოვიდნენ, სულ დინ-იმანი არ შეგვრჩება, ნევეპილნებით...

- რად ნაგაბილნინებენ? ან რა შეუძლიანთ მაგათა? განა მოსამართლეები არ არიან?

- მართალი ბრძანებაა, არიან ზაბითები, ჰამა დღეს ჩემს იარას დარმანი - ნამალი არ დამიდო და ხვალეც ვერ ქნამს...

ვის არ გინახავსთ, მალალი, ნაზი ტანის, შავ-თვალ-წარბა, წმინდა ცხვირი, ვინრო ანკეპილი შალვრით და თეთრი ჩაბალახით ამაყი აჭარელი?

ის ისე ცქვიტი და მალხაზია, რომ კაცს ეგონება, სიარულის დროს იმისი ფეხები მიწას არ ეკარებაო, ჰაერში ფრინავსო. სიტყვა-პასუხი ისე თავაზიანი, ცქვიტი და ტკბილია, რომ კაცს უნებურად მიიზიდავენ...

აჭარელი, რამთონიც შეიძლება პატიოსანი, კეთილი და მართლის მთქმელია, მაგრამ ამასთანავე, რამთონიც შეიძლება, თუ მიზეზი მიეცით - ბოროტია.

ეს საზოგადო მთიული ხალხის ხასიათია. თავის დროზე ბოროტი, ამაყიც არიან და თავის დროზე - კეთილი, სტუმრის მოყვარე და შეთქმის ამსრულებელნიც. სტუმრად რომ მიხვიდე, უბე, ჯიბე ოქროთი რომ ჰქონდეს სავსე, როგორც გალიაში ბულბულს, შეგინახამენ; მაგრამ თუ იმის მიზნის გარეთ გნახეს, ან შენ არ მოენონე და შენი ჯიბე მოენონათ, უნდა აღგიაროთ, მაშინ შენი ფასი და ქათმის ფასი ერთი იქნება. იმის ტანში სცემს მარდათ დიდი და ამაყი გული, სავსე თავისმოყვარეობითა...

აი ეს თავის თავისა და თავისუფლების მოყვარე კაცი, მუდამ, როცა გვესტუმრებიან ჩვენ, დამცირებულია დიდფაშვიან და პრტყელქამრიან სომხისაგან, რომელიც ერთი გროშისათვის მზათ არის უთვალავჯერ დაიფიცოს და თავისი გაქონვილი პატიოსნება დაამციროს...

საწყალი აჭარელი მოდის ორ-სამ დღის სავალზე, მოაქვს გასასყიდათ ერბო, ყველი ან ხილი, ჰყიდის სომეხზე, რომელიც იმისთვის, რომ შეიძინოს ორი გროში, მყრალად უგინებს რჯულს, პირს, ცოლ-შვილს, უჭრის მოსაცემ ფულს და ბევრჯერაც მოხდება, რომ კიდევაც სცემს.

აჭარელს მოსდის გული, ჯავრით ენას იკვნეტს. მაგრამ რა ჰქნას? როგორც არის თავს იკავებს, ითმენს. ის იმას არ დარდობს, რომ ფულსა ჰკარგავს, იმისთვის დარდობს და ბრაზდება, რომ წმიდა რჯულს უმცირებენ, თავისმოყვარეობას შეურაცხყოფენ.

ამ გვარის მძიმე შთაბეჭდილებით ჩვენი მოძმე სტუმარი ბრუნდება ჩვენგან!

ამის შემდეგ, ჩვენ რალა მასპინძლობას უნდა მოველოდეთ იმათგან? რალათ უნდა ვემდურებოდეთ, რომ ისინი არ გვნყნარობენ?!..

ახლა ქალაქელ სომეხებს მოსდომებიათ იქ ადგილების ყიდვა. ახლა იქაც უნდა ჩაფესვდნენ! თუ მართლა იმათი სურვილი ასრულდა, სატირელი შედეგი მოელისთ აჭარელებს და ქობულელებს.

არტაანი, 20 დეკემბერს  
„დროება“, 1878, 31/XII, № 268, გვ. 6.



## ნავით მოგზაურობა ჭოროხზე

(მგზავრის პენიშვნები)

შემოდგომა თუ არ არის, ხომ ჰგავს მაინცა. ჯერ ზამთარ-საც ფეხი არ შემოუყვია. გრილა. არე-მარე ართვინისა ნაცრის ფერად სცემს. მაღალი იასამანი და გენიისის კეფები, თეთრის თოვლით დაჩაბრულნი, გამოჩანან და კასკასი გააქვთ. ტყე შორს არის. მთებს გამოუშვერიათ კლდეებით დატვირთული მუცლები. ცოტა აქედ ყომრალი ზოლივით მიიკლაკნება გზა. ცხვირწინ კი თვალში ეჩხირება კლდეზე ძველი ციხე.

ბუნებას რაღაც მწუხარე სახე ადევს და ადამიანს ნალველს ჰგვრის. აგერ, მაღალ ტყვიისფერ კლდეების შუა ლილასავით ლურჯი ჭოროხი ხტის მარდათა და ხმაურობს, რაღაც ერთგვარის ჩივილის მსგავსად – ეჩქარება შორს წასვლა და გეგონება, „მშვიდობით!“ ეუბნება კლდეებსა. ციხე და კლდენი იმეორებენ იმის ხმაურობას. ჩავფიქრდი და ოცნებამ ისე გამიტაცა, რომ ჩემი თავი რუსთველის აღწერილ ქვეყანაში მეგონა, მაგრამ მაინც ჭოროხის უცნაურმა ხმამ მიმიზიდა. მინდოდა გამეგო ჭოროხი რას მიუბნობს, მაგრამ ვერაფერი ვერ გავიგე, ისე გაუცხოებულა, რომ იმისი ენაც ახლა ჩვენთვის გასაგონი არ არის. ამ შემთხვევაში მე და ჭოროხი იმ მდგომარეობაში ვიყავით, როგორც რუსეთიდამ მოსული დიდი ხნის წასული ყმანვილი თავის დედასთან იყო. ამ შემთხვევის მოწამე მე ვარ, თქვენი მონა და მოსამსახურე. ერთს მშვენიერს დღეს, როდესაც ქართლში, რკინისგზით მივგორავდი იმერეთისკენ, მატარებელში გავიცანი ყმანვილი, რომელიც რუსეთიდამ მობრუნებული შინ მიდიოდა. ვატყობდი, შინ წასვლა იმას უხაროდა. გაუწითლებლივ მითხრა, რომ ქართული დამავინყდაო, არ ვიცდი დედაჩემს როგორ უნდა

დაველაპარაკოვო! მთხოვა ამ გაჭირებაში შემწეობა. მიველით. დედა გულგახეთილი სიხარულისაგან მივარდა შვილს კისერზე და შვილიც დედასა, მაგრამ გაჭირება იმაში იყო, რომ ერთ-მანერთს თავის გრძნობას ვერ უცხადებდნენ. მაშინ მე ხან დედობას ვკისრულობდი, ხან შვილობას... ამისთანა სასწაული ხომ ბევრია ჩვენში. ჯერ ყმანვილის თავი რა გამშრალა, ბებია რუსულად ელაპარაკება!... მაინც ჭოროხისა მე ვერა გავიგე, მაგრამ რას გავიგებდი ჭოროხისას, როცა თვითონ მტკვრისაც ვერა გავიგია რა...

ხიდის თავი, ჭოროხის პირზე, რაღაც ფაცა-ფუცშია: ნყალში ზანტათ ირნევიან ფახლავის მზგავსი ნავები, რომლებიც მშრალზე არიან გამობმულნი. მენავეებს გაჩქარებით გამოაქვს საქონელი სახლიდგან, აწყობენ ნავებში, ზოგიც ნავებს სცლიან, ეტყობათ წასასვლელათ ემზადებიან. ამათ გარდა, იქ ნახავდით სხვა კალაპოტის კაცებსაც, ვაჭრებს და ჯარისკაცებს.

– როგორ წამიყვან, ძმობილო, ბათომამდი? – ვკითხე ერთს მენავეს, რომელიც თავის ნავს ამზადებდა. ის იყო შუა ტანის კაცი, შავ თვალებით და წვრილის ხელ-ფეხით. თავზე ყაბალახი, ვინრო შალვარი და მოკლე ძიკვა ჩოხა კოხტა და ლაზათიან გურულის სახეს აცხადებდნენ. მოძრაობა ცქვიტი ჰქონდა.

– ოთხ მანეთს და ათ მარჩილს გამოგართმევ, ძიავ.

– არა, ოთხი გვეყოფა-მეთქი, ძიავ! რადგან ვიცოდი გადანყვეტილი ფასი ეგ იყო. მენავე ჩაფიქრდა პატარა ხანს.

– მაშ არ წამიყვანთ ამ ფასად?

– ბაჰლი (დიახ) წეგიყვან, ჰამა (მაგრამ) გურჯი (ქართველი) ქი (რომ) არ იყო, არ წეგიყვანდი იმ ბაჰათ (ფასად). ბეჰი მომეცით.

მივეცი და ჩამოვჯექი იქვე გდებულ ლოდზე, ვუყურებდი ხალხის მოძრაობას. სასიამოვნო სანახავია, როცა ადამიანები შრომობენ, როცა ისინი საქმით გართულნი არიან. იმ დროს ადამიანის სახე წარმოადგენს დაწყნარებულ ტბას, რადგან იმ წამს იმისი ტვინი სხვა აღმაშფოთვარ ფიქრებისაგან თავისუფალია.

ხალხისაგან გამოირჩივნენ იმ დროს ორი კაცი. ერთისა შავი გძელი ჩერქესკა, ვერცხლით შეჭედილი ხმალ-ხანჯალი, ვერ-

ცხლის თეთრი ჯვარი და მაღალი ტანი – ეს ყოველი მეომარს მოასწავებდა, ხოლო მოცინარე სახე, დიდი ცხვირი, ალალი თვალები, დარბაისლური და წყნარი ქცევა ქართველსა.

მეორე პირი პირველისაგან ისე განირჩეოდა, როგორც მამალი ბატისაგან. ის უფალი ნამძინარევი რომ გენახათ, გაგეხარდებოდით, რადგან ღვინის რუმბი გეგონებოდით. ფეხზე მყოფი, ცოცხალი რუმბი იყო დაბალის ტანისა, მუცლის სიგანე ექმნებოდა არშინი და ნახევარი თუ არა, მაინც არა ნაკლებ. კისერი სულ არ ეტყობოდა, ჩასძრომოდა ტანში. ორი თავგების ოდენა უღვაშები ტუჩებს უმაღავდნენ და ფარცხის მგზავსი წარბები ლოკოკინის ოდენა თვალებს. თავზე ეხურა ქალაქური კინტოს მაუდის ქუდი, ტანს ეცვა განიერი შალვარი და მოკლე ჩოხა. ქამარი, რომელიც იყო ერთი ხელის სიბტყე, ღიპში იმალებოდა, ზედ ეკიდა პტყელი უვერცხლო ხანჯალი. ერთი ხელი იმ უფალს მოუშორებლივ ედო ხანჯალზე, მეორე გაცვეთილ და გატენილ აბგაზედ, გეგონებოდა იმას ჰნიშნავდა: „სული, გული, იმედი, ნაშუსი აქ არის და დამცველი ეს ხანჯალიაო!“

– ოჰ, კნიაზჯან, გამარჯობა შენი! საიღამ? სად მიბძანდები? – ჰკითხა მეორემ პირველს.

– უკაცრავად, ბატონო, მე თქვენ ვერ გიცანით! ვინა ბძანდებით? – უპასუხა პირველმა.

– ვა, ვერ მიცანი, ემენიღამ – ხაშურიდგან რომ მოვდიოდით ერთად არ გახსოვსთ, ბორჯომში რომ დავრჩით.

– ააა! გერასიმ, შე ოჯახ ქორო, შენა ხარ?!

– მე ვარ კნიაზჯან, მაშ ვინ იქნება?

– კაცო, რა ვიცი, სულ ვერ გიცანი, სულ გამოცვლილხარ. მაშინ სხვა იყავი და ეხლა სულ სხვა ხარ! სად მიხვალ?

– ბათუმში, იქნება სტამბოლში დავრჩე.

– სტამბოლში რა გინდა? რა დავრჩენია: ომი აღარ არის.

– ვა, გზა ერთი არ არი!

– რას ამბობ, შე ოჯახ ქორო, სად სტამბოლი, სად ბათუმი! ჩვენ ფოთისკენ წავალთ.

– მაშ, ერთად წავიდეთ, კნიაზჯან.

- ბატონი ხარ. შენი ცხენი რალა უყავი, ყვავებს რომ თვალს უშვრებოდა?

- იმან შენი ჭირი ნაილო, კნიაზჯან.

- მუნიანი იყო, მაშ რას იქმოდა.

- რა ქენი, კნიაზჯან, სად იყავი ამ ვოინობის დროსა, მითხარი პოჟოლუსტა? როგორა ხარ? Какие твоє дела? ჰა.

- მე, ძმაო, ცხრა მთის იქით ნავედი, ვიყავ ცხარ ომებში. შენ რომ უკან დარჩი, ცხენი რომ დაგიდგა, მე დავნიანურდი და პირდაპირ ყარსისკენ ნაველი. ყარსის აღების დროსაც იქ ვიყავი. ჯვარი ავიღე, ახლა ტემლაკზე ვარ ნარდგენილი.

- ტო, თქვენ ჩინებზე ამბობთ, მითხარი ფული მოიგე? დენგი ესტ? საქმე ის არის, მე თქვენი ჭირტი, პურტი რათ მინდა?!

- ფულზედ უკაცრაოდ ვარ, ჩემო გერასიმო, შენ ხომ ჩაიჯიბე ბევრი?

- ვა, მაშ! ერთი სოროკო ტისიაჩი გავაშიგნითე; ჩემი თავი პოსტოიანო აბეზპეჩენია ვქენი, მადლობა ღმერთსა, ახლა კარგა ვარ.

- ოჰ, შე ოჯახ ქორო, ეგ საიდგან ჩაიგდე? ნეხვი ხომ არ იყო! ჰხვეტე, თუ როგორ იყო?

- ვა, ნეხვი რათ მინდა, ფული იყო. თვალი მქონდა, დავინახე, ჭკვა მქონდა, მოვიხმარე და სობირათი ვქენი. „ლოსპიტალები მქონდა ადრიადით“. კარგი დროება მქონდა და კარგიც დროება გავატარე, ღლაზნი დოხტორთან ისე ვიყავ, როგორც - მე და შენ. გერასიმ მილდის-გასპარიჩს მეძახდნენ, მემრე გერასიმ ბეგს. ეჰ, რა დრო იყო. რაც ჩვენ შამპანსკი დავლიეთ, ჩემს დღეში იმდენი წყალიც არ მესვა. მაგრამ ერთხელ დიდი შენუხება გავსწიე, ჰამა ხრაბროსტობა ვქენი. სთქვეს რომ თათარი მოდის, არტაჰანი ხელმეორედ უნდა აილოს და უნდა დაგვჭრას თავები, ხუთი საათის გზა ორ საათზე ფეხით გავიარე. ოვ, ასტვან! რა გაჭირება იყო!!!

- შე ოხერო, ეგ იყო შენი ხრაბროსტობა? რას გარბოდი!

- მაშ, ხომ ვერ დავდგებოდი, რომ თათრებს მოვეკალი.

- ჩემმა გამჩენმა გაგატუტუცა. არც კი გრცხვენია, რომ ლაპარაკობ.

- ლოსპოდინ, ნელზაი, სტებე პოეხატ ბატუმი, ჰა? - მობი-  
ბრუნდა მე და მკითხა, რომ სიტყვაც ბანზე ააგდოს და საქმეც  
გაარიგოს და იმ დროს ისე დაიძრა, გეგონებოდათ სავსე რუმბს  
მუშტი დაჰკრესო.

- შეიძლება, რატო არ შეიძლება. მხოლოდ მენავეს უნდა  
მოურიგდეთ, - ვუპასუხე.

- კაპიტანჯან, რა მოგცე, რომ ბათუმში ჩამიყვანო? - ახლა  
ჰკითხა მენავეს.

- ხუთ მანეთად და ათ მარჩილად ნეგიყვან, ძიავ. ისთე ნე-  
გიყვან, რომ სულ არ დაიძრა, - სთქვა მენავემ მაცდურის ღი-  
მილით, და შინჯავდა თავით-ფეხამდე გერასიმსა, თითქოს სწო-  
ნავსო, ჩემი ნავი შეძლებს ამ კაცის ნალებასო.

რადგან სხვა გზა აღარ იყო, უარი ვეღარ უთხრა. გერასიმის  
გარდა კიდევ მოგვემატნენ ორი „ვონენი ოფიცრები“. გასაჭირი  
გახდა გერასიმას ნავში გადმოსვლა.

ჩვენ ნავში ვიყავით, გერასიმი გარედ იყო ჯერ. ერთი ფეხი  
შედგა ნავის კიბეზე, მეორე მშრალზე ჰქონდა. რომ მოინდომა  
გადმოსვლა, ნავმა გადასძლია სულ მშრალისაკენ, გადაბრუნე-  
ბამდის ცოტა დარჩა. ჩვენ ყველას შეგვეშინდა. რომ ხიფათს  
ავცდეთ და გერასიმიც გადმოვიყვანოთ ნავში, ეს ხერხი მოვიხ-  
მარეთ: რაც ვიყავით ჩვენ, ერთიანად გავჩერდით ნავის მეორე  
მხარეს, რომ ნავმა გერასიმის გარდმოსვლის დროს სასწორი მი-  
იღოს. გერასიმაც გადმოვიდა.

- ვა, ეს რა მაღალი კლდეა, - წამოიძახა იმან, როცა ნავში  
შემოვიდა და გამარჯვების ნიშნათ მაღლა აიხედა და დაუმატა,  
ეს ციხე ჩვენი არშაკას ნაშენი იქმნება.

- აქანა ბევრი ამბები მოხდენილა: ამ ყალაში ცხოვრობდა  
ერთი ჩვენი ხონთქარი და იყო იმანსიზი (უსამართლო); ბევრ  
ხარჯს ართმევდა ხალხს. ერთხელ ჩვენებს კუჭი მოუვიდათ და  
ბევრი დელიყანებით მოვიდნენ და ბასხუნი ჰქმნეს, შევიდნენ  
ყალაში და სულ იქიღამ გადმოისროლეს ჩვენი ხონთქარი და  
იმისი კაცები, გვიამბო ოსმანამ - მენავემ.

- ხომ სულ დაიხოცებოდნენ, - გაკვირვებით დაიძახა გერა-  
სიმამ.

- დეიხოცებოდნენ, ია რას იქმოდნენ, - აუხსნა კიდევ ოსმანამ.

- ალო, უკან იყავ, შენ თავის ხმარება არ იცი, აჰა დიდი სარილი (ჭერი). ოსმანამ მისცა თავის ამხანაგს ჭერი.

ჩვენმა ნავმა გაშალა ფთები, თითქოს გასაფრენათ ემზადებო. მიაბეს ოთხი ნიჩაბი და თვითონ მენავეებიც დასხდნენ თავ-თავის ალაგას. ჩვენც ყველანი, როგორც მოხერხდებოდა, მოვთავსდით გაშლილ ნაბდებზე. ჩვენ ოთხნი ერთ მხარეს დავსხედით, გერასიმა მეორე მხარეს, მაგრამ კიდევ ვამჩნევდით, რომ ნავი იმის მხარეს ინევდა.

- რად კანკალობ, გერასიმ? - ჰკითხა კნიაზმა, როცა შეამჩნია, რომ ის შიშით კანკალობდა.

- მე, არაფერს...

- იალლა! - დაიძახეს მენავეებმა. ნავი დაიძრა. ნიჩბები რომ დაჰკრეს, ბროლის მზგავსმა წინწკლებმა იწყეს ტყორცნა ნავის ფერდზე და გაჯავრებულმა ტალღებმა გამოუცხადეს სრული ომი ჩვენს ნავსა. ნავი კი ისარივით აპობდა წყალსა და ტალღების შფოთს ყურადღებას არ აძლევდა. ყველამ პირ-ჯვარი გამოვისახეთ. ტერ-ასტვან! ტერ-ასტვან! დაუმატა გერასიმამ. მენავეები გაშტერებით გვიყურებდნენ. უკვირდათ ჩვენი ხელების ქნევა და გერასიმის ტერ-ასტვანი.

აგერ, დაიმალა ართვინი, და იმას მიჰყვნენ ხიდის-თავი და იმის ახლო არე-მარე. ჯერ ყველას ყურადღება მიიზიდა ბუნებამ, მაგრამ მალე მობეზრდნენ ჩემნი ამხანაგნი, როცა შევევლით ერთი სულის მსუთავ, ვინრო კლდით მოსილ ხეობაში.

- დავაი, კარტი იგრატი, ლოსპოდინ, მოინოდა ბრძოლის ველზე გერასიმამ, როცა მიეჩვია ცოტა ცურაობას.

- დავაიტე, ერთბაშათ დაიძახეს ოფიცრებმა და სიხარულისაგან თვალები აენტოთ.

საჩქაროდ აბგიდამ ამოიღო ერთმა ოფიცრმა დასტა ქალაღდი. იმის სხვილ თითებს სულ არ უხდებოდა ქალაღდის ჭერა. იმას ჰქონდა თავი დიდი და შუბლი ვინრო. მძიმე ქუდი ძლივს იჭერდა ჯგარასავით თმას, იმის ზედა ტანს ება სამ-გირვანქიანი ხელები და არშინ-ნახევრიანი ფეხების თათები. უძილობისაგან

გაშტერებული და წითელი თვალები, ჩაპრიანი სახე მალლა ჰყვიროდნენ, რომ ის დიდი ხანი არ არის, რაც მოშორებულა ღვინის და კარტის საკურთხეველს. მეორე იყო ახალგაზდა, დაბალი ტანისა, მშვიდი და კეთილ-შობილურის სახისა. ყველაფერში ეტყობოდა, რომ ის დიდი ხანი არ არის, რაც მოშორებია სკამსა. ყველაფერში ის ემორჩილებოდა თავის ამხანაგს. მალ-მალე იყურებოდა ეპოლოტებზე და დეზებზე, რომლებიც იყვნენ ძრიელ ახალნი. გაიმართა ბრძოლა. ბრძოლის ველზე ნახევრად მშვიერი და ნახევრად შიშველ-ტიტველ სალდათების მაგიერად გამოვიდნენ „ტუზები“, უსულო ქალები, ხელმწიფეები და ნაჯახიანი სალდათები..... გაიღო ყოვლად შემძლებელის სადგომის კარები, ველი მოიფინა წითელ და ლურჯის ლეშებითა, მე მოვნახე ჩემი მშვიდობიანი კუთხე მენავესთან. ამოვიღე ჩემი სამგზავრო ჩაქმაჯიდამ ქალაღები და ახალ-მოგონილი ქიმიური კალამი. საწერელად მქონდა ჭოროხი. რომ ვანობდი ჭოროხში და ვწერდი, ჩემს ოსმანას უკვირდა.

- გურჯიჯასა სწერ, ძიავ? ჩვენ მოლებს, სულ დიდებსაც არ შეუძლიათ სალთი წყლით წერა, შენ როგორღა სწერ!...

- ეს იმისთანად გაკეთებული კალამია, შიგ ბოიაა (წამალი), რომ წყლით შეიძლებს წერას, ავუხსენი; სადაური ხარ შენ, ძმაო?

- მე მარადიდელი ვარ. ჩვენი ქოვი (სოფელი) ქვეით არის. ჩემმა ბაბოამაც იცოდა გურჯიჯა იაზი (წერა), რაჰმათლოგი (ცხონებული) კარგათ სწერდა.

- შენ არ იცი? არ გისწავლია?

- კი, ბატონო, მუსულმანჯა ვიცი, გურჯიჯა არა. ჩვენ იმისთანა ქითაბი გვაქვს, რომ იმაში სწერია გურჯიჯა სიტყვები თათრულ იაზებით.

- ალო, ყოჩაღათ იყავი, არ მოარტყა ყაიას (კლდე), - უთხრა მეორე მენავეს

ოსმანამ, როცა მიველით ერთ ალაგას, საცა ჭოროხი მრისხანედ რბოდა და აქაფებულის ზვირთებით ზედ ეხლებოდა კლდე-სა.

გერასიმამ თავისი თავი დაივინყა შიშით: არ იცოდა რა ექმნა  
- შეშინებულმა მაგრად მიიხუჭა თვალები.

- შე ოჯახდაქცეულო, რა გაშინებს, - დასცინა კნიაზმა, ჩვენც შენთან არა ვართ?!

გერასიმამ არ გაიგონა. ამისთვის არა სცალოდა.

ერთი-ორი ბურუნი კიდევ გავიარეთ, გამოჩნდნენ სოფლები: ნაჯკა<sup>35</sup> და ონი. ესენი დგანან მაღალ კლდის თავზე და მწვანე ბზის და რალაც წინვის ხეებით იმშვენებენ თავს. ამ სოფლების ცოტა ქვეით ჭოროხს ერთვის პატარა მდინარე - ხატილა, იმის ღელეში, შორსა, სჩანს ძველი ხიდი.

ჩვენ შევედით ერთ ვიწრო ხეობაში. წინ წარმოგვიდგა მშვენიერი სანახავი: ფრიალა კლდეებს და გორაკებს საამურად ამკობდნენ ბზის ხეები, როგორც თავქარიანა „ბარიშნას“ თავს ახალი შლიაპა ყვავილებით და ზოლებით. აქ ყვავილები არ გახლდა: რადგან ზაფხული არ გახლავს, მხოლოდ ზოლების თანამდებობას ასრულებდნენ მთებიდგან ჩამომჩხრიალე პატარა მოკამკამე წყლები, რომლებიც ხმაურობით ჩამორბიან და თავის სავალზე აჩენენ „წყალ-ვარდას“.

ჭოროხიდან ბლომა მანძილზე მთების ფერდები მოკლებული არიან ტყესა, შორს კი სჩანს ლამაზი, ხუჭუჭი, მობიბინე ტყეები.

აგერ, მარჯვნივ გამოჩნდა ლამაზი სოფელი. იმისი ხის ყავარით დახურული სახლები გაფანტულია ერთს ღელის პირზე. ჩვენს მენავეებს რალაც საქმე ჰქონდათ და მისთვის ნავი მი-აყენეს ზმელეთს. ჭოროხის პირიდან იწყობა პატარა მინდორი კლდის ძირამდე, საცა არიან აგურხანები. აკეთებენ მშვენიერ აგურს. წყლის პირზე ისხდნენ ვილაც თათრები, ჩვენმა მენავეებმა ლაპარაკი დაუწყეს. ჩემი ყურადღება მიიზიდეს აქ ორმა ანგელოზის სახის ყმანვილებმა, რომლებიც ისხდნენ ცარიელ ნავებში. ნავები ნაპირზე იყვნენ დაბმულნი. შვიდი წლისანი იქმნებოდნენ. ერთს ეჭირა პატარა ხის გათლილი ნავი და წყალში აცურებდა, მეორეს - ხის პატარა შვილდ-ისარი. მოვინდომე ლაპარაკი იმათთან, გამექცნენ, შეეშინდათ - „ურუსიაო“.



ხმელეთიდგან ერთმა დაიძახა: „ნუ გეშინიანთ, ფარა უნდა მოგცესთ“.

ფარის სახელი რომ გაიგონეს, მოვიდნენ.

- ვისი შვილი ხარ?
- მე ოშმანაში (ოსმანასი).
- შენ?
- მე ალი-ალაში (ალასი).
- შენ რა ჰქვიან? ვერ მიპასუხეს, ვერ გაიგეს.
- შენი ადი რა არისო, გეკითხება, დაეხმარა წინანდელივე

ხმელეთიდგან.

- ჰა?
- ცემი შახელი მუშტაფია.
- შენ?
- ცემი ნურია.
- ეგ რა არის, რომ გიჭირავს?
- იაი-ოხია (შვილდ-ისარი).
- რად გინდა?
- ყუში უნდა მოვკლა ( ფრინველი უნდა მოვკლა).
- ა-ა-ა ყოჩაღებო.

ესენი პატარაობიდგან ივარჯიშებიან შვილდ-ისრის სროლით ეტყობა.

უფროსებში შესანიშნავი იყო ერთი, რომელსაც დარბაისული ქცევა, მაღალი შუბლი, წვეტიანი ცხვირი, მოსწრობილი ლაპარაკი მთიულისა ჰქონდა.

- შენ სადაური ხარ, ძმაო? ვკითხე.
- მე, ბატონო, ამ ქოვიდამ ვარ (ამ სოფლიდგამ). ჩვენი ქოვი ეს სინკოტია,<sup>36</sup> ამ სოფლის ალა ვარ.
- სახელი შენი?
- ოსმან ობრიძე (ვგონებ უნდა იყოს: ორბიძე).
- რამდენი კომლია სინკოტში.
- პატარა ქოვია - იქმნება ორმოცი თუთუნი (კომლი).
- რას თესავთ ამ ყანებში, რა მოგყავს? მიწა მსუქანი უნდა იყოს.
- ჩვენ ლაზუდის მეტს არაფერსა ვთესავთ.

– რათა? მარტო ლაზუდით (სიმინდსა) რა იქმნება, თუთუნი  
– თამბაქო მოიყვანოთ, ყურძენიც კარგი მოვა; ჰხედავთ, სულ  
სავაზო ადგილებია.

– აქნობამდისინ ჩვენი თავისა ჩვენ არ ვიცოდით, კიდეც  
რომ მოგვეყვანა ჩვენ, არ შეგვარჩენდნენ ჩვენი მამურები  
– მოხელეები. ამის იქით, თუ ალლახი შეგვეწვევა, ყველაფერს  
მოვიყვანთ. სინკოტის პირდაპირ მოჩანდა მალლობზე ჭოროხის  
მეორე მხარეს ლამაზი სოფელი.

– იმ სოფელს რაღა ჰქვია?

– ომანი,<sup>37</sup> ბატონო.

– მაშ, ოსმან-ალა, ჩვენ დოსტები ვიყოთ ამას იქით, როცა  
მოხვიდეთ, ჩემთან გამოიარეთ.

– ბატონი ბძანდები, ჰამა შენ უფრო იახინი ხარ (ახლო ხარ)  
ჩემზე – ჯერ შენ მოიტყებ ჩემი ერთი ლუკმა პური და მემრე  
მე მოვალ შენთან.

– დიდის სიამოვნებით, მაგრამ გვეჩქარება. ამოვლაზე, – ბა-  
ტონი ხარ.

– მაშ კარგი. ოსმანას ჩამოვართვი ხელი. პანანა მუსტაფას  
და ნურიას გამოვეთხოვე. ჩვენმა ნავის ნიჩბებმა იწყეს მუშაო-  
ბა.

სანამ ბორჩხას<sup>38</sup> მივიდეს კაცი, ჭოროხის მარჯვენა მხარეს  
ნახავსთ დიდ სოფელს, სადაც ჩამოდის ბოგინის წყალი. ამ წყ-  
ალზედაც არის ძველი ხიდი.

შუადღე დაგავლილი იყო, ჩვენ რომ ვცურავდით ბორჩხის  
წინა. აქ ჭოროხი განიერდება ისე, რომ პატარა ტბას წარმოად-  
გენს. ბორჩხა არტანუჯზე მოზდილი დაბაა. იქმნება სამასი კომ-  
ლი მცხოვრებლები. ლაპარაკობენ ქართულს. ესენიც ლაზებათ  
ითვლებიან. სანაწილოს უფროსად არის მარადიდელი ბეგი – მა-  
მად-ალა. ქართული იცის კარგათა. ყველა ლაპარაკში და ქცევა-  
ში ეტყობა, რომ ძრიელად არ უყვარვართ... აქ დგას გურიის  
დრუჟინა. ბორჩხის ზეიდან ძვეს მულღურის ღელე-ხეობა.<sup>39</sup> ეს  
ხეობა შესდგება ოცდახუთის სოფლისაგან. ესენიც გიჟობენო.  
რო გიჟობენ, კიდევაც ადგილი აქვთ სანყლებს, აქნობამდი არ  
იციან, ჩვენები არიან, თუ თათრისა. იქიდან თათრები ანუხებენ,  
აქედგან – ჩვენ...

ბორჩხის პირდაპირ აღმოსავლეთისკენ სჩანს ლამაზი დიდი სოფელი (ვგონებ) ლამაშენი. აქ ყოფილა პატარა კოშკი, რომლის ნაშთი ახლაც არის. ბორჩხა ძვეს ფერდობა ადგილას. აქვს საამური გრილი და სალი ჰავა. აქ აკეთებენ მშვენიერ ქვევრებს; მსურველს შეუძლია დაიბაროს. ადგილობრივ ღირს ხუთ ყურუშათ, მოტანა ეღირება ათ მანეთად. ბორჩხა თავის მაზრის საბაზრო ადგილია. პარასკევობით გროვდებიან ჭოროხის გაღმა, მინდორ ალაგას სოფლის ხალხი და დიდი ალებ-მიცემა იმართება - სიმინდისა, ქალამნისა და ქოთან-ქვევრებისა...

მზე ჯერ არ იყო მიმალული მთების ქოჩრებში, რომ ჩვენი ნავი მიაღვა მარადიდს. ნავი მიაცურეს ბუნებით ნაკეთ ნავსადგურში. მაშინვე გაჩნდა მეყავე, რომელმაც მიგვიჩვია თავის ყავახანაში, რომელიც შეადგენს იქაურს სასტუმროს.

- იმისთანა ოთახი მაქვს, იმისთანა ოდა და ისეთს ცეცხლს დაგინთობ, ბატონო, რომე გიამებათ. ლაზათიანათ გვიქო იმერულის მაცთურობით მეყავემ თავისი ოდა.

ოთახი ვიშოვნეთ, მაგრამ გაჭირება გერასიმას გადმოყვანაზე დაგვადგა. აქაც წინანდელი ხერხი მოვიხმარეთ. მიველით ყავახანაში, მოგვცეს პატარა ოთახი, რომლის მესამედი ადგილი გერასიმამ დაიპყრა. ყავახანა წყალზედ დგას, ისე რომ იატაკს შუა ადგილებიდან წყალი ცხადათა სჩანდა. ამისი მურიანი ჭერი ცხადათ გვეუბნებოდა, რომ აქ აქაურებს მრავალჯერ უქეიფნიათ ჩიბუხის ბორანით და ყალიონის ხრუტუნით. კიდევ დრო იყო იმდენი, რომ მე და ჩვენმა კნიაზმა შევიძელით მარადიდის გადათვარიელება. პატარა დაბაა მარადიდი, მდებარეობს მინდორ ალაგას. ამისთანა ვაკე მინდორი ძალიან ძვირი სანახავია. ბორჩხის და მარადიდის შუა ჭოროხის მარჯვენა მხარეს მოზდილი სოფელია - ხება.<sup>40</sup> ხებას მდებარეობაც არ არის ურიგო - ძვეს ერთს ღელის პირს. აქვს პატარა ბაზარი. მცხოვრებლები ლაპარაკობენ სუფთა ქართულს. სიმინდის მოყვანის გარდა ისინი ვაჭრობენ, მისდევენ მენაობას, თვითონაც მშვიდი ხალხნი არიან. აქ დგას ერთი როტა სალდათი. ხებაში ვნახე ორი ჩვენი ახალციხელი ქართველი - ცოლ-მვილიანი, რომლებიც შესარცხვენად სხვის ნამუსით ფულს იგებენ! ახ, აფსუს! აი, ამისთანა

აბდალები და უსინდისოები გვიტყეხენ სახელს, აი! აბა ამისთანა უიმისოთაც უჯერო ხალხში, რაღა მაგისტანა ნათლი-დედებით სიარული გვინდა! აქაურები ტყუილად კი არ ამბობენ: თათრის ჯარისკაცი, რომ მოვიდოდა, გვეტყოდა: „გამარჯობა, პური გაქვთ?“ თქვენები რომ მოვიდნენ, პირველ ნახვაში გვეუბნებიან: „ზდრასტი, მატუშკა ესტ?...“

მოვბრუნდეთ მარადიდში. მარადადს აქვს პატარა მშვენიერი ბაზარი, ბაზრის შუა მოედანია. ამ ოთხკუთხიან მოედნის ერთი მხარე უჭირავს მეჩითსა, წინ ლამაზი წყაროა. მარადიდში ორი სახლია, სამ-სამ სართულიანი, რომელნიც ეკუთვნიან აქაურ აღას. დანარჩენი შენობები ხისაა. სოფლის გარშემო კარგა მანძილზე ნასაქმარია, ნამუშავარი. ეს იმას ამტკიცებს, რომ აქ შრომის ხალხი ცხოვრობს. მარადიდი შესდგება, ვგონებ, ოცდაათის სოფლისაგან. სოფლები იმისთანა მაღლობებში დგანან, რომ კაცს იქიდამ გამოხედვა შეეშინდება. მარადიდელები მისდევენ, რამდენადაც ადგილი ნებას აძლევს, მეურნეობას, მოჰყავთ სიმინდი, ლობიო და სხვა ბოსტნეული. მარადიდელი დალიყანი (ვაჟ-კაცი) მოგეწონებათ. გამოცდილი მენავე - მარადიდელია, ეს ნიჩბითი შრომა იმათში ზდის ღონიერ ვაჟკაცებს და შრომა, ხომ ვიცით, ხალხს აკეთილშობილებს. მარადიდელები არც ამას არიან მოკლებულნი. თუმცა ერთი მტკაველი ყმანვილიც იმათში იარაღით დაიარება, მაგრამ ესენი საშიშარები არ არიან. ამ იარაღით ისინი იფარვენ თავიანთ თავებსა. ესენი ერთი ლუკმა პურის საშოვნელათ მიდიან შორს და სიღარიბესა სწევენ. მარადიდი ორია: ქვეშა მარადიდი<sup>41</sup> და ზედა მარადიდი.<sup>42</sup> პირველი მეორეზე ოთხის ვერსტით შორს არის. ქვეშა მარადიდში აკეთებენ ჭოროხზე სასიარულო ნავებს.

დალამდა. როგორც უზრუნველ მგზავრებს თან საჭმელი არაფერი არ მოგვეტანა. მივმართეთ მეყავახანეს. დიახ, იმანაც მოგვიტანა პური და ყაურმა (მოხრაკული ძველი ხორცი). ერთ გირვანქა ყაურმაში სამი აბაზი გამოგვართვეს, ერთი ახლად დაბადებულის ყმანვილის ოდენა პურში - ორი შაური საღვარათ. აქ ფული არის საღ-ფარა და ჩურუქ-ფარა. ჩურუქ-ფარა ოსმალოს ფულია და ორი ყურუში ერთ აბაზათ გადის, საღ-ფარა

ჩვენი ფარაა. ყველაზე მომეტებულად ეს ამბავი ეუარა გერასიმს, მაგრამ რა გაენყობოდა, ყველაზე დიდი მუცელიც მასა ჰქონდა... ანგელოზმა ჩამოიარა – დავენქით დასაძინებლად, მაგრამ თქვენმა მტერმა დაიძინოს ისე, როგორც იმ ღამეს ჩვენ დავიძინეთ. მეორე ოთახში მარადიდელმა დალიყანებმა დაინყეს ქალაქის და ყომარის თამაშობა და გათენებამდის არ გაუთავებთ. ყომარში ხმარობდნენ ოთხ კუთხიან ტყვიის კოჭებს. ყველას წინ ეწყო თითო დასტა ადგილის ჩურჩხელა და იმაზე თამაშობდნენ. როგორღაც ღამეც ისე გაგძელდა, რომ ბედი გვანყვევლინა. გათენება ახლო იყო. ავდეგი და გამოვედი გარედ. მენავეების ბანაკში ცეცხლი ბჟუტავდა. ჩემი უძილობისაგან დაქანცული თავი იქითკენ გავაქანე. მშვენიერი და გრილი ღამე იყო. არე-მარეს მშვიდათ ეძინა. ჭოროხი თავის ტკბილ ნანას უბნობდა და უთვალავი ვარსკვლავი მშვენიერად იხატებოდნენ წყალში. მენავეებში მოძრაობა იყო. ისინი ამზადებდნენ ხვალის საგზალს. ბევრ ხანს ვიდეგი და ვუყურებდი – ერთი ჭალარათმიანი კაცი მჭადს აცხოვდა, გაჩაღებულ ცეცხლზედ ხურდებოდა თიხის მთვარის მგზავსი კეცი. იმან მოზილა ხის ვარცლში მჭადის ცომი, გადმოაბრუნა კეცი, განმინდა, ხორცის ფერად გახურებულს კეცზე გადმოიღო ცომი, გაასწორა და დააფარა ფურცლები და ზედ მოაყარა ცეცხლის ლადარი – გამოსაცხობათ მზად იყო. ზოგან ქოთნებით ლობიო იხარშებოდა და ზოგანაც ცხელ მჭადს შეექცეოდნენ. მეც მომანოდეს: „მიირთვი, ძიავ, ჩვენებური მჭადი.“ უარი არ ვუთხარი – რომ არ ეწყინოსთ. ის მჭადი იმ დროს კარგ შაქრის პურად მეჩვენა. ბევრს ამათვანსაც ეტყობოდა ყომარი უთამაშნიათ, რომ მალ-მალე ამთქნარებდნენ უძილობისაგან. ესენი მუცლის დიდი პატივისმცემელნი არ არიან. როგორც ამისთანა ალაგას, ისე სახლში ბევრი საჭმელი არ აქვთ – მჭადი, ლობიო, ზოგჯერ გარეული ფრინველი, ზოგჯერაც ხორცი შეადგენს ამათ საჭმელს.

– ჰასანა, ერთი გაირბინე ყავახანაში და სულეიმანას უთხარი, ჩიბუხი და თუთუნი გამომიგზავნოს, – უთხრა მოხუცებულმა მასთან ახლო მწოლარე ყმანვილს. ის იქმნებოდა თოთხმეტის წლისა ქალურის სახით. ჰასანა რომ არ დაეძახა, მე ქალი მეგონა...

– პაპუა, მე ვერ ნავალ, ნუსხები აქანა არა მაქვს, მეშინია, – უპასუხა ყმანვილმა. მოხუცებული დაჰსჯერდა. ცრუ-მორწმუნებას აქ განიერად აქვს ფეხები გაშლილი; ჭინკების და ეშმაკების არსებობა ბნელ და უპატრონო ადგილებში ამათთვის დარწმუნებით დამტკიცებული. ამისთანებისაგან დასაფარველად მოლლები აძლევენ ნუსხებს – თილისმებს. მინახავს შიგ ნუსხაში პატარა ქალაღია, ზედ რალაც ყორანის სიტყვები სწერია. ამ ქალაღს ინახვენ სამკუთხედ დაკეცილ ჩვარში და იკერებენ ზურგზედ...

ჩემს ბედზე ამჯერად ვერც დღისით გადავრჩი ქალაღის მოთამაშეებს და ვერც ღამეს. მოველი ჩვენს ბინაში. ჩემ ამხანაგების ხვრენამ ისე წამახალისა, რომ მეც ნაწილი – დილის ტკბილმა ძილმა შემიპყრა.

მეორე დღეს საქმე ისე ჭანდრაკულად ნავიდა, რომ იმ დღეს მარადიდიდამ გამოსვლა ჩემის ამხანაგებისათვის შეუძლებელი იყო. მე ჟამით და შემთხვევით ვისარგებლე, მივატოვე ჩემი ამხანაგები დროებით მარადიდში და დავჯექი მიმავალ ცარიელ ნავში, ნაველი მაჭახელის-პირას,<sup>43</sup> საცა მეგულეობდა ერთი ჩემი მეგობართაგანი, რომელთანაც ერთად ჯამის ძირი ბევრჯერ გვილოკნია.

მაჭახელის-პირას მისვლამდი შემხვდა საზარელი სურათი: ბათუმიდგან ართვინამდის აკეთებენ გზებსა. რასაკვირველია წინ ხვდებათ ბევრი კლდოვანი ადგილები, ამ ადგილებს აპობენ ლალუმითა. ჩვენ მივცურდით იმისთანა ალაგას, საცა მუშაობდნენ და რკინის ნალენის ხმა გარკვევით მოდიოდა. უეცრად ერთ ალაგას იფეთქა ლალუმმა და თითქმის თან ჰაერში აიტანა უშველებელი მინის ღრუბელი და თან კაციცა. ნავი გავაჩერებინე. სანამ ავიდოდით იმ ადგილას, საცა ეს მოხდა, იმ კაცმა გაათავა ამ ქვეყნისა – უგრძნოდ იდო გზის პირას მწვანე კორდზე. საბრალო აზრუმის მხარის ბერძენთაგანი იყო. იმისი დამსხვრეული და სისხლიანი სახე ბევრ ხანს იყო ჩემს გონებაში ჩარჩენილი. შელონებულმა ამხანაგებმა არ იცოდნენ რა ექმნათ. რუსის ადათით ვგონებ არ შეიძლებაო დამარხვა. მოვასწავლეთ ნასვლა სანაწილო უფროსთან, რომ გამოერთვათ სამგზავრო

ბილეთი - საიქიოს მაინც თავისუფლად წასულიყო. რამდენად ათასფერია დაბალი ხალხის გაჭირება?! ერთი ლუკმა პურისათვის ერთი თვის სავალზე ფეხით მოდიან და აი, სად კვდებიან! მაგრამ ეს აჭარღებისთვის და მაჭახელებისთვის არ ითქმის. მთელი გზა გავიარეთ, ერთი აჭარელი და მაჭახელი არ იყო მუშების რიცხვში. თათრები, სომხები და ბერძნები მუშაობენ სულა. ამათ როდის უნდა გაიგონ შრომის მნიშვნელობა? მაჭახის თოფი, მჭადი და ძველი ხის ქოხი იმათთვის წმიდა საგნათ არის მიჩნეული...

რამთონიმე მისახვევ-მოსახვევი კიდევ გავიარე და მივედიტ მაჭახელის წყალთან, რომელიც ერთვის ჭოროხს; იმის ღრმა ხეობაში გამოჩნდა პატარა კოშკის ნაშთი და აქედ რაღაც კედელი.

- ეს რა კედელია, რომ სჩანს, - ვკითხე მენავეს.

- აქანა ძველი ქოფრი (ხიდი) იყო და წყალმა წეილო. აგერ ზევით რო სჩანს იქაც ყალა ყოფილა. შიგ ბევრი ჭინკებია.

- ჭინკა რა არის?

- ჭინკა - ეშმაკია.

- მერე შენ რა იცი, რომ მანდ ეშმაკებია?

- ვიცი, ბატონო, ერთხელ ერთი იოლჩი (მგზავრი) მიდიოდა თავის ქოვში. ღამე იყო. მაგიარ (თურმე) იქანა დახვდენოდნენ ჭინკები, ასტფრულა! შეეყვანათ იმ ყალაში და მთელი ღამე ეცეკვებინათ და ამას ეუბნებოდნენ:

„შენისთანა გვიანა მგზავრს

ასე ატიკტიკებენო!“

მაგიარ, იმათ ქორნილი ჰქონიათ და ყუიმასს (ხავინს) აკეთებდნენ, ედგათ ოჯახზე დიდი ცარიელა ყაზანი. ყოველა თითებს ჰყოფდნენ იმაში და იძახდნენო: ვინც არა სთქვას, იმისი ბარაქა აქანა იყოს, მაინც არა სთქვას, იმისი ბარაქა აქანა იყოს! ყაზანი იავაშ-იავაშ (ნელ-ნელა) ივსება და თითონ იოლჩიც უნდა შიგ ჩაეგდოთო, მაგრამ იმას რომ ალლახი არ ეხსენებინა, ის ახლაც მოხარშული იქმნებოდა. ალლახი რომ გაეგონათ, ბითუნ (სულ) გაქცეულიყვნენ იგი ჭინკები.

მივედით მაჭახელის-პირას. მაჭახელის-პირი პატარა სოფელია. დგას ჭოროხის პირას გაშლილ მინდორზე და მთის ფერდობაზე. მთელი სოფელი შესდგება რამთონიმე ხის ქოხებისაგან, ერთმანეთზე შორი-შორს, და ორიც დიდი სახლისაგან. ერთში თავსდება იქაური სანანილოს სამმართველო, მეორეში – ადგილის ბეგი. სანანილო უფროსი შინ არ იყო, ცოლ-შვილი წაეყვანა ბათუმში; იმის თარჯიმანსაც შესაფარი ადგილი ბათუმში მოეძებნა... დამხვდა იგი, ვინც საჭირო იყო ჩემთვის.

მაჭახელის სატახტო ქალაქის გარეშემო ცოტა მანძილს ნახავთ შემუშავებულს. დანარჩენი ადგილები ხელუხლებელია. იმისთანა ადგილებიც არის, რომ ჯერ ბუნების ბეჭედს იქ კაცობრიობის ხელი არ შეჰხებია. მაჭახელები არიან მარდები და ლამაზნი. იარალი თითქო იმათის ტანის ერთი რამ ბუნებითი კუთვნილებაა... მაჭახელი მშვიერი დარჩება, თავს მოიკლავს, მაგრამ იარალს ვერ მოიშორებს. შურის და სისხლის ძიება ამათთვის წმიდა საქმეა. მაჭახელების საზრდოს წყარო – მტაცებლობაა, დავლაა... ჩემი მასპინძელი დამხვდა მშვიერის მუცლით და მხიარულის გაშლილის გულით. თურმე არათუ ხორცს და სხვა ხორაგეულს, წარმოიდგინეთ, პურსაც ვერ შოულობენ. იმათ დღიურ საზრდოთ მჭადი და ჩაი გახდომიათ. აზნაური მჭადს არა სჭამს, მოშივდება, ყინულსაც შესჭამსო! აბა, ასეა ჩვენი სოფელი. ახლა ის შემთხვევა იყო, რომ სტუმარს მასპინძლისათვის უნდა პატივი ეცა, მაგრამ ყვავს რა ჰქონდა, კაჭკაჭისათვის რომ მიეცა. მაინც რა გვიშავდა? როცა გაშლილი გულია, იქ ყველაფერი ადვილია. იმას გარდა, რომ დამხვდა ამისთანა უდაბნოში თბილი ოთახი, კარგი ვახშამი და ქართული გაშლილი გული, ქართლის ჩურჩხელამაც არ დამტოვა უნანილოდ.

მშვენიერი დილა სცოდნია მაჭახელის-პირს. მზემ ამოჰყო თავი. თეთრი ნისლი ჯერ არ მოშორებოდა მთების ხუჭუჭ, ტყიან თავებს. ჭოროხი უფრო ჩქარა მირბოდა, რადგან სიცივეს მოეჭირა; მცივარა ჩინოვნიკივით ეჩქარებოდა სასამართლოსკენ. მზის ამოსვლაზე ნისლი გაქრა, როგორც კეთილის დანახვაზე ბოროტი. მთების კალთები მწვანით მოსილნი შვენების კვალს აჩენდნენ. ეტყობა ზაფხულში აქ სუფევა უნდა იყოს. ჩვენმა ნავმა ჩამოიარა. მეც ჩავჯექ და შევუდეგით ცურვას.



ჯერ შვიდი ვერსტი არ გვექნებოდა გავლილი, რომ მივცვლიყავით აჭარისწყალზე; აქ იწყობა აჭარა. აჭარის წყალი პატარა მდინარეა. ის დღეს მონმედილი მორბოდა, მაგრამ თუ წვიმიანობაა, მაშინ გაგიჟდება და გავლა გაძნელდება ხოლმე. ნავმა მიგვაცურა ერთ ალაგას, საცა ჭოროხმა ძრიელ გავგაქანა. აქ არა თუ გერასიმას, ჩვენ ყველას შეგვეშინდა. ზვირთები, მონადირესაგან შეშინებულ შველისავით, დახტოდნენ. ცოტა ჩავიარეთ, შეგვხვდა სხვა ნავი ქვევიდგან მომავალი. ექვსი კაცი, წელამდი ტიტველები, თოკებით ეწეოდნენ ნავს, გეგონებოდათ ვინმე ცოდვილი მიჰყავთ საიქიოსო. შიგ იჯდა ვილაც ბატონი, რომელიც აღმოჩნდა უფროსის აფიცრის ნაცნობი.

– ბათუმში რა ამბავია? – ჰკითხა აფიცარმა და გააჩერა ქალაქის თამაშობა.

– სანუგეშო არაფერი. მხოლოდ აჭარის აჯანყებაზე ლაპარაკობენ. მგონ... მენავეებმა ველარ გააჩერეს ჩვენი ნავი. გამოემშვიდობნენ და გავცურდით.

დიდის წვალებას და საცოდობას ჰსწევენ საბრალო მენავეები. აქედამ კი ქეიფით მიდიან, მაგრამ იქიდან ამოსვლა ვაი-ვა-გლახია. ექვს კაცს ძლივს ამოჰყავთ, ისიც წევა-წევიტ.

ქალაქის თამაშობა ნავში დღესაც გაჩაღდა და ისე გაცხარდა, რომ კაცი ცხადად ამოიკითხავდა ყველას შუბლზე, თუ ვის წაეგო და ვის მოეგო. ერთს მოეგო, უხაროდა, მეორეს წაეგო, ცეცხლი ეკიდებოდა და ცხარობდა ცეცხლით სავსე სამოვარისავით, მესამეს არც უხაროდა და არც სწყინდა – არც მოეგო, არც წაეგო. წითელი, ლურჯი და ყომრალი ქალაქდებით გაჭრელდა მოედანი. მენავეებმა რომ დაინახეს, თვალები აენტოთ. ერთმა ვერ მოითმინა და დაიძახა: ოჰ, ამთონი ფარა რომ მქონდეს, ჩემს ოლლუშალს ეყოფაო.

– თქვენი ხონთქარი თუ ასე ზენგინია, დაჰა ამთონი ხარჯი რათ უნდა გადაგვახდევინოს, – სთქვა ოსმანამ, მამურები რომ ასთე ზენგინები არიან, თვითონ უფრო ზენგინი იქმნება, დაჰა რად უნდა?

– რა ხარჯი, ძმაო? ბევრი ხარჯი არ გადაგხდებათ. რაც თქვენის ხონთქარის დროს იხდიდით, იმასაც ახლა გადიხდით, მეტს არა. იმიტომ ატეხილან აჭარელები?

- ეჰ, ბატონო, ონდან ნაჩი-ხარ! (იქიდგან რა გამოვა) ქი ატეხილან! ჩვენმა ხონთქარმა ურუსს ვერა უყო, მაგათ, ია ჩვენ რა უნდა უყოთ. ჰამა კარგს საქმეს არ გვიშვრებით!!

- რა საქმეს გიშვრებიან?

- ნაბილემ (რა ვიცი), ეს გობრუგიო, ეს ისაო. ელა (ისე) არ ნამოვალთ, რომ ჩვენი ყაილები არ გამოჩხრიკონ. ისიც მოიგონეს - ქალების აღნერაი. ჩვენი მოლლები ამბობენ, ქი ჰალა დას-წერენო; ეიდა, მემრე ბუთუნ (სულ) ურუსეთში ნაიყვანენ და იმათ მაგიერად ურუსულ მათუშკებს გამოგვიგზავნიან, როგორც ყაზანის შაარშიო ქნეს. ხარჯსაც ბევრს გადაგახდევინებენო. არ ვიციოთ, ვალაჰა, ჩვენი საქმე როგორ იქნება!!

- ეგ ყველა მოგონებული ამბებია-მეთქი...

- ოსმანა, თავი დაიკავე, ჩაღლაშია (ზვირთებიაო), - დაიძახა მეორე თავიდგან მენავემ, - ნუ ლაპარაკობ.

აბა მობძანდით და ესენი გაამტყუნეთ! ჯერ ისინი ჩვენ არ გვიცნობენ და ჩვენ იმათ, და ქამანდს კი ვისვრით...

შევამჩნიეთ, რომ ბათუმს მივუახლოვდით. მთები აქ უფრო მდაბლობი არიან. ვინრო ხეობა გათავდა. წინ გაგვეშალა კახა-ბერის მინდრები, რომელიც საამოდ მოფენილნი არიან მთების ძირებში. აქ ცხოვრობენ ქურთები. ესენი მისდევენ სიმინდის მოყვანას და ცხოვრობენ პანანინა ხის სახლებში. ქურთისაგან ამთონი მარიფათი! ღმერთმან იცის, ესეც მეტია...

აგერ გამოჩნდა ზღვა - ძლიერი სტიქიონი. ზღვის ნახვის სურვილი ჩამივარდა გულში იმ ტკბილ-მოსაგონის დღიდან, როცა ჩვენმა მასწავლებელმა აგვისხნა პირველად ზღვის ვითარება, მისი ძლიერება და როცა პირველად გავიგონე, რომ ჩვენი მტუტე-მწარე ცხოვრება ზღვას ემგზავსება!... დიახ, მინახავს ჩვენის ცხოვრების ზღვა, მაგრამ ზღვა - ინგლისის ნავებით - არ მენახა. დიახ, მენახა, რომ ჩვენის ცხოვრების ზღვაში ბოროტი კაცები ბოროტით დატვირთულ ნავითა დაიარებიან და არ ილუპებიან, მაგრამ ნავი, - საზღვარგარეთის საქონელით და ადამიანებით სავსე, ჩემს თვალებს არ ენახა. მენახა, რომ ჩვენის ცხოვრების ზღვაში - ზვირთებში „წვრილი“ ადამიანები ჩალასავით ტოკიალობენ, კი მენახა, რომ დაცურავენ ქონდრის

კაცები თავიანთ არ-სანდო ნაგებობით, რომლებსაც განსაცდელი სულ მუდამ თავს დასტრიალებს, მაგრამ პატარა მარადიდში გაკეთებულის ნავით ზღვის ტალღებში სიარული არ მენახა!... მადლობა ღმერთსა, მეც ვნახე. თუ არ მოვკვდით ჯერ, ბევრ რასმეს ვნახავთ!...

უფრო და უფრო მივუახლოვდით, უეცრად თვალთსახედი გაიშალა და წინ გაგვეშალა ზურმუხტის ფერი ხალიჩა – ზღვა. მე, როგორც ზღვის უნახავმა, ჩემი ყურადღება მივაქციე ზღვას და იმის ყოველს მოძრაობას თვალს ვადევნებდი.

– იამან, მიშველეთ! – უეცრად დაიყვირა გერასიმამ, – მე ამ ოკეიალში ვერ შემოვალ! მეში...ნი...ან! ვა, ეს რამოდენა ყოფილა, ჩვენ გუმანში მენახა, ასე დიდი როდი იყო! მე ფეხით წავალ... თუმანი და ათი შაური რომ მომცეთ, მე ვერ შემოვალ...

– ფეხით არ წაისვლება გერასიმ ფარსადანიჩი, თორმეტი ვერსია, ათი მანეთი და ათი შაურიც რომ მისცეთ, ცხენს ვერ იშოვნით.

– მაშ რა ვქნა? ჰა? ტერ ასტუან!

– რა უნდა ჰქმნა, აგერ მივდივართ...

– არა, არა! მოდით, თვალები ამიხვიეთ: იქნება რომ არ დავინახო, მაშინ არ შემეშინდეს, ჰა?

ჩვენც ის გვინდოდა. კნიაზმა მარდად მოიხსნა თავისი მაუდის ყაბალახი და მაგრად შეუხვია გერასიმას თვალები.

ჩვენმა ხარხარმა ერთი დიდი ფრინველების გუნდი დააფთხო. ზღვის შესავალში ჭოროხი განიერდება. მარჯვენა მხარეს იშლება გძელი მინდორი, რომელიც მოკლებულია ტყეს, მხოლოდ ნაბუჩქნარებია ზოგან. ზღვა ჯერ ჩვენ ნავს არ კადრულობდა – რამდენჯერაც მენავეები იერიშით მივიდნენ, ტალღამ უკან მოაბრუნა ნავი. ბოლოს იერიში ძლიერი და საერთო იყო, ტალღებმა თავი მოიხარეს და გზა მიჰსცეს ჩვენს პატარა და გამბედავს ნავსა. შევედით ზღვაში. როგორც ბურთი, ისე აქანეს და ათამაშეს ტალღებმა ჩვენი ნავი.

კარგა ხანს ვიარეთ ზღვაში. ჯერ გავიარეთ ჩერქეზების სოფლის წინ. ვიარეთ ცოტა კიდევ და მიველით ქალაქში. მივადექით ზღვის კიდეს და რომ გადავხდით ხმელეთზედ, მაშინ თავისუ-

ფლად ამოვისუნთქეთ. რასაკვირველია, გერასიმას გადმოყვანა-ზედ თავის წესი ავასრულებთ.

ყველამ თავისი ბუნაგი მონახეს. მე კიდევ დამხვდა ქართული გაჩაღებული ბუხარი და ქართული კეთილი გული.

ბათუმი მოსანონი ქალაქია. განათლებულ ნაწილში ნახავთ სწორე ქუჩებს, სამ-ოთხ სართულიან სახლებს და ყველა ქუჩის თავზე გოსტინიცას – სასტუმროს. ის სამიტიკნოები, რომლებსაც ბევრს ნახავთ ჩვენს სატახტო ქალაქებში, რომლების კარების ზეიდად ფიცარზე ჰხატვია შემწვარი ქათამი – ფეხები ზევით აშვერილი და ზედ ჩანგალი დარჭობილი, საცა ჭუჭყიანი ტაბლები და კიბეები გულს აგირევს – აქ გასტინიცად არიან ნოდებულნი და მით ამართლებენ თავიანთ მნიშვნელობას, რომ ქათმის და ბოთლის მაგიერად შუბლზე აწერია „гАСТИНИЦА СНОМЕРОМЪ“... ძველი ნაწილი წარმოადგენს თათრულს ტალახიან მიგრეხილ-მოგრეხილ ქუჩებიან ქალაქსა.

ხალხის მოძრაობა, ვაჭრობა საკმარისია. ჯერ ბათუმი ყრმაა. მომავალში, იმედია, გაიზდება და ოდესსას დაემსგავსება. ვრცელი მინდორი კახაბერამდე ნებას მისცემს მას რამდენიც უნდოდეს ფეხები გაიჭიმოს. წინ ზღვა, უკან მწკრივი აჭარის მთები ლამაზს სანახავად ხდიან ბათუმს.

ბათუმი პორტო-ფრანკოა,<sup>44</sup> ესე იგი, იმისთანა ქალაქია, საცა „უფატენტოდ“ ყველა მთავრობის ნავს და ხალხს უფლება აქვს თავისუფლად შევიდეს... მაგრამ ეს ნოდება მარტო ტამოჟნაშია დამკვიდრებული, ქალაქამდე არ მიუხწევია, თუმცა არ ვიცი კი, რა შემთხვევით, შეპარულა იქაურ გოსტინიცებში. გოსტინიცებში სუფევა და უფლება მისი კურთხეული არს! ამ პორტო-ფრანკოებში ყველა კაცი შემოდის: მთვრალი, ფხიზელი, ავი, კარგი, ქურდი, როსკიპი და პატიოსანი. თავისუფლობა და დაუდევნელობა სრულია. თუ გინდა პერანგა იარე – ხმის გამცემი არავინაა. აი, მიყვარს ამისთანა ადგილი! თუმცა ოთხ-კედელ შუა ხარ, მაგრამ მაინც თავისუფლად ჰსუნთქავ?!  
 მეტადრე „გოსტინიცა“ როსსიაში (მგონია) სუფევა! მეჩანგე-ქალები, როგორც ანდამატი, ისე იზიდაემენ ხალხს თავიანთის სტვირებით – ჭიანურებით, სირინოზის ხმით და ყუყუნა თვა-

ლებით რამდენს ჩვილ გულს ააოხრებენ და რამდენ ცარიელა ჯიბებს ცოცხს უსმენ!!. წარმოიდგინეთ, კურთხეული ქვრივის სიმღერა ავსტრიელ ქალებამდი მიხნევნილა, ისინი რო დაიძახებენ: „კვრივი მიკვარს, კვრივი მე, კვრივის, იმის სულის ჩირიმე“, ან „მიყვარს კვრივის კიჩები, ნეტავ, რას მეპრანჩები“, უნებურად რაც ქვრივებია, შეგიყვარდებათ!.. ამ „ვოინობის“ დროს ქვრივები გაიფდნენ, მაგრამ იმათი ხსენება და ფასი არ გაიფდა. ნუთუ რუსთველის სიტყვები: „რა კი ტურფა გაიფდეს არა ღირდეს-არა ჩირად“ – არ უნდა გამართლდეს?...

მეორე დღეს გაავდარდა. ბათუმს ნაღვლიანი ფერი დაედო. ქარი, წვიმა, ტალახი, ადამიანები ერთმანეთში აირივნენ. ზღვამ ხმელეთს ომი გამოუცხადა, გაჩნდა საშინელი ღელვა. გუშინდელი წყნარი, დინჯი ზღვა დღეს გაბრაზებული აქაფდა, საშინელის ხუილით და გრიალით, როგორც მახეში ჩავარდნილი ლომი, ეცემოდა კიდეებს. გეგონებოდათ, ამდონი საუკუნოების მტყვეობით მობეზრებულა და განთავისუფლებას თხოულობსო. იმისი ტალღები, მთასავით ზე-აღმართული, მორბოდნენ რისხვით და ჭექა-ქუხილით, მაგრამ რა კი ხმელეთს მოაწყდებოდნენ, რადგან ერთმანეთს არ ეთანახმებოდნენ, მორბოდნენ ცალ-ცალკე, ამიტომ მუდამ მარცხი მოჰსდიოდათ, მოჰსდით და მოუვათ კიდეცა...

ბათუმში ჩავარდა ვალვალა. ჯერ მიიღეს ტელეგრამა, რომ „რიონი“ – ცეცხლის გემი გამოვიდა ფოთიდან. უცადეს დანიშნულ დრომდე – არ გაჩნდა; მოახლოვდა საღამო – არ არის „რიონი!“ არც „რიონი“ და არც იმისი ნატეხი! ყველას მიეცა შიში. საქმე იქნობამდი მივიდა, რომ ბევრმა შენდობა შეუთვალეს ორას კაცს, ბევრმაც გამოიტირა ნათესავები, და ბევრმაც საქონელი. საეშმაკოდ, ტელეგრაფიც წახდა. ტვინშემკრთალი კაცები შეხვდებოდნენ თუ არა ერთმანეთს, თვალებს აჭყეტდნენ და გამარჯვების მაგიერად – „რიონი“ მოვიდა?! ეკითხებოდნენ. აგერ ტელეგრაფისტი, რომელიც ამისთანა გაჭირებაში უნდა გამოგვადგეს, დღეს განზე დადის და ამისთანა ვაების დღეს ყველას ანუგეშებს სიტყვებით – „Повреждение“. სხვა რას იტყვიან, როცა მცირედ გაავდრდება თუ არა, ტელეგრაფის

სუსტი ბოძები იწყობენ ტალახებში გორვას, როგორც რუსეთის მთვრალი მუჟიკები.....

მართლა, ჩვენში განა იმისთანა საქმე არის, რომელიც არ ჰყარდეს! ან დაიბადება იმისთანა საქმე, რომ მოლლა-მასრა-დინას ვირისავით კუდ-მოჭრილი არ იყოს?!... არა, სანამ ჩვენში არის საკუთარის ჯიბის თაყვანისცემა, ან სანამ იმისთანა „მოდა“ არ შემოვა, რომ ტანისამოსზე „ჯიბე“ არ ეკეროს, მანამ ასეთ ვიქმნებით, როგორც ვყოფილვართ.

ეჰ, ამას თავი დავანებოთ, რა ჩვენი საქმეა, ჩვენ ისევ „რიონი“ ვეძებოთ შავ ზღვაში.

იმედი დარჩა „ბაბუშკა“ – ცეცხლის გემზედ. ორჯერ გაგზავნეს საძებნელად. პირველზე ვერაფერი ვერა ქმნა. მეორეჯერ წავიდა და კიდევაც წამოიყვანა ფერწასული პასაჟირები. მეორე და მესამე დღეს ჰაერი დანყნარდა, დადინჯდა. ადამიანებმა იწყეს კასკასი, მეჩანგე ქალებმა – სიხარული და როკვა. მე წამოვედი ჩემს უდაბნოსკენ. ბათუმი დარჩა თავისის მხიარულის ერთ და აჭარიდგან გამოქცეულის მოხელეებითა.....

1878 წ. სოფელი არდანუჯი.  
„ივერია“, 1879, № 2, გვ. 62-85.

## ახალი ქვეყნის აზგავნი

[ართანუჯის ცხოვრება ომის შემდეგ.  
ბაირამოვა. ქალაქის მდებარეობა]

კარგა ხანია, თქვენეურობა ჩვენეურობასთან საიქიო გახდა. ეს იმ დღიდგან, რა დღესაც აქაური სამმართველო-საბჭო და საავათმყოფო გააუქმეს, და ჩვენთვის საიქიო ამბავი ძალიან გაძვირდა და რამდონიც დრო მიდის, იმდონი ძვირდება ფოშტის უქონველობის გამო.

წარღვნის აქედ არდანუჯ-ჩაისა და ჭოროხის ხევებში გორ-გორიან ურემს არ გაუვლია; ვერც ახლა შეიძლებს სიარულს. მტრედის ფოშტაც ჩვენში არ არის, და რომ იყოს, კიდევაც არ გვარგებს, რადგან საიქიოდ წასული მტრედი აღარ დაბრუნდება, მოწონება იქაურობა და ცოდვილ არდანუჯს როდილა გადმო-შხედავს.

ვზივართ გარდახვენილნი უნუგემოთ!

ხანდისხან სურფსარქისისავით გადმოჭქროლებს ოსი საიქიო ამბებით და დაგვიანებული ქალაღლებით; მაგრამ რა გამოვიდა, ესეც თვეში ერთხელ, ახალ გამომცხვარ და ძველ გამომცხვარს პურს ერთი გემოვნება ექმნება?

იყო დრო, როცა არდანუჯში ცხოვრება დუღდა, დიდრონი ადამიანები ცხოვრობდნენ; მაშინ ყველანი არდანუჯს პატივს აძღევდნენ და ეშინოდათ იმისი. დავარდა სანყლის მაზანდა და პატივი! ისე შეიძულეს ისა, რომ კვირაში ერთხელ ოსების შეწუხებასაც ჰზოგამენ - არ გზავნიან ფოშტასა...

კაემნით სავსე გულით ვიღებ კალამს და მინდა ერთი-ორი სააქაოს ამბავი მოგწეროთ, მაგრამ არ ვიცი, ეს წერილი მოახ-

წევს თქვენ ბედნიერ ქვეყანამდე, თუ არა; თუ ამასაც ნიავე წაიღებს და შეაგდებს სადმე ოსების ქოხის კუთხეში...

არ მახსოვს, რომელი მწერალი ამბობს, რომ ომიანობას გამოიწვევს ვინ გონიერია, ვინ მარდი, მამაციო; ვინ შორმხედველი და ვის განკარგულების ნიჭი აქვსო. კარგი იქმნებოდა, რომ ესეც მოემატებინა, იგივე ომი გვიჩვენებს, ვის უფრო „ჯიბე-გატენილობის“ გრძნობა მომეტებულად გავრცელებული აქვს!

ომი არის ობი, მჭამელი და მღრღნელი ადამიანის კეთილდღეობისა; ომით კეთილდღეობს კერძო პირების ინტერესი, საზოგადო ინტერესი კი იჩაგრება...

დროებით, თუ სამუდამოდ, არ ვიცი, ომი გავგშორდა, მაგრამ მრავალი სახსოვარი და შთაბეჭდილება დასტოვა ჩვენ ცხოვრებაში, ბევრი დაუფინყარი ანდერძი დაინერა იმის სისხლიან შუბლზე.

გავლილმა ომმა ბევრი სასწაული მოახდინა: ბევრმა კისერ-მოგრეხილმა ქალმა კისერი გაისწორა – მზითვის სკივრი გაიტენა; ბევრმა ვაჟმა არშინი კალმათ შესცვალა; ბევრი ვაჟიც, რომელსაც გლეხების გატყავებაში სული ამოსდიოდათ, გაჩინიანდა. იმავე სასწაულმოქმედმა ომმა მრავალი ახალგაზრდა ქალი დააქვრივა, მრავალი უნუგეშო ობლები დასტოვა ღვთის ანაბარა და ბევრი მამა ატირა და დააბრმავა...

ომი გათავდა. შერიგება მოხდა. ამას ... ადგილების გაუქმება. დაიწყო ... ქარვის დენამ და თან ... სხვადასხვა დასის ხალხი. ვინც ბედით მსუბუქნი იყვნენ, მიჰყვნენ ყურებჩამოშვებული იმას, ერთი „იჩი“ მეორე „იჩს“ მიჰყვა, ერთი „სიჩი“, მესამე – „ნიჩს“. მრავალნი იმათგან მოვიდნენ ჯიბის ციებით, მაგრამ მიიღეს სრული სიმთელე და გამთელებულნი დაბრუნდნენ სახლთა თვისთა შინა.

თუმცა ივინი „სამუდამოდ“ დაკმაყოფილებულნი მიდიოდნენ, მაგრამ რაღაც ტკბილი და მაცდური გემოვნება იზიდავდა. ვინც ბედით მძიმე იყო, ქვიშად გადაიქცა და დარჩა უკაცო უდაბნოში. „წყალი ნავა, ქვიშა დარჩება!“ – ამისთანა ბედ-მძიმეებზე გამართლდა.



დიახ, დავრჩით ბედ-მძიმენი, არ ვიცით, რით ვიკლავთ დროს ამისთანა საიქიოს ამბების სიძვირეში, მაგრამ მაინც ბედს ვემორჩილებით და მტრედევით ვცხოვრობთ მე და ერთი ჩემისთანა ბედმძიმე. რაც წიგნები გვეკონდა, სამ-სამჯერ გადავიკითხეთ. საქმე იქნობამდი მივიდა, რომ ახლა ყორანის კითხვას მივყავით ხელი. ზოგჯერ ამითაც მობეზრებული, ვუამბობთ ხოლმე ერთ-მანერთს სხვადასხვა ამბებს და სიზმრებს.

ერთხელ ჩემმა ამხანაგმა დილაზე ადრე გამალვიძა და მითხრა:

- ადექი, ადექი! სიზმარი უნდა გიამბო!

- მმი...ამბე! დავთანხმდი და რაც ძალა, ღონე მქონდა და კატასავით ნამძინარევა გავიზმორე.

- იცი, კაცო, რა ვნახე? რომ კიდეც ომი იყო. ახლანდელ აღებულ ქალაქებში ისევ ის მხიარულება, ისევ ის მუსიკის კვრა და ისევ ის დეზ-ხმლების ჩხარა-ჩხური და ის...

- მერე?

- მერე და ვითომ, ერთს მწერალს ერთი კასრი ნალები, თუ მანონი, კარგათ არ მახსოვს, ქრთამათ აელო. ეს ამბავი იქაურს გენერალს შეეცყო. ვითომ ის უბედური მოეხმო, მოეტანიებინა ის მანვნიანი კასრი. ცოტა ძირში დარჩენოდა და ისე ნალებ-მანვნიანი კასრი იმ საცოდავისათვის თავზე ჩამოეცვა და სამასხროთ კარზე დაეყენებინა!

- ხა, ხა, ხა! მართლა და სასაცილო სიზმარი! მერე ისიც არ გახსოვს, ვინ იყო ის ყმანვილი?

- მახსოვს, ვითომ ვილაც მეგრელი იყო. ამისთანა ცხადი სიზმარი მე არ მინახავს!

- ჰმ, ქართველი ყოფილა და მიტომ მალე შეუტყვიათ!...

ეს სიზმარი აუხსნელი დარჩა. მკითხველო, ამის ახსნას შენ მოგანდებ...

(გაგრძელება იქნება)

არდანუჯი, 24 დეკემბერს.  
„დროება“, 1879, 4/1, № 2, გვ.1-2.

## ახალი ქვეყნის ამბავი

(ბაბრძელება)

სამაზრო (ოკრულის) მმართველობა გაუქმდა, განწესდა სანაწილო (უჩასტკის) მმართველობა. ჯერ აქნობამდისინ არავითარი მმართველისათვის კანონის სახელმძღვანელო არ მოსულა. ჩვენი რუსული „ზაკონი“ თათრულს „შარიათთან“ დაძმობილდა და იოლად მიჰყავთ საქმე.

ძველის სახელმძღვანელოს ძალით, მოცემულის ომის დროს, ზოგიერთი საშინაურო საქმეები, მაგალითად: ქურდობა, უბრალო ჩხუბი, აღებ-მისაცემის საქმეები, მრუშობის და საცოლ-ქმრობის უკმაყოფილება უნდა გადაიცეს „ყადი-მეჯლისის“ კეთილ-მხედველობაში. ყადი-მეჯლისი შესდგება ადგილობრივ მცხოვრებთაგან და თავმჯდომარეთა გახლავს დიდი ყადი.

ყოველა ამ საქმეებს ამათ უნდა თავიანთი შარიათის ძალით განაჩენი მისცენ. ხელმძღვანელად უნდა ჰქონდესთ ყორანი.

ამ დღეებში ჩამოიყვანეს ერთი ქმრიანი დედაკაცი თათრისა და ერთი ახალგაზდა ვაჟი. ამათ ორივეს ედებოდა ბრალი ერთმანერთში მრუშობისა. სინიდისით ორივემ აიღეს თავზე თავიანთი შეცოდება; მეტადრე ქალმა გულ-წრფელად იტვირთა ბრალი. ვაჟი დატუსაღდა; ქალი მიეცა მგონია ყადის მზრუნველობის ქვეშა...

ყორანის ძალით, ესენი სასტიკი სატანჯელის ღირსნი არიან: უნდა გაითხაროს ორი ორმო ნახევარ კაცის სიღრმე; უნდა დააყენონ შემცოდები – ერთი ერთ ორმოში, მეორე – მეორეში და ხალხმა უნდა ჩააქოლოს ისინი... ღმერთო, დაგვიხსენ ამისთანა სასტიკი სატანჯელისაგან!..

უჩასტკის უფროსად, მგონია დროებით, განწესდა უ[ცვალ]ო თ. ბეგი. ეს გარემოება აქაურ სომხებს არ იამათ; თათრებს, რასაკვირველია, გაეხარდათ. ამ გარემოებამ აქაური ერთი თათრის ქალი ისე შეაგულიანა, რომ იმან ერთი სომხის ქალი თითქმის სასიკვდილოთ სცემა.

ახლა დიდი ომია თათრის და სომხის ქალების შორის. თათრის ქალები ამბობენ: „ნაჩანნიკათ თ. – ბეგი არისო!“ სომხის ქალები ამბობენ: „არა, ნაჩანნიკათ აკოფ-ალა არისო!..“ (აკოფ-ალა პისმოვოდიტელი გახლავს). ეს ამბავი რით დაბოლოვდება არ ვიცი, რადგან აქაური პოლიტიკური საქმეები დიპლომატიური ბინდით არის დაღრუბლული...

თათრებს წელიწადში ორი ბაირამი აქვთ: რამაზან-ბაირამი და ყურბან-ბაირამი.<sup>45</sup> 19 ნოემბერს იდღესასწაულეს ყურბან-ბაირამი.

ეს ბაირამი ადგილის დაგვარ მხიარულად გაატარეს და აღასრულეს დიდის ბეჯითობით ყოველი მიღებული ხალხში წესები. ცერემონია მით დაიწყო, რომ დილაზე ადრე შეიკრიფნენ მეჩითში სალოცავად. ამ საერთო ვედრებაში ქალები არ იღებენ მონაწილეობას. სანამ ისინი ლოცულობდნენ, შენ, მკითხველო, ყური დამიგდე, გითხრა, თუ რა ყოფილა მიზეზი, რომ თათრის ქალები იმათი ქითაბის ძალით არ ეჩვენებიან მამაკაცებსა.

ქითაბის ძალით, თათრის ქალებმა არ უნდა ეჩვენონ ნებიერად მამაკაცებსა, მომეტებულად უცხოებს. თუ თათრის ქალმა ნებიერად სახე აჩვენა მამაკაცს, ის იქმნება სასტიკი რისხვის ღირსი დიდი მაჰმადისა და თავდაღმა ჩაგორდება ჯოჯოხეთის უფსკრულში; საუკუნოდ მოკლებული იქმნება მაჰმადის სუფევის ყველა სიამოვნებასა.

მაჰმადის ქვეყანაზე მოსვლამდის ასე არ ყოფილა, რასაკვირველია. მაჰმადსა ჰყოლია მრავალი ცოლები. მათ შორის ერთი ყოფილა უფრო ღვთის-სათნო, სახელად – იზზა-ნური. ღმერთს იმასთან რალაც საქმისათვის სალაპარაკოდ ანგელოზი გამოუგზავნია. ნური-იზზას იმის მაგიერად, რომ მიიღოს ღვთისაგან გამოგზავნილი ანგელოზი და დაელაპარაკოს, კარების შვიდამ იმისათვის თმა უჩვენებია ნიშნად იმისა, რომ ქალი ვარ, ვერ დაგენახები და ლაპარაკიც შენთან არ შემიძლიაო!

მოვიდა ანგელოზი მეორე, მესამე ჯერაც. მაშინ ნური-იზამ ეს ამბავი განუზიარა მაჰმედს. დიდმა წინასწარმეტყველმა უთხრა თავის ცოლს: „რადგან იგი ღვთისაგან გამოგზავნილია, უნდა მიიღო.“ ამის გამგონმა იზამ დაიფარა სახეზე ჩადრი და ანგელოზი მიიღო, და დაელაპარაკა მას...

მას შემდეგ კანონით აქვთ მიღებული, რადგან ნური-იზამ ნათლით მოსილს ანგელოზს არ ეჩვენა, მინიერმა ქალებმა სულაც არ უნდა ეჩვენოსო, – „ვინც ეჩვენოს ნებიერად, განდევნილი იყოს“.

ლოცვა გაათავეს. ყველანი გამოვიდნენ და რაღაცა აირდაირივნენ, ერთმანეთს ულოცავდნენ ბაირამს. ყველამ დაჰკლა შინ თითო ცხვარი, ან ბატკანი მსხვერპლად.

„ივიზიტეს“ სამი დღე. პირველი დღე დანიშნულია კაცებისათვის. მუსულმანის აუცილებელი ვალია, რომ ერთმანერთს შეხვდეს, უნდა ეამბორონ, მაგრამ ჩვენსავით პროშტი არ იციან: ისინი ეხვევიან ერთმანერთს ისე, რომ გული გულს ეკვრება თქმით:

„ – ბაირამნ მუბერეგ ოლსუნ!“

ჩვენც ვიბაირამეთ, სამ-ოთხ კაცს პატივი ვეცით და მიველით მოსალოცად. თავდაპირველად მიველით ყადთან. შეველით თუ არა, ყადიმ, მჯდომარემ ყველაზე მაღლა ბალიშებზე, ღიმილით მიგვიღო, წამოდგა თავისი სტუმრებით ფეხზე...

ჩვენ ყველას ხელი ჩამოვართვით, მაგრამ წრეს გარეთ გადაველით, ხელის ჩამორთმევა არ უნდოდა. შესვლისავე, ყველასთან თემენით უნდა მისულვიყავით, ე. ი. ხელ გაჭიმულის მკლავით სასწრაფოდ ძირს უნდა ჩამოგველო, მემრე გულზე, პირზე და შუბლზე უნდა მიგვედო და მერე ფეხმოკეცილები უნდა ლეიბებზე დამსხდარვიყავით, – მაშინ ვიქმნებოდით ნამდვილი აღმასრულებელი ამათი წესისა.

დავსხედით. ჩვენთან ერთი რუსიც იყო. რო დავსხედით, თითო თამალაც მაშინ დარიგდა. დაიწყეს მუსაიფი. „ჩიბუხჩმა“ შემოიტანა ჩაის სტაქნებით შარბათი. ჩიბუხჩი უნდა იყოს ახალგაზრდა და თვალად ჩინიანი ყმანვილი. იმისი ვალია ჩიბუხჩის ავსება და ყავის კეთება. იმას სხვა მძიმე თანამდებობაც აქვს...

მემრე დარიდებით და დანიდებით შემოიტანეს ყავა პატარა ფინჯნებით, უშაქრო. ჩვენმა რუსმა ბევრი იგრიხა, ყავა უშაქრო არ იამა, მაგრამ ჩვენ შურიანობას ვერ გადურჩა – ჩვენ ვსვამდით და მაგას არ უნდა დაელია?.

ნასვლისას ყველანი წამოდგნენ ფეხზე, თითო თამალაც მაშინ დარიგდა და გამოველით. სახლის პატრონი იდგა კარებთან და ხელს გვართმევდა თქმით: „თაშაქურ ედერიმ!“ (დიდს მადლობას მოგახსენებ).

ცერემონია თითქმის ყველგან ერთი იყო, მხოლოდ მაზა და სასმისები ზოგან იცვლებოდა. ზოგან შარბათის მაგიერად გვაძლევდნენ ხელში ყველას მეოთხედ-მეოთხედ გირვანქა შაქარს, ზოგან შარბათი კონიაკათ იქცეოდა და შაქარი სხვა მაზად; ბევრგანაც შუადღე გადავლილი იყო, მაგრამ პატარა ფინჯნებით უშაქრო ჩაი მოგვართვეს.

მეორე და მესამე დღეს თათრის ქალები ვიზიტობდნენ. შესაქცევარ სანახავს წარმოადგენდა, როგორ ისინი დამფთხალი თხებივით, ჩადრებში გახვეულები, შერბოდნენ ერთი სახლიდგან მეორე სახლში და ხმარობდნენ ყველა ძალას, იმათზე დამოკიდებულს, რომ არ ეჩვენონ მამაკაცებსა...

არდანუჯი, 24 დეკემბერს.

(დასარული შემდეგ ნომერში).

„დროება“, 1879, 5/1, № 3, გვ. 2-3.

## ახალი ქვეყნის ამბავი

(დასასრული)

არტაანიდამ რომ იაროთ ერთი დღენახევარი დასავლეთზე, მიხვალთ ერთ პატარა ქალაქში.<sup>46</sup> ეს პატარა ქალაქი ძველად ჩვენი ყოფილა, ახლაც ჩვენი გახდა. თუ ჩვენია, კიდევაც უნდა ვიცოდეთ, რა ქალაქია. აი, აგინერთ:

ქალაქი დგას ერთი დიდი მთის – ვარსხეთის კალთაში. აღმოსავლეთით ჩამოუდის მდინარე არდანუჯ-ჩაი, რომელსაც ისე ჩაუღრმავებია თავისი სავალი, რომ გაუჩენია ძალიან ღრმა უფსკრულები და მაღალი თვალაუნვდელი კლდები; იმ ღელეში დგას რამთონიმე წისქვილები და ორ ალაგას გადადებულია იმაზე ხიდები. ერთ ხიდსა შქვიან შეითან-ქიოფრუსი – ეშმაკის ხიდი; აქაურების სიტყვით, ეს ხიდი თამარ დედოფლის ნაშენიაო. ღელიდამ ორი ბილიკი აგიყვანსთ ქალაქის ალაყაფის კარებამდე. სანამ იმ კარებთან მიხვიდოდეთ, გზაზე სამჯერ უნდა დაისვენოთ.

თვითონ ქალაქი შემოზღუდულია ძველი ქვითკირის კედლით, რომლის კუთხეებში ყოფილა კოშკები; ახლა ისინი აღარ სუფევვენ, იმათი ნაშთები არის. პირველ კარიდგან რომ შეხვალთ, ნახავთ ბაზარს, შემდგარს ორმოცდაათი მიგრეხილ-მოგრეხილი დუქნებისაგან. ალაყაფის კარები თათრებს განუახლებიათ. კარებს ზეით თათრული ნაწერია, რომელიც თავის დღეში არ წაიკითხება. ბაზრის შემდეგ იწყობა სახლები და სულ მაღლა და მაღლა ადის.

ლამაზი ქუჩები აქვს ამ პატარა ქალაქუნას! სახლები ისე ახლო-ახლოა ერთმანერთთან, გეგონება ერთი დედისაგან არიან ნაშობნი და იმისთანა სიყვარული აქვთ ერთმანერთისა, რომ

ერთი არშინი და ნახევარი სიშორეს ვერ უძლებენ. ქუჩები ბუნებით შოსსეს წარმოადგენენ, რადგან ადგილი სულ კაჟ-ქვიანია.

ზოგან ამ ქუჩებზე „უკვლო წყაროს“ და ზოგანაც თვითონ მცხოვრებლები ყოველ გვარის და ფერის წყლებით ყოველ დილაზე რწყამენ...

სახლები ხისა და ქვითკირისა იციან, ორ-სამ სართულიანი, საოცარი ბალკონებით. მეორე ალაყაფის კარებიდამ რომ შეიაროთ, იქვე ნახავთ თათრების მეჩითს მაღალი მინარით და მეჩითის წინ სასაფლაოს. უიმისოთ ვინრო ქალაქს მკვდრები უფრო ავიწროებენ.

ქალაქის ზედა ნაწილი თავდება ღვინის მარნებით. ცოტა აქედამ ზეით მაღალ-ფრიალა კლდეა, რომელიც დგას ძველის მზგავსათ მარტივათ და არწივივით გადმოჰყურებს მაღლიდგან. ზედ კლდეზე ძველი ციხის<sup>47</sup> ნაშთია. ასავალი გზა არსაიდგან არა აქვს, ერთის მეტი, ისიც კიბით უნდა ავიდეს კაცი. ეს ასავალიც იმისთანა უფსკრულს გადაჰყურებს, რომ იქ ასვლა დიდ შიშ-კანკალად უღირსთ. ბევრჯერ მინდოდა გაზომვა ამ უფსკრულის სიღრმისა, ასავლის სიმაღლესი, მაგრამ ვერ გავბედე ასვლა, ვერ მივანდე სული ხის კიბეს. მაინც ცნობისმოყვარეობამ დასძლია და ერთხელ დავადგმევიწინე იაკობ მამა-მთავრის კიბე და ავცოცდი მუხლების კვეთით. შესავალი იწყობა პატარა კარებით გათლილი ქვის ამყოლებით. ზედ იშლება კარგა მოზრდილი მინდორი. გარშემო ჰქონია მაღალი კედლები. კედლებზე არა სჩანს თოფის სასროლი ადგილები. ეტყობა, მაშინ, როცა ეს ციხე აშენებულა, ჯერ თოფი არ ყოფილა შემოღებული. შიგარის სახლების ნაადგილეეები. ყოფილა პატარა ეკლესია,<sup>48</sup> ძალიან ღარიბულად ნაშენი, და საწყლე აუზი; ამ სიმაღლე ალაგამდისინ, რასაკვირველია, წყალი არ ამოვიდოდა, ამისათვის გაუკეთებიათ პატარა გაქანებულ ალაგას აუზი, წვიმის დროს წყალი იმაში გროვდება, ახლაც მაში ნახავთ ზაფხულ-ზამთარს ბლომად წყალსა.

არდანუჯის ციხე უნდა იყოს ძველ ნაშთთაგანი. ბარათაშვილი<sup>49</sup> თავის პირველს რვეულში ამბობს, რომ ალექსანდრე

მაკედონელმა სიკვდილის უნინ თავისი ჯარი და მმართველობა ჩააბარა იაზონს, რომელიც იქმნა დამარცხებული ფარნაოზისაგან არდანუჯში. უნდა განვისახოთ, რომ ბრძოლა რო ყოფილა, ციხეც უნდა ყოფილიყო; მეორეც, თვითონ შენობაც ამტკიცებს, რომ ძველია.

არდანუჯის ციხე იმისთანა ალაგას დგას, რომ კაცის ხელით ის არ დაირღვევოდა. ეკლესიებს, ციხეებს ანგრევენ შენობები-სათვის. ეს აქ არ შეიძლება ვიფიქროთ, პირველად იმიტომ, რომ ის ხელუნვდენელ ალაგას დგას; მეორეც, რომ ავიდეს ვინმემ და ჩამოაგდოს იქილამ ქვა, ის ქვა თუთხმეტ ნაჭერათ გადიქცევა. მაშ, ეს ციხე კაცის ხელით არ არის დანგრეული. ქარის, წვიმის და დროს ბრალია, და ისინი ისე სწრაფად არ მოქმედობენ.

სამხრეთით არდანუჯს ჩამოუდის პატარა მდინარე – იშკანარი, რომელიც ნისქვილებთან უერთდება არდანუჯ-ჩაის.

ჩრდილოეთის მხარეს, ასპარეზის გარეთ, კლდეზე დგას დიდი ეკლესიის ნანგრევი. ბანი სრულიად ჩანგრეულია, ოთხი კედელი ცოტა საღად არიან დარჩენილნი. ზეით კედლის დაწყებასთან სჩანს რაღაც ნითელი ზოლები. ეს ამტკიცებს, რომ ყოფილა ნახატი. ნანერი არსად არა ჩანს. არის ორივე კარებზე ჯვრები გამოსახულნი თოთხმეტი მტკაველიანი დიდ ქვაზე. ამგვარი უშველებელი ქვები კედელში ბევრია. იმათ ატანას კარგი ღონე და ჯანი დასჭირდებოდა.

ეკლესიის ქვეით, არდანუჯ-ჩაის კლდეში, უთვალავი მაღარებია. იმათში ბევრამდის ასავალი გზა არსაიდგან არ არის. იმათგანი ორი მოზდილებია, თითოში ათასხუთას კაცამდისინ მოთავსდება; ეს ეკლესიის ძირშია და ეტყობა ყოფილა ორსართულიანი და ჰქონია ეკლესიამდე ასავალი. მეორე შორს არის. ადგილის მცხოვრებლები დარწმუნებულად ამბობენ, რომ ამ მაღარებში საღდაც დაფლულია დიდძალი განძი: ოქრო, ვერცხლი და ოქროს აკვანი.

არდანუჯის ციხეზე არის ხალხში ეს ზეპირგადმოცემული ამბავი: აქ ცხოვრებულა ვიღაც გმირი, რომელსაც საიდგანაც ცოლად მოუყვანია ახალგაზდა ქალი. ქორნილის დროს, როცა მოუყვანიათ პატარძალი, არ მოსწონებია ეს ადგილი. ციხეში ას-



ვლის დროს უკითხია, განა მე აქ უნდა ვიცხოვროვო? და ვარდნილა უფსკრულში. გმირს რომ შეუტყვია ეს ამბავი, ისიც მალეიდგან გადავარდნილა და დახოცილან...

აი, ასე უმჟავდებოდათ უნინ ერთმანერთისათვის სიყვარული. ახლა იმათი საფლავი წყვილად ეტყობა პატარა გორაკზე.

არდანუჯში ირიცხვება სამასამდე მცხოვრებლები; არიან სომეხნი – ცოტა, ფრანგები – სომხისა<sup>50</sup> და თათრები.<sup>51</sup> აქვთ პატარა სასწავლებელი.

ამათ და ართვინელების ცხოვრებაზე, ენაზე და ხასიათზე სხვა წერილში ვილაპარაკოთ, სანამდისინ მე და შენ, მკითხველო, ცოტა ვიბაირამოთ ოცნებითა...

ვის და სად არ გინახავსთ საქართველოში მშვენიერი შემოდგომის მთვარიანი ღამეები და არ მიჰცემიხართ იმ დროს ოცნებას? ერთ წამის დავინყებით ჩვენი უნდობელი სოფლის ყოველი ნაღვლისა და სიხარულისა ვის არ გისიამოვნებიათ? იმ მშვენიერ ღამეთაგანი ერთი უმშვენიერისი ღამეები იცის არდანუჯში. იუპიტერს ჩემთვისა თავის პარნასში ადგილი არ მოუცია; კეთილ სასმენი რითმების წყალობით მე არ ვარ ზეცით დაჯილდოებული, რომ ლექსით მემღერა აქაური ღამის სიტურფე, რომელსაც მოჰყავს ჩემისთანა სუსტი ბუნების მონა განცვიფრებაში.

აგერ დაღამდა. ღამის ბინდმა გაშალა თავისი ბუნდოვანი ზენარი. ამ პატარა ქალაქის მცხოვრებლებმა ყველამ მონახა თავისი ბინა. დუმილი! ის ხმაურობა, ის დიდი აყალ-მაყალი, ფაიტონთ გრიალი, დიდკაცთა წრეში კასკასი – საუბარი, ნაზთა განათლებულთა დიაცთა მაცდური ჩურჩული – აქ არ გახლავს! აქ მეფობს ბუნება!..

ვზივარ, ვით უცხოეთში გადავარდნილი ფრინველი და გაღებული ფანჯრიდგან ვსტკბები ბუნების შვენებით. აგერ ამოვიდა ბადრი მთვარეც და თავისი ძმის მგზავსი ნათელით შემოსა ბუნება. იმ დროს გეგონებათ ვარსკვლავებმაც დაიწყეს შფოთვა და ჩურჩული, აჰა ჩვენი ცის მნათობების მეფეც აღმობრწყინდა! ხედავთ, რა მშვენიერათ?! ეს ცის მნათობების შფოთი წარმოადგენს იმ პატარა საზოგადოების წრეს, რომელში შემოვა ვინმე ღამაზი ქალი და იქ მყოფნი ახალგაზდები თავიანთ ახალგაზ-

დურს ქარაფშუტულს გრძნობას იკლამენ თქმით: „რა ლამაზია“!

აგერ შორს, აღმოსავლეთით, მთვარის შუქი ანათებს „იასამანის“ მთის თოვლიან თეთრ ნაკვეთებს. ისინი სპეტაკი ჩალმების რხევით და რაღაც ბატონურის სინყნარით იხედებიან ცოტა აქეთ, გეგონება, ღამის ნიავით იმისი კალთები თრთვიან და ჰბადვენ ტალღებს – პატარა გორაკებს და მთებს.

მარჯვნივ აყუდულია კლდოვანი მთა – ქუარდება (უნდა იყოს „ქვა ვარდება“). იმისი ქალარა თავი, ფრიალა კლდეები, ადგილ-ადგილ ჩრდილით მოფენილი გვერდები წარმოადგენენ ღრმა მოხუცებულს.

დასავლეთით ხელებგაშლილი „ვარისხეთის“ მთები ეჯიბრებიან-აყვედრიან იქაურს მთებს, თქვენ ხართ მიზეზი, თორემ მე უფრო ადრე მეღირსება ხოლმე მთვარის ხილვა!..

უფრო აქეთ მოჩანს სოფელი, სუფთა ჰაერში გახვეული. იქი-დამ მოჩანან მრავალი ცეცხლები, გეგონება, დედამიწის ვარსკვლავებს ისინი ადგენენ, რომ დედამიწაც ცას ებაძოს, იქითკენვე მოჩანს „ყომრალი“ ფრიალა კლდე, რომელიც გადაჰყურებს პირდაპირ მეორე კლდეს. ისინი რაღაც საიდუმლო ნალველით დასცქერიან ერთმანერთსა.

აჰა, თვით ქალაქიც. ისმის მდინარის ბუდბუდი სამდურავიანი. ხანდისხან ძაღლების ყეფა არღვევს დუმილს; მარჯვნივ სჩანს ძველი კოშკის ნანგრევები; აქეთ თეთრი სახლები, რომლის ფანჯრებიდამ კასკასით იხედებიან თათრის ქალები; დღისით დამწყვედუღნი ღამ-ღამობით სტკბებიან უშიშრათ თავისუფლობით.

აჰა, ავიდა მოლლა მინარაზე და ღაღადებს ლოცვასა. ოჰ, რა სასიამოვნო სასმენი ხმაა. იმის ხმის ყოველი აწვე-დანვეანი, მუხლნი ახვევ-დახვევანი მარგალიტივით სცემს კაცის გულის ღარზე და ათრთოლებს მას. იმ ხმაში ნაციონალური გრძნობა იხატება. ამას მხოლოდ აღმოსავლეთელნი იგრძნობენ, ევროპულის კეთილსმენელობას არ იამება ესა...

არდანუჯი, 24 დეკემბერს.

„დროება“, 1879, 6/1, № 4, გვ. 1-3.

## ახალი ქვეყნის ამბები

ლივანის დედაქალაქის ართვინის მდებარეობა.  
მცხოვრებლების დახასიათება. თათრული და  
სომხური სკოლები. ართვინის ძველი ციხე

ვერ გაგვიგია, წლისა რა დროა – ზამთარი, ზაფხული, შემოდგომა, თუ გაზაფხული? სიცივე ზამთრისა არ არის, სიციხე ზაფხულისა, სუნი გაზაფხულისა და ფაცა-ფუცი შემოდგომისა!

თოვლი აქნობამდისინ მთებიდგან გვემუქრებოდა, მაგრამ ბარათი ჩამოსვლას ვერა ჰბედავდა. ამ დღეებში კი იერიშით ჩამოვიდა; მას მოეხმარნენ ქარი და წვიმა, მაგრამ მაინც კიდევ დამარცხებული დარჩა – უკან დაბრუნდა და დასტოვა თავისი კვალი – ჭყაპანა ტალახები. ახლა მთებზე დაბანაკებული გამოჭიმული გადმოჰყურებს.

ამგვარივე სურათს წარმოადგენს ართვინიც.

ამას წინათ მე პირობა დავდევი, რომ ვილაპარაკო შეძლებისდაგვარად აქაური ხალხის ხასიათზე და იმათ ცხოვრებაზე.

ცუდი იმაზე არ არის, როცა კაცი ჰპირდება რასმეს; ამაზე უცუდესი არაფერია, როცა კაცი დაჰპირდება და აღსრულებას ვერ შაიძლებს. ჩვენში პირობის მიცემა „ჰორალოს“ თქმაზე ადვილია, მაგრამ ჩვენში ბევრი თქმა და პირობის მიცემა ქარ-მტვერად იქცევა. ვეცდები, ჩემი თქმაც ქარად არ გადაიქცეს და შეძლებისდაგვარ შეუდგები ჩემის პირობის აღსრულებას.

ლივანის დედაქალაქად ითვლება ართვინი. ართვინი დგას ჭოროხის მარჯვენა მხარესა და გამოჭიმულია ერთი მაღალი მთის კალთაში. ის განიყოფება შვიდ მაჰლად<sup>52</sup> შემდეგი სახელეობით: საიფეთი, დარა-მაჰლა, ორთა-მაჰლა, დუზ-მაჰლა, სასაფ-

ლო, კორზა და კოლოს-მთა. ხიდის თავიდგან, რომელსაც აქაურები ხიდი-გლუხს უძახიან, ადის ერთი უშველებელი აღმართი; ამ აღმართით ასვლა არა თუ კაცს, კარგ ცხენსაც გაუჭირდება. აქეთა ნაწილი ამ ქალაქისა იწყობა ამ აღმართის თავიდან. სანამ ქალაქში ახვიდოდეთ, მარჯვენა მხარეს კლდეზედ ნახავთ ძველს ციხეს.

ქალაქში შეხვალთ და ვერაფერს ვერ დაინახავთ ორღობის გარდა. ქუჩები ვინოები, სახლები ერთმანერთზე მიკრული. ართვინი რომ ვაკე ადგილას იყოს მდებარე, მაშინ იმის სამ-ოთხ სართულიანი სახლები შეადგენდნენ მშვენიერს ევროპიულს ქალაქს. ამნაირი ერთმანერთზე გამჯდარი სახლების შუა ცხვირში დაგეცემათ მშვენიერი ზამბახის სუნი... დიდი საანგარიშო და საჭირო სამმართველები თავისუფლათ ქუჩებს გადმოჰყურებენ და ჰაერს ამკობენ ყნოსვითა კეთილითა. ამნაირი უნმინდური და ჰაერის გამაფუჭებელი ნივთების სიუხვის შემდეგ ჰავა ართვინში ჩინებულია – ზაფხულში გრილა და ზამთარში ცხელა. ჰაერის სიგრილე და სიმთელე ჭოროხის ღელის ბრალია. აქ მუდამ ჰაერის მოძრაობაა.

არდანუჯი ჰაერის შესახებ წარმოადგენს სულ წინააღმდეგს – ზაფხული ცხელი და სულის დამხუთავი იცის; ზამთარი – გრილი. ზაფხულში სიცხის გარდა კოლოებმაც იციან აქ ადამიანების განვალება.

ამის მიზეზი ის არის, რომ პირველად ადგილი კლდოვანია და ზაფხულში თორწნისავით გახურდება ხოლმე; მეორედ, რომ გარეშემო სულ შემოზღუდულია მაღალი მთებით, რომელნიც ჰაერის მოძრაობას უშლიან; მისთვის ციებ-ცხელებაც უხვად გახლავს ზაფხულში.

მცხოვრებელთა რიცხვი ართვინში ავა ათასხუთასამდე. მომეტებული ნაწილი მცხოვრებლებისა არის ფრანგები, იმათზე ნაკლებ თათრები და სომხები. ფრანგებს აქვთ ოთხი ეკლესია; ერთი იმათგანი არის საეპისკოპოსო. სომხებს ერთი ეკლესია აქვთ, თათრებს – ორი ჯამი. ფრანგებს ერთ ეკლესიაში არის სასწაულმოქმედი ხატი, დარჩენილი ძველად ქართველებისაგან. მე არ მინახავს, მაგრამ ამბობენ, რომ ზედ ქართული ნასაყდარი ყოფილა.

ართვინში ადგილის ძვირობა და ვინრობაა, ისე რომ ქალაქს აქნობამდის სასაფლავოს ადგილი არა ჰქონია. ცოცხლებზე მომეტებულად მკვდრები ყოფილან ვინროობაში. ყველა სახლს ეკლესიის წინ თავისი დანიშნული ადგილი ჰქონია; რამთონიც მოკვდება თურმე, ყველას ერთს საფლავში ჰმარხავდნენ, ისე რომ ერთ საფლავში, ოცი კაცის ძვლები იმარხება. წარმოვიდგენ, რა მდგომარეობაში უნდა იყვნენ ისინი!.. ახლა ეს დაშლილია.

ართვინელი და არდანუჯელი სომხები შეაგდენენ რაღაც სხვა გვარს სომხებს; ისინი არა გვანან არც აზრუმელ, არც ყარაბაღელ და არც ქალაქელ სომხებსა.

როგორც ტანით, ისე ტანისამოსით ისინი განირჩევიან იმათგან. აქაური სომხები არიან მდაბალი ტანისა, არიან ლამაზები, შავი თვალ-წარბები ამშვენებენ იმათ თეთრ-ყირმიზა სახეებსა. წითელი ფესი, ვინრო თავიანთ მოქსოვილი შალის მეგრული შალვარი, მოკლე ძიკვა-ჩოხა, ქალამანი, ანუ უბრალო წაღები და თავიანთივე მოქსოვილი მანუსი სიელაგი შეადგენს კაცების ტანისამოსს.

ქალები სილამაზით უკან არიან კაცებზე. თეთრი მარმაშის ლეჩაქი, რომლით ბებრულად იხვევენ ყელ-ყურებს, ახალუხისავით უნაოჭო მოკლე ყაფთანი, რომელიც თავისუფლათ ნებას აძლევს, რომ გამოჩნდნენ წითელი პერანგი და იმის ამხანაგი, წითელი ან ყვითელი მესფაბუჩი (ფეხსაცმელი), წელზე დიდი სარტყელი, უკან რაღაც გვარი შავი აბრეშუმის ფუნჯები და წინ ბანბეული ფართუკი, შუბლზე და ყელზე ოქროები – ამკობენ აქაური სომხის ქალებს.

ართვინის, არდანუჯის და არტაანის თათრები წარმოადგენენ ახალციხელ თათრებს. ესენი ისე განირჩევიან აჭარის, მაჭახელის, ბორჩხის, ბათუმის და შავშეთის თათრებისაგან, როგორც ქართველები მეგრულ-გურულებისაგან. პირველივე შეხედვით გაარჩევ აქაურ სომხს თათრისაგან, თუმც ტანსაცმელში არაფერი განსხვავება არა არის. სომხები მოძრავნი, ცქვიტნი არიან, თათრები – წყნარი და ზანტი მოძრაობისა, მასთან, მშვიდი სახისანი.

თათრის ქალების ტანთსაცმელი უკვე იცით. ბევრნი იმათგანი ჰხმარობენ ქართულ კაბას; თუ სასწაული მოხდა და სადმე დაგენახათ თათრის ქალი ქართულ კაბაში, ვერ გაარჩევთ – ქართველი ქალია თუ თათრისა. მეტადრე ბეგებში არიან იმისთანები, რომელნიც წარმოადგენენ ნამდვილს ქართულ აზნაურს. თუ ნახეთ დეპუტატებში არდანუჯელი ემინ-აფენდი, აბართი განირჩევა ის ქართველისაგან!

ართვინელი სომხები – კაცები თუ ქალები – არიან შრომისმოყვარენი. ყველა ართვინელმა იცის ორი-სამი ხელობა. ქალები მანუსების, სამოსელის ქსოვაში გამოცდილი და გავარჯიშებულნი არიან. ისე ქუჩას არ გაივლით, რომ არ დაინახოთ დაზგაზე მჯდომარე ქალი, რომელიც ბეჯითათ ქსოვს ან სამოსელს, ანუ მანუსას.

არც თათრები არიან ნაკლები, როგორც თათრების, ისე სომხების ტანზე ვერ ნახავთ უცხო ქვეყნის საქონელს, სულ თავიანთ ხელთ-ნაქნართ იმოსებიან.

სომხები ვაჭრობენ. ისინი დადიან სტანბოლში და სხვა ქალაქებში; სხვა მოსიარულები იმით განირჩევიან, რომ ისინი „ალა ფრანგა“ ტანისამოსით ფრანტობენ.

საუბედუროთ, შრომას ართვინელებზე კეთილშობლური გავლენა არ ჰქონებია. ცუდლუტი, მატყუარი, შეუბრალება, პირმოთნეობა ართვინელის ბუნებითი ხასიათის ნაწილებია. ვაჭრობაში და ანუ სხვა საქმეში, თუ შემთხვევა ჩაიდგო, თავის პიროვნული სარგებლისათვის მამას გაჰყიდის, ერთი სიტყვით, „ქრისტე პროდალები“ არიან...

მომეტებული თათრები მინის მუშაკნი არიან და უფრო მებაღეობას მისდევენ; ბალიდგან შემოსული ხილი მიაქვთ სხვა ქალაქებში და სცვლიან პურზე.

თუ სტანბოლში ანუ სხვა ქალაქში სთქვი, ართვინელი ვარ, ყოველა ღირსება დაგეკარგება.

ართვინის ღირსებას ამალლებს აქაური ზეთისხილის ხეები. აქაური სომხური ენაც სხვა ფერია. ის არა ჰგავს არც აზრუმულ, არც ყარაბაღულ და ქალაქურს ენას. ურევენ ბევრს „ელი-

სა, ალისე“ და ბევრი „ლოსე“. მაგალითად: „ასულისე, კოსელისე, გნალისე, ანელისე“.

თითქმის მეათედი ნაწილი აქაური სომხური სიტყვებისა ქართულია. მეტადრე ქალები ურევენ ბევრს სიტყვებს. მაგალითად ისინი ამბობენ: „იმ დედი ბიძან ქალაქ გნალისე“ (დედაჩემის ბიძა ქალაქს ნასასვლელია); „ქო ბიძი ქერა გოგონ ნაბლიე აქლოკუმ“ (ბიძაშენის ქერა ქალი ნაბლს ჰკრეფავს); „იეს ქო მამან ხიდი გლუხ ტესა“ (მე მამაშენი ხიდის თავზე ვნახე) და სხვ.

აქაურ თათრებს ქართული ენა სრულიად დაჰვიწყებიათ, ისე რომ აქ ქართული ლაპარაკი იშვიათი სასმენია.

არდანუჯის უჩასტკაში ათი სოფელია, რომლებსაც „გურჯიქოვს“ უძახიან. ამათ სოფელში ლაპარაკობენ წმინდა ქართულს. ისინიც არდანუჯიდგან შორს არიან. იმ ათ სოფელში შესანიშნავია „გევრადა“ სოფელი, საცა მოჰყავთ მშვენიერი ყურძენი და ღვინო. აქაური ყურძენი შემოიძლია შევადარო კახეთისასთან. რომ ღვინის დამზადებაც იცოდნენ რიგზე, არც ღვინო „ევაღლას“ იზამს კახურ ღვინოსთან!

ამათთან რომ დავინყობ ლაპარაკს ამათ ჩამომავლობაზე, მაშინვე შევამჩნევ, რომ სახე მოედრუბლებათ, გეგონებათ, იმის თქმა უნდათ:

– ჩვენც ვწუხვართ მაგისტანა ძვირფასი საუნჯის დაკარგვისათვის, მაგრამ რა ვქმნათ?!

ქალაქიდამ მოსულმა დეპუტატმა – არდანუჯელმა ემინეფენდმა გამაკვირვა: რანაირ აღტაცებაში იყო, რომ მაგრე მიეღოთ ისინი თფილისში. ამბობდა: „ასი ათას ყურუშს მივცემდი იმწამს, რომ ჩემთვის ვისმეს ქართული ესწავლებინა!..“

არდანუჯი, 10 დეკემბერს.

(დასასრული შემდეგ ნომერში).

„დროება“, 1879, 23/1, № 17, გვ. 1-3.

## ახალი ქვეყნის აზვები

(დასასრული)

საზოგადოთ, აქაურობა მთიანი ადგილია, სახნავ-სათესის ადგილი სულ ცოტაა. როგორც წელან მოგახსენეთ, მიაქვთ სხვა ქალაქებში ხილი და სცვლიან პურზე. თავისუფალი დრო ძრიელ ბევრი აქვთ, მაგრამ კიდევ ისინი იმ ცუდაობას ავ საქმეზე არ ატარებენ. ქურდობა ამათში არ იციან. მშვიდნი ხალხნი არიან, მაგრამ მაინც ფანატიკობა ძვალში გამჯდარი აქვთ. დღეში ხუთჯერ ლოცვა უფრო მეტს დროს ართმევს, ვიდრე საზრდოსთვის ზრუნვა.

ახლა გადავიდეთ აქაურ პედაგოგიურ ასპარეზზე.

ართვინში სიარულის დროს რალაც ყაყანმა მიიქცია ჩემი ყურადღება. ვიკითხე: ეს არ ხმაურობაა? მედრესე გახლავს, – მითხრეს. შეველი ამ მედრესში.

ოჰ, რა საცოდაობის სურათს წარმოადგენდა ამათი გამმანათლებელი სადგომი – მედრესე!! პატარა, მდაბალ ფიცრის ოთახში, ორი გრძელი შეუღებავი ფიცრების გარეშემო უსხდნენ თეთრი ჩალმიანი პანანა თათრები; იმათი ცეცხლით ანთობილი თვალები და ცოცხალი შეხედულება ყველას ყურადღებას მიიზიდავს და დაარწმუნებს, რომ ამათში იმარხება თითო ნიჭი.

ეს ყმანვილები, რაც ძალა და ღონე ჰქონდათ, ჰყვიროდნენ და იმეორებდნენ ყორანის სიტყვებს იმათთვის გაუგებარს. ვინც მალლა დაიყვირებს, ის ბეჯით შევირდად დაითვლება. კარებთან მდაბალ ტახტზედ ფეხმოკეცილი იჯდა ახალგაზრდა მოლლა – მასწავლებელი. ხელში ეჭირა გრძელი ჯოხი და ძალას ატანდა, რომ ყმანვილებს ეყვირათ.

თათრებს სახალხო შკოლებისათვის არავითარი სახელმძღვანელო ნიგნი არა აქვთ. ყმანვილი შკოლაში შესვლისავე ჯერ



პირველ წელიწადს სწავლობს - ალიქ, ბა, თა; მერმე ამლევენ ხელთნანერს ყორანის შემოკლებულ ნაწილს. ყმანვილი კითხულობს, ზეპირობს, მაგრამ არ იცის და არ ესმის, რას კითხულობს; ისიც არ იცის, ის ასოები, რომ ისწავლა, რის მაქნისია.

ამწაირად წვალობს ორ-სამ წელიწადს. იმთონს სწავლობს, რომ თავის და დაბეჭდილის წაკითხვა შეეძლება, და გამოდის კიდევ სასწავლებლიდგანა თავ-შეხვეულ მოლლათა.

თუ უნდა უმაღლესი სწავლა მიიღოს, მაშინ მიდის ყადთან. ყადი ზეპირად და ახსნით ასწავლის ყორანს, და ამით თავდება ამათი სწავლა.

ართვინში სომხებს ორი სასწავლებელი აქვსთ. სასწავლებლების სადგომები, შიგ განწყობილება ურიგო არ არის, მაგრამ ამათი მეტადაც ბევრად მაღლა არ დგას თათრებისაზე. ამათშიაც ახალი სახელმძღვანელო არა ჰქონიათ. დანყებითი სწავლა იწყება რალაც ქერაკანით - ანბანით, შედგენილი, ვგონებ, იესო ქრისტეს მოსვლის წინათა. რადგან ამ ქერაკანის სუსხი მეც მიჭამია, ამისთვის ამას მე კარგათ ვიცნობ. ჯერ იწყობა აიბ, ბენით, მემრე იგივე ასოები სწერია სამ-სამი ასო ერთად; ეს ასოები ყმანვილმა უნდა გამოსთქვას საჩქაროდ და მაშინ გამოდის რალაც ჩინური სახელები...

ამაებს რომ გაათავებს ყმანვილი, მისცემენ ხელში ჯერ ფსალმუნებს, მემრე სახარებას და ძველ აღთქმას. არის ერთი სახელმძღვანელო - „მანკაკან-ვარუთიუნ“, რომელიც სავსეა ანეგდოტებით და სხვადასხვა ფილოსოფოსების ნათქვამი შესანიშნავი სიტყვებით. ანგარიშს, ხატვას და სხვა გონების გასახსნელს საგნებს ამათ შკოლებში ადგილი არა აქვთ. ასწავლიან საქრისტიანო მოძღვრებასაც.

ერთს სასწავლებელში 172 შეგირდია და ერთი მასწავლებელი - დიაკვანი თავისი განუშორებელი ჯოხითა.

ეს შკოლები არსებობენ ეკლესიით და მოლაც ძმობის ფულითა.

მასწავლებელი იღებს თვეში ათ მანეთს. რასაკვირველია, ისიც ათი მანეთისას ასწავლის! სასწავლებელში ყოფნის დროს შაგირდები ქუდებს, ფეხებს არ იხდიან და როცა ისინი სხედან სკამებზე, სწორედ წარმოადგენენ ყაყაჩოთ სავსე ყანასა.

მეორე სასწავლებელში იქმნებიან ოთხმოც შაგირდამდისინ.

ამ სასწავლებლის გარდა ქალების შკოლაც არის. სწავლის მეთოდი ერთი და იგივეა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ აქ სკამეიკების მაგივრად არის გრძელი უბრალო ფიცრები, რომლების გარეშემო კრავებივით სხედან დაჩოქვით წითელფეხებიან პანანა ქალები და ერთი მასწავლებლის მაგივრად დადიან მებატებივით ჯოხები ხელში სამი-ოთხი ქალი - მონაზონები. ჭრაკერვას არ ასწავლიან, მარტო კითხვას და იშვიათად წერას.

სანამ ვართაპეტს არა ვსთხოვე, ქალების შკოლაში შესვლის ნება არ მომცეს. ვართაპეტმა დამატარა შკოლა და ბევრ ხანს მემუსაიფა. ჩასუქებული სახე და დიდი მუცელი ამტიციებდნენ, რომ ამ სულიერ მამას თავისი პატივისცემა არ დაუკლია.

- ჩვენი ხალხი ნახდებო, - მითხრა ვართაპეტმა, ართვინელები იყვნენ შრომისმოყვარენი, მაგრამ ახლა გაირყვნებიანო.

- რათა? - ვკითხე.

- იმიტომ, რომ უნინ, თათარის დროს, ეს მიკიტანხანები და უნამუსო სახლები არ იყო. ახლა რომელი ახალგაზდაც ერთ-ორ კაპეიკს იშოვნის, იქ მირბის. ამნაირი გარყვნილობით, აგე, ის მაგარი ძველი ციხე დაიქცევო! - ისე დარწმუნებით წარმოსთქვა და მიჩვენა ძველი ციხე, გეგონება, სადმე ქითაბში ამოუკითხნიაო.

აქ ახლავე რომ დაარსდეს სამაზრო სასწავლებელი, ურიგო არ იქმნება. ართვინელებს ძალიან სურვილი აქვთ, რომ გაიღოს იმისთანა სასწავლებელი, სადაც ასწავლიდნენ, სხვათა შორის, რუსულ ენასაც. მაგრამ ისე, რომ იმათი ერთი ფარაც არ დაიხარჯოს (მთავრობის იმედი აქვთ). კატას თევზი უყვარს, მაგრამ წყალში დასველება ეჯავრებაო, სწორედ ამათზეა ნათქვამი.

დაინახეთ, რა მშვენიერი სასწავლებელი ჰქონიათ აქაურებს? აქაურ სამღვდელოებს ჰხედამთ, რა ზრუნვა ჰქონიათ? ისიც იქონიეთ სახეში, რომ ეპისკოპოზიც ყოფილა აქა და ახლაც იქმნება, ვგონებ.

მაგრამ რას უნდა მოველოდეთ იმათგან, როცა თვითონ სამღვდელოები ამბობენ, ბევრი სწავლა გარყვნისო, და ბევრი სწავლითა ღვთის სიყვარულზე გული გაუცრუვდებაო კაცს. ისიამოვნეთ!!

ჩემს ართვინში ყოფნაში უეცრად ყველაფერი გაძვირდა. ის საგანი, რომელსაც გუშინ აბაზათ ვყიდულობდით, დღეს ორ აბაზათ ვკიფასებდნენ და ზედაც აყოლებდნენ, ახლა გამარუგია (ბაჟი). ამნაირ ცვლილებაზე გაოცებით ვუყურებდით და ამით გაჯავრებულმა რამდონიმე ახალციხელმა და ქართლელმა ახალგაზრდებმა ვიყიდეთ ერთი დიდი საღვინითი ღვინო (რადგან უბაჟო იყო) თავისი შესაფერი სამკაულობით და ჩაველით ართვინის ძველ ციხეში ნაღველის გასაქარვებლათ. ართვინის ციხე ეკუთვნის ძველ დროებს, მაგრამ ისე დაძველებული არ არის და ნაშენიც ჰგავს ძველიდგან დარჩენილი ქართლის ციხეებს, დგას მაღალ კლდეზე და გადაჰყურებს ჭოროხს.

ნაწერი არსად არ არის, მაგრამ ათი ქვევრი, რომელნიც ჩაფლულნი არიან ქვითკირით ერთ კედლის წინ, ამბობენ, რომ აქ ქართველს უცხოვრია. ერთი ქვევრიდგან მეორეში ყოფილა ფარნაგი ისე, რომ ღვინის ჩასხმის დროს, ერთში ჩაისხას, სულ ყველაში გადავა, როცა პირველი აივსება. გავშაღეთ იმ ქვევრების თავზე სუფრა და შევექცევით ნუნუას ჩვენებურათა...

ვინ იცის, რამთონი ასი წელიწადია ამ ქვევრებს ღვინო არ ენახათ! აგერ დღეს ჩვენ საერთო ლოცვით და წარსულის მოგონებით, ვაზიარეთ თითო წვეთი ღვინით ისინი. ჩვენი შექცევა და ჭრიჭინი მაშინ გაცხოველდა, გადარბაისელდა, როცა ერთმა ჭრიჭინამ წარმოსთქვა აი, ეს სასიამოვნო სიტყვა:

„ძმანო, ვსვათ შესანდობლად იმ მხნე გმირებისა, იმ ჩვენი წინაპრებისა, რომელთაც აქ უცხოვრიათ და უბრძოლიათ გვაროვნობის თავისუფლობისთვის მძლავრი და ბარბაროსულ მტრის წინა! ღმერთმან ინებოს, იმათა ის კეთილი გრძნობა ჩვენზე გამოვიდეს! ინებოს ღმერთმა! მრავალჟამიერ, მრავალჟამიერ!..“

ამნაირი ჭრიჭინი ყველა მოსვენებული ყურისათვის სასიამოვნო არ იქმნება, მაგრამ, საბედნიეროდ, ფრიალ კლდების მეტი არავის არ ესმოდა, მხოლოდ ისინი გვაძლევდნენ ბანს...

არდანუჯი, 10 დეკემბერს.

„დროება“, 1879, 24/1, № 18, გვ. 1-3.

## არტაანიდამ ართვინამდინ

(მგზავრის შინიშხენი)

კარზე ცხენები მზათ არიან და მელიან წასასვლელათ. არტაანს მივეცი უკანასკნელი სალამი, გამოვემშვიდობე ნაცნობ-მეგობრებს...

უკანასკნელი „ნადი!“ რომ მითხრეს, მე ვიყავ ქალაქის გარეთ და მქონდა სამუდამოთ ზურგი მიქცეული არტაანზე; ვიყავ იმ ადგილას, საცა ომში დახოცილების საერთო საფლავებია. ისინი რაღაც ნაღვლიანი საიდუმლო სახით იყურებოდნენ და ადგენდნენ იქაური მინდვრის მორთულობას.

ოხ, ღმერთო! რამდენი და რამდენი ძალა, რამდენი იმედი და ნუგეში, რამდენი მხურვალეჯერ ნორჩი სიყვარული და სიხარული შთაუნთქავთ ამ საფლავებს!?

რამდენი გულია დაკოდილი, რამდენი ცრემლი იღვრება ამათვის!.. მე და შენ, მკითხველო, რას გავიგებთ? სად შეგვიძლია გავიგოთ! აბა, ერთი ჩახედე ერთ ცხრა მთის იქით ღარიბ ქოხში. იქ დაინახავთ ახალგაზდა ქალს სამი პანანა ობლებით. ჩახედეთ იმ ახალგაზდის გულში, რა უწყალოდ ითუთქება? რანაირი მძიმე ოხვრა ამოდის იმ გულიდამ. აი, ამ ოთხი არსების იმედი და ხელისმწყობი ამ საფლავებში ჰმარხია.

აგერ, ბუხრის თავზე ზის ბრმა მოხუცებული, თმათეთრა კაცი. იმისი საფლავამდე ერთგული ამხანაგი – მეუღლეც ძლივს ჯოხით დაგოგმანებს. სადღაც ყოფილა. ჩანთით მოაქვს უხვი ხელით მიცემული პურების ნანტვრევები – ვახშამი მოაქვს. იმათი ორი წლის შვილისშვილი გდია ტიტველა მინაზე და ნაცარს ექცევა. ეს პატარა ობოლია, დედ-მამა არა ჰყავს, მამა ომში მოუკვდა. ეს დედამ გაიგო, ნაღვლით ისიც იმას ენაცვალა. ამ ორზე მტი-

რალე მოხუცებულმა დაჰკარგა თვალის სინათლე. მხნეთ დარჩა მარტო დედაბერი, რომელიც არჩენს იმ ორს სულსა. აი, ამათი გამაუბედურებელიც ამ საფლავებში წევს.

დღე მშვენიერი იყო. გრილოდა. ჰაერში ტრიალებდა შემოდგომის სუნი. ცაში არსად არა სჩანდა ღრუბელი. იყო სრული მყუდროება.

წინ გამეშალა ფართო მინდორი, შემოზღუდული ლივანის ნაცრისფერი მთებით. ის მთები რალაც მწუხრად გადმოიცქეროდნენ და ღრმად მოხუცებულ დედაკაცსავით, რომელიც ახლად ვინმე ახალგაზდასთვის სასძლოს არჩევდეს, იღრიჯებოდნენ. არც მინდორი მომკილი ყანებით და ხშირი პურის ზვინებით კაცის გულს ასიამოვნებდა.

მომდეგდა სამი ოსი, რომლებიც დარჩნენ რალაც მიზეზით უკანა. მე დავრჩი მარტო. ამ ბუნების მწუხარე შეხედულებამ, მინდვრის სიჩუმემ და ამ საერთო საფლავების ნახვამ ღრმად ჩამაფიქრეს და გულზედ შავ ტყვიასავით ნალველი დამანვა! წარმოვიდგინე ჩვენი ცხოვრება. რა არის ჩვენი სატანჯველით სავსე ცხოვრება? რა მიზეზია, რომ ჩვენ ასე ვიტანჯებით? ჯერ კაცი არ დაბადებულა, რომელმაც სთქვას: ჰო, დიალ, მე მადრიელი და კმაყოფილი ვარ ჩემის ბედისა. ჩვენ ჩვენის ცხოვრების ყურმოჭრილი კი არა, კუდმოჭრილი ყმა ვართ. ჩვენი მიბაძვით, ჩვენი გაუმაძღრობით, სიხარბით და თავის მოყვარეობით ვხედებით ცხოვრების მონა...

ამ მძიმე ფიქრებში კინალამ წამეძინა ცხენზე, მაგრამ ამ დროს ოსები მომენივნენ და გადამარჩინეს ამ საცდურს.

– გამარჯობა თქვენა, ძმებო, სადაურები ხართ? – ვკითხე ოსებს.

– ჩვენ ცხინვალელი ხარ, – მიპასუხეს.

– კარგი, მაშ, ყოჩაღათ უნდა წავიდეთ..

– ცოტა ხანს შემდეგ კიდევ ამათ მიუბრუნდი:

– სიმღერა არ იცით, ძმებო, იმღერეთ! მაშინ უფრო კარგათ წავალთ, ისე რომ ვერც კი გავიგებთ მივდივართ, თუ არა.

– არ იცი, სენი ჭირიმე; იცი, მაგრამ ცოტა იცი.

- ლექსომ იცის ბევრი, - მიპასუხა ერთმა, რომელიც ეტყობოდა იმათში უფროსი და გამოცდილი იყო.

- ნულარ ინაზებით, კარგი, იმღერეთ!  
დაინყეს ახალი ოსური სიმღერა.

ისე მადით მღეროდნენ, რომ უეჭველად ეტყობოდათ, რომ თვითონაც ნდომებიანთ სიმღერა, მაგრამ ჩემი ერიდებოდათ.

საამო სასმენი იყო ჩვენი კონცერტი. ერთბაშათ გამოეცოცხლდით, მინდორიც გავალვიძეთ და ის ფიქრები, რომელნიც სულს ამძიმებდნენ, გაფრინდნენ, ისე, როგორც ცელქი ბავშვი გააფრენს შინაური მტრედების გუნდსა.

მიველით სოფ[ელ] ქვენა ჯინჭარაში.<sup>53</sup> ჯინჭარა არის პატარა სოფელი მტკვრის პირას. სოფლის გარედ, პატარა ამოსიებულ ალაგას, დგას პატარა ეკლესიის ოთხი კედელი, მაგრამ ეტყობა ძველ დროს არ ეკუთვნის ეს ეკლესია. ზედა ჯინჭარას<sup>54</sup> რომ აივლით, გზა ეხვევა ერთს ფერდობს და აგაცილებს მტკვარს, რომელიც დარჩება მარჯვენაზე. ზედა ჯინჭარაშიც არის დანგრეული ეკლესია. დარჩენილა მხოლოდ ერთი კედელი.

ბევრი არ გვივლია, შუადღე მომანია, ჩვენც მიველით სოფ[ელ] ზინდისგომში.<sup>55</sup> აქ ცხოვრობს ვილაც ბეგი. მოლლა შუადღის ნამაზს ჰღალადობდა. მოლლად პატარა ყმანვილი იყო, თორმეტცამეტი წლისა, სასიამოვნო სანახავი იყო ეს ახალგაზდა თეთრჩალმიანი მოლლა! იმისმა ანგელოზმა ხმამ და სახემ მალლა ბანიდამ ისე მიგვიზიდა, რომ მე და ჩემი ოსები უნებურად გავვაჩერა. სიხარბით უგდებდით ყურს, როგორ ის იძახდა:

- „აღლა, ჰექბერ! (ღმერთო, შეგვიწყალე). აღლა, დუნია ქელამი, ჰექბარ! (ღმერთო, ქვეყნის გამჩენო, შეგვიწყალე).

ზინდისგომი საკმაო მოზდილი სოფელია. სოფლის მარცხენა მხარეს (სამხრეთის) ფერდობზე იწყობა ტყე, მაგრამ ნამდვილი ტყე არ არის, ნაჩიგვარი და ბუჩქებია.

გავიარეთ პატარა გაშლილი ზეილა და მოველით სოფ[ელ] შადრევანში.<sup>56</sup> შადრევანიც დიდი სოფელია. დგას ფერდობზე. შენობები სულ ხისაა. ორ-სართულიანი სახლებიც ბევრია. ამბობენ, მდიდარი სოფელიაო. ზეილამ დგას ძველი ეკლესიის ნაშთი; ოთხი კედლის შუაგული საღად დარჩენილია. უჭირავს

საკმაო ფართო ალაგი. ეტყობა, დიდი ეკლესია ყოფილა. შადრევანის წინ ჩამომდინარეობს ნორჩი მტკვარი. მე მეგონა მტკვარს სამუდამოდ გავშორდი, მაგრამ, არა, აქაც მომძებნა. კი არ გეგონოსთ, რომ აქაც ისე მოდიდურე ლომი მტკვარი იყოს, როგორც ქვეითა. ანჰა, აქ სულ პატარაა! სხვამ რომ არ გითხრას, ეს მტკვარია, ვერც კი გაიგებთ, რომ მტკვარს ჰხედავთ. ის ხმოვანობა, ის მძაფრობა და მედიდურება, აქ იცვლება სინყნარეზე. თურმე არც მტკვარი ყოფილა დაბადებით ღონიერი და მძლავრი; თურმე იმისი ღონეც დგება სხვა სუსტი ღონეებისაგან!.. ის სუსტი ღონეები, შეერთებული ერთ ღონეთ, იქცევა მძლავრ და დაუმარცხებელ ღონეთ... აქ, სათავეზე ისე სუსტია, რომ საიდაც ისურვებთ, იქით წაიყვანთ. აბა, კაცი ხართ, ბოლოში წინააღმდეგეთ!..

მიველით ქინძათამარაში.<sup>57</sup> დგას მთის ძირში, ღელეს პირზე. აქ ტყე უფრო ხშირდება. ჩვენი გზა ამ სოფელს ასცილდებოდა, მაგრამ ცხენები ისე დაიღალნენ, რომ მოსვენება ეჭირებოდა, მისთვის შევიარეთ სოფელში.

ქინძათამარაში ცხოვრობენ ქურთები და ჩვენებური თათრები. ჩემ კითხვაზე, თუ როგორ იოლათ მიდიან ისინი ქურთებთან, მიპასუხა ერთმა თათარმა:

– ეჰ, კარგად მივდივართ იოლათ, მაგრამ ახლო მოყვრობა ჩვენი იშვიათია, ქალის მითხოვება და სხვა მოყვრობა ჩვენ შორის არ არის.

– რათა, ერთი რჯულისანი არა ხართ? ვკითხე.

– მართალია, ერთი სჯულისანი ვართ, მაგრამ ისინი უწმინდურები არიან, დედაკაცებს უადგილო თავისუფლობას აძლევენ. ისინი უცხო მამაკაცებს არ ერიდებიან და იმიტომ.

ცხენებმა მოისვენეს. დავადეგით გზასა.

ამ სოფლიდამ იწყობა იალანუს-ჩამის<sup>58</sup> (ობოლი ხის) აღმართი, აღმართის ძირში რომ მიველით, გამოჩნდა ღელში ძველი ციხე მაღალ კლდეზე. იმ ციხის ქვეიდან ვინრო ხევიდამ გამოჩუხს ახალგაზრდა მტკვარი. აქედამ საუკუნოდ არა, მაგრამ დროებით მაინც გამოვემშვიდობე მტკვარს, ვიხმარე უკანასკნელი ღონის-

ძიება, რომ ეს აღმართი გამეწვლო დღის სითბოში, მაგრამ მაინც ვერ მოვახერხეთ, ვერ ავცდი მთის სუსხს.

აღმართის ნახევრიდამ გამოჩნდა მარცხენა მხარეს ღელეში სოფელი, გვერდით ეკლესიის ნაშთი. მომავალ ახალგაზრდა თათარს ვკითხე: „რა სოფელია ისა?“ ტიკაშენაო, – მიპასუხა. უნდა იყოს დიკაშენი.<sup>59</sup> აღმართმა საქმე გაგვიძნელა. რამდენიც მაღლა ავდიოდით, იმდენი სუსხი ძრეილდებოდა. აქ კაცი აღმართს ვერ იგრძნობს, სულ ვაკეთ ჰგონია. მიდის გზა, მაგრამ ნელ-ნელა ეპარება დიდი აღმართი. აივლი პატარა სერს, გამოჩნდება მეროე; ჰგონია ეს-ეს არის გათავდა; იმასაც აივლი, წინ აიყუდება სხვა სერი...

შეგვხვდნენ ერთი გროვა თათრები ბარ-ნიჩბებით, ხელები უბებში ჩაწყობილნი. ისინი მოდიოდნენ გზის კეთებიდამ – არტაანიდამ არდანუჯამდე კეთდება ახალი გზა.

– რამდენს იღებთ ღლეში? – ვკითხე თათრებს.

– ონდორთ ყურუმს (თოთხმეტს შაურს), მიპასუხეს და მკითხეს, მთავრობიდამ რამდენი გამოდისო. ეტყობოდა, ეჭვი იყვნენ – ბევრი გამოდის, ცოტას აძლევენ.

ტყე უკან დაგვრჩა. წინ წარმოგვიდგა ტიტველა მთები და მინდორი. შორით იჭყიტებოდნენ მაღალი ჭალარა მთები. სიცივე საგრძნობელი გახდა. აღმართი გათავდა, ამ ალაგას დგას ერთი ხე ობლათ, რომლის მიზეზით არის დასახელებული ეს აღმართი „ილანუს-ჩამათ“. წინ მოგვეგება ლამაზი თოვლის მინდორი, რომლის ბოლოს ცა ერთდება დედამინასთან.

არდანუჯი, 10 დეკემბერს.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

„დროება“, 1879, 1/II, № 25, გვ. 1-3.



## არტანუჯის ართვინამდინე

მგზავრის შენიშვნები

(გაბრძელება)

მზემ გვიღალატა. ბურთი და მოედანი სუსხს, ცივს ქარს და ყინვას დარჩა. სიცივემ ძვლებში გაგვიარა და უწყალოდ გვათრთოლა. განუშორებელი მგზავრის ამხანაგი – ნაბადიც დაემორჩილა მასა. აქ სითბო ისე ვინატრეთ, როგორც ახალი მოდის ქალი ტანცი-მანცის შემდეგ ინატრებს ცივს მაროუნას.

ნახევარი საათი ვიარეთ თოვლზე. სანყალ ოსის ცხენებსაც კი გაუკვირდათ ამნაირი ბუნების უეცრად ცვლილება.

აგერ, მზე მოეფარა თოვლიან მთების კეფას. გამოჩნდნენ რაღაც ფანტასტიკური სახით იასამანის მთების თოვლიანი ნაკვეთნი. მზე ამ სოფლად აღარ სუფევდა; მხოლოდ იმ მთების ზურგიდამ გზავნიდა ბასრ სხვივებსა და აწითლებდა ნაჭერ-ნაჭერ ღრუბლებს. საამურ სანახავ სურათს ვხედავდით. ამ სურათმა სიცივეც დაგვავიწყა და თოვლიც. კალმის საქმე არ არის ამის აღწერა, მხატვრისათვის კი მსუქანი მასალა გახლდა...

დავეშვით თავდაღმა. ახლა იმ სიცივის შემდეგ სიამოვნებით და ხარბათ ვყლაპავდით თბილა ჰაერს. ჩამოვსხედით ცხენებიდან და ვინყეთ ფეხით სიარული. გავთბით.

აქ ბუნება უეცრად იცვლება: იმ ერთფერი და მწუხარე ბუნების მაგიერად ეთამაშება კაცის მხედველობას ათასფერი მდებარეობა და სხვადასხვა სურათები – აგერ, იქ მაღალი და თვალუნვდელი კლდეები, კლდიდამ ჩამოშხრილებს ნაკადული; კლდის თავზე მთის ძირს პატარა მინდორი, საცა სარკესავით ბჭყინავს ტბა; იქ პატარა გორაკი შემოსილი ხუჭუჭი ტყით; აქ უძირო ღელეები; კიდევ იქით ცოტა შორს ფერდობა; ისევ კლდე,

კლდეზე უშველებელი ნაძვის ან მუხის ხე ირხევა მცირე მობერვით და წინ ამოჩუხს ბროლივით წყარო...

ლამის სიბნელემ იქაური არემარე დამალა თავის ფარდის ქვეშა, როგორც უსამართლო ჩადრი ჰმალავს თათრის მშვენიერ ქალებს. დავრჩით უცნაურ ადგილას ბნელაში. მივდივართ, მაგრამ არ ვიცით საით, მხოლოდ იმას კი ვგრძნობთ, რომ სულ ძირს და ძირს ჩავდივართ. ორი ოსი უკან დამრჩნენ. რომელიც მომდევნა, როგორც ბოლოს აღმოჩნდა, გზა არ იცოდა. კარგად რომ ვშინჯე ადგილი, საცა ჩვენ მივდიოდით, შევატყე, რომ გზა დაგვიკარგავს.

– ლექსო, გზა რა იქმნა?

– რა იცი, სენი ჭირიმე? მეც ახალი ხარ, გზა არ იცი.

აქეთ ვეცით, იქით ვეცით – გზა არსად არის. ამჯერად ჩემმა მერანმა როგორღაც ვერ მაფრინა... ლექსო ხამი იყო, პირველჯერ იყო აქა, მაგრამ ისე ეძებდა გზასა, რომ გზის პონის იმედი მაინც მომეცა. მხოლოდ კისრის ტეხის შიში გვექონდა. ამ დროს შემოგვესმა ძაღლების ხმა და გამოჩნდა შორით სინათლე. გაგვეხარდა, მაგრამ გზა მაინც არსად არ იყო. მაშინ მე გადავწყვიტე წასვლა, საცა სჩანდა სინათლე. ლექსო დარჩა ცხენებთან.

ბევრი წვალეების შემდეგ მიველი იმ ცეცხლთან. წარმოიდგინეთ ჩემი გაჭირება, როცა ჩემ-და-საოცრად სოფლის მაგიერად დამხვდა ქურთების ბანაკი! უკან წამოსვლა ველარ შევიძელ, ბანაკის ძაღლებმა შეიტყეს ჩემი იქ მისვლა და უკან გამომიდგებოდნენ და ანგარიშს მომთხოვდნენ. გავბედე – შეველი ბანაკში. უკანასკნელ ბანაკთან ერთო ცეცხლი, რალაც იხარშებოდა. ცეცხლის შუქი საამოთ ანათებდა ახლო ქვაბთან მჯდომარე ახალგაზრდა ქალს. როცა ის ჰბერავდა ცეცხლს, იმისი სახე – შავგვრიმანი და შავთვალწარბა – ცხადათ სჩნდებოდა...

მიველი ახლო, მივეცი სალამი. ჩემდა სასიხარულოდ, ჩემი სალამი მიიღო და არ გამექცა, როგორც თათრის ქალებმა იციან. ქალი გაოცდა და გაკვირვებით მკითხა, რა მინდოდა ისე უდროთ იმათ ბანაკში. ვსთხოვე, ვინმე კაცი დამიძახოს. შევიდა კარავში და მოიხმო მოხუცებული მამა. ჰასომ თავი დამიკვრა და მო-

მიხმო თავის სადგომში, და მითხრა, რომ კაცები არავენ არის ბანაკში - სულ ნასულან ცხვრებთან. მთხოვა დარჩენა იმ ღამეს იმასთან. მე უარი ვუთხარი.

- მაინც თბილი რამე მიირთვით, ბატონო, როგორ შეიძლება ამ დროს მობრძანდით და პატივი არა გცეთ? ვიცი, რუსებს უყვართ რძე!

უარი ველარა ვსთქვი. შევედი კარავში.

აგერ, უბრალო და საყვარელი სახლი მთიული ქურთისა! აგერ, სადგომი ბუნების შვილისა! უბრალოდ მოქსოვილი ქილობი ლერწმისაგან და ფარდაკებისაგან შესდგება იმისი სადგომის კედლები. მთელი სადგომი დამყარებულია ერთ სვეტზე, რომელზედაც ჩამოკიდულია რალაც უმზგავსი საგნები მოჭვარტლული კომლისგან. კარავის ერთ მხარეს აგია ლოგინი და სულ ძირსა თოკებზე ჰკიდია ბოვშის აკვანი. ჩემი ნანახი ახალგაზრდა ქალი არ იქნება 15 წლისა, შვილის პატრონია. მეორე მხარეს სხვა ლოგინი, საცა სთვლემს კაცზე მოხუცებული დედაკაცი 100 წ[ელზე] მეტისა. კარავის კართან ოთხ ქვაზე დადებულ ფიცარზედ აწყვია სახლის მორთულობა: ორი ქვაბი, ტაფა და წყლის სასმელი ჭურჭელი-მაშრაფა. კარის მეორე გვერდით დევს ლოდი სტუმრის დასაჯდომათ. არც იმათი ტანსაცმელია მდიდარი. გძელი უნაოჭო ჩითის და შილას ყავთან, განიერი ტომარასავით კოჭებში შეკრული შალვარი, თავზე უბრალო ხელმანდილი შეადგენს ქურთის ქალის მორთულობას. ზოგიერთი ყავთნის ზეიდამ იცვამენ მოკლე ჩოხასავით კურტკას, მიკერილს აბრეშუმით.

კაცების ტანისამოსს შეადგენენ: ქალამანი, შალის შალვარი, მოკლე ჩექმენი, ჩექმენის ქვეიდამ იფლაგი უნაოჭო, სამოსელის პერანგი, და რამდენიც შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, დიდი ჩალმა ჭრელი იაზმისა.

მდიდარი ღარიბისაგან განირჩევა მით, რომ მდიდარს აცვია ნითელი წალები, ნითელივე ჩექმენი, ვერცხლის ქამარი მოკალეული ხმლით, ჩალმაზე ახვევია ვალა.

ლამაზმა ლეილამ შემომიტანა რძე, სიამოვნებით შეეხვრიტე და გამოვემშვიდობე ბედნიერ ადამიანებს. გამომაყოლეს გზის

საჩვენებლად ათი წლის ყმანვილი. სასაცილო იყო, როგორ ფეხ-შიშველა და თავლია ბნელაში პატარა ქურთი წინ გამორბოდა!

სანამ პატარა ქურთი გზამდის მომიყვანდა, შემომესმა:

- მანა ჭანდაკ ხარზა, ბატონო (აგერ, ბატონო, კარგი გზა)!

- ჰყვიროდა

ლექსო. გზა ეპოვა და სიხარულით დაჰვიწყებოდა, რომ მე ოსური არ ვიცი. მეც გამეხარდა. მიველი ლექსოსთან. პატარა ქურთი დაიკარგა ღამის სიბნელეში, შინ დაბრუნდა. ბნელაში ძლივს ვარჩევდით გზასა. ჩვენ ვერას ვხედავდით, მაგრამ სანყალი ფეხები კი კარგათ გრძნობდნენ, გზა საშინელი ქვიანი იყო.

მიველით სოფ[ელ] ხევამი;<sup>60</sup> ბნელაში კარგ სოფლად გვეჩვენა. ჯერ ყველგან სანთლები ენთო. რომელ სახლთანაც მიველით და ჩვენი „ურუსული“ ხმა გავაგონეთ, ყოველგან გააქრეს სანთლები. ეტყობა, ჩვენ საბითებს (ჩინოვნიკებს) ძრიელ შეუყვარებიანთ თავი! როგორც იყო ბოლოს ჩავიგდე ხელში ერთი ახალგაზდა თათარი, რომელმაც მიმიყვანა მუხთართან (მამასახლისთან). იმის გამოყვანისთვის დაგვჭირდა ნახევარი საათი. შეგვიყვანეს ოდაში.

აქ ოდა (სახლი) იმნაირი არა სცოდნიათ, როგორც არტაანის მაზრაში; ამათი ოდები მდაბალია, ცალკე დგას ბოსლისგან; სცოდნიათ ამათ ოთახები მდაბალი და ორსართულიანი, ხისა.

ოთახში დამხვდნენ სხვა სტუმრებიც თათრები. ვისთანაც მიმიყვანეს, ეტყობოდა, იყო მდიდარი, რადგან ყველანი ალას უძახდნენ. თათრები ქითაბ ნაკითხებს ადიდებენ ეჭანდით, მდიდარს - ალათი. მართალია, არ სცივოდა, მაგრამ მაინც ბუხარი დაუზოგავად დატვირთეს. ბუხარმა იწყო მხიარულად გრიალი. სადირემის წინ აქლემებივით დაჩოქილ თათრებმა იწყეს მუსაიფი. ბუხრის წინა ქვაზე ეწერა თათრულად:

„გამხიარულდი, ბუხარო,

რომ სტუმარმაც იმხიარულოს!“

მუსაიფი და ლაპარაკი ათასფერი იყო: ჭირნახულზე, საქონელზე, ხარ-კამეჩებზე და ხანდისხანაც წინ მოვიდოდნენ ხოლმე - აღმოსავლეთური მშრალი „პოლიტიკები“.

- ომი გათავდა, არა? საზღვრები არ განწესდა აქენდიჯან?
- მკითხა სახლის პატრონმა.  
მე ორივეს კითხვას „ჰო“ უთხარი.
- როგორ არის, სულთან-ალა (მომსახურე მოხელეს სულთანს უძახიან), წასვლის ნება მოგვეცემა, თუ არა?
- არა, არ მოგვეცემათ ნება, უპასუხე (უნდა აღვიაროთ, არ ვიცოდი), რად გინდათ, განა არა გსურსთ აქ დარჩენა?
- არა! - მიპასუხა ისე იაყუბამ და წვერზე ხელი მოისვა, გეგონება, იმას ნიშნავდა, მიზეზი ამან გითხრასო.
- მიზეზი რა არის, იაყუფ-ალა, რომ მაგრე გვერიდებით?
- სწორედ უნდა მოგახსენოთ, ღმერთმან იცის, რომ ჩვენ გავურბოდით ჩვენ მოქრთამე საბიუბსა, მაგრამ ვერ გავექეციით! როგორც ეტყობა, ალახის ნება ასე ყოფილა - ისინი თუ ხუთ ყურუშს გვართმევდნენ, ახლა ასი ყურუშით ვერა ვრჩებით.
- არა მგონია, ეგ ჩვენ ქითაბში არა სწერია. იქმნება, იაყუფ-ალა, ეგ შეცდომა იყოს?
- სულაც არა. ყოველაფერს გაუძლებთ, მაგრამ წკეპლს კი ვერა, ჩემო აზიზო.
- როგორ თუ წკეპლს?

არდანუჯი, 10 დეკემბერი.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

„დროება“, 1879, 2/II, № 26, გვ. 1-3.

## არტანუჯის ართვინამდინე

(მგზავრის შენიშვნები)

(გაბრძელება)

- აი ასე! გავლილად მოვიდა აქ ვილაც ზაფთია (დესიატნიკი) მთვრალი სომეხი და დაინყო თხოვნა მარხილებისა ვილაც ად-აბნიზის (უნამუსოს) წასაყვანათ ქალაქში. ჩვენი სოფლის მარხილები სულ არდანუჯში იყო, ბაქსამათი წაელოთ. ვსთხოვეთ, გვადროე-თქო, მაგრამ, არა! დაინყო ცემა-ტყემა მუხთარისა და ვინც შეხვდებოდა წინ. მემრე წავიდა, თვითონვე იჩივლა უქუმეთში (სასამართლოში) და შარიც შემოგვიგონა 50 მანეთი მომპარესო. ჰუქუმეთმა დაიბარა ქალაქში მუხთარი. მამად ამირ ოღლი, რაშიდ ჰასან ოღლი, ოსმან ჩამ ჰუსეინ ოღლი და სალი ჰასა ოღლი ლაზათიანად ტიტველაზე (პატივი მოხელებთან) განკეპლეს და ხუთი თუმანიც ჯარიმა გადაახდევინეს. არა, ჩემო ეფენდი, ჩვენ ამათ ყაიდს ვერ გაუძლებთ...

ერთმა მოხუცებულმა მიაშობო, როცა ვკითხე, ამიებში ძველი ეკლესია ხომ არ არის, თავისი ნანეს (დედის დედას) ნაამბობი და სულაც უარზე არ იყო, როგორც სხვა თათრები, რომ ისინი ქართველი ყოფილან:

„ჩვენ ძველად ქართველები ვყოფილვართ, ეს ბებიაჩემისაგან გამიგონია. იმ ცხოვრებულმა ქართულიც იცოდა, ისე კითხულობდა და სწერდა, როგორც წყალი. ღმერთი რომ მოსძებნის თავის ყულებს (მონებს), უეჭველად გადმოჰხედავს. პაპაჩვენებს

<sup>1</sup> მე ვწერ იმ კაცის ნაამბობს და სიმართლეზე ეჭვი მაქვს. არა მგონია, რომ ჩვენებს ეგ უკადრიათ, მაგრამ ჩვენ ცოდვილს სოფელში ყოველი სასწაული ხდება ხოლმე. მისთვის ვერ მოვითმინე, რომ არ მელაპარაკა (ავტორი).

დაუხედნიათ, რომ ისლამი მართალი სჯული ყოფილა და მისი ღიათ, მაგრამ მათში ბევრი ქართველად დარჩენილა და საიდუმლოდ ინახავდნენო თავიანთ ძველ სჯულსა. ღამ-ღამე დადიოდნენ ტყეში და იქ ეკლესიაში ლოცულობდნენო. იმ ეკლესიის ნაშთი დღესაც არისო ტყეში. ჩვენებმა გაიგეს ესა და სულ ერთიანად გადასწვესო“.

სახლის პატრონმა გაგვანყვეტინა ლაპარაკი:

– ვახშამი მიირთვიო!

დასდგეს შუაზე დიდი იმერული ტაბლა. ვახშამი მოგვართვა ყველი ოსმალური ზინათით. სამი კაცი გვემსახურებოდა. მეოთხე, უფრო ახალგაზრდა და მშვენიერი ხელშეკრული იდგა, უყურებდა იაყუბას თვალ-წარბში და წამდაუნუმ იმის ჩიბუხს (ყალიონს) უმსოვდა. ეს გახლდა სახლის პატრონის „ჩიბუხჯი“.

თავდაპირველად ჯერ არ იყო საჭმელი მოტანილი, მოგვიტანეს ხელების დასაბანი წყალი. ერთს მოსამსახურეს ეჭირა წყალი, მეორეს – პირსახოცი და მესამეს – თითბრის ლაგანი მრავალ ნახვრეტიანი თავსახურავით. ვისაც ეჭირა ლაგანი და სანყლე, ისინი დაიჩოქებდნენ და ისე აბანებდნენ ხელებსა. როცა გაათავებდნენ, პირსახოცის მჭერელი დაიჩოქებდა და აძლევდა პირსახოცს. ხელების დაბანის დროს ისე მძიმეთ იქცეოდნენ სტუმრები და სახლის პატრონი, გეგონებოდა, დიდ საქმეს არიგებენო. ერთი რომ გაათავებდა ბანასა, მიდიოდნენ მეორესთან.

ეს სურათი სწორედ წარმოადგენდა ჩვენი ფრანგების ფეხის ბანის ღამესა.

ხუთფერი საჭმელი მოგვართვა, სულ ტკბილეული. თითო-თითო მოტანა არ იციან, როგორც ჩვენში საჭმელების – ერთბაშათ მოაყარეს თითბრის სინებით, თეფშებით. სუფრაზე მჯდომარე კაცი შტერდებოდა, არ იცის, თუ რომელი საჭმელიდამ დაინყოს. ვახშმის შემდეგ მოგვიტანეს ყავა. არც ამ ყავამ ჩაგვაგდო კარგს მდგომარეობაში. მოგვიტანეს რალაც სათითესოდენი ფინჯნები; ფინჯნებზე მაღალი მოზდილი რალაც ჭურჭლები მოგვცეს ფინჯნების დასადგმელად, მაგრამ არც ამით გაკეთდა საქმე; ის დასადგმელი ისე მაღალი და უხერხული იყო, რომ არსად არ დაიდგმებოდა. ერთი ფინჯანი უშაქრო ყავის დაღ-

ევისათვის ნახევარი საათი კაცს უნდა ეჭიროს ეს საზარელი ფინჯნები. გააგძელეს ჩიბუხები, ააბოლეს კომლი, დადგა წამი ქეიფისა და ბალიშებზე გორვისა...

მოვრჩით გაუტანელ ვახშამსაც. მე ძილმა შემიპყრა. დიდხანს ღრმა ძილში მესმოდა გლეხების დუდუნი, ისინი ლაპარაკობდნენ ხარებზე, კამეჩებზე, ყანებზე და თხა-ცხვრებზე...

გათენდა საამო დილა. იმნაირი ცვლილება ვნახე აქაური და არტაანის ჰავის შორის, რომ მეგონა არტაანის მზე სხვაა, აქაური - სხვა.

ხევის მდებარეობა მოსაწონია. თვითონ სოფელიც მოზდილია. მართალია, დგას ჩავარდნილ ალაგას და გარშემო მთებით არის შემოზღუდული, მაგრამ წყლით და მცენარეებით ისე მდიდარია, რომ კარგი გამსჯელი ხალხი იყოს აქა, გაჭირებაში არ იქმნება. ძრიელ ცოტას სარგებლობენ ამ მდიდარი ადგილით აქაურები.

სახნავ-სათესი ალაგი ცოტაა, მაგრამ მოდის კარგი ყურძენი, თუთუნი და სხვა ხეხილი.

მზე გადმოიყუდა მაღალი მთების წვერიდამ. მომიყვანეს ცხენები, შევსხედით და გავკურცხლეთ მთისაკენ.

ხევიდამ სამი გზა მიდის არდანუჯამდე. ოსმა შუა გზით წამიყვანა. იმის სიტყვით, ეს ქანდაკი ხორზა ყოფილა. პატარა მანძილი გავიარეთ ნაბუჩგარი გზით. შევედით ტყეში. წინ გადმოგვეყუდა მაღალი მთების მიყოლება, რომელს ორთა ჰყოფდა, პატარა, მაგრამ ღონიერი მდინარე არდანუჯ-ჩაი. ამდენი ოღრო-ჩოღროხი და უძირო უფსკრულების მიზეზი ეს პატარა მდინარე გახლავს. გზამ ურიასავით გვანვალა - ხან მაღლა ავყავდით და ხან მდაბლა.

ჩვენ მივდიოდით იმ გზით, რომლითაც ჩვენს ჯარს გაევიდა. იმათი ბევრი კვალეები გხვდებოდა გზაზე - ხიდები და საფლავები.

გავიარეთ სოფ[ელი] ლონგითხევი,<sup>61</sup> რომელიც შენობები-დამ ეტყობოდა, რომ არ არის ღარიბი სოფელი. აქვს კარგი ჯამი მინარით. გზა უფრო და უფრო საჯავრელი გახდა. ვინც პირველად გაივლის აქა, უნებურად ბედს დაინწყევლის. მგზავრს თუთხმეტჯერ მოაგონდება ჩამოჯდომა და შეჯდომა ცხენზე.



აქაური სოფლები, იმათი შენობა და ბუნებაც თბილისის იმერეთს წარმოადგენს. ხის, ყურიანი სახლები, მიფენ-მოფენილი მწვანე ყანები სულ იმერეთისა გეგონებათ. გზა რამთონიც ღრმათ მიდიოდა, იმთონი სხვა და სხვა თვალის დამამტკობელი სურათები წინ იშლებოდა. მაღალი, ძაფური კლდეები, ხშირი მორთული მწვანით მთა-გორაკები, გრილი სიო, რომელიც ჰბერავს ხშირი ხების შუიდამ, მარად მოჩხრიალე წყლები მგზავრის გულს აწვრილებენ. მართალია, ამ გზაზე გავლით ფეხი ილაღება, მაგრამ თვალი და გული სიამოვნებაშია...

მიველით სოფ[ელ] ხერთვისში,<sup>62</sup> რომელიც მოფენილია დე-ლეში. ამ სოფელს შორით ეტყობოდა, რომ ცეცხლს გადაენვა და ტან-გატრუსულ ბატს წარმოადგენდა.

რათ არის ეს სოფელი ასე? – ვკითხე ჩემს ოსს.

– ეს, ბატონო, ჩვენ გადავწვიეთ.

როგორც ოსმა მიაბზო, ამ სოფლის ახლო ყოფილა თათრების ჯარი და სიმაგრე. პირველად ჩვენი ჯარი მისულა იმათზე, მაგრამ ვერაფერი ვერ გაურიგებია, რადგან ცოტანი ყოფილან. უკან წამოსულან და გადუნვიათ ეს სოფელი.

შეველით სოფელში. შეგვხვდა ერთი დროული კაცი, რომელიც აყუდული „მუსალიმ-ტაშთან“, (მუსალიმ-ტაში არის ქვა. ამ ქვაზე, როცა მიჰყავთ მკვდარი დასამარხავათ, ასვენენ და ზედ ლოცულობენ) დიდის სიბეჯითით ლოცულობდა. სანამ გაათავებდა ლოცვასა, დაუცადეთ. საქმემ აღმოაჩინა, რომ მლოცველი ყოფილა ჯარისკაცი. ომის დროს ჰყოლია მინდობილი ჯარი. დამარცხების შემდეგ დარჩენილა არდანუჯში, იქ ცხოვრობს. ახლა აქ რალაც საქმე ჰქონია და მისთვის ამოსულა. ოსს რალაც თათრული ქალაღდი ჰქონდა, მისცა წასაკითხათ, მაგრამ ყოფელმა-მაიორმა კითხვა არ იცოდა. გაგვიკვირდა.

– ახლა, გავიგე, ბატონო, თათრები სალამოს დროს რისთვის ჯერ მუცელზე იდებენ ხელს, მემრე შუბლზე. თურმე იმის თქმა უნდათ: მუცელი სახსეა, გული დიდი და თავი ცარიელი, – იმახვილა ოსმა.

მიველით უკანასკნელ (ფოშტაში) პოსტში, რომელიც დგას ს[ოფელ] ახაშენში.<sup>63</sup> ამ სოფლიდამ კარგათ სჩანან სოფლები:

შავგულარი<sup>64</sup> და შვათა-ხევი. მოგვიყვანეს ოსური მერსანები. რომ შეესხედით ცხენებზე, რაც გინდ იყოს, ცოტათი ავმალლდით.

გამოჩნდა არდანუჯი. ვინც იქ დასარჩენათ მიდის, შორიდგან რომ დაინახოს, გული გაუსკდება. შორიდგან წარმოადგენს ნამდვილს სოფელს. დაგვრჩა ერთი დაღმართი კიდევ. გზა ზოგი ფეხით, ზოგი ცხენით ვიარეთ და ჩაველით ჩვენ ნაცნობ მდინარესთან. აქ დაღმართი თავდება და აღმართი იწყობა. ამ ადგილას პატარა გაშლილ მინდორზე მოფენილია პიატიგორელების ბატალიონის ბანაკი. კლდის ძირში სამი წისქვილი და ბალები შეადგენენ აქაურს შენობებსა.

გავემართენით აღმართს. როგორც იყო, ავიარეთ ეს უკანასკნელი აღმართიც. ჩემი წვალეა დამავიწყდა, როცა დავინახე, როგორ ორი მჭლე ხარი წვალეებით ათრევდნენ თვით დატვირთულ მარხილს. ზამთარს-ზაფხულს აქ მარხილით სცოდნიათ სიარული. შეველით არდანუჯში. მაღალ კლდეზე ძველი ციხის ნაშთი, ძველი ეკლესია, ქვითკირის ძველივე კედელი, რომელიც არტყია ამ პატარა ქალაქს, გარშემო მაღალი ძაფრი კლდეები და გარშემო გამოქაჩლებული მთები არდანუჯს აძლევენ რაღაც ფანტასტიკურს შეხედულებას.

დადგა დრო მოსვენებისა და გამოთხოვისა. სანამ მომესმას სხვა, - „ნადი“, იყავ ბედნიერადა და მშვიდობით, ჩემო მკითხველო.

არდანუჯი, 10 დეკემბერი.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

„დროება“, 1879, 4/II, № 27, გვ. 1-3.

## არტაანილაშ ართვინამდინ

(მგზავრის შენიშვნეპი)

(გაბრძელება)

ნიშადური მეტი მომივიდა. ჯერ რაც დამენერა, არ ჩამებარებინა ფოშტაში გასაგზავნათ, საქმის და გარემოების ჩარხი ისე დატრიალდა, რომ ჩემმა მერანმა ართვინისკენ მიმადრენა.

მე და ერთი ჩემი ამხანაგი ერთს მშვენიერ დილას გამოვემშვიდობეთ არდანუჯს. სასიამოვნო ამინდი იდგა. პირველი სხივი მზისა გზაზე მოგვეგება. ამინდი, ბუნება, მზის სიმშვენიერება, სიგრილე კარგი, მაგრამ მაინც ყოველათფერს ამახინჯებს შემოდგომა, როგორც ლამაზს და მორთულს ქალს დიდი და დიდი ცხვირი...

არტაანის გზა რჩება სულ აღმოსავლეთის მხარეს. ართვინის გზა იწყობა აღმოსავლეთ-ჩრდილოეთისა არდანუჯ-ჩაის ლელიდამ, სადაც კლდიდამ კლდეზე ქვითკირის ხილია. ამ ხიდს აქაურები „შეითან-ქობრის“ უძახიან.

„შეითან-ქობრი“ თქმა არის „ეშმაკის ხიდი.“ გზა ადის ერთს სერზე და მემრე იკარგება მთებში. სერზე რომ აველით, წინ წარმოგვიდგა საამო სურათი – მარჯვნივ მაღალ კლდეზე გამოსცქერის ძველი ციხე, ძირს კი ვალაკი მალარები და ეკლესია; ორი ღრმა კლდის გაჩეხილში მჩქეფრად მირბის არდანუჯ-ჩაი; კიდევ მაღალი კლდე და შარა-გზა. მარჯვნივ გზიდამ იწყობა მაღალი გორაკი, რომელზედაც თათრებს ჰქონიათ სიმაგრე. აქ „ყარა-მაიორმა“ იესელიანმა გამოიჩინა თავისი თავი ოსებით. ცოტა შორს სჩანან სოფლები. მაცალა ხევი,<sup>65</sup> ბოცა<sup>66</sup> და ბიჭა<sup>67</sup> თავის ლამაზი ბალებით, უფრო შორს – მაღალი და თოვლიანი მთები.

გავიარეთ, წინ გაგვეჩხირნენ ათასგვარი ამობურთული სწვა-  
 დასხვა ჰანგზე ამაყი მთები. ამ მთებს რალაც სასტიკი შეხედ-  
 ულება აქვთ. გეგონება, მგზავრს ამას ეუბნებიან: „ეგ მარტინის  
 და სნეიდერის თოფები გაქვთ და იმიტომ უშიშრად ჰბედავთ  
 ჩვენთან მოსვლას. ჰო, აბა კაცი ხართ, მარტო მობრძანდეთ!  
 მაშინ ნახავთ, რამთონი აჭარელი ავაზაკებით დაგვხვდებით!..“

კარგ მანძილზე ეს მთები ტყეც მოკლებული არიან. ზოგან  
 ცარიელია და ტიტველა მაღალი კლდეები ნაცრისფერ კაბიან  
 ქვრივ დედაკაცის სახეს აძლევენ. ალაგ-ალაგას კი არის ტყე,  
 მაგრამ ისიც არა ხშირი. მივადექით დაღმართს, სადაც იწყ-  
 ობა გატყეპნილი გზა. ამ გზის კეთება თათრებს ძრიელ ხალ-  
 ისით დაუწყიათ, მაგრამ ალლახმა არ ინება დასრულება – ომმა  
 დააბრკოლა და ჯორის მოგებული ცხენს ერგო...

ამ ადგილიდამ იწყობა კარგი გზა. კაცს მაინც აქ შეუძლიან  
 უშიშრად სიარული. ამ გზით მოსიარულე კაცს ავაზაკები თუ არ  
 დაუხვდნენ, მაინც კისერს არ მოიტყხს. გზაზე დაგვხვდნენ არზ-  
 ინგანელი ქურთები, მარილი მოჰქონდათ მარხილით ართვინში.  
 მიაქვთ მარილი, პური და ჰსცვლიან ხმელ ხილზე. ქურთები-  
 სათვის ხარები შეადგენენ ცხენს, ვირს და ურემს. ამაებში კაცი  
 ურემის მონატრული გახდება.

მიველით ახიზის ხიდთან,<sup>68</sup> რომელიც გადადებულია არ-  
 დანუჯ-ჩაიზე. ხიდი წარმოადგენს ცისარტყელას. სიგანე აქვს  
 ერთი საჟენი, სიმსხვილე – ორი მტკაველი. ამ ხიდის გამკეთებ-  
 ელს სულაც ფიქრში არა ჰქონია, რომ ქვეყანაზე არსებობს გორ-  
 გორიანი ურემი. ფეხით და ცხენით შეიძლება უშიშრად გავლა.  
 ქვითკირი ძრიელ მაგრად არის შედუღული. ეს ხიდი ძველი უნდა  
 იყოს. ახლა ორ ნაბიჯზე რომ ხიდი დასდგან, სამი ბურჯი უნდა  
 ჩასდგან, თუ არა, ვერ დაამაგრებენ. ამ ხიდთან სდგას ოსების  
 ფოსტი. სატირელი სადგომი აქვთ აქ ოსებს – ოთხ მინგრეულ-  
 მონგრეულ კედლებზე დაუხურიათ ყავარი, ისიც საცერივით  
 ყოველგან ღია. წვიმიან დღეს თუ კაცი გარეთ არ გამოვიდა,  
 ვერ გადარჩება კოკასავით ჩამოსულ წვიმის წყალს. ტყე-შეშა,  
 წყალი, მიწა, სოფელი და ყოველი საშვალე ცხვირს წინა აქვთ.  
 თორმეტი კაცი არიან და ერთი პატარა ქოხი ვერ გაუკეთებიათ

თავიანთვისა, აბა, რა უნდა ითხოვოს კაცმა ამისთანა ხალხისგანა?!

ნუთუ მარტო ესენი ხმალ-ხანჯლისათვის არიან გაჩენილნი?

სანამ მგზავრი მიდიოდას ახიზის ხიდთან, იმის მხედველობას მიზიდამს პატარა ციხე<sup>69</sup> მაგარ კლდეზე. ცოტა ამ ციხის ზეით ძევს სოფელი ახისი<sup>70</sup> და ვაზი ხევი. ციხის ძირში არის მრავალი მალარები. სოფლებიდან სულ ცალკე, პატარა გორაკზე, დგას დაობლებული პატარა ეკლესია, ეტყობა, ამ ეკლესიას აქვს რაიმე მნიშვნელება, რომ თათრებს შემოულობიათ ეკლის ღობით და არ დაუნგრევიათ, თორემ არა მგონია, რომ ესეც გადარჩენილიყო იმათ ხელისაგან.

ამ სოფლებს ლამაზი მდებარეობა აქვთ. ყველა სოფელი მორთულია ბალებით და სამხრეთით აქვთ მფარველად თვალაუნვდელი ფრიალა კლდეები. ახიზის-ხიდის ქვეით ერთდება არდანუჯ-ჩაის შავშეთის მდინარე. ამ მდინარეზე არის ახალი ხიდი ოთხ ბურჯიანი. ჯერ არ არის ეს ხიდი დასრულებული. ხიდს ჰქვია ემირხევის ხიდი.<sup>71</sup> როგორც მიაბო ჩემმა თანამგზავრმა, ამ შავშეთის მდინარის ხევში, აქედამ ხუთ ვერსტზე, ყოფილა დიდი თლილი ქვის ეკლესიები. მხატვრებს აქ უპოვიათ რაღაც ნაწერი და ის ქვა წარუდგენიათ ქალაქში ვილასთანაც. ხიდის გაღმა, ორას საჟენზე, დგას დიდი აბანო. იმ ადგილას სოფელი ყოფილა. ახლა წყალი არსად არა სჩანს. მე მგონია, აქ უნდა ყოფილიყო საჯამთელო წყალი. სოფელში უბრალოდ ქვითკირის აბანოს არ გააკეთებდნენ. აქედამ გზა ეხვევა მთის ფერდობას.

არდანუჯ-ჩაი დარჩა ძირსა და ცისფერი ზოლისავით ეხვევა მთას. ძირს ჩაღრმავებული უფსკრული და მაღლა ცა ისე აჩვენებს, გეგონება, მართლა კაცი ჰაერში ჰტყურავსო.

ახიზის ხიდთან გამოვიცვალეთ ცხენები და ახალი ღონით ოსური მერანები ორბსავით გვაქანებდნენ.

შვადლე კარგად გადავლილი იყო, მივედით სოფ[ელ] დოლის ხანაში.<sup>72</sup> დოლის ხანა დგას მაღალ ქედზე, ასვლა ამ სოფელში გაუჭირდება კაცსა. სოფელში სჩანს ლამაზი, დიდი ეკლესია.<sup>73</sup> ეს ეკლესიაც არ არის დანგრეული. გუმბეთი სულ ახალია. შიგრა მდგომარეობაშია, არ ვიცი. ჯერ რაც მინახავს ამაებში ძვე-

ლი ეკლესიები, ამგვარ მოზდილს და ახალს არ შევხვედრივარ. არდანუჯიდამ გამოქცეული თათრის ჯარები მოსულან და აქ გამაგრებულან. ეს სოფელი ჩვენმა ჯარებმა იერიშით აიღეს.

გალმა გამოჩნდა სამი პატარა სოფელი. ამ ადგილას ჰქვიან ატალახა. მარტო აქ ნახავთ პატარა ვაკე-მინდვრებს, რომელიც გადუქცევიათ ყანებათ.

ართვინის და არდანუჯის მაზრებში სახნავ-სათესი ადგილები ძალიან იშვიათი სანახავია. აქაურები არ მისდევენ მეურნეობას, რადგან, როგორც მოგახენეთ, ადგილი არ არის.

მართალია, ადგილი იმისთანაა, რომ სახნავ-სათესად არ გამოდგება, მაგრამ სხვა მხრით ნაყოფიერია; მოდის ყველა გვარი ხეხილი: ყურძენი, ატამი, ჭერამი, ვაშლი, მსხალი, თუთა, ნაბლი, ხურმა, ბრონეული და ბოსტნეული: ნესვი, კიტრი, საზამთრო და სხვა. არდანუჯ-ჩაის და ჭოროხის ხეხეები სავსეა ნუშის ხეებით. აქაურები ძალიან თავს არ იხეთქენ, რომ მიწა გააუკეთესონ და მომეტებული ნაყოფი მიიღონ; ისინი ემორჩილებიან ბუნებას; ბუნება რასაც აძლევს, მით კმაყოფილნი არიან. ბალ-ბოსტნე-ბიდამ იმდენი მოსდისთ, რომ ზოგს თვითონ ინახვენ, ზოგსაც სცვლიან პურზე, ერბო-ყველზე, და სხვა საჭირო საგნებზე არ-ტაანში, ჩალდირში, ახალქალაქში და ახალციხეში.

დანარჩენ დროს ისინი ლოცვაში და პირდაღებულ სიარულში ატარებდნენ...

არდანუჯი, 10 დეკემბერი  
(დასარული შემდეგ ნომერში)  
„დროება“, 1879, 6/II, № 28, გვ. 2.

## არტანუჯის ართვინამდინე

(მგზავრის შენიშვნები)

(დასასრული)

აგერ, გამოჩნდა ჭოროხიც, რომელიც წყნარად მიმავლობს ჩრდილოეთისკენ. არა შორს, დოლის ხანიდამ 5 ვერსზე, ყოფილა ერთი სიმაგრეც, საცა ყოფილან თათრები და თავის დასაფარი სიმაგრე გაუკეთებიათ. ამ ადგილას ხარხან-თაფა ჰქვიათ და ეს კიდევ მით არის შესანიშნავი, რომ ამ არემარეს ავაზაკები ბუდობენ. მგზავრს სიფრთხილე მოუნდება. ხარხან-თაფის ცოტა ქვეით შავშეთის და არდანუჯის წყლები ერთდებიან ჭოროხთან.

ახლა მივყვით ჭოროხს და მის ხეობას.

არ ისმის არც ფრინველთ ჟღერები და არც გლეხის სიმღერა. ეტყობა, ამ ფრთოვანებსაც მოსწყენიათ აქიურობა და შემოდგომის მწუხარე სახე, გაფრენილან თბილ ქვეყნებში.

მზე გადავიდა მთებისკენ. მზის სხივების შუქზე მთების ცისფერი ნაკვეთები თოვლის ჩადრით საამოთ იხატებოდნენ.

მივედით თოლგომში.<sup>74</sup> ჩვენი ჯარი კარგა ხანი იდგა აქა. თოლგომი ორ ნაწილად იყოფა — ზედა და ქვედა თოლგომად. ქვედა თოლგომი ძვეს ჭოროხის პირზე და მდიდარია ბაღებით და ბოსტნებით. ზედა თოლგომი აშენებულია შარაგზის ზედა ფერდობაზე. ეს მდიდარია ჰავით! უ[ფალი] კამაროვი თავის ჯარით აქ იდგა.

თოლგომიდან ართვინამდინე დაგვრჩა რვა ვერსის სასიარულო, მაგრამ კარგ თექვსმეტ ვერსათა ღირდა. ცხენები გამოვიცვალეთ და ნახევარი საათის განმავლობაში მიველით გოდორას-ხევის დაღმართში. აქედგან გამოჩნდა ართვინი.

შორიდან ართვინი ლამაზი ქალაქი სჩანს ბაღჩებით მორთული. ზეთისხილის ხეები უფრო ამშვენებენ ქალაქს. აღმართი

გათავდა პატარა მდინარით, რომელს გოდორას-ხევის წყალს უძახიან. წყალზე პატარა ხიდია გადებული.

სალამოს ლოცვის ჟამი იყო. თათარი ასულიყო ერთ დიდ კლდეზე თეთრის ჩალმით და ალახისადმი ლოცვასა სწირავდა. იმისი დაბარგული ვირი უცდიდა თავის პატრონს, გაათავოს ლოცვა და უთავაზოს ჯვრები, რომ მაშინ წავიდეს.

უკანასკნელი სოფელი, რომელიც გავიარეთ, იყო ლომაშენი. ლომაშენი დიდი სოფელია, ართვინიდან ორ ვერსზე. სახლები თითქმის არ ეტყობა ზეთისხილის ბაღებში. აქვს ლამაზი მდებარეობა. ერთი მხრით გადმოყურებს ჭოროხს, მეორე მხარეს მალალი კლდეებია. ლომაშენის ზევით (ერთს ვერსზე) დგას ძველი ეკლესია.

აქნობამდე შორით უყურებდით ჭოროხს, აგერ, ახლა მიველით ახლო. აქა-იქა პატარა კუნძულები, თხელი ადგილები, სადაც სჩანს წითელი ქვიშა, უშველებელი ლოდები. ერთ ალგას ჭოროხს ისე შეუვიწროებია გზა კლდესთან, რომ თუ მგზავრი არ ჩამოხტა, ვერ გაივლის. ამ ადგილის პირდაპირ ართვინი იწყობა თეიძურ-ბეგ ათაბეგოვის სახლებით. თეიძურ-ბეგი ახლა დანიშნულია არდანუჯის მაზრის უფროსად, ხიმშიაშვილის ნათესავია; იცის სუფთა ქართული ლაპარაკი; იმის სიტყვით, დედა ენაზე მინერა-კითხვაც სცოდნია. ამ კაცის აქ განწესებას თავის საფუძვლიანი აზრი აქვს, მაგრამ სომხებს არ ექაშნიკათ ესა...

ერთი სამხატვრო ადგილიც ართვინის ხიდის თავია - ერთს მხარეს მალალი მთა, ძირს ზეთისხილის ბაღებით, მეორე მხარეს ფრიალა კლდეზე ძველი ციხე. ორი კლდის ვიწროში დგას პატარა დაბასავით ადგილი, ლამაზი დუქნებით. ზედ ჭოროხზე ცისარტყლის მზგავსი ხიდი. ჭოროხი ხიდთან ნელი და ღრმაა. ხიდის ქვეით დგანან ათასფერი მრავალი ყაიღები (ნავები) და აჭარლები მარდად ზოგი ყაიღებში ზიდავს, ზოგი ყაიღები-დამ სცლის საქონელს. ამ ადგილას ართვინელი სომხები „ხიდი გლუხს“ უძახიან.

დაგვრჩა ერთი და უკანასკნელი აღმართი. ვინც გაივლის, საუკუნოთ არ დაავინყდება ეს აღმართი. ისიც ავიარეთ და დავიკარგენით ართვინის ვიწრო ქუჩებში... კიდევაც დაღამდა. ღამე მშვიდობისა!..

არდანუჯი, 15 დეკემბერი.

„დროება“, 1879, 7/II, № 29, გვ. 2-3.



## ხი-ხი-ხი-ხი

ქრისტეშობის საზღვრების გამოსაქვეყნების  
გამო მითხმა-მითხმა ართვინ-არტანუჯში.  
ოსების სამხედრო ნაწილის ცუდი მდგომარეობა  
ჯამაგირის მიუღებლობის გამო. უეჭიმოვა]

ხი, ხი, ხი, ხი, ამოიხიხინა დედამთილმა თორნიდამ.

ვიუ-ქა, ცხენები დაგვაკინცდა, ვერ შემოვრეკეთ, დაიძახეს  
რძლებმა და გაიქცნენ ბნელ ღამეში ცხენების საძებნელად.

მოხუცებული დედამთილი დამწყვედული ჰყვანდათ რძლებს  
თორნეში.

მუდამ დღეს მობეზრებული იყვნენ იმის ტიტინისაგან, მოს-  
ვენებას არ აძლევდა – ხან იძახდა ცხენები შემორეკეთო, ხან  
ქათმები, ბატები, იხვები, ხან ხარები, ხბორები, ცხვრები და  
თხა, ბატკნებიო.

მობეზრებულმა რძლებმა ადგნენ და ისა ჰქმნეს – თორნეში  
ჩააგდეს ყბედი დედამთილი, ზეიდგან გადახურეს ფარდაგი, რომ  
ბებრუცანამ არ იტიტინოს. სალამოზე შემოვიდნენ და ვახშამს  
რომ სჭამდნენ, დედამთილმა შენიშნა, რომ ცხენები არ შე-  
მორეკეს, დაიძახა: ხი, ხი, ხი, ხი!

მეც ცოტა მეხიხინება...

ბედნიერი თვალეები ისე უყურებენ ზოგიერთ ახალდაპყრობ-  
ილ ადგილებს, როგორც ბევრი ღორის პატრონი – მეცხრამეტე  
გოჭს. ნუ ილაპარაკებთო, რაც უნდა მოხდეს, რაც უნდა მოგი-  
ვიდესთო; მოითმინეთ, რომ მოთმინებითა თქვენითა მოიპოვოთ  
სუფევა თქვენიო...

იმას არ ჰფიქრობენ, რომ იმ ბედნიერთათვის პაპანაქ ზაფ-  
ხულშიაც გრილა, მაგრამ ჩვენ აქ შუა ზამთარშიც სიცხე გვად-  
გია.

თათრები, რომ ჩვენ, აქაური სომხები შეგვაშინონ და თავი ინუგეშონ, მალე-მალე ხმას ავრცელებენ ამფერად, რუსის მთავრობას თათრისათვის დაუბრუნებია ართვინი, ბათუმი და ქოროხის მარცხენა პირებიო.

მალე სეირ გაჩვენებთო.

აქაურმა სომხებმაც გააჭირეს საქმე! რომ თათრები შეაშინონ და თან გააძვირონ, ისინიც იძახიან, ამდენი და ამდენი ჯარი მოდისო და ამდენი და ამდენიც უნდა წამოვიდესო.

თათრები იმაზე აფუძნებენ თავიანთ ფიქრსა, რომ აქამდის საზღვრები არ არიან გარკვეულნი და იმაზე, რომ მულლარში კიდევაც „ზის“ თათრის კაიმა-კამიო, და სომხები კიდევ იმაზე, რომ, გაჭირება მიჩვენე, გაქცევას გიჩვენებო.

ეს ყველა შფოთვა, ხალხის მოუსვენრობა სულ იმ უბედური საზღვარის ბრალია. რა დაემართათ? ნუთუ ეს საზღვრების გარკვევა ათას კაცის სისხლის დაღვრაზე და გაუბედურებაზე ძნელი გახდა!? ეს ჩირქი ყველგან ნელ-ნელა ედება.

განვლილად იმერხვევლებსაც მიენერათ შავშეთის სანაწილო უფროსთან უ[ფალ] ყორღანოვთან, რომ რადგან ფადიშაჰებს შორის ჯერ სრული მორიგება არ არის, ხონორები (საზღვრები) არ არიან გარკვეულნი, მისთვის შენ არ გიცნობთ ჩვენ ნაჩაღნიკათ. უკაცრავად ნუ ვიქმნებით და ნულარ გაირჯებითო...

რა გულიანად შეჰხარხარებდნენ ჩვენი გაზეთები განვლილად თათრებზე! რწყილის ტოლა საქმეს აქლემად აქცევდნენ – ეს საავათმყოფოები ისეა, ეს ჯარს ჯამაგირი არ მიუღია და სხვა ბევრი ამისთანა ტყუილ-მართალი...

ართვინში, არტანუჯში და ამისთანა მივარდნილ ადგილებში სამხედრო მოსამსახურებიდგან დანყობილი, უკანასკნელ სამოქალაქო მოხელეებამდის თითქმის ექვსი თვეა გროშის მიმღებნი არ არიან. როგორია?

თუ მაძლარი ხარ, ჩემო მკითხველო, რასაკვირველია, მეტყვი, ძალიან კარგია, არა გიშავს-რა, ძალდი კოჭლობით არ მოკვდებო. ყველა კარგი, მაგრამ უნდა წარმოიდგინოთ ეს საბრალო, ყველასაგან დავინყებულები ოსები. ახლა რა მდგომარეობაში უნდა იყვნენ ისინი, როცა აქაურები დარწმუნებით ამბობენ, ოსები კაცის მჭამელები არიანო!

მთელი პოლკი ხუთი თვეა ერთი ფარის მონატრულნი არიან, რომ მშიერები არ დაიხოცონ თვითონ და ცხენები, რაც იარაღი ჰქონდათ დააგირავეს, მომავალში ღმერთი იყოს მაგათი მფარველი და ვაჩილა მხსნელი. ისე არ გაივლის ადამიანი პოსტებზე, რომ არ ესმოდეს ამისთანა ჩივილი:

– ჩვენი პოლპონიკი სად არის, სენი წირიმე, შიერები ვართ, ერთი კაპეკი არა გაქვს, არც ცხენის ქერი გაქვს, რომ წამო და სხვ.

ესეც უნდა გითხრათ, რომ ოსების ჯამაგირის თავზედ რაღაც უბედურებაა. სხვა ნაწილებში შეიძლება მივანეროთ ფოშტის უქონელობას, მაგრამ ოსებზე ეს არ ითქმის, რადგან იმათა ჰყავთ საკუთარი ხაზინადარი და ხაზინადარს საკუთარი ცხენი – იმისი ვალია იაროს და დაარიგოს ჯამაგირი.

ამის ხმასაც დილაზე გაიგონებთ!..

სხვაგან, ვგონებ, ნახირებშიაც კი არის თითო საქონლის ჰექიმი. არდანუჯში იმის გარდა, რომ არიან სამოქალაქო მოხელეები, ორასი კომლი ადგილის მცხოვრებლები, დგას ასი ქვეითი ყაზახი – პლასტუნები. ერთი ფერშალიც არა ჰყავს. უეცარი სიკვდილი ხშირად ხდება. ავათმყოფებს საკაცეთი ორი ცხენით ჰგზავნიან ართვინში. ისიც სანამ მივიდოდეს დანიშნულ ალაგას, ავადმყოფი ორ ცხენს შუა სულს აძლევს!

კარგია, არა? მკითხველო, აბა მითხარი...

„დროება“, 1879, 14/IV, № 78, გვ. 1-2.

## საუბარი უსაქმო კაცისა

[მტაცებლობა, ავაზაკობა და მისი მიზეზები.  
შემთხვევები სოფელ ახაშენში და რაბათში]

ვზივარ, ვნერ. სანერი ბევრია, მაგრამ კალამს ედება უშველებელი ლოდები... აჰა, სურათი, აჰა, სახე კაცისა. ნელ-ნელა შემოდის, მოახლოვდება ჩემს სანერ სტოლს პატარა, მოკუნტული მუშტის ოდენა ბებერი დედაკაცი. არც ფერი ადევს, არა აქვს ხორცი და არც კბილები. სახე? დროს კბილები გამოურთმევია, დარდს და სილარიბეს ხორცი და ფერი!

- რა გნებავეს, დედილო!

- ერთი ნიგნი დაგვინერე, შენ გაზდას, ჩვენი ღარიბების მხრით ნაჩანიკთან, რომ ეს სიძვირე ნუ იქმნება!... წვრილ-შვილის პატრონები ვართ, ცხოვრება გვიჭირს. ყველაფერი ცეცხლის ფასად გადაიქცა. თქვენი მოსვლა გაგვეხარდა და კიდევ გვიხარიან, მაგრამ, სწორედ მოგახსენო, თათრის დროს ცხოვრება უფრო ადვილი იყო, იეფობა იყო.

ეტყობა, ამ ბებრუცანამ არ იცის, მაგისი თხოვნა რომ აღვასრულო, რამთონი სახელი დამერქმევა... გავისტუმრე ნაჩანიკთან, რომ იქმნება დაინახონ ამისი „სახე“ და შეიბრალონ.

მე დავრჩი მძიმე შთაბეჭდილებით. ყველა მძიმე შთაბეჭდილება კაცს ჩააფიქრებს, აჰყავს მალლა ოცნების თაროზე, მოჰგვრის სურვილს შეიტყოს მიზეზი, რომელმანც ის საგანი მოიყვანა იმ ხარისხამდინ, რომ გახდა მიზეზი მაგისთანა მძიმე შთაბეჭდილებისა.

მიზეზი ყველა ცუდი მიმართულებისა, ავი ლტოლვილებისა, არის ერთი სიტყვა, ამ სიტყვას ქართულად აქვს მშვენიერი სახელი - „სილარიბე“ - და მას ჰყავს განუყრელი ძმობილი

- „გაუნათლებლობა“. ესენი შობენ მატყუარობას, პირმოხსნობას, ზნეობით დაცემას, შურს, სულმოკლეობას, უიმედობას და მტაცებლობას..

რადგან დღეს ამ მტაცებლობამ იმ ოცნების თაროზე ამიყვანა, მისთვის ერთი-ორი სიტყვა უნდა დავხარჯო, „თუ რომ თქვენი ნებაც იქნება“.

მტაცებლობა-ავაზაკობა ორგვარია: ჰო და არა კეთილშობილური, ე. ი. კეთილშობილური და არაკეთილშობილური. პირველის მომქმედი პირები არიან ღარიბი, გაუნათლებელ-გაუზდელი ადამიანები, მეორისა - განათლებულნი, კეთილშობილნი, მდიდარ-გაზდილნი; პირველნი მტაცებლობენ-ავაზაკობენ იმიტომ, რომ თვითონაც არ იციან რასა სჩადიან; გაუნათლებლობა აბნელებს სინიდისს, ფანტიკობა უნათლებს, უადვილებს გზას ამისთანა სასირცხვო საქმეში! პირველნი რასაც შვრებიან, არ იციან; მეორეებმა იციან და შვრებიან; პირველნი, როცა სცოდამენ, თავიანთ სიცოცხლეს აგდებენ საცთურში, ცდილობენ ქონება წაართვან, მაგრამ სიცოცხლეს არ შეეხონ, სისხლი არ მოადინონ; ისინი ყაჩაღობენ, ართმევენ მდიდარს იმას, რაც მომეტებულია მასთვის; მაგრამ მეორეები - კეთილშობილნი ავაზაკნი არვის იბრალებენ, მზათ არიან ყველა საზიზღარი საქმე მოახდინონ, როცა ავაზაკობენ - სისხლიც მოახდინონ, კაციც დალუპონ, გააუპატიურონ და, თუ საჭიროება მოითხოვს, უფრო უარესი ქმნან; ისინი მდიდარს იბრალებენ, ღარიბის სისხლსა სწოვენ... პირველნი ცდილობენ, რომ მშვიერი არ მოკვდნენ; მეორებს ბევრი აქვსთ და უნდათ, ცდილობენ, რომ კიდევ, კიდევ და კიდევ ჰქონდესთ!

პირველებზე მეფობს განათლება, მეორეზე - გაუნათლებლობა და პირველები, რომელნიც არიან მიზეზნი ამ მეორეების უბედურებისა.

ახლა რომლები არიან ჩვენში გამრავლებული? პირველნი თუ მეორეები? პირველი (კეთილშობილებზე) რომ ვსთქვა „არის“ (სიტყვის ნება მამეცით, ყოველს გეტყვით), კაცს ეწყინება, „არ არის“ ვსთქვა - ღმერთს. კაცის წყენა საცდურში შეგვიყვანს, ღმერთისა - ჯოჯოხეთში! აბა, რა ვქნა?

მაგრამ, თუ გინდ „არ არის“ ვსთქვა, თუ გინდ „არის“, მაინც ორივე „არისით“ თავდება...

მეორები კი ღვთის მაღლით ყოველგან მოიპოვებიან.

ჯერ აქ ორი შემთხვევა იყო საყურადღებო, აჭარა-მაჭახელისკენ კი, როგორც გვესმის, მრავალნი. აქაურები ძრიელ შინაურულად მოიქცნენ, წაართვეს ნივთი, ფულები (ეს მოხდა არდანუჯის ახლო, სოფელს ახაშენტან, დღისით), თვით პატრონებსვე დააფასებინეს, რომ გაყოფის დროს ცოდვა და ჩხუბი არ მოგვივიდესო! ხედავთ, ამათაც სცოდნიათ ცოდვა და მაღლი; ხედავთ, არ უნდათ ერთმანერთის დაჩაგვრა!!!. ეს პირველი.

მეორე შემთხვევა იყო შურიანი, თამამი და მოხდა ს[ოფელ] რაბათში (იქმნება არდანუჯიდგან 15 ვერსი), საცა ცხოვრობენ სომხები. ამათ დაეცნენ და გაცარც-გასტყუეს. ოცდახუთი ყოფილან. იმათ იმდენად ფულის შეძენის სურვილი არ ჰქონიათ, რამდენათაც შური და ჯავრის ამოყრა, ისე რომ იქაურებს ისე ჯიბე არ სტკივოდათ, როგორც ზურგი...

როგორც ყველა დღეს თავისი ღამე აქვს, ისე ყველა დანაშაულობას თავისი სარჯელი და სამართალი უნდა ჰქონდეს. ახლა, ჩემო მკითხველო, ამ ორივე მტაცებლების (კეთილ და არა კეთილშობილურს) სამართალს შენ მოგანდობ, შენ გაასამართლე სინიდისით, შენ იყავ უქრთამო მოსამართლე. ამ შემთხვევაში ძრიელ ცოტას მოგეხმარები. მე არაკეთილშობილური მტაცებელი რომ შემხვდეს (თუ გინდ უკანასკნელი კაპეიკიც წამართვას), შებრალებითად გაუღიმილებ, და იმავე დროს გავკიცხამ, დავსწყველი კეთილშობილურ მტაცებელ-ავაზაკებს ისე, როგორც ჩვენში ნესია – შვილი გაგვაჯავრებს, მამას შევეუკურთხებთ...

არდანუჯი 2 სექტემბერს.

„დროება“, 1879, 13/IX, № 189, გვ. 2-3.

## ჰაეროსტატიმ ტანტალი მაჰმადიანთ საქართველოში

[ყოფა-ცხოვრება ახლად შემოერთებულ არტაანში,  
არტანუჯში, ართვინში, შავშეთში და აჭარაში.  
მცხოვრებთა ოსმალეთში გადასახლება]

მამწყინდა, ბატონებო, უსწორმასწორო ცოდვილ მინაზე სიარული, ხან ფეხით, ხან ცხენით, ხან ცხენით და ფეხით! გადავწყვიტე, რომ ვიფრინო! ფრენა სიარულს, რასაკვირველია, სჯობია, მეტადრე ამ ახალშემოერთებულ ქვეყნებში, საცა კაცი გულის ძგერით ელტვის, რომ ყოველგან იცის და ყოველა გაიგოს, სად რა ხდება, სად რა ამბავია და რა მოძრაობა, და სადაც ყოველ ნაბიჯზე წინ ეჩხირება უშველებელი კლდები, მთები, უძირო უფსკრულიანი ღელეები...

მაგრამ რითი ვიფრინო? ადამიანისათვის ამჟამად მხოლოდ ერთადერთი საშუალებაა ფრინვისა — ჰაეროსტატი. მეც ის ავირჩიე, მაგრამ ჩემი ჰაეროსტატი „მუსიოებისას“ არა გავს, ჩემი ჰაეროსტატი თავისუფალია — იმას ვერ ენინააღმდეგება ვერც ქარი, ვერც მთა, ვერც ბარი, ვერც აღმართი და ვერც დაღმართი, ის შევა, საცა უნდა, მივა, საცა ისურვებს, წარმოიდგინეთ, ღარიბი გლეხის სახლშიც კი შეძრება! და საცა მივა, ვერავინ ვერ ჰხედავს, ვერც ტყობილობს!..

მიზანი და სურვილი ჩემი ფრენისა არის ყოველგან ყოფნა, ცუდის და კარგის შეტყობა, ავის კიცხვა, კარგის — ქება და მონვნა.

კარგი რამეა ჩემი ჰაეროსტატი! უფრო კარგია იმაში მოგზავრობა! იმით ნადირობა ხომ კარგია და კარგია, მაგრამ, საუბედუროთ, მე იარაღის ხმარების წინააღმდეგი ვარ, მისთვის არ

შემიძლიან მისი ტარება, იარაღიდან გამობრწყინებულ სხივებში მე ვხედავ დესპოტიურ ისრებს.

ავის გაკიცხვის და კარგის მოწონვის ყველა კაცს აქვს უფლება. კარგს თავისი ჯილდო უნდა ჰქონდეს, ავს – სასჯელი. პირველისათვის მე მაქვს ქების გვირგვინი, მეორესთვის ვატარებ დიდი რუმბით მანონს და საცა შემხვდება ავი კაცი, ან მისი თაყვანისმცემელი, იმ მანონს თავზედ დავასახავ – ღირსების დაგვარ...

ჩემის ჰაეროსტატის შუბლზედ აწერია ოქროს ასოებით: „უნი-ნაალმდეგო და თავისუფალი მატარებელი“.

ეს გახლავს ჩემი ფიქრები!

ზაფხულის გძელი დღეებიდან მობეზრებულმა გაუკეთე ჩემს ჰაეროსტატს იოლქნები, გავჭიმე თოკები, მივაბი ქვეიდამ ჩასა-ჯდომი ნავი, დავასხი ასანთობი გაზი (მელანი) და, აჰა, ვცურავ ჰაერში...

რა მშვენიერებაა, როცა კაცი მაღლით დაცქერის ძირს ქვეყა-ნას! ზოგან დაფენილია სპეტაკის ნისლითა, ზოგან ზურმუხტის თვალისავით ამობურთულან მთა-გორაკები, ზოგან შავად გაჭიმ-ულან უძირო დეღები, ზოგან თეთრად ეღვარებენ ქალაქები და ზოგანაც ვერცხლის სიმივით გარს ერტყმიან მდინარები.

აგერ, სამხრეთით მოჩანს სომხეთის მთები თავის დიდის არ-არატითა; იმაზე ნოეს კიდობანს მე ვერა ვხედავ! ჩრდილოეთით დინჯათ ზის ყადივით თეთრჩალმიანი მთა – ყაზბეგი; აღმოსავ-ლეთით გველეშაპივით განოლილა კასპიის ზღვა და დასავლეთით – შავი ზღვა; პირველიდან მოდის ნავთის მყრალი სუნი, მეორიდან – განათლებისა...

ზამთარი დიდი ხანია გასულა. გაზაფხულს გადუბიჯნია. ახლა ზაფხულია, მაგრამ წინმატიანი ზაფხულია! მთა, მინდორი, ბარი და დეღე მწვანეთ შექმნაზულან. გაჯავრებული გულის მაგრილებელი მთის ნაკადულები მხიარულათ თავიანთ გზაზე მირბიან...

ბევრი წვრიმალი ამბები იყო, ისე გაიარეს; ახლა ისე დამ-ყავდნენ, რომ დასანერად ვერ მოვასწარ და ახლა სულაც არა ღირს გაგიზიაროთ. ზოგიერთს კი საჭამნიკოთ მოგახსენებთ:

ერთხან თათრებმა ფერი აგვაკრთებინეს, ისე გათამამდნენ, რომ არდანუჯის და ართვინის ახლო დასვეს საყარაულო პიკ-



ეთები, მაგრამ ჩვენები მხნეთ დაუხვდნენ და არათუ ყარაულები, საბრალო მწყემსებსაც თავი ამოაყოფინეს ნაობახდში.

არდანუჯის მაზრაში არავითარი ახლა მოძრაობა არა გახლავს-რა. ხალხს კარგი ხანია გამოუცხადეს, რომ მიეცემათ უფლება გადასახლებისა. ბევრს უხარიან, ბევრს - არა, ბევრი მიდის მომავალ გაზაფხულზე, ბევრი რჩება, მდიდარი მიდის, ღარიბი რჩება.

მივმართე ჩემი ჰაეროსტატი ბათუმისაკენ. გზაზე მხვდება მრავალი გლეხები თათრები და იმათი ქალები, რომელნიც წელ-დადრეკილნი ერთგულათ ეხმარებიან თავიანთ ზანტ ქმრებსა, მკიან ნამგლით და ჰკვრენ კონებათ.

მესმის კვნესა. რა ამბავია? ჰაეროსტატი ძვრება პატარა ქობში, საცა წევან სამ ვაჟკაცნი, კვნესიან; მეორები იმათ გარშემო სხედან; ამათაც ნაცრის ფერი ადევსთ - ეტყობათ, ისინიც ყოფილან ამ ყოფაში, როგორც პირველნი. არა უშავს-რა, ოსები არიან, ყველაფერს გაუძლებენ!..

დალამდა. მთვარიანი ღამეა. მალლა ცა, ძირს ანცროხი ამშვენებენ იქაურობას. ცხენის ფეხის ხმა. ოთხს ყაზახს მიაქვთ ორი ცხენის შუა საკაცე. ცხენებიც დაღონებული არიან, კაცებიც.

- ეს რა მიგაქვთ?

- მკვდარი.

ჰო, ეს ის არის, რომელიც მოკვდა სანადიროში. ოთხი ყაზახი ნავიდნენ სანადიროთ, გაიფანტნენ ოთხ მხარეს. საღამოზედ შინ წამოსვლისას ერთს იმათგანს მოეჩვენა, ბუჩქებში რაღაც ფართხალობს - დათვათ ეჩვენა, ესროლა თოფი და დათვის მაგიერათ ამხანავს ფეხები გააჭიმინა.

- სად მიგყავთ და რისთვის?

- ჰეჭიმებთან, გასაჭრელათ.

მკვდარი ცოცხალთან მიდის! მოხისულებივით ხარი დანასთან მიჰყავთ დასაკლავათ! სად არის ის მამაცხოვნიებული მოხისული პატარძალი, რომ უთხრას ამათ, ხარის დანასთან წათრევას, დანა ხართან მიიტანოთ!..

ართვინის მაზრაშიაც საკბილო ამბავი არაფერია. ზოგიერთი აქაური მცხოვრებიც მზათ არიან გადასასახლებლათ; მხოლოდ ის ცრუ იმედი, რომ ართვინი იქმნება თათრებს დარჩესთ, მათ

აბრკოლებს; მეორე გაზაფხულზე კი ამათი ქარვანიც გადაუდგება გზასა. ოსმალების მხრით ზოგიერთი ალაგას, მაინც დაცემა და წვალემა არ განწყვეტილა ართვინის ახლო-მახლოში.

რადგან აქ საკბილო არაფერია, მისთვის ვსტოვ მას და მივფრინავ წინ.

აგერ, აჭარაც. გზები მოფენილია გადამსახლებლებითა; სტოვებენ სახლ-კარს, მამულს და იმ ადგილს, საცა ისინი სიყრმით გაზდილან, რომელიც იმათთვის ძვირფასია; გარბიან, ღმერთმა არ იცის, საიდ!

აგერ, ცოლი ქმრის, ძმა ძმის, შვილი მამის საფლავს დასტირის და ემშვიდება სამუდამოთ! ქმარი ცოლს-შვილს აბარებს საიმედო კაცს და თვითონ რჩება მარტო თოფით, რომ მტერს სამაგიერო გადაუხადოს...

ღვინის და გარყვნილობის სუნი მოდის, ეტყობა, ბათუმია ახლო. აჰა, მოდის ნავი და სამუდამოდ უნდა წაიყვანოს ჩვენი მოძმეები, მოგვაშოროს. ჰხედავთ ქარიყლაპია თათარს, სიღარიბით თითქმის სული ამოსდის, მაგრამ მაინც უკანასკნელ კაპეიკს არა ზოგავს, რომ არ დაანარჩინოს თავისი სარწმუნოების ხალხი სხვის ხელში!

ამ შემთხვევაში ვინ გამოჩნდა სიტყვით და საქმით მართალი - ჩვენ, თუ თათარი? აბა, ქართველებმა რითი დაანახეს, რომ აჭარელების მოძმენი იყვნენ? ამ შემთხვევაშიც ჩვენმა ახალგაზდობამ ვერ აღასრულა თავისი მოვალეობა, იმათი „ახი“, „ოხი“, ფუჭად დარჩა!.. განა ასე შეჭფეროდა? გაუნათლებელ თათრის მოლლებმა აჯობეს ჩვენ ახალგაზდა განათლებულებსა...

შარშანა ვსთქვით, რომ უნდა ვეცადოთ აჭარაში და სხვა ადგილებში იყვნენ დანიშნულნი „კეთილსინდისიანი ქართველები“, მაგრამ ამ ჩვენმა ნატვრამ ფუჭათ გაიარა. მართალია, იყვნენ ქართველები და არიან, მაგრამ ცოტანი და უხეირონი, ისინიც სხვის და გარემოების გავლენის ქვეშ არიან...

არ იქნა, ჩვენი თავი ვერ შევავყარეთ ამათ სხვადასხვა მიზეზების გამო! უმთავრესთა მიზეზსთაგანია მძიმე გადასახადი და უდროო ტამოუნის შემოღება. ამათ შემდეგ უჭირავს ადგილი ფანატიკობას და ყორანის მიმართულებას. ყორანი ამბობს, მართლმორწმუნე მაჰმადიანი ვერ იცხოვრებს ურჯულოთა შორის,

მაგრამ ეს აჭარლებზედ არ არის ნათქვამი, ისინი ამ აზრს არ მისდევენ, როგორც არტაანის და ართვინის თათრები, საცა იმათთვის ადვილია ცხოვრება, იქ ყორანს არა აქვს გავლენა...

მთავრობისათვის სამძიმო არ იქმნებოდა, რომ ორი წლით მაინც განეთავისუფლებინა აქაური ხალხი გადასახადისა და იმ უადგილო ტამოყნისაგან. ამაში ქართველებს კარგათ შეეძლოთ დახმარება – თბილისის და ქუთაისის სათავადაზნაურო კრებებს, იმის მაგიერად, რომ ეთხოვნათ მთავრობისათვის რამ-თონიმე საციმბირო კაცების გამოხსნა, უკეთესი არ იქმნებოდა, რომ ეშუამავლათ ახალი ქვეყნების გადასახადის და ტამოყნის პატიება?! მართალია, საციმბირელებიც ჩვენები არიან, მაგრამ იქით თუ ორს-სამ კაცს დავკარგავდით, აქ ნახევარი საქართველოს ხალხს შევიძენდით...

გავჩნდი ჩემი ჰაეროსტატიტ არტაანში. აქ რალა ამბავია? ვაიმე, აქ უარესს ვხედავ – რაზდერიშინი თავის საუცხოო მოხლებით უსამართლოდ სდევნის საბრალო და უპატრონო ხალხს, და აჩქარებს.

„– ჩქარა გადიკარგენით, რომ თქვენ ალაგას სხვა ხალხი უნდა გადმოვასახლოთ!“

პატრონი და სამართალი არ არის?! ნუთუ ქართველები ისე დაეცნენ და ხეირიან ადამიანებს ვერ ვშოულობთ, რომ ვნატრობთ უ[ფალ] მ. მეფისაშვილის ყოველგან ყოფნას?! ამისთანა საჭირო კაცისათვის დიდი ნიჭი კი არ დასჭირდება, აქ საჭიროა მშვიდი, დინჯი, თავმდაბალი, მდაბალი ხალხისათვის გულმტკიცენელ, სამშობლოს მოყვარე და ხალხის ადათის მცოდნე ქართველი კაცი, სხვა არაფერი. მართლა იმისთანა გენიოსი კი არ გვინდა, როგორც არდანუჯში...

რა მშვენიერად დაუმშვენიებიათ არტაანი! საამურად დასცქერიან ახალი მოდის ფარნები ნეხვის ზვინებს და ვინრო ქუჩებს; ანათებენ, რომ საროსკიპოებში (რაზდერიშინის წყალობით ოთხი გახლავსთ) ნასვლის დროს მთვრალეებმა კისერი არ მოიტეხონ... იქმნება ჩვენს შვაგულ ქალაქებშიც არ იყვეს ფარნები გაჩაღებული, მაგრამ აქ ჩნდებიან იმისთანა ერთგულები, რომ ერთი ნალოს შოვნის დროს ერთი ცხენის ყოვლის იმედს გვაძლევენ.

აჰა, შავშეთიც. „ახლა“ შავშეთელები ბედნიერნი და კმაყოფილნი არიან თავიანთ ბედისწერით. შინაურული ცხოვრება, სი-

ყვარული ხალხისა მოხელებთან, მოხელებისა – ხალხთან, აი, აქ ნახავთ. ეს რისაგან არის? იმისაგან, რომ აქ არის დანიშნული მაზრის უფროსად ხალხის ხასიათს, გულს ძვერის მცოდნე კაცი, რომელმანც მალე მიიზიდა თავისი რიგიანის ქცევით იქაური ხალხი.

იმერხვევლებმაც კი მოიშორეს გადასახლების ბოროტი აზრი...

ჯერ ამთონი ტანტალი მეყოფა. ჩემი ნავი უნდა გავაჩერო და ორი სიტყვის თქმისათვის მოთმინების ნება უნდა გთხოვოთ.

როგორც ზევით მოიხსენიეთ, ხალხი დაფთხა, გარბის, შეჩერება ახლა ძნელად შეიძლება. არტაჰანი, არდანუჯი, ართვინი და აჭარა, როგორც ვხედავთ, უნდა გავერანდნენ. რასაკვირველია, ეს ამბავი სანყენო და უსიამოვნო გახლავს, მაგრამ, რა ვქნათ, ახლა უნდა ვეცადოთ, რომ ეს გავერანებული ადგილები ისევ ჩვენ დაეიკავოთ, „სხვის“ ხელთ ნუ ჩავაგდებთ. იმერეთში, ქართლში, ჯავახეთში და სხვა ბევრ ადგილებში მრავალია შევინროებულნი – ზოგი უმიწობის გამო და ზოგიც ცუდი მებატონის გამო. სჯობია, „ლუკმა გავარდეს, ჯამში ჩავარდეს“ – კარგი და სანატრელი იქმნება, რომ ჩვენივე ხალხი გადმოსახლდებოდნენ აქედ. უეჭველია, რომ მთავრობა ჩვენს ხალხს ნებას მისცემს ამ გადმოსახლებისა...

მოიმედე ვარ, ბევრნი იქნებიან ამ აზრის შესახებ ჩემნი თანაგრძნობნი, უკეთუ წარმოიდგენენ, თუ რა შედეგი ექმნება ჩვენ და გადასახლებულების შვა უცხო ხალხის ჩაყენებას!..

შემოკლებით გეტყვით, თუ ამ ადგილებში, რა ადგილი, რა ღირსება აქვს: არტაანი – ვაკე მინდორი, მთა-ჭალიანი, ცივი, ჯანმთელი ჰავიანი ადგილია, მეურნეობის, ხვნა-თესვის და საქონლის შენახვის გულ-ღვიძლია, ტყე არ არის; არდანუჯი, ართვინი, აჭარა და სხვა ადგილები თუ მოკლებულნი არიან ვაკე მინდვრებს, თუ ხვნა-თესვის ადგილი არ არის, მდიდარნი არიან საბაღო ადგილებით და ტყით; მოვა მშვენიერი ხეხილი ყოველა გვარი, აბრეშუმი, თუთუნი, და ყურძენი...

ართვინი 20 სექტემბერს.  
„დროება“, 1879, 8/X, № 208, გვ.1-3.

## ჰაეროსტატიტ ტანტალი

[არტანუელ მოხელეთა ბუროტმომქმედავის  
გამოაშკარავება და კორესპონდენტის დევნა]

ჩემმა ჰაეროსტატმა მიმაფრინა ა-ში. მძიმე ზამთარმა დამაყონა და დიდხანს დავტრიალებდი ა-ს თავზედ... რამდენი სამანვნო თავებია, ღმერთო! ასხი და ასხი! ასხი და ასხი! გათეთრდება თუ! ისევ ის შავი და სხვილი პირი, ისევ ის კამბეჩის კანი!..

ამ ჩვენს განათლებულს საუკუნეში სიმართლე იჩაგრება. რათა? მიტომ, რომ სიმართლის დამცველი სუსტი ღონეა, დამჩაგვრელი კი ძრიელია. მაგალითათ, ბოროტის მოქმედი, ესე იგი, სიმართლის დამჩაგვრელი, რომ ბობოლა იყოს და იმის დამცველი უბრალო მწერალი, მაშინ რა გამოვა? ამას გარდა, ამ ბობოლას რომ სხვა ბობოლა დამცველად ჰყავდეს, მაშინ რაღა გამოვა? მაშინ, რასაკვირველია, სულაც არაფერი არ გამოვა და ეს არაფერი ის იქმნება, რომ იმ პანანა მწერლის თავს გაჰსჭეჭყენ ნისქვილში და სიმართლეს დაქელვენ ბობოლაები. აი, რა მოხდება.

ერთი ვაჭრის საქმე ხომ გაიგონეთ? ამ საქმემ ბევრი ააყაყანა ჩვენი ქვეყნის გაზეთები, ბევრი სუსტი ნერვებიანი ადამიანები შეათრთოლა. თვალგამოჭყეტილი იძახიან გაზეთები, ნუ შენუხდებით, უფალნო, მაგისტანა მხეცური მოქმედება არ უნდა დარჩეს დაუსჯელადო! ვნახოთ! მხოლოდ ჯერ სიმართლე უნდა აიხსნას, დამტკიცდეს და მემრე ბრალდებული დაისაჯოს! მაგრამ ეგ რომ ძნელია. არ არის ძნელი – ამ სიმართლის გამოსააშკარებლად და დასამტკიცებლად მაძიებლად გამოგზავნეს მაძიებელი. ვინ? რასაკვირველია, ბრალდებულის მეგობარი

- ვილაც პ-სკი, და ეს სიმართლის განმარტებელს გამოძიებას ახდენენ იმავე ბრალდებულის სახლში.

- მერე რა გამოვა, რას ფიქრობ?

- აკი მოგახსენეთ - არაფერი არ გამოვა-მეთქი. ის გამოვა, რომ გმირი ამ საქმისა გამართლდება, პირთეთრად გამოვა, მოჩივარი კი ქვეყნის წინ პირშავად დარჩება.

აი, როგორ არის ჩვენი საქმე!

მახსოვს, შარშანაც რაღაც ბოროტმოქმედება აღმოჩნდა ა-ში დიდ ბატონების საქმეში. რასაკვირველია, ყბედ გაზეთებამდი მიახნია ამ ამბავმა. მაშინვე მოაფრინეს კონტროლიერები. მობრძანდნენ ეს მთავრობის ინტერესების დამცველი ადამიანები. რომ მოვიდნენ, რა ჰქმნეს? ისა ჰქმნეს, რომ იმ დიდ ბატონებთან ქალაღდი ითამაშეს, ბაღობანი-პიკნიკობანი ჰქმნეს და ნაბ-ძანდნენ. ყველაფერი რიგზე ჰპოვეს...

მოდი ახლა და სიმართლის დაცვა მოინდომე! ერთი უბედურებაც ეს არის ჩვენი დროს, რომ დამწერებს, სუსტ სიმართლის დამცველებს ძრიელ ცუდის თვაღით უყურებენ. მომყავს ერთი სცენა, რომელიც ცხადათ დაგიმტკიცებოსთ ამას:

გამწენელი: - ჰმ! თავი მერევა... მაგრამ ეს თავი იმისთანა თავია, რომ ამისთანა ეღვა-ქუხიღი ბევრი უნახავს, ესეც ერთი იყოს... რაო, კაცი მიცემია! დიდი საქმე არ მოხდენიღა! მომითმინონ, მე მაგათ ვასწავღი, როგორ უნდა საჩივარი. ვიღაც ბუზ-მა მე შემაშინოს?! ეს რაღაც ოხერი გაზეთები ქყავიან, თორემ სხვა არაფერი, მაგრამ ვინც არის დამბეზღავი, აღბათ ხელში ჩავიღდებ. მაშინ ვაჩვენებ იმას, თუ მე რაზდერელი ვინა ვარ... აღი!

აღი: - ეფენდუმ, მზათა ვარ თქვენი სამსახურისათვის!

გამწენელი: - გარეთ ვინმე მოსულა?

აღი: - არა, თქვენი მონა ვარ, ჯერ დიღა გახღავს, ათი საათია, ერთი-ორი გღეხები გახღავან, თქვენი მონა ვარ.

გამწენელი: - შეუღღიათ დაციადღონ! არაყი!

აღი: - ახღავე, შენი მონა ვარ.

აღის შემოაქვს დიდი შუშით არაყი, დიდი ჩაის სტაქანი და სტოღზედ დგამს. თითონ გაღის. რაზდერელი აავსებს სტაქანს:

- ეს ჩემი წარსული ქარიშხლიანი ცხოვრებისა იყოს! სვამს  
ერთბაშათ. ავსებს მეორეს:

- ეს ჩემი ანმყო მებრძოლე ცხოვრებისა იყოს! სვამს. ავსებს  
მესამეს: - ესეც ჩემი მომავალი გამარჯვებული ცხოვრებისა  
იყოს!.. ალი!

ალი: - თქვენი მონა ვარ!

გამნენელი: - პრისტავი მოვიდა?

ალი: - დიახ, თქვენი მონა ვარ! ნახევარი საათია კარზედ  
ტრიალებს.

გამნენელი: - შემოვიდეს! არაყი ასნი.

ალის გააქვს არაყი.

პრისტავი: - უმდაბლესი გამოცხადების მაქვს გულითადი პა-  
ტივი! ქალაქში მშვიდობიანობა გახლავს...

გამნენელი: - კააარგი! მარცხოა არაფერი მოხდენილა?

პრისტავი: - არა, თქვენი ფეხის მტვერი ვარ! იყო პატარა  
უსიამოვნება საროსკიპოში, კინკლაობაში ორი დაჭრილია, ერთი  
ავათ გახლავს.

გამნენელი: - კააარგი! გამიგონე, მეორედ ეგ არ უნდა იყოს!  
გესმის?

პრისტავი: - ძრიელ კარგათ მესმის, თქვენი ფეხის მტვერი  
ვარ.

გამნენელი: - ვერაფერი ვერ გაიგე, ვინ არის ეგ ნუნკი,  
რომელმაც მე გაზეთებში ჩირქი შემაცხა?

პრისტავი: - ჩემდა საუბედუროდ, ჯერ ვერა, თქვენი ფეხის  
მტვერი ვარ. დღე-ღამე მოსვენება არა მაქვს, ერთი-ერთი მინ-  
და შევიტყო, თუ ის ურცხვი ვინ არის, რომ თქვენს მზესავით  
მბრწყინვალე ღირსებას ლაქას აცხობს. ხელიდგან რომ გამომი-  
ვიდეს, ჩემივე ხელით ნავაზრჩობ!

გამნენელი: - კარგი! ერთგულობისთვის ჯილდოს ღირსი  
გახდები...

პრისტავი: - მე უიმისოთაც ვარ თქვენგან დაჯილდოე-  
ბული. ეს ღირსება, რომელიც ამ თქვენი ფეხის მტვერს აქვს,  
რომელსაც სიზმარშიც ვერ ვნახავდი, თქვენგანა მაქვს!..

ალი: - უფალი კნიაზი გამცელი გახლავს, თქვენი მონაწილე, თქვენი ნახვა უნდა.

გამწმენელი. შემოვიდეს!

კ. გამცელი: - თქვენდა სასიამოვნოთ, დიდის პატივით გამოცხადების პატივი მაქვს!

გამწმენელი: - თქვენ რაღას მეტყვით?

კ. გამცელი: - თქვენდა სასიამოვნოთ, უნდა მოგახსენოთ, რომ ის უპატიური პირი, რომელიც გეხებოდათ ბილნ გაზეთებში, გამოჩნდა...

გამწმენელი: - (ერთ არშინზე მალლა შეხტება). ვინ არის! მითხარით მალე!

კ. გამცელი: - თქვენდა სასიამოვნოთ, ის გახლავს თქვენი ახლო პირთაგანი ერთი - თქვენი მთავარ მწერალი ბელურაყლაპია.

გამწმენელი: - როგორ თუ ჩემმა ახლმა პირმა ეგ გამიბედოს?! იმან, რომელმაც იცის ჩემი გარემოება, რომელმანც უნდა დამფაროს, რომ მეც ამისი მფარველი ვიყო, მე უნდა გამცეს?! ამას ვერ მოვითმენ! მე, მე, მე იმას ამ წამში ტვერთან გავაერთებ!! გაიჩხრიკოს იმისი ქალაღდები! მე მაგას ქვეყნის პირიღგან ავხოც!..

პრისტავი და კ. გამცელი: - (შეშფოთებული და ერთის-ხმით) რა... რა... საკვირველ...ია!

გამწმენელი: - (განრისხებული დაღის). შინელი! ქუდი! კალოშები! პრისტავი შინელს აძღვეს, კ. გამცელი კალოშებს, ქუღს თვითონ იღებს).

კ. გამცელი: - თქვენდა სასიამოვნოთ უნდა მოგახსენოთ, რადგან ეს საჭიროა საქმისათვის, რომ იგი პირი...

გამწმენელი: - ჩქარა სთქვი, რაც გინდა სთქვა!

კ. გამცელი: - თქვენდა სასიამოვნოთ, იგი პირი თურმე წერიღებს სხვის სახელით გზავნიდა, ვიღაც ვაჭრის სახეღობით.

გამწმენელი: - კარგი! ყვეღაღფერს გავიღებ!.. როგორ შეიტყვი, მიამბე!

კ. გამცელი: - აი, ასე იყო, თქვენდა სასიამოვნოთ: მე იმასთან ძრიღლ კარგათა ვარ. თქვენდა სასიამოვნოთ, მე ვატყობღი,



რომ რაღაცას სწერს საიდუმლოთ. ბევრი ვსდიე. მერე ვწახე, ტელეგრამმას სწერდა. გარედ რომ გავიდა, ჩუმათ წავიკითხე და მერე, თქვენდა სასიამოვნოთ, გავიგე საქმე რაში იყო და თქვენთან მოველი.

გამწენელი: - კარგი.

ყველანი გადიან.

სურათი იცვლება. მოქმედება წარმოებს ბელურა-ყლაპიას სადგომში. მკითხველს მივანდობ წარმოიდგინოს, თუ რა მდგომარეობაში იქმნებოდა ბელურა-ყლაპია, როცა ეს ხალხი იმას თავს დაეცა და სახლი გაუჩხრიკეს.

ბოლოს რა მოხდა, ვერ შევიტყე; მხოლოდ ეს კი ვწახე, რომ ბელურა-ყლაპია, რომელსაც ფერი წართმევოდა, და ერთიც სხვა, რომელიც შერეული იყო ამ საქმეში, რაზდერელისაგან განდევნილნი სადღაც მოკუნტული მიდიოდნენ. ბელურა-ყლაპიას ზურგზედ ეწერა: „აი, ეს მოუვა სამართლის დამცველსა“. კ. გამცელიც აპირებდა სადღაც წასვლას. იმის მხიარულ სახეზე ეს ეწერა: „ენის მიმტანი, მეგობრის გამცემი ასე ამაღლდება“.

რა ვქნათ, ესეა ჩვენი სოფელი!  
ნუ გიკვირს, ძმაო, რა-საკვირველი?!  
ესე სიმართლე დაიჩაგრება,  
სანამ სუსტია მისი დამცველი,  
და სიბოროტე ვარდათ ჰყვავდება,  
თუ ძლიერია მისი მფარველი!!

არტაანი, 15 ნოემბერს.

„დროება“, 1879, 18/XI, № 239, გვ. 1-3.

## მავმადიანთ საქართველოდამ

(წერილი არტანუჯიდამ)

[ოსმალეთში გადასახლების საკითხი. გზების გაყვანა. სიძვირე. მოხალეების მიერ ჩადენილი უნდესობა. დიმიტრი ბაქრაძის დახასიათება და მისი მოგზაურობა]

მუდამ, დღედაღამ, მოსვენებას არ მაძლევს კითხვა – რისგან არის, რომ, როგორც ვხედავთ, აქაური მახმადიანები ზოგი გადასახლდნენ ოსმალეთში, ზოგნიც აპირებენ, და სათათრეთიდან კი ერთი კაკალი კაციც არ გადმოსულა? ომის დროს ერთი ორმოცდაათი კომლამდისინ გადმოვიდნენ, ისინიც სულით და გულით მონანულნი არიან, რათ გადმოველითო. არზრუმი, ოლთისი, ტრაპიზონი, ერზინგენი სავსეა ქრისტიანებით – სომხებით.

ერთმა იქ მყოფმა სომხმა მიამბო: ოსმალეთის მთავრობიდან მთელ ქრისტიანობას მისცა წინადადება, აი, თუ გინდათ, გადასახლება, გზა ფართო გაქვთ, თქვენს მამულს მთავრობა შეისყიდისო, მაგრამ არ გადასახლდნენო. ეს რა ამბავია? თითქოს ის სომხები, რომლებიც ახლა ოსმალთს ეჭიდებიან, ზოგიერთი გაზეთების და სომხური „მშაკ-მელუსი“ სიტყვით დაჩაგრული იყვნენ.

განა განათლებული ქრისტიანი სამეფოს ურჩევნიათ, გაუნათლებელი და დაცემული დესპოტი ოსმალთს მთავრობა?

მაშ, ეს რისაგან არის?

ამბობენ, დიდი გლეჯა და ყვლეჯა არის, ახლა რომ კეთდება, იმ გზებზედო. როგორ, გზები მზათ არიან, რომ ესენი ხდებოთ? – მკითხავთ. არა, ხალხიც ვერ ივლის, თუ გზა მზათ არ არის.

მაშ, ვის გლეჯენ და ჰყვლეფენ? ყველაფერი რომ დანვრიდებოდა მოგითვალო, დამილამდება...

სამი გზა კეთდება ამ ახალი შემოერთებულ ქვეყნებში: ბათუმიდან ციხის-ძირამდი 15 ვერსამდინ, ახალციხემდი - 180 ვერსი, არტაანამდი - 200 ვერსი. ოსმალს დროს მზათ იყო 30 ვერსი. ვსთქვათ, ესეც არ ჩაითვალოს, იყოს 300. გზის სიგანე ერთი საჟენია. რომ ვიანგარიშოთ სინიდისით 700 000 მანეთზე, რომელიც დახარჯულია და იხარჯება, თითო ვერსი მოდის 2333 მანეთი ნამალი, იარაღებიც რომ სახემნიფოა, ბევრი, ბევრი, დაიხარჯოს ერთმანეთზე 509 მანეთი ვერსზე. დანარჩენი სად მიდის? საკვირველი კითხვაა! განა პირღია და ჯიბელრმა ბატონები ცოტაა? იმათაც მდიდრულად ცხოვრება უნდათ, ამათაც სიამოვნება უნდათ! ეს რისგან არის, რომ ესე ყველაფერი ჩვენში ძვირად გვიჯდება? იმისაგან, რომ კრავი მგლის პირშია, ესე იგი, ინჟინერების ხელშია სმეტის შედგენაც და ანგარიშიც, რამდენიც უნდათ, იმდენს გამოიყვანენ; ამისაგან, რომ ცუდი გამჩხრეკელება - კონტროლურებია. გამჩხრეკელი, მარტო გამჩხრეკელი კი არ უნდა იყოს, ის უნდა იყოს, აგრეთვე, გამოცდილი ინჟინერობის ნაწილშიაც; უნდა იცოდეს, საიღამ უნდა მოუვაროს, რომ ხაზინის მტერი დაიჭიროს. უკეთესი იქმნება, რომ სმეტების შემადგინებელი მოხელეები ცალკე იყოს, ანუ როცა ერთი ინჟინერი აპირობს ერთ რაიმეს კეთებას გზისა, სახლისა თუ სხვის, თვითონ იმას ნუ შეადგენინებენ სმეტას, სხვას შეადგენინონ. მაშინ ერთი მეორისათვის ისე არ იზრუნავს, როგორც საკუთარი თავისთვის.

სანამ ჩვენ ავიღებდით ყარსის და არტაანის მაზრებს, ეს ქვეყნები, იმის გარდა, რომ ყოველაფრის სიუხვე იყო იქ, აძლობდნენ ბევს სხვა ქვეყნებსაც, მაგალითად, არდანუჯს, ართვინს, ოლთისს, ახალციხ-ახალქალაქსაც.

ახლა? ახლა ყველაფერი ცეცხლის ფასად ღირს, ყველაფერი ძვირია. ამას მიემატა ისა, რომ ჯავახეთში, ალექსანდრეპოლში და სხვა ქვეყნებში წრეულს მოსავალი ძრიელ სუსტი იყო. სიიფე ქვეყნისა პურზეა დამოკიდებული - პური იაფია, ყველაფერი იაფი იქნება, ძვირია - ძვირი. ახლა, არა თუ ძვირი, თითქმის

შიმშილის შიში უნდა ჰქონდესთ სანყალ ღარიბ ხალხსა. ეს იმისა განაა, რომ ჩვენში გამრავლებულან პრაპორჩიკ-პოდრიადჩიკები, მხარზედ დაუნყვიათ ჩინები, ჯიბეში – ფულები და ყიდულობენ პურს იმ ფასად, რა ფასადაც, რაც ქვეყანა გაჩენილა, პური არ გაყიდულა. რა, იზარალებენ თუ?! იყიდიან ოცად, გაჰყიდიან ოთხმოცად. ვისაც არა აქვს, ისიც ყიდულობს, ვისაც ბევრი აქვს – ისიც. პირველი ყიდულობს, რომ მშვიერია; მეორე მაძღარია, ყიდულობს და ჰყიდის მშვიერ-გაჭირვებულს უფრო ძვირად.

წრევანდელი „ყურბან ბაირამი“ აქაურებმა მომეტებულად მხიარულად იდღესასწაულეს, ვიდრე შარშანდელი. დღესასწაული გათავდა ჭიდაობით. შორი ქვეყნიდამ მოსულიყო ფაჰლევანი ქისპათიანი, რომელმანც დიდათ გამოიჩინა თავი. ხალხი ორ ბანაკად გაიყო (ამათაც სცოდნიათ პარტიობა). რომელი ბანაკის ფალავანიც დაამარცხებდა, იმ ბანაკში ხდებოდა დიდი მხიარულება და იმ ფალავანს აჯილდოებდნენ ათასის ამბრითა. ჭიდაობა მოახდინეს ქალაქიდან შორს. ყველა კარგად იყო, ყველა მხირულად, მაგრამ ამ მამა-პაპეურ ნესის ასრულებას და მხიარულებას ერთი მძიმე დაღი დაესვა.

ადგილობრივმა მმართველობამ პირველ თხოვნაზე ალუკრძალა ხალხს ჭიდაობის გამართვა. ორჯერ გაიგზავნა ელჩი, ნება სთხოვოს, მაგრამ მაინც უარი მოუვიდათ. ხალხს დიდათ ეწყინა. მართლაც სანყენოა. ეს ჭიდაობა საქართველოში ათასი წელიწადებია, რომ არის ადათად, თვით სატახტო ქალაქშიც არ იკრძალვის და არ ვიცვი, რა მიზეზით – არდანუჯს.

იქნება მკითხოთ, თუ რას ჩავაცივდი მე მოხელეებს, სულ იმათზე და სულ იმათზე! მოგახსენებთ: ეს იმიტომ, რომ ჩვენ გარშემო სულ მოხელეებით ვართ შემოსრილი – თავზეც, გვერდზეც, წინ და უკანაც სულ ესენი არიან; იმიტომ, რომ ჩვენი მდაბალი ხალხის ბედი, ილბალი, სიხარული, მწუხარება იმათ ხელშია; დღეს იგინი უნდა იყვნენ ცოტა განთლებულების წარმომადგენელად, ამათ უნდა უჩვენონ გზა სამართლისა, თუ ერთი იოტის ოდენა ესმისთ კაცობრიობის ღირსება. ყოველ შემთხვევაში, გლეხს, მდაბალ ხალხს იმათთან აქვს მისაყრდომი ნავსადგური.

ბათუმში არის მომრიგებელ მოსამართლე. ჩვენ? მაგალითად, ხევაში რომ ერთმა მეორეს სცემოს, ან გალანძლოს, უნდა ბათუმში წავიდეს საჩივრელათ, რომ გაასამართლონ? საქმეებიც სასისხლო სამართლისაც უნდა ბათუმისაკენ გაიგზავნოს. ამის წინეთ შემთხვევა იყო ლაზათიანი: ერთს არდანუჯელ ქალს მანან-ხანუმს გაუტეხეს ზანდუკი და ამოიღეს იქიდან ნივთეული და ფულეები. მანანმა იჩივლა. საქმე გაიგზავნა ბათუმში გამოსაძიებლად. მანან-ხანუმს მიუვიდა უწყება, დაიბარეს, ბათუმში ჩამობრძანდიო. მანანმა იფიქრა, ეს ხომ ფული და ნივთები მომპარეს, ახლა რომ წავიდე ბათუმში, ორი ამოდენა, რაც დავკარგე, ხარჯი კიდევ წამოვაო; მეორეც, ქუდიანი კაცები ძლივს ბედამენ, შიშიანობის გამო ვერ მიდიან და მე, ლეჩაქიანი, როგორ უნდა წავიდე? ადგა და არ წავიდა.

მოუვიდა მეორე უწყება, მასთან მოწერილობა, რომ რადგან არ გამოცხადდი ხუთი მანეთი ჯარიმა გადახადეო! ახლაც თუ არ გამოცხადდი, მაშინ უარეს გიზამთო.

არ ვიცი, რომელი უფრო ჭკვიანია - მანან-ხანუმ, რომ არ წავიდა, თუ გამომძიებელი, რომელმან ესე დაუფიქრებლად ჯარიმა გადაახდევინა ერთს ღარიბ უპატრონო დიაცს?

ამისთანა ბევრი კიდევ სხვები ხდება... ეს დალოცვილები თავიანთ თბილ კაბინეტებში ახდენენ განკარგულებას და არ ფიქრობენ, რომ არდანუჯი ბათუმიდან ასოცი ვერსია, გზაც საცდურიანია!

ძალიან კარგი იქნება, რომ ერთი თანაშემწე მომრიგებელი მოსამართლისა დაგვინიშნონ. ამ თანაშემწეს რომ საცხოვრებლათაც ართვინი დაუნიშნონ, მაშინ არც შამფური დაინვის და არც მწვადი!

ჩვენი მეცნიერი დიმიტრი ბაქრაძე<sup>75</sup> მოგზავრობს ამ ახალ ქვეყნებში და ჩხრეკავს ძველ ნაშთებს. არდანუჯში, შავშეთში იყო და წავიდა ართვინში. სასიამოვნო სანახავია, როგორ თითქმის მოხუცებული, მაგრამ მარდი, როგორც თუთხმეტი წლის ახალგაზდა, დარბის კლდეებზე, უალ ალაგებზე. ყველაფერში ეტყობა უფალ ბაქრაძეს, რომ თავისი საქმის არშიყია. აურიცხ-

ველი მასალები მოკრიფა აქაურობაში და ეჭვი არ არის, რომ მალე ველირსებით იმის თხზულების წაკითხვას.

მაგრამ ერთი შენიშვნის ნებასა ვსთხოვ უმორჩილესად – ისა, რომ ისინი სწერენ რუსულ ენაზე; ქართულად რომ სწერონ, უფრო სასარგებლო და სასიამოვნო იქნება ჩვენთვის!..

ჩვენ, დიდნი თუ პატარანი, ნავიკითხავთ, გავიგებთ, თუ რა ძვირფასი ადგილები და ხალხი გვეკარგებოდა აქნობამდი... ჩვენი ჩამომავალნიც გულმხურვალედ ნაიკითხავენ და გაიხდიან წარსულს დროშათ, გამოიღვიძებენ, მოიგონებენ, გაიგებენ, რომ ერთხელ საქართველო ყოფილა აყვავებული, ჰყოლია გმირი და ერთგული შვილები და მერე გაჩენილან ჩვენისთანა „ჩანჩურ ივანიჩები...“

არდანუჯი, 3 იანვარს.

„დროება“, 1880, 18/1, № 13, გვ. 3.

## მავმადიანთ საქართველოდა

[ავაზაპაპი. ხანგში ხალხის გადასახლება.  
კლივს! – მადნები მავმადიანთ საქართველოში.  
გზები. უფორტოვა]

### I

რომელი კორრესპონდენტიც დაიწყობს წერილს, იღებს ხელში კალამს, ჯერ თავის ვითარ-მყოფიერებაზე ლაპარაკობს, სწივის, რომ ბევრისა მინდა თქმა, მაგრამ პირი წყლით მაქვს სავსეო. ჩვენში, ყოველთვის და ყოველგან, კორრესპონდენტი განდევნილია, ისე უცქერიან იმათ, როგორც მეჭორეს და საზოგადოების მოლაღატეს! კორრესპონდენტი შიშ-კანკალშია – იმალება ყოველ ფუტურო ხის ჩრდილში, უნდა სწორისა და ბევრის თქმა, მაგრამ ვერ ახერხებს და გამოდის ორპირული ლაპარაკი. მუდამ შიში ჰბადავს ორპირობას, და ორპირობას განა ათქმევიანებ სიმართლესა?

მაგრამ ბევრი კორრესპონდენტები ვარდებიან იმისთანა უბედურ მდგომარეობაში, არის იმისთანა უბედურ მდგომარეობაში, არიან იმისთანა მიყრუებულ ალაგებში, რომ რამდენიც გულით და სულით მოინდომონ დახმარება გაზეთისათვის, ან რამდენიც უნდოდეს გულის დარდების ამოცლა ქალაღდზე, ვერ მოუხერხებია – მათი შრომა ქარს მიაქვს და მათი სურვილი სურვილათ რჩება, შრომა უნაყოფო შრომა გამოდის...

კორრესპონდენტებსაც ერთი ცუდი ზნე სჭირსთ – ისე კალამს ხელში არ აიღებენ, რომ „ბატები არ გააჯიღიანონ“, ან ვისმეს ტკბილი ძილი არ დაუფრთხონ.

განა არ შეიძლება იმისთანა საგანი აღმოაჩინოთ სალაპარაკოთ, რომ სხვას ეკლად არ მიერჭოს თქვენი ლაპარაკი? ვგონებ

შეიძლებოდა. მაგალითად, ახლა მე უნდა ვილაპარაკო ავაზაკებზე, იმისთანა ავაზაკებზე, რომლებსაგან არც სამდურავს გავიგონებ და არც მუქარას. იმის მაგიერად, რომ ვილაპარაკო ამ ავაზაკებზე, რომელნიც კითხულობენ „დროებას“ და სხვა გაზეთებს, ვილაპარაკებ იმ ავაზაკებზე, რომელნიც არც კითხულობენ და არც კალმით ნაკოდს წყლულებს გრძნობენ, ესე იგი, ვილაპარაკებ გარეულ ავაზაკებზე და არა – შინაურებზე.

ამ ბოლო ხანებში ბათუმის მაზრაში ერთობ გახშირდა ავაზაკობა, მეტადრე, ართვინის და არდანუჯის სანანილოებში. სამი შემთხვევა იყო საყურადღებო, ამ სამში ერთი შესანიშნავი და რაინდულია. აი, ვითარება ამ შემთხვევისა:

ორმოცზე მეტი კაცი დაეცნენ აქაურ მყოფი ფაშის – სულეიმანის ცოლის სახლს, რომელიც საცხოვრებლად დროებით იმყოფებოდა ს[ოფელ] ხევაში, სადაც გახდა იმისი ქონება მსხვერპლი ავაზაკებისა. ეს იმ სულეიმან-ფაშის ცოლი არის, რომელიც ომიანობის დროს ოლთისიდან მოდიოდა მრავალის ჯარით არტაანზე დასაცემად და რომელიც ბევრი შიშ-კანკალის მიზეზი გახდა, მაგრამ კი არ ეღირსა სურვილის აღსრულება, რადგან, როგორც ჩვენს ცოტა ჯარს ამისი ემინოდა, ისე ხუთ იმდონათ იმას ჩვენი ემინოდა.

როგორც ფაშას, ისე იმის ხანუმს, დიდი გავლენა ჰქონია აქაურ ხალხზე და არიან ძველ გვართაგანიც (ნაქართლარი კი არა), ყოფილან სათათრეთიდან გამოსახლებული.

თვითონ ფაშა ბაიბურთში იმყოფება გუბერნატორათ, ცოლი აქ იყო. ეს ხანუმი სულით და გულით ცდილობდა, რომ არდანუჯის მაზრა თან წაეყვანა; 27 მოსახლემდის თან გაიყოლა და დანარჩენიც პატარა ხნის შემდეგ წავლენ. აქაური ხალხი ბრმათ არიან მინდობილი თავიანთ ბეგ-ალებზე და მაგისტანა გავლენიან პირებზე. თუმცა ეს ფაშა ყოფილა და არის მიზეზი აქაური ხალხის გაღარიბების, გაცარცვისა, მაგრამ მაინც მას არ შორდებიან. ფულების სარგებლით გაცემით გლეხებზე შექნილი სიმდიდრე ხანუმს თანა ჰქონია სოფელში. ჩვენ ვხედავდით, როგორც იგი უსამართლოდ ჰყვლეფდა ხალხს და აი, ამნაირად მოგროვილი ფულები ავაზაკებს ეღირსათ.



ეს ყველა არაფერი. შესანიშნავია ავაზაკების მოქმედება.

ერთს მშვენიერს მთვარიან ღამეს ისინი დაეცნენ ხანუმის სახლს შეიარაღებულნი, თან ჰქონიათ „საყვირი“ და დაცული ჰქონიათ ყოველი რიგი ლაშქრობისა – ჰყოლიათ თავიანთი ბელადი, საყვირი და ახალი მარტინის თოფები. ავაზაკები ასრულებდნენ ბელადის ყველა ბრძანებასა. სამჯერ დაუკვრავთ საყვირი – დაცემისა, აკლება-გაცარცვისა და უკან გადგომისა! რაც ჰქონია მასპინძელს, ამ მოუნვეველ სტუმრებს ჰრგებიან. ამას გარდა, დაუჭრიათ ორი კაცი.

ავაზაკების წაღებულს ფაის (წილს) აფასებენ სამოცდაათიათას მანეთამდისინა. ფულების გარდა ყოფილა ბევრი ანტიკები (ძველი წივთები), და ერთი ძველისძველი ხელთნაწერი „ყორანი“, რომელსაც დიდ მნიშვნელობას აძლევდნენ დამკარგავნი.

ასე, ჩვენი ხანუმის სალამურით შეკრეფილი ქონება ავაზაკებმა საყვირით წაიღეს და ხანუმი წაბძანდა ხელცარიელი...

მეორე შემთხვევა იყო ართვინში: შინიღგან მამავალი ართვინის მაზრის მმართველის თარჯიმანი გახდა მსხვერპლი ამავე ავაზაკებისა.

მესამე შემთხვევა: არდანუჯის ახლო ტალახეთში დაეცნენ ორს ფრანგს: ამათში ერთი მოჰკლეს და მეორე დასჭრეს.

ეს დიდრონი ამბები და პატარებს ხომ რიცხვი არა აქვს... ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი.

## II

გადამსახლებლების ქარვანი თანდათან მატულობს. თითქმის აჭარის, მულღურის და იმერხევის ნახევარი წავიდა, არდანუჯი იცლება, არტაანი ხომ დიდი ხანია დაიცალა; დანარჩენებიც მიდიან და უნდა ხელში შეგვრჩეს ვერანა სოფლები.

თათრების გარდა, სომხებიც გადადიან ართვინიდან და ფრანგები. ამათ სრული საფუძველი აქვთ გადასახლებისა. მაშ, რა ქმნან, თუ ღმერთი გწამსთ? მთელი ვაჭრობა, როგორც ჩვენშია, ამათ ხელში იყო ოსმალოს დროსა. მაშინ თავისუფა-

ლი ვაჭრობა და გზა ჰქონდათ სტამბოლთან. რასაკვირველია, ტამოჟნაც არ იყო და თავისუფლათ მოჰქონდათ საქონელი და ასალებდნენ. ჩვენ შევეყავით თუ არა ბათუმში ფეხი, ეს კარი მათი ცხოვრებისა დაუკეტეთ. მაშ, რითი ირჩინონ თავი? მუსულმანები მიდიან და რუსეთიდან მოტანილი საქონელი ხელს არ მისცემს.

ერთხელ ართვინი და არტანუჯი იყო დაკეტილი ზანდუკი, შიგ ყველას ჰქონდა თავისი შინაურული უშფოთველი ცხოვრება. ახლა გაოხრდა, გავერანდა, ცხოვრება გასჭირდა. იმ თათარს, იმ ნახევარმკვდარს, კიდევ იმედი მიუცია დახმარებისა და უფასოთ ადგილების მიცემისა ქრისტიანებისთვის.

თათრებიც წავლენ, სომხებიც, ფრანგებიც, სოფლები ვერანად რჩება და ადგილები. რამდენი გაჭირებული ხალხია ჩვენში უადგილობის გამო და არავის-კი არ აძლევენ. ჭირი არ არის, მაშ რა არის? ცხრა მთის იქიდან მოჰყავთ ხალხი და აქ ჩვენ გაჭირებულს ხალხს კი არ გვაძლევენ.

### III

ძლივს, ძლივს!!! ერთი მშვენიერი და სასარგებლო ამბავი მოხდა არტაჰანელებისათვის: ბ[ატონი] რაზდერიშინი გამოაბრძანეს სამსახურიდამ და იმის ადგილას სხვა ვილაც მირონოვი მოიყვანეს.

ძლივს! კარგია და კეთილი ესა, მაგრამ გვიან! რა გამოვიდა? სადილს უკან ფლავი მკვდარს მივყარეთ. რას იზამ? ჩვენში ბოროტი საქმე მინუტებით ხდება, კეთილი – წლობით და თვეობით. თხა ხომ გასუქდება, მაშინ თივა თუნდ მიგიციათ, თუნდ არა – სულ ერთია...

უსაქმო ენები ამბობენ, რომ ეს შესანიშნავ ბ[ატონი] რაზდერიშინი უპერანგოთ მობრძანდაო და ახლა ფარა ცხენებით და „დიან-ბეგის“ ბარგით მიბრძანდებაო. ვინ იცის – ტყვილია თუ მართალი?! ღმერთმა ხელი მოუმართოს... ამდენი ყურადღება

რომ მიაქციეს, ესეც კარგია. სულ არაობას ცხრა უღელი კატაკ  
კარგია. ამბობენ, არც მირონოვის მოსვლით არტაჰანელებს  
გაუმთელდებათ იარები, რადგან იმან არ იცის არც თათრუ-  
ლი და არც სომხური. ჩერქეზული ხოლოდ სცოდნია, მაგრამ  
დალისტნის და...

#### IV

როგორც მაჰმადიანთ საქართველოს სხვა ნაწილებში, ისე  
ართვინის და არდანუჯის მაზრების მაჰმადიანებს ახსოვთ უკვ-  
დავი სახელი თამარ დედოფლისა. იმის სხვა მხნეობისა და მამა-  
ცობის გარდა, ესენი ამბობენ, თამარ მეფეს იმისთანა მცენარე  
ჰქონიაო, რომ „რკინას ოქროთ აქცევდაო“. რასაკვირველია, ეს  
ზღაპარია, მაგრამ ეს წარსულ მომქმედი მცენარე აქაური მად-  
ნები ხომ არ იქნებოდენ, რომელნიც უხვად იპოვებიან ართვინის  
და არდანუჯის მაზრებში? გუმუშხანაში (არდანუჯის ახლოა)  
ახლაც ვხედავთ ნაშთებს მადნეულს დასადნობ ბუხრებისას. ეს  
ცოცხლად გვიმტკიცებენ, რომ აქ ერთხელ მუშაობდნენ ქარხ-  
ანები, მაგრამ რისა ყოფილან ეს მადნები – ბნელია, მემრე აღ-  
მოჩნდება, რასაკვირველია. მგონია, უბრალო არ უნდა იყოს.

ახლა მოსულა ვილაც ბერძენი და ართვინის ახლოსა  
სთხრის სპილენძის მადენს, რომელიც უხვათ ამოდისო. ამბო-  
ბენ, თხრის დროს ბევრი ხდება ტამრებში ნამდვილი სპილენძი  
(самородок).

უფრო კეთილი და სასარგებლო იქმნებოდა, რომ მთავრო-  
ბამ მიაქციოს ფიცხელი ყურადღება აქაური მადნების საქმეს  
და ამუშავებინოს. ამით შეიძლება გაუჩინოს აქაურ დანარჩენ  
ლარიბ ხალხს ცხოვრების წყარო. სიმტკიცით რომ მოეკიდონ  
საქმეს, იქმნება აქაურობაში გამოჩნდეს უფრო კარგი მადნები  
– ოქრო-ვერცხლისა. სანვაგი შეშის ნაკლულებას არ გასწევენ,  
ჯერ საქმეს შეშით წაიყვანენ და მერმე შეიძლება აღმოჩნდეს  
ქვანახშირის მადანიც, რომელიც, ამბობენ, ოლთისის მაზრაში  
ბევრია.

არტაჰან-ბათუმის გზა გააჩერეს, დროებითი განსვენება მი-  
 ანიჭეს. ამის მიზეზად დაიბადა ბრძოლა, რომელიც ატყდა ინ-  
 ჟინერების და გამომჩხრეკელების (კანტროლიორების) შუა, ისე  
 რომ ამავე მიზეზით არდანუჯს ეღირსა ბევრი გენერლების  
 ნახვა. მოდიან, ზომენ, ზომენ და ვერა გაუზომიათ, თუ ბ[ატონ]  
 ინჟინერებს რამ სიგძე აქვთ ჩაყლაპილი და რა სიგრძესა აპირ-  
 ობდნენ ჩაყლაპას. მალე სტაცეს ხელი, მაგრამ ის ჩაყლაპულიც  
 ვერ გამოუყვანიათ, რადგან მრავალმტოვანია და ყელს ეჩხირე-  
 ბაო.

დიახ, დიდის ლოდინით ველოდით ამ გზის გაკეთებას, იქმ-  
 ნება, ფოშტა გვღირსებოდა, მაგრამ სად არის? პატარძალს სად  
 აქვს იმისთანა იღბალი, რომ სახლის დაგვის დროს ოქროები  
 იპოვოს? ვის რად უნდა, რომ იფიქრონ ამდენი საცოდავი მოხ-  
 ელეების მდგომარეობაზე? ორი წელიწადია ფეხი შევსდგით  
 აქაურობას და აქნობამდის უბრალო ფოშტა ვერ გაამწესეს  
 ართვინ-არდანუჯამდის. ბევრი უბედური თავის სახლ-კარს მო-  
 შორებული მოხელე სამსახურის გამო უნუგეშოთ და შფოთში  
 იმყოფება, უფოშტობის წყალობით. კაცი ერთი წერილის მონა-  
 ტრული გახდეს სამი-ოთხი თვის განმავლობაში თავის სახლ-  
 კარიდამ, ნათესავებისაგან - უბედური არ იქმნება და მაშ, რა  
 იქმნება?!

აი, ორი სურათი, რომელსაც აღვწერ ქაშნიკათ და იქმნება  
 ვიამოსთ:

თითქმის ნახევრად მოხუცებული, ორი წელიწადი მონატრული  
 ცოლ-შვილის ნახვისა, იღებს წერილს, ისიც ზაკაზნოის, ორის  
 თვისაც და ისიც გახსნილს! იმ წერილში სწერია, ალბათ, იმის  
 სახლის საიდუმლოები. ჯერ თუთხმეტს უცხო კაცს ნაუკითხავს  
 და მერმე პატრონს ღირსებია ნაკითხვა. კარგია!

მეორე შემთხვევა: ახალგაზდა ჰექიმი, რომელსაც ჰქონია  
 ერთს ქალთან ცოლ-ქმრობის პირობა, ბედს გადმოუდევნია  
 ამისთანა უდაბნოსკენა. ჰექიმი ინერება წერილებს და ქალიც

ინერება; არც პირველს მოსდის წერილი და არც – მეორეს. ექვ-  
სი თვის შემდეგ ჰექიმს მოსდის ტელეგრამა, რომელშიც ინერე-  
ბიან:

„ბევრი გელოდე და გიცადე, მაგრამ შენგან არავითარი წერი-  
ლი, არავითარი ნუგეში ვერ მივიღე და ახლა სხვას ვეკუთ-  
ვნიო“.

აი, უბრალო მიზეზით, იქმნება სამუდამოთ დაიმხო ერთი  
კაცის ბედი! იქმნება სამუდამოთ გაუბედურდა ის ბედკრული!  
მიტომ ვამბობ „გაუბედურდა,“ რომ მე თვითონ ვიყავი იმისი  
ოხვრა-კენესის მონმი!..

განა საშველი არ არის, რომ რიგიანად გადასცენ-გადმოსცენ  
ფოშტა? არის. არტაჰანიდამ ბათომამდის არიან განწესებული  
ფოშტები, ზოგან ყაზახები და ზოგან – ოსები; მაგრამ ერთი  
კეთილი ვინმე არ არის, რომ ჰკითხოს რა არის ამათი დანიშ-  
ნულება? ოსებს არ დაზარდებათ, მე ვიცი, გადატან-გადმოტანა  
ფოშტისა, უკეთუ განკარგულება მოახდინოს ვინმემ. ვისი ვა-  
ლია? ამისათვის ფოშტა დაყრუებული და დამუნჯებულია. ვის  
გააგონებს? მე მგონია, ერთი ინჟინერის მოპატიჟება ამაშიც  
დაგვჭირდეს, რომ ერთი დიდი საყვირის პროექტი შეგვიდგინოს,  
რომ იმ საყვირით მაინც გავაგონოთ ეს ჩვენი შეწუხება...

არდანუჯი, 10 ივლისს.

„დროება“, 1880, 15/VIII, № 172, გვ.1-3.

## ავაზაკთ-მთავარი ემრულა

ემრულა იყო ერთ გავლენიან პირთაგანი ოსმალის დროს იმერხევში. იმას გავლენა ჰქონია, როგორც მამაკაცს და ყაჩაღს. ოსმალის მთავრობა სდევნიდა, მაგრამ ვერა გზით ვერ დაიმორჩილა. ის იყო კეთილშობილი ავაზაკი, ცხოვრობდა იქ, საცა იმისათვის ადვილი და მოსაწონი იყო – ხან ტყეში და ხან თავის მამის სახლში. იმის სახელის ხსენება ყველა აქაურებს – დიდმცირემდი ათრთოლებს. იმისი ავკაცობა, მამაცობა, ზოგჯერაც კაიკაცობა ყველას ახსოვს. თორმეტის წლიდამ დაიწყო ყაჩაღობა და ავაზაკობა.

თავის მოუსვენრობით, შეუპოვრობით თავი მოაბეზრა მთავრობას; ოსმალის მთავრობამ ბძანება გამოსცა, რომ ემრულა ან დაეჭირათ, ან მოეკლათ. ვერავინ ვერ გაბედა შეუპოვარ ავაზაკის წინააღმდეგობა.

ერთმა არდანუჯში მოსულმა გონიერმა კაიმაკმა (ოსმალის დროს), იმის მაგიერად, რომ დააჭერინოს, ან მოაკვლევინოს, მოიხმო, თავი მოუქონა და მისცა ყირხ-სარდლობა, ე. ი. მილიციონერების უფროსობა. ემრულლამ შეინყნარა ეს წინადადება და ძრიელ კარგათაც ასრულებდა თავის დანიშნულებას – იმ მილიციონერებსა, რომლის მთავრათ ემრულლა იყო, ვალად ჰქონდათ ავაზაკთა დევნა.

ომი გაიშალა. საჭირო იყო იმერხევიდამ ჯარი გამოეყვანათ. ვერავინ ვერ მოახერხა. ემრულლა დანიშნეს ათასისთავათ – ბინბაშათ; იმან გამოიყვანა იმდენი ჯარი, რამდენიც საჭირო იყო.

ემრულლამ ომში გამოიჩინა თავი, მტერს ებრძოდა მამაცურად და ერთგულათ. ომის დროს იყო ერთგული დამცველი ქრისტიანებისა. თავის ხელქვეით ჯარებს გზავნიდა ქრისტიანთა საყდრების დასაცველათ.

ომი რომ გათავდა, ემრულლამ არ იკადრა მისულიყრდა „ჩინები“ ეთხოვა. დაბრუნდა თავის სახლში და მიჰყო ხელი ძველ ხელობას. ინახავდა ოცდაათს კაცს, რომლებსაც აძლევდა თითო თუმანს თვეში ჯამაგირს. ბათომის მაზრაში საცა ავკაცობა ხდებოდა, ემრულლას მონანილეობა ჰქონდა. თვითონ არ ავაზაკობდა. ის მარტო ბრძანებლობდა. მთელი მაზრის ავაზაკები იმას ემორჩილებოდნენ.

აი, ნიმუში ემრულლას ცხოვრებიდამ:

ემრულლას ჰყოლია ძმა, რომელიც მოუკლავს ერთს ვილაც თურან-ბეგს. მთავრობას დაუჭერია მკვლელი და მიუცია სამართალში, მაგრამ ემრულლა არ დაკმაყოფილებულა, სდომებია „თავისი ხელით სისხლის ძიება“, უთხოვნია მთავრობისთვის ძმის მკვლელის გაცემა. მთავრობა, რასაკვირველია, არ დათანხმებულა, მაგრამ ემრულლას მაინც თავისი გაუტანია – როცა მიჰყავდათ მკვლელი ოლთისისკენ, ემრულლა დაჰხვედრია გზაზე, წაურთმევია ჯარისკაცებისათვის თურან-ბეგი და ასო-ასო დაუჩეხია. ორი ხელი წარუდგენია საჩქაროდ დედასთან და დანარჩენი ნანილები, ჯოხებზე აცმული, დაურჭვია ძმის საფლაგზე. მით დამშვიდებულა.

აგერ, ეს მკაცრი და უშიშარი კაცი დგას ჩემს წინ ფეხთბორკილიანი და ხელშეკრული, როგორც ლომი მახეში. ემრულლა მალქვაძე<sup>76</sup> დიდი ხნის წინათ გადმოსახლებულია იმერხევში მაჭახელიდამ. ის არის შვა ტანისა, ჩასხმული და ჩახმახი ბიჭი, 32 წლისა. მალალი, თეთრი შუბლი, შავ თვალ-ნარბი, ხშირი, მაგრამ ნორჩი უღვაშები, ზომიერი ცხვირი და ნიკაბი, მეგრული ყაბალახი, გძელი თმები ამშვენებენ იმის სახეს. ტანთ აცვია ძიკვა ჩოხა, ვინრო შალვარი. გულზედ ოქროთ დაფერილი დოშლული. მოძრავო და ბრიალო თვალეები რალაც ბძანებლობას ამჟღავნებენ. აქეთ-იქით იხედება მარდათ, მალ-მალე ოხრობს.

რასაკვირველია, ამისთანა კაცის დამორჩილება უსისხლოთ ძნელი იყო, იარალით და ვაჟკაცურათ რომ მისულიყვნენ იმაზე. ართვინის მაზრის უფროსმა სიტყვით დაიმორჩილა: „გველსა ხერულით გამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი“!..

ახლა ემრულა მიჰყავთ ბათომში სამართალში მისაცემათ.  
იმის დაჭერის მიზეზი გახდა „მდიდარი“ ხანუმის გაცარცვა  
ს[ოფელ] ხევაში. იმ ხანუმის ნაქურდალ ნივთებს გარდა, ამის  
სახლიდამ გამოიტანეს ბევრი თოფები – მარტინისა, სნეიდერისა  
და მანჩესტერისა.

არდნუჯი, 23 ივლისს.  
„დროება“, 1880, 17/VIII, № 173, გვ. 3.



## არდანუჯი, 20 ნოემბერს

[სოფელ ტანძოთისა და მისი ეკლესიის აღწერა]

გავლით მომიხვდა ყოფნა სოფ[ელ] ტანძოთში.<sup>77</sup> ეს სოფელი იმისთანა ლამაზი სოფელია და კარგი მდგომარეობისა, რომ არ შემოიძლიან არ აღწერო.

ტანძოთი სძევს თუთხმეტ ვერსტის სიშორეზე არდანუჯი-დამ სამხრეთ - აღმოსავლეთისაკენ. ეს დიდი სოფელი დგას მაღლობზე და გაფენილია კარგ მანძილზე ვაკე მინდვრათ. გარშემო გააღყეებულია კლდოვანი სერები, ისე რომ წარმოადგენს ბუნებით სიმაგრეს. მთები მოფენილია ხშირი ტყით. ზაფხულში ჰაერი სუფთა და გრილი. გარშემო ხარობენ იმისთანა ფერად-ფერადი ყვავილები, რომლებს ევროპაში დიდის ნაზით და გაჭირებით ზდიან სახლებში.

აქ ცხოვრობენ სამი სარწმუნოების ხალხი: მაჰმადიანები, ქართველი ფრანგები და სომეხ-გრიგორიანები; ამ უკანასკნელი ორი სარწმუნოების ხალხი ლაპარაკობს სომხურს ენაზე და ორთავეს აქვს თლილი ქვის საყდრები.

სკოლა არა აქვთ. მართალია, ვილაც ტირაცო აკითხებს ვითომ ვაჟებს და ქალებს, მაგრამ იმგვარ უხეიროთ, რომ შემოიძლია ვსთქვა, უფრო უკეთესი იქნებოდა, რომ ესეც არ ყოფილიყო. ჯერ რომ თვითონ ტირაცომ წერა-კითხვა არ იცის ხეირიანათ და, მეორეც, სასწავლებლის სადგომი აქვსთ ძრიელ პატარა. მაჰმადიანები იქნებიან 90 კომლი, ფრანგები - 5 და სომხები 50 კომლი.

ტანძოთელებს იმნაირივე სახელი აქვსთ გავარდნილი აქაურობაში, როგორც მოხისელებს ქართლში. ამათზე ბევრი-ბევრი სახალისო ანდაზებიც არის.

ძველ ნაშთთაგან აქ ვნახე პატარა კოშკი, რომელიც დგას კლდეზე გზის შემოსავალზე, და შიგ სოფელში პატარა ეკლესია, რომელიც თათრებისაგან ჯიბათ გადაქცეულია. ეკლესია პატარაა. კარების ზევიდან ყოფილა ზედ ნარნერა, მაგრამ მაჰმადიანებს ამოულიათ და ნაცვლად ამისა სხვა ქვა ჩაუსვამთ თათრული ზედ ნარნერით. იმის ერთს კედელზე ვნახე რამდენიმე დამტვრეული ქვები, რომლებზედაც ყოფილა ქართული ნანერი ხუცურათ და ერთი დიდი ქვა შემდეგი ზედ ნარნერით:

„აიშენა წმიდა ეკლესია სახელსა ზედა წმიდასა ქალწულისა ქრისტეს მონამისა მარინაისასა, ქორონიკონს 531,<sup>78</sup> რათა მეოხებით მისითა მიეცეს მიტევება ცოდვათა ქრისტესადმი კადნიერება ქრისტეს მონამე მარინე“.

ყველაფერში ეტყობა, რომ ეს ქვა მემრედ არის დადგმული ამ ეკლესიის კედელზე.

ტანძოთში გამოდის მშვენიერი ნისქვილის ქვები, რომლებიც მიაქვთ სხვა, შორს ქალაქებში... არდანუჯის მაზრაში ბევრი ძველი ნაშთებია. არხეოლოგიურმა საზოგადოებამ რომ შემწეობა მისცეს და ყურადღება მიაქციოს, ბევრს საინტერესო საგნებს აღმოაჩენს კაცი.

„დროება“, 1880, 5/XII, № 257, გვ. 3.

## სმა ახალღებულ უღაგნოღამ

ლსურათი ახალღებული ქვეყნისა. რაც საჭიროა გვაძვს  
და რაც არა, რად გვინდა? ექიმი. სკოლეზი. ტამოჟნა.  
თორგატი ვირი და გზაგი. კეთილშოგილური გაცარცვა.  
შერამეტიევის მოგქანება. ხალხს თხოვნა რად დაზარდა?  
მომერიგაგელი მოსამართლე საჭიროა ართვინში თუ არა?]

ჩვენც თქვენსავით გავხდით, მკითხველო, ბედნიერის ქვეყნი-  
სა - სიძვირე, უფულობა, ვაჭრობის და ზნეობის დაცემა, ავკა-  
ცობით ამალღება, ბრძოლა დღიური ლუკმის შოვნისათვის რა  
გზითაც შეიძღება, - აი, ჩვენი ყოველდღიური მოვღენა! რა  
ვიცი, იქნება ბედნიერნი ვიყოთ და ჩვენ ვერა ვგრძნობღეთ?  
კაცის თვალი, ხომ მოგეხსენებათ, გაუმაძღარია, იქნება იმიტომ  
ვემღურით ჩვენს ბედს? მაგრამ რა გვაკლია, რა გვიჭირს? რაც  
საჭიროა, ყოველიღერი გვაქვს და გყვავს, რაც არა, რად გვინ-  
და, რა გვაკლია? ერი, ბერი, მღვდელი, ჩინოვნიკი, ბაზარნიკი,  
პრისტავი, ქალაქის თავი და ყველაღრის თავი; აქციზი, ტამო-  
ჟნა, ქურდი, ავაზაკი, ყანა, ჩალა, სახლი და კარი... მეტი რა  
გვაკლია? ექიმი? ექიმი კი, მართალია, ადრანუღში და შავშეთში  
არ არის; მერე რად გვინდა? განა ნელია ბძანების დანერა, რომ  
არავინ გაბედოს და ავად არ გახდეს?! არ არის, აღბად იმიტომ,  
რომ არ გვინდა... გზები? გზები ახლა კეთღება. და გვინდა; რომ  
არ ყოფილიყო, მაშინ საჭიროც არ იქმნებოღა... მაზრისა და  
ოღქების უფროსების წყალობით, იმედი გვაქვს, კაი გზა გვექნე-  
ბა. მაშინ საჭიროც იქნება. ბათომიღამ არღაგანამღის, მართა-  
ლია, დიდი ხანია ახალი ბილიკი კეთღება, მაგრამ ჯერ ჩვენ არ  
გვარგია, რადღან ეს სავალი ჯერ ჯიბეთა უბნისკენ მიმავაღობს.  
დროთა ბრუნვის მიზეზით ეს გზა დაჰკარგეს გზათა უფროსებ-

მა და შერემეტიევის მობძანების მიზეზით, ორას მუშა კაცამდის გაგზავნეს ამ გზის საძებნელად. ამ ორასი კაცის ბარ-ნიჩბებმა ძლივს მიაგნეს ამ ბილიკს და ის ნანილები მოიყვანეს რიგზე, სადაც უნდა გამოეველო შერემეტიევს.

\* \* \*

აქაურებს თურმე არა სცოდნიათ, რომ რაც საჭიროა, გვაქვს და რაც არა, არ გვინდა, თხოვნა მისცეს, რომ არდანუჯში სკოლა გაეხსნათ მთელი სოფლების და დაბის ხალხისათვის, როგორც მაჰმადიანებისა, ეგრეთვე ქრისტიანებისათვის. ოს-მალოს დროიდან დარჩენილი სკოლის სახლიც დაუთმეს ამ სამადლო საქმისათვის, მაგრამ, რადგან სხვებს კარგად სცოდნიათ, რომ რაც საჭიროა, გვაქვს და რაც არა, არ გვინდა, იმიტომ ამ საქმისათვის ათასი ყურები და კუდები მოუბავთ – ესაო, სახლიც უნდა მისცეთო, მოსამსახურეც, სხვა ხარჯების გარდა, ამდენი და ამდენი საბალო მინაც სკოლის ახლოო. ეს გახლავს კაბინეთში მჯდომის კაცის მადა. ნუ გიკვირთ, ალბად, მაგათ არა სცოდნიათ აქაურობა, ალბად, მაგათ ჰგონიათ, ეს ქვეყანა ისე ვაკე და სწორე იყოს, როგორც მათი სანერი მწვანე მაუდით გაკრული სტოლი. აბა რა იციან, რომ აქ ერთი მტკაველი მინა ერთ ოქროთა ღირს და ამწვანებული მინდვრების მაგიერად ქვა-კლდოვანი მაღალი მთები და ღრმა ღელეებია! მაგათ მარტო ის იციან, რაც საჭიროა, გაქვსთო, რაც არა, არ გინდათო...

\* \* \*

აი, კიდევ სწორედ ნაყოფი ბრძენთა კაცთა გონებისა! ეს გახლავს საშუალება მშვიდობიანობის დამყარებისა კაცთა შორის. მოგახსენებთ: ართვინი ბათომიდან ასი ვერსია, არდანუჯი ართვინიდან – ორმოცდაორი, შავშეთი არდანუჯიდან – ორმოცდახუთი. და აი, ამ ბედნიერი ქვეყნისათვის (ართვინისა არდანუჯისა და შავშეთისათვის) გაძვირდა მომრიგებელი მოსამართლე-ვისაც დავა და ჩხუბი აქვს, თუ ორასი ვერსის გავლა არ ეზა-

რება, ბათუმში ჩაბრძანდება, თუ არა და ძალაუნებურად უნდა შეურიგდეს მონინალმდევეს. ეს არის საშუალება მშვიდობის დამყარებისა კაცთა შორის. ამ მიზეზით დიდი მშვიდობიანობა გახლავს ჩვენში. კიდევაც რომ მადა ჰქონდეს კაცს ჩხუბის ან ავადმყოფობისა, ვერ გაბედავს – ავად ვერ გახდება, რადგან ექიმი არ გახლავს; ჩხუბს ვერ მოახდენს, რადგან მომრიგებელი მოსამართლე არ არის. ალბათ, ბატონი შერემეტიევი ყოველიფერს რიგზედ ნახავდა...

ამას გარდა, კაცმა რომ მოინდომოს თავისი ბრალის აღვიარება, ვერც ამას იზამს. მიზეზი? მიზეზი გახლავს ბრძენთა გონების ნაყოფი... ბათუმის მომრიგებელი სასამართლო არ დაგიჯერებს, იქნება წრფელი გულით არ აღვიარებსო, მაინც დაიბარებს მონმეებს და იმ ორასი ვერსის გავლის ხარჯს გადაგახდევინებს... ამის მაგალითიც იყო: აქაური ვიღაც სარუხანოვის ხელში დაიჭირეს ორი ოყა, თუ სამი ოყა თამბაქო, თავისი საკუთარი პლანტაციისა. კაცი ავადმყოფი ჩავიდა ბათუმში და თავის თავზედ მიიღო ბრალი. მონმეები რაღა საჭირო იყო? არა, მაინც საქმე გადადეს, მონმეები დაიბარეს, მაგრამ არ დასცალდა. ბ[ატონი] სარუხანოვი საიქიოს წავიდა სიმართლის საძებნელად და მით გადარჩა მონმეების გზის ხარჯს...

ეს მომრიგებელი სასამართლო ხომ კარგია, მაგრამ ტამოჟნა უფრო უკეთესია. ნაყოფი ამ მოხელეების გონებისა კიდევ უფრო შესანიშნავია. აი, აქაური ერთ ვაჭარის ნაამბობი: „თამბაქო მიმქონდა რუსეთში. ბათუმში შევიძინე ერთი ხელი ახალი ტანისამოსი, რომ არა თქვან, ახალაღებულ ქვეყნებში გაუნათლებელი ხალხი ცხოვრობს-თქო. თორმეტი მანეთი მივეცი. გემში რომ შევდიოდი, შემხვდა ერთი უ-სი, ნამავლო ხელი, „კუდი იდოშ, ოსმანო“, შემათრია. მე მცარცველი მეგონა, უნინ ასე უზღელად არ მოგვექცეოდნენ ხოლმე. „მიშველეთ!“ დავიყვირე, მადლიანი არავინ არის-მეთქი. ჩინოვნიკებთან რომ შემიყვანა, მაშინ მივხვდი, რომ ტამოჟნაში ვარ. ტანთ დედიშობილათ გამახდევინეს. ასწონეს ტანისამოსი, ოცდახუთი მანათი გადამახდევინეს და ისე გამომისტუმრეს.“

ეს არაფერი, ეს გახლავს კეთილშობილური გაცარცვა „ზაკონის“ არამცოდნე ხალხისა...

ეს რა გიკვირსთ, შარშან ვილაც გოგიტიძემ თორმეტი ვირის საპალნე ბზე დაიჭირა – „საპოშლინოაო“, ორი დღე ათრია ართ-ვინამდის და ბოლოს აღმოჩნდა, რომ ვირებიც აქაურია და ბზეც. ესეც გახლავს ნაყოფი პატარა ჩინოვნიკის გონებისა...

\* \* \*

ახალაღებულს ქვეყნებს ეღირსათ მაღალი სტუმრის მიღება, ე. ი. ბ[ატონ] შერემეტიევისა. ივლისის 14 იგი მობძანდა არ-დაგანში, 15-ს ბ[ატონმა] მაზრის უფროსმა მიიღო იგი თავის მილიციით, ბაირალით, დროშათი კინწოთამარაში (არდაჰანის მაზრაშია, ართვინიდამ ოთხმოცი ვერსია). იმავე დღეს ბ[ატონი] შერემეტიევი მობძანდა არდანუჯში, სადაც დაუხვდა ხალხი პურ-მარილით. ერთ ღამეს დარჩა არდანუჯში; მეორე დღეს გაემგზავრა ართვინისკენ; ერთი ღამეც დარჩა ართვინში და ბათუმისკენ წაბძანდა.

ყოველიფერი რიგზე დაუხვდა, როგორც თვითონ გამოუთქვამს, მაგრამ საკვირველი ის არის, რომ არცერთი თხოვნა არ მისცა მას ხალხმა. რას მივანეროთ ეს მოვლენა? ალბად, ჩვენს მხარეში ყველანი ბედნიერები არიან, არაფერი სათხოვარი არა აქვთ!..

\* \* \*

უკაცრავად, ამის მეტს ველარ გავაგრძელებ ჩემს წერილს, ჯერ იმიტომ, რომ ისე ბედნიერი არა ვარ, რომ საქმე და სათხოვარი არა მქონდეს, მეორე იმიტომ, რომ ლოტოს სათამაშოდ მიძახიან. არ შემიძლიან, არ ნავიდე. ესეც ერთი ნაყოფია ბრძენთა-გონებისა და საშუალება გართობისა მოწყენილი ხალხისათვის, და არ შემიძლიან, არ თანაუგრძნო იმის თაყვანისმცემლებს...

მეორე წერილამდის.

ივნისის 20. დაბა არდანუჯი.  
„დროება“, 1885, 12/VII, № 148, გვ. 2-3.

## ჰაეროსტატიტ ტანტალი

(მაჰმადიანთ საქართველოდამ)

[ჩემი ჰაეროსტატი. რა ვაკეთებ ამას წლის განმავლობაში ართვინის მხარეს? სასწავლებლები ართვინის მაზრაში. გზები. უნაღველოება ხალხის ჯანმრთელობის საქმისა. მადნები.]

კიდევ მომაგონდა ჩემი მივინწყებული ჰაეროსტატი, რომლითაც ამ ათის წლის წინად ვტანტალობდი ახალაღებულ ქვეყნებში. ამ ჰაეროსტატის ფრთებად მქონდა გაზეთ „დროების“ ფურცლები და ფრენის დროს ვბერავდი, წყალმბადის გზით კი არა, კეთილ „მბადავის გრძნობით“. ჩემის ჰაეროსტატის შუბლზე, იქმნება, გახსოვდეთ მკითხველებს, ეწერა: „კეთილის დიდება, ბოროტის დევნა“. ამ ჩემის ხელდახელ მოხერხებულის ჰაეროსტატიტ ერთხელ ვფრინავდი ახალ-აღებულს ქვეყნებში და დროგამოშვებით, ხანდისხან, ვაუწყებდი ხოლმე მკითხველს აქაურ ავ-კარგიანობას. ასე დიდხანს გაჩუმება ჩემი და საქმის თავმინებება არ მიაწეროთ იმას, რომ ვითომ მეც ვავერიე ყადის ჯორების ჯოგში. ეს იყო ჩემგან დამოუკიდებელის გარემოების ბრალი. ან გავბერე ჩემი ჰაეროსტატი და კიდევ უნდა ვიტანტალო. თუ „ივერიის“ ფურცლები ფრთობას გამიწევს, ღონისადაგვარ ვაცნობებ აღებულის ქვეყნების ამბებს მკითხველთ.

აგერ, ათი-თერთმეტი წელიწადია, მაჰმადიანთ საქართველოდამ არაფერი წერებულა ქართულს გაზეთებში.<sup>79</sup> ამ ათ-თორმეტ წლის განმავლობაში, მას უკან, რაც ართვინი ავიღეთ, ბევრმა წყალმა ჩაიარა ქოროხში და შავ ზღვას შეერთო, ბევრი ზეთისხილი და ხურმა შეიჭამა; ამ ხნის განმავლობაში ორი „ჩინოვნიკი“

კეთილის საქმისათვის მათისა საციმბიროდ გაჰხადეს და ორიც დღეს სამართალში არიან მიცემულნი.

საუკუნის ერთი მეათედის განმავლობაში რა ვაკეთებ ჩვენ, ქართველებმა, ამ ახალაღებულ მხარეს? პასუხი ძალიან მოკლეა: არაფერი, გარდა იმისა, რომ ზოგიერთი ქართველი ან სამსახურის მიზეზით, ანუ სამეცნიერო აზრით ესტუმრებოდა ართვინის მაზრას და მოაგონებდა აქაურ გამაჰმადიანებულ ქართველებს, რომ თქვენი მამა-პაპა ქართველნი იყვნენო და სხვა მეტი არაფერი, ამით თავდება საქმე. ჩვენსა და მათ შორის იმისთანა მაგარი კედელია ამოყვანილი ისტორიულის გარემოებით, ფანტიკოსობისა, რომ ვერა ღონე ამ შემთხვევაში ნაყოფს ვერ მოიტანს. მართალია, აქაურებიც იძახიან, „ბაილი“, „ჩვენ გურჯები ვართ“, მაგრამ მაინც, თითქმის მესამედი წილი მცხოვრებლებისა გადაიხვეწა ოსმალში სხვადასხვა მხარეს, დანარჩენებიც შემთხვევას ეძებენ, რომ საუკუნოდ დასტოვონ თავიანთი სამშობლო...

კვალი სომხების მოქმედებისა ართვინის მაზრაში უფრო შესამჩნევია. ამას გარდა, რომ ყველა კათოლიკე და გრიგორიანთა ეკლესიებთან არის გამართულნი სასწავლებლები, რომელშიაც ასწავლიან სამშობლო და რუსულ ენას, სამი წელიწადია, გრიგორიანებმა გაჰმართეს ვაჟების და ქალების სასწავლებელი, რომელსაც აძლევენ დიდშემწეობას სომხების ქველმოქმედების საზოგადოებანი. არდანუჯშიც ააშენეს მშვენიერი, ახლად-ახალი ქვითკირის სასწავლებელი, რომელშიაც სწავლობს 90 შაგირდი. ამ სასწავლებლების გარდა ართვინში არის ორკლასიანი, ნორმალური სასწავლებელი 60-70 შაგირდით.

ართვინის მმართველობა დიდს ბეჯითობას იჩენს გზების გაყვანის საქმეში. მას აქვთ, რაც აღებულია ეს მხარე, გაკეთდა სასოფლო ღონისძიებით კაი საცხენოსნო გზა არდანუჯიდან შავშეთს. არტაჰანისაკენ ღონგოთხევის ხეობაში კეთდება, ართვინიდან – ორჯოხამდის და ხოდისკენ, საცა მდიდარი მადნებია. ამ გზების გარდა, კეთდება ჭოროხის აყოლება, ართვინიდან ბათუმამდის, თოკის გზა, მენავეებისთვის, რომლებსაც ბევრად



გაუადვილებს შრომას ნავების ბათუმიდამ ამოყვანის დროს. არტაჰან-ბათუმის ბილიკი ჯერ კეთდება.

არა მგონია სადმე იყოს მხარე, ყველასგან თავმინებებული და დავინყებული ხალხის ჯანმთელობის მხრით, ისე, როგორიც არის ართვინის მაზრა. თითქმის 60 ათასი მცხოვრებელია და არც რიგიანი ექიმი და არც - აფთიაქი. მთელს მაზრას ერთადერთი სამოქალაქო ექიმი ჰყავს, იმასაც მუდამ წაღები ახალი აქვს... ისე სოფელი, დაბა არ არის, რომ სხვადასხვა ავადმყოფობა არ იყოს.

როგორც ხალხის ჯანმთელობის საქმე, ისე სამოსამართლო საქმე დავინყებას არის მიცემული აქეთ. წარმოიდგინეთ, არა თუ მომრიგებელი მოსამართლე, საკუთარი გამომძიებელიც არა ჰყავს ართვინის მაზრას. მართალია, ჰნიშნავენ და მიანდობენ ზოგიერთს ახალგაზდა გამომძიებელს აქაურ საქმეებს, მაგრამ ახალგაზდობაა, იმათ ბათუმი უფრო მოსწონთ, ვიდრე მიყრუებული ართვინის მხარე. ბევრჯელ ხალხი, სისხლის სამართლის საქმისთვის დაბარებული, იძულებულია დიდის გაჭირებით ზამთარში და ზაფხულში საქმის დროს ბათუმამდის იმოგზაუროს და ორასზე მეტი ვერსი გაიაროს.

ერთხელ, 1880 წელს ჩვენა ვსტეკით „დროების“ მე-172 ნომერში, რომ „ართვინის მაზრა მდიდარია სხვადასხვა მადნებითა; რომ მთავრობამ ყურადღება მიაქციოს, ბევრად გაამდიდრებს ამ ღარიბს მხარეს.“ ეს მადნებით, ვსტეკით და არც მოვსტყუვდით. მართალია, მთავრობამ არავითარი ყურადღება არ მიაქცია ამ გარემოებას, მაგრამ კერძო კაცებმა კი ისარგებლეს - ბერძენმა სიმეონიდიმ აღმოაჩინა ხოდში<sup>80</sup> მდიდარი, ძველად ნამუშევარი სპილენძისა, თუთიასი და ვერცხლის მადანი. სპილენძი აქ აძლევს 20%, თუთია 60% და ვერცხლი 3 მისხალს ფუთზე. ეს მადანი ახლა რიხნერს აქვს იჯარით აღებული და ის ამუშავებს. ბათუმში გააკეთებინეს დასადნობელი ქარხანა. ბერძენმავე ლაზარევმა აღმოაჩინა მულღურს სოფელ ზანსულში უმდიდრესი სპილენძის მადანი, რომელიც, საუბედუროდ, სადავოთ გახდა და ამ მიზეზით მუშაობა წინ ვერ წავიდა ჯერჯერობით. ამათ გარდა, მარადიდთან - ბელღევანში,<sup>81</sup> აჭარას - ვაიოში,

შავშეთს – ბაზგირეთში<sup>82</sup> იპოვნეს ვერცხლის მადნები, არდასტურ  
ჯის „უჩასტკას“ და ართვინის ახლო – სხვადასხვა მადნები და  
ქვანახშირი. კერძო კაცთა გარდა ზოგიერთმა მოხელეებმაც მი-  
ჰყვეს ამ საღერღელის ამშლელ საქმეს ხელი.

ამისთანა მადნები, რომელიც არის დღეს და იპოვება ბათუ-  
მის მხარეში, სანატრელ მომავალს უნდა უქადდეს ამ მხარეს,  
მაგრამ უბედურება ის არის, რომ უგზობა აჭირებს საქმეს და  
აძნელებს მათს შემუშავებას.

„ივერია“, 1891, 6/IV, № 75, გვ. 2

## ველეჯი

[როგორ მიიღეს ველელმა ქართველებმა კათოლიკობა]

ეს ამბავი, რომელიც ახლა უნდა ვიამბოთ, ორასი წლის ამბავია, ზეპირ-გადმოცემული მამა-პაპებისაგან. ეს მოხდა 1723 წელსა სოფელ ველში, სათათრეში – არტაჰანისა ფაშალიკში.

სოფელი ველი მდგომარეობს არტაჰანის მაზრაში, დასავლეთ-ჩრდილოეთისკენ, ახალციხის მხარეს. აშენებულია მაღლა კლდეზე, გაშლილს მინდვრის განაპირს, მტკვრის პირზე. ამ სოფელში ახლა ქურთები სახლობენ.

ერთ დროს აქ სახლობდნენ ქართველები, რიცხით სამას კომლამდის, მართალმადიდებლობის სარწმუნოებისა და ლოცვანირვა ჰქონიათ ქართულ ენაზე. ესენი ძველისძველათ ყოფილყვნენ გადმოსახლებული ზოგი ქართლიდამ, ზოგი დიღვირიდამ<sup>83</sup> და ზოგი სხვა საქართველოს ნაწილებიდან. იმ დროს ბევრი ქართველები გადასული ყოფილან მაჰმადის სარწმუნოებაზე, ასე რომ ამ სოფელს გარშემო რტყმულა თათრისა და ბერძნების სოფლები, რომლებიც ბევრი ყოფილან არტაჰანის მაშინდელ ფაშალიკში.

რომ ამათ თავიანთი სარწმუნოება დაუცვავეთ სინმინდით და ხელშეუხლებლათ, ეს იმას მიენერება, რომ თვითონ ეს ხალხი მხნე და კეთილ მორწმუნოებისა ყოფილა, ჰქონიათ მშვენიერი გამაგრებული ველის ციხე, სადაც თავს იფარავდნენ მტრის თავდასხმისაგან, აჭარლებისაგან და სადაც თვითონვე თურმე აკეთებდნენ იარაღს საომრის, მეტადრე, თოფის წამალსა. ერთხელ, როცა ხალხი „მაღლისის“ მთა-გორაზე, რომელიც ამართულია სოფელ ველის ზემოდგან, დღესასწაულობდა ამალლებას

დღეობას, სოფლის ხალხი სადღესასწაულოდ მოკმაზული მსხი-  
რულობას მისცემოდა, ახალგაზრდა ქალიშვილები სიმღერით  
ფერხულს და ვაჟკაცები ცხენებით ჯირითს ექცეოდნენ, მაშინ  
მათ ესტუმრათ ერთი ვიღაც უცხოველი კაცი.

დაღლილ-დაქანცობით ეტყობოდა, ის შორის გზიდან იყო მო-  
სული და მის ერისკაცის უცნაურ (არა ქართველი) ტანსაცმელი  
და უცხო ენა, რომელზედაც ის ლაპარაკობდა, ამჟღავნებდა მის  
უცხოეთელობას.

ძველს ჩვეულებისამებრ ველელებმა ეს სტუმარი მიიღეს დი-  
დის ქრისტიანულის სიყვარულით და სტუმართმოყვარეობით,  
მეტადრე, მაშინ, როცა მან გამოუცხადა ხალხს, რომ ის არის  
ხელობით ექიმი.

სტუმარი მაშინათვე მიიყვანეს მღვდელთან, რომელსაც სახ-  
ელად ერქვა სიმონი, რომელიც ყოფილა მღვდლათ ნაკურთხი  
ვარძიაში, საცა მას მამულებიც ჰქონია.

მღვდელმა ახალი სტუმარი დიდის სიხარულით მიიღო და თა-  
ვის სახლში განგებ იმისათვის ოთახი დაუთმო.

იმ დღიდან ამ უცხოელმა დაიწყო თავისი მოქმედება და საკ-  
ვირველის გულმოდგინებით გამოიჩინა სიბრძნე ყოველა საქმეში  
და მეტისმეტათ ჰექიმობაში, არჩენდა ყოველა ავთამყოფობისა-  
გან სულ უსასყიდლოთ, უვლიდა ავთამყოფებს, აძლევდა კეთილ  
რჩევას სოფლის საქმეებში, არ არჩევდა მდიდარს ღარიბისაგან;  
ჰკურნავდა ზნეობით სულიერს და ხორციელს სნეულებასა. ძა-  
ლიან ცოტას ხნის განმავლობაში ამ უცხოეთელმა დაიმსახურა  
ისეთი პატივი და სიყვარული, რომ მთელი სოფელი მას ღმერ-  
თივით დაუნყეს ყურება.

სხვათა შორის, ამ სტუმარმა ჰექიმმა გაჰკურნა დიდის  
ხნის სნეულობისაგან მღვდლის მეუღლე. ამისდა მიუხედავად,  
მღვდლის სახლობს ამჩნევდა რალაც უცნაურს მოვლენას ამ  
უცხოეთელი კაცის ცხოვრებაში - მუდამ დღეს დილაობით, ასე  
საათის ცხრაზე, კარს იკეტავდა, ოთახში მარტო შედიოდა და  
დიდხანს რალაცას სჩადიოდა. ყველაზე მეტათ შეუპყრა ცნობის-  
მოყვარეობა მღვდლის ძმა ევლამში, რომელსაც ძალიან უნდოდა  
გაეგო, რას აკეთებდა ეს უცხოეთელი და რას შვრებოდა თა-

ვის ოთახში მარტო. ეს ცნობისმოყვარეობა მას მოსვენებას აძლევდა.

მღვდლის ძმამ ამ ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლათ ისე მოახერხა, რომ უცხოეთელის ჩუმით იმის კარებზე ბურღით გააკეთა ნახვრეტი და მეორე დღეს იქიდან დაუნყო ყურება. რომ კარგად დააცქერდა, დიდათ გაოცდა – უცხოეთელი ჰექიმი იდგა რალაც სამღვდლო სამოსში, წინ ტაბლაზე ედგა ბარძიმი და მხურვალეთ ლოცულობდა, როგორც მღვდელი. ეს გასაოცარი ამბავი იმ წამსვე შეატყობინეს მღვდელს, რომელიც მოვიდა, შეხედა, ისიც გაოცდა; აქ რალაც ამბავია, იფიქრა თავის ქნევით მღვდელმა.

სიმონ მღვდელმა მეორე დღეს გულახდით გამოუცხადა უცხოეთელს, რაც თვალით ნახა და მას ჰკითხა, ეს რა ამბავია? დამალვა აღარ შეიძლებოდა, უცხოეთელმა გამოაშკარავა თავისი ვინაობა – იყო რომიდან გამოგზავნილი მისიონერი.

რადგან ქართული ენა საკმაოდ შესწავლული ჰქონდა მას და ხალხისგან დიდი პატივისცემა შეძენილი თავის კეთილის, სათნოებითა სავსე ხასიათით, მაშინ მან დაუნყო გულმხურვალეთ და ბეჯითათ ქადაგება კათოლიკობის სარწმუნოებაზე; ჯერ მიაღებინა მღვდელს, ამის სახლობას და შემდეგ მთელს სოფელს. ასე, ერთი მისიონერის ბრძნულის მეცადინეობით, რომის ეკლესიამ შეიძინა სამასამდე კომლი კეთილმორწმუნე ერი.

მგონია, ეს პატრი-მისიონერი ყოფილა სახელათ პოლლიკარპი.

გამარჯვებულმა მისიონერმა დაუყოვნებლივ ეს ამბავი აცნობა რომის პაპს და სთხოვა ქართულის მცოდნე პატრების გამოგზავნა, რადგან თვითონ სხვაგან უნდა წასულიყო სარწმუნოების გასავრცელებლად.

პაპმა მაშინათვე განკარგულება მოახდინა, გამოგზავნა ქართულის ენის მცოდნე ვაჭრები და მასთან პოლლიკარპს აცნობა, რომ ვატიკანმა დანიშნა სუმმა (ფული), რომ ერთი ვინმე იმ სიმონ მღვდლის ჩამომავლისა გაგზავნილიყო რომში სამღვდლო პირათ გამოსაზღვლათ, მაგრამ დროთა გავლენით და სხვადასხვა მიზეზის გამო ეს ყოველაფერი დავინყებაში იქმნა მიცემული.

ასე, იმ დროითგან ველელი ქართველები გადავიდნენ კათო-  
ლიკე სარწმუნოებაზე და იწყეს წირვა-ლოცვა რომის კათო-  
ლიკეს წესზე.

როცა რუსთ-თათარის ომი ატყდა, რუსებმა რომ აიღეს ჯა-  
ვახეთის ახალქალაქი,<sup>84</sup> მაშინ 1828 წელს ველელებმა, მობეზრე-  
ბულნი თათრების შევიწროებისაგან, მოინადინეს ახალქალაქის  
მაზრაში გადმოსახლება, როგორც ქრისტიანს სამთავროში, რომ  
ცოტა თავისუფლად ამოესუნთქათ. მაშინ ველელი ქართველები  
გადმოვიდნენ და ოთხ სოფლად გაიყვნენ; და დაიჭირეს ოთხი  
ვერანა სოფელი, მაშინ სპარსელებისაგან გაოხრებულნი: ბავრა,<sup>85</sup>  
კარტიკამი,<sup>86</sup> ხულგუმო<sup>87</sup> და ტურცხი.<sup>88</sup> – დანარჩენი სოფლები ამ  
მაზრებისა დაიზიარეს, საუბედუროთ, მემრე აზრუმიდგან გად-  
მოსახლებულებმა სომხებმა...<sup>89</sup>

ამ ერთმა პატარა მუჭა ხალხმა ქრისტიან სამთავროშიც მოს-  
ვენება და თავისუფლად ამოსუნთქვა ვერ ნახეს: ერთის მხრით  
სომხები და მეორეს მხრით მართალმადიდებლის სამღვდელოე-  
ბა მოსვენებას არ აძლევდნენ. მართალმადიდებელს სასულიერო  
პირნი იძახდნენ, „ქართველები ყოფილხართო და კიდევ მართლ-  
მადიდებლობა უნდა მიიღოთო...“

მაგრამ კათოლიკობის სარწმუნოებას მათ გულში იმნაირათ  
ღრმათ ჩაეშვა ფესვები და კეთილგონიერი მისიონერების და-  
თესილი თესლი ისე ღრმათ იყო ჩამჯდარი იმათ სულში, რომ  
მაშინდელი ახალციხეში მყოფი დეკანოზის ორბელიანის მეცადი-  
ნობამ ფუჭად ჩაიარა და არას გზითარ მოინდომეს ხელმეორედ  
გადმოსვლა მართლმადიდებლობის წიახში...

ველელებმა მიჰმართეს მაშინ ახალციხის მღვდელთ უმფროსს  
შაჰყულოვს, რომელიც იყო სომეხ-კათოლიკეს ტიპიკონზე ნა-  
კურთხი და იყო დიდი სომხოფილი, და სომხებს ძრიელ ეხ-  
მარებოდა, ამან ურჩია ველელ ქართველებს, ქართულ წირვა-  
ლოცვისათვის თავი დაენებებინათ და შემოეღოთ სომხური,  
და გადმოსულიყვნენ სომეხ-კათოლიკების ტიპიკონზე. ასე, ამ  
დღიდან ველელმა ქართველებმა სამშობლო ენას თავი დაანე-  
ბეს და შემოიღეს სომხურათ ღვთის სამსახურის აღსრულება.  
იმ დროსვე, განდევნეს შაჰყულიანის წყალობით, კავკასიიდან პა-

ტრები მისიონერები და გამარჯვებულმა შაჰყულიანმა შემორქვა და თვითონაც საჩქაროთ გამოაცხო ბევრი სომხის ტიპიკონის მღვდლები...

ასე, სათათრეში თათრის მთავრობისაგან, აქა, საქრისტიანო მთავრობაში, სამღვდლო პირებისაგან ქართული ენა და ქართული რელიგიური წეს-რიგი იქმნა ველელებში სრულობით მიგდებული და გამეფდა მაგათში სომხურ ენაზე წირვა-ლოცვანი და სათათრეთიდან გადმოტანილი თათრული ენა, რომელიც იმათში ახლა ითვლება შინაურ ენათ ამ ოთხ სოფელში.

ეს ოთხი სოფელი ლაპარაკობს თათრულ ენაზე და თავიანთ თავს სთვლიან ფრანგებათ კათოლიკეს სარწმუნოებისა, მაგრამ მათ ჩვეულებაში, ენაში და სახელ-გვარებში მაინც ბჭუტავს ქართული სიტყვები და გვარები, მაგალითათ, ოქროათი, ყარამანათი, ივითხანათი, ბერუკათი, სუმბულათი, ხიშოთი, ასლანათი და სხვა.

ამის გარდა, ერთი მოვლენაც არის შესანიშნავი, იმათში, რომ ისინი ქართველებს და ნაქართველარ თათრებს<sup>90</sup> უფრო პატივისცემით ეპყრობიან, ვიდრე სომხებს და სომხის კათოლიკესაც კი. ველელები ძველათაც და ახლაც ერთმანერთში უფრო ხალისით ქალს იძლევიან, ვიდრე სომხის კათოლიკეს სარწმუნოების მეზობლებთან. ამ შემთხვევაშივე ველელებს უფრო ხიზაბავრელ ქართველ-კათოლიკებთან კავშირი აქვთ, ვიდრე ახლო მეზობელ სომხებთან, მეტათ, ამ უკანასკნელებისგან ძალიან შორს უჭირავსთ თავი.

(გაგრძელება იქნება)

„ჯვარი ვაზისა“, 1906, № 8-9, გვ. 6-8.

## პელეაგი

(ბაბრძელეა)

ერთი საკვირველი გარემოება ისიც არის, რომ ანტიოქიის ბერძნის კათოლიკე პატრიარქსაც მოუნდომებია სოფელ ველის სამწყო თავის უფლების ქვეშ მყოფად აღეარებინა და ამ აზრით გამოუგზავნია ველში ერთი თავის მღვდელი ბერძნის ტიბიკონისა, სახელად ვასილი, რომელსაც მოვლის მაგიერ ხალხი უფრო გაუბრიყვებია თავისი მოძღვრებით. ამიტომ პროპაგანდა<sup>91</sup> 23 სექტემბერს 1786 წლისა, სწერს კონსტანტინეპოლის ეპისკოპოსს, რომ ანტიოქელ პატრიარქს აუწყებს, გამოსცვალოს ველიდგან ხსენებული ვასილი მონაზონი და მის ადგილს კარგი მღვდელი დანიშნოს, სანამ პროპაგანდა გამოიძიებდეს, თუ ვის უნდა ეკუთვნოდეს ველის სამწყემსო.

კონსტანტინეპოლის ეპისკოპოსის ბრძანებით, უფროსმა პატრმა გაგზავნა ველში დროებით პატრი პოლიკარპო, რომელიც კაფუცინი კონსტანტინეპოლელი იყო. ამიტომ ზედმინეებით არ ვიცით, ბერძნული ტიბიკონი ჰქონდა, თუ ლათინური. ორი ველელი ყმანვილი წაუყვანია კონსტანტინეპოლს რომის კოლეგიაში გასაგზავნად. პროპაგანდაც, 2 დეკემბერს 1797 წლისა, სწერს ეპისკოპოსს, რომ გამოგზავნოს ის ორი ახალგაზრდა რომს. პოლიკარპო რომში დროებით იყო გაგზავნილი, მაგრამ მრევლს სამუდამოდ უნდოდა, რომ მღვდლებად პატრები ჰყოლოდა, ამიტომ ამაზე თხოვნას ხშირად უგზავნიდნენ უფროსს პატრს. ერთი ამნაირ თხოვნათაგანი არის ეს წერილი, რომლის ქართული დედანი არა გვაქვს:

„დიდად პატივცემულ მამა უფროსს!



ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი ქართველნი რომის კათოლიკენი, რომელმაც ჩვენი საკუთარის თითით ვევედრებოდით თქვენ ღირსებასა, რათა ჩვენ არ დაგვიფინყოთ ეგრეთ, რომ არაოდეს მოაშოროთ ამ ჩვენს სოფელს ველს ერთი პატრი მისიონერი, რომელმაც მოგვეცა სულიერად და გვინინამძღვროს საუკუნო ცხოვრების გზაზე. ღვთის შემწეობით და პატრების საშუალებით მივიღეთ ჭეშმარიტი სარწმუნოების ნიჭი და პატრებივე იყვნენ ჩვენნი უწინდელი მოძღვარნი. ამიტომ იმედი გვაქვს თქვენის მამობრივის კეთილის გულისა, რომ ეს ჩვენი მდაბალი ვედრება სათნო საყოფელი და შეწყნარებული იქნება თქვენ მიერ.

† ფრემაი. † აბოი. † გიგოლგილი. † სავაი. † ოქრუაი. † პეტრე ანდრიას შვილი. † ელიზბარი. † აპოსტოლი. † გეგეი. † მესროფი. † იმედი. † პავლე. † ოქრუაი. † ბენვაგილი. † ჯოჯოი. † სუმბული. † დრანდოი. † იგიოხანი. † პეტრე შიოშვილი. † თათაი.

მე, პატრი პოლიკარპო მანთოელი<sup>1</sup> კაფუცინი, სამოციქულო მისიონერი, მოძღვარი ველისა, ზემოხსენებული ქართველი კათოლიკების თხოვნისამებრ (ყველა თვითეული მათგანი ოჯახის უფროსია), შევადგინე ეს მოხსენება და ვმონწობ, რომ თვითეულმა ზემოხსენებულ ქართველთაგანმა თავის სახელთან თავისი საკუთარის ხელით დაუსვა ჯავრი, რათა ამითი როგორმე განუცხადოს თავისი ვედრება ზემოხსენებულ პატივცემულ უფროს პატრს. ველი, 18 იანვარი, 1787. პატრი პოლიკარპო მანთოელი, მისიონერი კაფუცინი, ბაროხი“.

ერთი ამისთანა თხოვნა ველელებისა, ქართულად დანერილი, კიდევ გვაქვს, მაგრამ უთარილოა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ისიც ამ დროს უნდა ეკუთვნოდეს, რადგან ბევრი ზემოდ მოხსენებული სახელები ამაშიც შეხვდება კაცს. შეიძლება, ის უფრო ცოტა ადრე იყოს მონერილი, ვიდრე ზემოდ მოყვანილი:

„ბატონს, პატრი უმფროსს და უმთავრესს, მამას საღმრთო სიბრძნით სავსესა და საღმთო მოქალაქობით აღზრდილსა!

<sup>1</sup> როგორც ვთქვით, ეს პატრი კონსტანტინეპოლელია, სახელი განგებ გამოცვალა (ავტორის შენიშვნა).

ქ. ცოდვილნი ერნი, ველის ზოგად კათოლიკეები ქართველთა გვარისნი, უმწყემსოთ დაცვინულნი ცხოვარნი პირველად ღთისაგან რჩეულსა და მერე წმინდა კრებისაგან აღმორჩეულსა, აღმოსავლეთის კათოლიკე ეკლესიის შვილებზედ ზედამხედველად დადგენილსა, ჩვენ ცოდვილნი და არა ღირსად ნოდებულნი კათოლიკე სარწმუნოებისა, ქედდადრეკით, დავრდომით, ხელპყრობილნი საღმთოსა მას ფერხთა ანბორებას მოუძღვნით. ახლა ამას ვეხვეწებით და ვეუწჯებით, რომ ჩვენი რიგის მღვდელი, ღმერთი გამოუგზავნია ჩვენთვის და ეგ ჩვენი კათოლიკე მამები აყენებენ ახლა ამ წყალობას, ვითხოვთ თქვენის მონყალე გულისაგან, რომ თქვენის ბრძანებით, წყალობა უყოთ მაგ ჩვენ მღვდელსა რომ ჩვენს საბრალო სულებს მოუაროს ჩვენს ქართველ რიგზედა, არათუ იმ შეჩვენებულის ფოციოს რიგზედა. მაგრამ იმ წმინდა მამის, ივანეს ოქროს პირის რიგზედა. ახლა თუ იკითხოთ, ჩვენი ნამყენობა, ლათინთ ნამყენი და ნაყოფნი დამონაფებულნი და მონადირებულნი ვართ, არა თუ სომეხთ გვარისაგან, და ესეც უწოდეთ ბატონო, თუ რომ საგ. მღვდელს წყალობას გვიზამო, დიალ, ბევრ სულებს შეგძინამს ღთი.

ქ. ამის წიგნის მოწმობს: ქ. პირველად ტერ სიმონ, ქ. ძმისწული ეფრემა, ქ. ალექსანი, ქ. ელიზბარი, ქ. ყაარაგიზი, ქ. დავითი, ქ. აპოსტოლი, ქ. მესროფი, ქ. ასლანი, ქ. ჟოჟომი, ქ. სუნბული, ქ. პეტრეი, ქ. იასია, ქ. პავლეი, ქ. ოქრუაი, ქ. შიო, ქ. ელიკი, ქ. ცაცო, ქ. (აქ ნაშლილია მელნისაგან). ქ. თათა... ღთით ახალციხეს პატრი უფროს მიერთვას".

აქ დასახელებულ ქართველების წესის მღვდელზე სხვა წერილებს ვერავითარს შევხვდით. შეიძლება, იგი იყოს ზემოთ დასახელებული მღვდელი ტფილელი თადე. თუ ასეა, უნდა იყოს დაწერილი 1784 წელზე უფრო წინ.

(გაგრძელება იქნება).

„ჯვარი ვაზისა“, 1906, № 14, გვ. 10-12.

## ველეჯი

(დასასრული)

ველის მცხოვრებნი მომეტებული ქართველები იყვნენ, 500 სულამდე. მათში რამდენიმე ოჯახი ერივნენ სომხის ტიბიკონისა კათოლიკენი, რომლებმაც 1784 წელს მისულს პატრი პოლიკარპოს უმტრეს, მთავრობას სიცრუით დაასმინეს და იქიდგან გააგდებინეს. ამ სამწუხარო მოვლენას 16 აპრილს 1787 წლისა ახალციხიდან რომში სწერს პატრი ჯამბატისტა როვიგელი ესე:

„ ... იქ (ველში) ნავიდა ხსენებული პატრი პოლიკარპო მოძღვრად, განსაკუთრებით ბერძენ-კათოლიკე ქართველი ერისათვის, რომელმაც დიდის ვედრებით გამოითხოვა. ცხადათ თანახმა იყვნენ, ეგრეთვე, სომხის ტომის კათოლიკეებიც, როგორათაც მტკიცდება პირველი გამოგზავნილი მოხსენებით, რომელზედაც საკუთარი ხელი უწერიათ ორსავე გვარის მოწინავე პირებს. ამის მოწმეა თვით მათი უსამღვდელოესობა არქიეპისკოპოსი თრაქია. თითქმის სამ წელიწად ნახევარია, რაც ხსენებული პატრი პოლიკარპო იმ სოფელში მოღვაწეობდა მოციქულებრივის თავგანწირულებით, სადაც მოსპო ბევრი უწესობა, რომელიც დიდის ხნიდგან ფესვს იდგამდა ღრმად, და სადაც მიჰვინა ჭეშმარიტი საუკუნო ცხოვრების სიტყვა. სომხის კათოლიკეებმა დაინყეს მეშურნეობა და ოსტატობით დაიყოლიეს პატრი პოლიკარპო, რომ ახალციხის მღვდლების უფროსისათვის ეთხოვა ერთი სომხის მღვდელმონაზონი, რომელიც დიდი ხნიდგან აღარ ჰყოლოდათ, რათა ამ საშუალებით დაეცვათ თავიანთი სომხური ტიბიკონი, რაც კი შეეხება საეკლესიო ლიტურლიას, ვინაიდგან ტიბიკონის სხვა დანარჩენს ნანილებს ყველას კარგად ას-

რულებენ; როგორადაც თავიანთ საკუთარ ბერძნის ტიპიკონს დიდი გულმოდგინებით იცავენ ქართველი კათოლიკები, რომლებიც ბევრად უმეტესი არიან სომხის კათოლიკებზედ. პატრმა შეინყნარა მათი თხოვნა, რადგან კარგად უწყოდა, რომ ამაზე უარის თქმა უფრო მომეტებულად განარისხებდა ამ მეშფოთარ სომხისჯვარსა, შეჰპირდა, დაეკმაყოფილებინა იმათი თხოვნა; თუმცა სომხების სანუგეშოდ ხშირად ათქმევინებდა ლოცვებს სომხურად, თვით ხმოან წირვაზედაც. პატრი პოლიკარპომ პირობა დაადებინა, ამ საშუალებით ერთმანეთში ჭეშმარიტი სახარებრივი სიმშვიდე დაეცვათ. მონინავე პირებმა ამაზე შეჰფიცეს და ეგრეთვე თავიანთი პირობა წერილობითაც მისცეს. პატრი პოლიკარპემ მისწერა და მდაბლად ჰსთხოვა მონაზონი ბატონს მაქანდრიანთ გრიგოლს, რომელიც გაუგებარი სასწაულით დაინიშნა აქ პროვიკარად. კარგად ვუწყი, რომ ის პირი მეტად ცნობილია თქვენ და წმინდა კრებისაგან წარსულ და აწმყო მეტად სამსუხარო მოქმედების წყალობით<sup>1</sup>. ბატონმა პროვიკარმაც უსმინა თხოვნა და გაგზავნა ის მღვდელმონაზონი<sup>2</sup> ხაჩატურა, რომელიც პროვიკარის მოწაფე იყო, და ერთი წელიწადია, რაც კონსტანტინეპოლში მღვდლად ეკურთხა. თუმცა არ უნდა გამოვიძიო და არც უნდა ვიცოდე, მაგრამ საკვირველი კია, რა აზრით გამოაცხადა ბატონმა არქიეპისკოპოსმა თრაქიამ პროპაგანდის მისიონერად, რომელიც არა თუ ჰყვენს სარწმუნოებას, არამედ სპობს?! მეტად ახალგაზრდა მონაზონი ხაჩატურა მოვიდა ველში თუ არა, თვით სომეხი კათოლიკების წინაშე გამოაცხადა თავისი თავი პატრი პოლიკარპოს ხელქვეითიდან და თანაშემწედ. წინათვე არქიეპისკოპოსს თავისი ხელით დაწერი-

<sup>1</sup> ეს შეუსაბამო სიტყვები ცხადად გვიჩვენებს, რომ ყველა კაპუცინები ანგელოზი და ქრისტეს სულით გამსჭვალულნი არ იყვნენ, და დალონებულის თვალთ უმზერდნენ, როდესაც ახალციხის მღვდლებზე უფროსობა ხელიდგან გამოერთმეოდათ. თუმცა კი ხშირად არც ის მღვდლები იყვნენ უდანაშაულონი. ზემოთ ვნახეთ, რომ მღვდელი მაქანდრიანთ გრიგოლი ერთი საუკეთესო და პატიოსანი მღვდელი იყო, და პროპაგანდამაც შემდეგ დროებში ის იცნო უდანაშაულოდ. უბრალოდ, ხელახლად ახალციხის უფროსად დანიშნა [ავტორი].

<sup>2</sup> არ ვიცით, ეს მხითარისტია, თუ სხვა წესის მონაზონი [ავტორი].

ლი წიგნი გამოეგზავნა პატრი პოლიკარპოსთვის და უცხადებდა, რომ მისი ქვეშევრდომი იქმნებოდა ყველა სხვა მონაზონი, ვინც კი მივიდოდა იმ სოფელში, მაგრამ ცოტა ხნის შემდგომ სომხის კათოლიკებმა გადაიბირეს გამოუცდელი ახალგაზრდა მღვდელ-მონაზონი ხაჩატურა, რომელმაც ამართა წინააღმდეგობის დრო-შა, დაუჭირა მხარი სომხის კათოლიკებს და გააუპატიურა თვით პატრი პოლიკარპო შეურაცხყოფის სიტყვებით. ამნაირად მოსპო ყველანაირი წესიერება. შეიქმნა დასაწყისი ყოველი უწესობისა. პატრი პოლიკარპო დაჩუმიდა, რათა დაბრკოლება არ მომხდარიყო, თუმცა დუმილითვე იცავდა თავის სიმართლეს. ორ ტომს შუა მალე აღიძრა უძველესი უთანხმოება. ხაჩატურა მღვდელის მიერ გამხნეებულმა სომხის კათოლიკებმა დაუნყეს მეტად მკაცრი წინააღმდეგობა პატრი პოლიკარპოს. მართლათა, სომეხ-კათოლიკეს მოწინავე პირებმა მიიმხრეს ეგრეთვე თათრები და მწვალბეელი სომხებიც, და მეტად ფარულად მიმართეს იმ სოფლის ოსმალ მოსამართლეს, რომელსაც ეწოდება არტაანის ბეგი და იჩივლეს პატრი პოლიკარპოზე, ბევრნაირი ცილი დას-წამეს და განსაკუთრებით გამოუგონეს, რომ მაშფოთარია და წინააღმდეგი ოსმალების კანონისა შესახებ აკრძალულ ხორცის ჭამისაო<sup>1</sup>. მოსამართლემაც, გამოუძიებლად, მაშინვე დაანერინა განაჩენი პატრის სოფლიდგან განდევნისა. ერთმა თათრის კომანდირმა პატრი პოლიკარპოს წაუკითხა განაჩენი, რომელშიც იყო მოხსენებული, რომ ფრანგის პატრმა ნახევარ საათის განმავლობაში უნდა დაუტევოს ის სოფელი და წავიდეს იქიდგან, ხოლო იქ უნდა დარჩეს მკვიდრად გიაური მღვდელმონაზონი. პატრი პოლიკარპოც მაშინათვე დაემორჩილა ბრძანებას და მოვიდა აქ, ახალციხეს, ჩვენს მონასტერში 15 აპრილს (1787). აქ აღარ ჩამოვსთვლი, თუ რაოდენი მწუხარება გამოიწვია ბერძნის ტიბიკონის ქართველ-კათოლიკებში, რომლებიც ერთგულნი არიან პატრების და, კერძოდ, პატრი პოლიკარპოსი; არც იმას ვიტყვი, თუ რაოდენი განცვიფრება გამოიწვია პატრი პო-

<sup>1</sup> ისე ჰგავს, სომხებს ბუნებითად შეთვისებული ჰქონიათ ლათინის მოძღვრების მტრობა, რადგან თვით გაკათოლიკებული სომხებიც არ იშლიან მათ დევნულებას [ავტორი].

ლიკარპოს უცბად ახალციხეში მოსვლამ; არც იმას ჩამოვთვლი, თუ რაოდენი გაუპატიურება მიიღო ჩვენმა სამოსმა ურწმუნო ტომებისაგან და თვით სომხის კათოლიკებისაგან, რომლებსაც მუდამ ჩვენს წინააღმდეგ ამხედრებდნენ აქაური ბატონი სამღვდელონი. ყოველსავე ამას გამოვტოვებ სიმოკლისათვის...”

ამნაირმა მტრულმა მოქმედებამ ველის კათოლიკები დიდ შეწუხებასა და განსაცდელში ჩააგდო. რომელსაც მეტად სამწუხაროთ დაურჩა ეს ამბავი, ამიტომ დაავალა კონსტანტინეპოლის ეპისკოპოსს მალე სხვა მღვდელი გაეგზავნა ველელ კათოლიკებისათვის. რა გამოიძია ყველაფერი და სცნო სომეხკათოლიკების უსამართლო მოქმედება, ისევ პატრი პოლიკარპო დანიშნა და გაგზავნა ველში, იქმნება მშვიდობა დამყარდესო. პროპაგანდა 31 მაისისა, 1788, სწერს ამ ეპისკოპოსს და აქებს მის ამნაირ მოქცევას.

ველელების შესახებ ამის შემდგომ განსაკუთრებული ცნობები არა გვაქვს. იმათ ჩამომავლები არიან ჯავახეთის ახალქალაქის ახლოს მდებარე სოფლების – ხულუგმო, კარტიკამის და ბავრის მცხოვრებნი, რომლებსაც, სომხური ტიბიკონის მღვდლების წყალობით. აღარც ქართული ტიბიკონი და აღარც ქართული ენა შერჩენიათ, და დღეს თავიანთი ქართული დედაენა გაუცვლიათ ოსმალის ენაში, მაგრამ, მიუხედავად მათ მიერ გამოვლილი ეგოდენის ტანჯვა-წვალებისა, უნინ მიღებული კათოლიკე სარწმუნოება მაინც მტკიცედ დაუცავთ.

აი, აქ ვათავებთ ამ თავსაც. თუმცა ვერ წარმოვადგინეთ ყველა ის საბუთები, რასაც კი ამ საგანზე სამცხის კათოლიკების ისტორია მოითხოვს, გარნა რაც კი მოვიყვანეთ, საკმაოდ ცნობებს შეიცავენ და მეცნიერებს საშუალებას აძლევენ, უფრო მტკიცედ, ვიდრე აქამდე, შეიძლონ თავიანთი აზრი გამოსთქვან სამცხის კათოლიკების გავლილის შესახებ. ჩვენ მიერ შეკრეფილი საბუთებიდგან აქ მოვიყვანეთ მხოლოდ, რაც უფრო ყურადსაღებად მიგვაჩნდა.

## რაბათის ეკლესია<sup>92</sup>

(ნაშთი)

ერთს ღრმა ხეობაში, დაბა არდანუჯის ახლო, ართვინის მაზრაში, ძვეს პატარა ღარიბი სოფელი რაბათი. ამ სოფლის შვეიცარიის ჰანგზე აშენებული სახლები გარშემორტყმული არიან ერთს ძველი ეკლესიის ნაშთს, რომელიც სურათის ფოტოგრაფით გადაღებული დღევანდელი „ჯვარი ვაზის“ ამ ნომერში არის მოთავსებული. ნაშთი საკმაოდ კარგად არის შენახული ადგილობრივი მცხოვრების ნყალობით, რომელნიც ყოფილან ოთხასი წლის წინათ გადმოსახლებული ანის ქალაქიდან და უნახიათ ეს ეკლესია თავის ახალს დროს დიდებულ მდგომარეობაში, მაგრამ დროს თავისი მოუტანია და ახლა იმ მშვენიერი შენობის მაგივრად, ვხედავ ნახევარჩაქცეულს ნაშთს, ისე დაძველებულს, რომ მასში შესვლა საშიშათ ხდება. როგორც მკვიდრი მცხოვრები ამბობენ, იმათი მამა-პაპას უნახავთ ეს ეკლესია ხელუხლებელი ახლათ. ერთს მათგანს მოხუცს კიდევაც ახსოვს, ერთხელ როგორ თათრები დაეცნენ ამ სოფელს და ერთმა ავაზაკთაგანმა ესროლა თოფი, და გადმოაგდებინა გუმბათიდან ვერცხლის ჯვარი. ამ ორმოცი-ოცმოდდაათის წლის წინათ ამ ეკლესიასთან უპოვიათ მიწაში ორი ზარი – ერთი მათგანი ყოფილა გატეხილი და მეორე მთელი, რომელიც გაუგზავნიათ ეზრუმის კარმირვანქში და ახლაც იქ არისო.

ეკლესიის კარების ერთ ზღუდეზე ყოფილა ქართული ხუცურათ ზედ ნაწერი, მაგრამ რადგან ქვა რბილი ყოფილა, დროს წაუშლია იგი და ახლაც ეტყობა ქართული სიტყვები ხუცურ ასოებით: „ესე ეკლესია“.

ეკლესიასთან გდია ერთი დიდი ქვის ჯვარი, რომელს სი-  
მალლე აქვს ცხრა მტკაველი, სიგანე – ექვსი, მალლა ჯვარის  
შუბლზე შენახულია ზედ წარწერა: ჩ. მ., მარჯვენა მკლავზე  
– უ, მარცხენა მკლავზე – ნ, შუაგულზე რალაც ასახია, მაგრამ  
წაშლილია და ვერ გაირჩევა თუ რა არის გამოსახული.

სოფელი რაბათის დაარსებაზე მცხოვრებლებმა შემდეგი  
ლეგენდა მიამბეს ზეპირგადმოცემული:

ის არემარე, სადაც ეს ეკლესია ყოფილა დაბურული ტყით  
მოსული, ანი ქალაქის დაქცევის შემდეგ, იქიდან წამოსულან  
ოთხი ძმა და მიმავლებულან ამ ხეობაში ბილიკით უგზოუკვ-  
ლოთ, მათ შეუნიშნავთ რალაც ბრჭყვინავი საგანი და იმ საგნი-  
საკენ გზა მიუქცევიან. რომ ახლო მისულან, მაშინ დაუნახავთ  
მშვენიერი ახალდახალი ეკლესია და ზედ გუმბათზე ვერცხლის  
დიდი ჯვარი, რომელიც გამხდარა ამ ეკლესიის პოვნის მიზეზი.

ამ ეკლესიის გადათვარიელების დროს ტყიდან გამოვარდნილა  
ერთი დათვი, მიჰვარდნია იმათ უმცროს ძმას და დაუფრენია.

მეორე ძმები, თავის ძმის საცხოვნად და იმ ეკლესიის პა-  
ტივსაცემად, აქ აუშენებიათ ქოხები, გადმოსახლებულან თავი-  
ანთ ცოლ-შვილით და გაუშენებიათ ეს სოფელი, რომელიც ჯერ  
პატარა ყოფილა და მემრე გადიდ-გამდიდრებულა.

თათრების დროს თურმე ბევრჯერ ყოფილა მცხოვრებლები  
აკლებული და გაქურდული, და ბევრიც შევიწროება ჰქონდათ,  
მაგრამ მაინც მხნეთ დაუცვამთ თავიანთი ენა, სარწმუნოება და  
ხალხოსნობა ხელუხლებლათ.

„ჯვარი ვაზისა“, 1906, № 16, გვ. 6-8.



## ველელი ქართველები<sup>1</sup>

ახალქალაქის მაზრაში ოთხი სოფელია: კარტიკამი, ბავრა, ხულგუმო და ტურცხი, რომლების მცხოვრებლები არიან ასრეთ ნოდებული „ველელი ქართველები“. ეს ხალხი, შენუხებული ოსმალების მტარვალობისაგან, 1828 წ[ელს] გადმოვიდნენ ჯავახეთის ახალქალაქის მაზრაში. ესენი, რადგან დიდხანი ყოფილან ოსმალებით და დევნილან, როგორც მაჰმადიანი ქართველები, დაუკარგავთ სამშობლო ენა და გადასულან ფრანგი მისიონერების მეცადინეობით კათოლიკობაზე. ისტორიული მიზეზების და სომხების ვერაგობის გამო, ფრანგი და იტალიელი მისიონერები იყვნენ განდევნილი, ამ ხალხს დაეპატრონენ სომეხ-კათოლიკების სამღვდელოება, მაგრამ მაინც მაშინ გადმოსვლისას იმ სოფლებში ასწავლიდნენ სოფლის სკოლებში და ეკლესიებში იყო მიღებული ქართული სახარება და მაშინდელი სომეხ-კათოლიკების უფროსი მღვდელი შაჰყულიანი ნიშნავდა იქ მღვდლებს ქართველი ტომისას. საბედნიეროთ, თუ საუბედუროთ არ ვიცი, მაშინდელი მართალმადიდებელი სამღვდელოება ამ ხალხს ავალებდა, რომ მიეღოთ ისევ თავიანთი ძველი სარწმუნოება და გადმოსულიყვნენ მართალმადიდებლურ ეკლესიის წიაღში. რომ ამ საცდურს გადაერჩინა, შაჰყულიანმა ამ ხალხს დაასახელებინა „სომეხ-კათოლიკად“. მას შემდეგ სომხის სამღვდელოება დაეპატრონა, როგორც უპატრონო ეკლესიას ეშმაკები!..

ახლა დიდი ყურადღებაა მიქცეული მთავრობისაგან სწავლავანათლებლაზე ახალქალაქის მაზრაში. სხვათაშორის, ზემოხსენებულ ოთხ სოფელშიც იხსნება სკოლები, მაგრამ იქაური

<sup>1</sup> იხილეთ, თამარაშვილის ქართველ-კათოლიკების ისტორია. ველი არის სოფელი არტაანის მაზრაში [ავტორი].

სწავლა-განათლების გამგეებს ამ სოფლებში აწარმოებინეს პირველდანიეებითი სწავლა სომხურ ენაზე. ამ უკანონობაზე პროტესტს ვაცხადებთ და ვთხოვლობთ, რომ პირველდანიეებითი სწავლა უნდა იყოს ქართულათ და არა – სომხურათ. მართალია, წირვა-ლოცვა ძალათ შემოტანილია ამ ხალხში და ბ[ატონები] კალატოზიშვილი და გაბოიანი ძალიან პროპაგანდას ეწევიან ამ ხალხში სომხური ორიენტაციის სასარგებლოთ, მაგრამ ამ ხალხში, როგორც საქართველოს შვილებში, საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს, უპირატესობა უნდა მიეცეს ქართულ ენას და არა – სომხურს. ახლა შინაური ენა ამათში თათრულია (ოსმალური), და ამ ენაზე პირველდანიეებითი სწავლის შემოღება უადგილოა არაბულის აღფავიტიის სიძნელის გამო, მაგრამ ქართული აღფავიტი სავალდებულო უნდა იყოს. კარდიკანელი, ანუ ხულგუმოელი პატარასთვის ერთი და იგივეს წარმოადგენს როგორც ქართული, ისე სომხური ასოებიც, მაგრამ უპირატესობა უნდა მიეცეს ქართულს, მაგრამ საუბედუროთ, ახლა ამ სოფლებში ნიშნავენ ტირაცუებს ბ[ატონების] კალატოზოვის და გაფოიანის სასიამოვნოთ. ამ ბ[ატონებზე] სხვა დროს მექნება ლაპარაკი და მაგათ აგენტებზე ამ სოფლებში.

ქ. ახალქალაქი (უთარილო)<sup>93</sup>

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ს. ბავრელის  
პირადი საარქივო ფონდი № 150, საქმე № 5.

## საქართველოს ძველი ნაშთები ეკლესიაზისა, ციხეებისა და სხვა შენობებისა

[ჩემი ნაცნობის ოცნება, მისი სიზმარი და აზრი  
„ტიატრზე“. ძველი ნაშთები ახალაღებულ  
ძველებში: ოპიზა, პორტა, რაბათი].

ერთის ლაპარაკი მეორეს რომ გადასცე, ენატანობა იქმნება, და ენატანობა ცუდი ხელობა არის, თუმცა ამ ენატანობით ბევრი წინ წასულა სამსახურის ასპარეზში. ჩვენს დროში ძრიელ მიღებულიც არის, მეტადრე, დიდი თანამდებობის კაბინეტებში, მაინც მოსაწონი ხელობა არ არის, მაგრამ მე უნდა გადმოქცეთ ჩემი ერთ-ერთი მეგობრის, არა ერთი ნაცნობის ნალაპარაკი ჩვენი სამშობლოს ერთ გაზეთზე, იმიტომ რომ ცოტა ლიტერატურული მიმართულება აქვს ამ ჩემი ნაცნობის ლაპარაკს. იმედია, იმ გაზეთს ჩემი არ უწყინება, რადგან მე ჩემათ არ ვამბობ, წინააღმდეგნი, უფრო შესაფერი პატივი უნდა მცეს ამ ამბის გადმოცემისათვის, სულ არა, მაგალითი, აი, ღირს კაზიმირ სტანისლავიჩისაგან, რომ როცა იმისმა ქვეშედრომმა ივან ივანიჩმა ამბავი მიუტანა, თუ იმაზე კაზიმირ სტანისლავიჩზე კვახეთ ლაპარაკობდა მისი ამხანაგი დათიკო კარადიბანიჩი, მაშინვე კაზიმირ სტანისლავიჩმა ივან ივანიჩს მიანიჭა ..... ნაჩაღნიკობა.

აი, ჩემი ნაცნობის ლაპარაკი: დიდის გულის თრთოლვით და ძვერით წავიკითხე განცხადება ახალგამოცემულ ქართულ ენაზე ლიტერატურული და მხატვრობითი ჟურნალის გამოცემა „ტიატრისა“.

რა სასიამოვნო წარმოსადგენია, რომ ჰფიქრობ, ნახე, ქართული ლიტერატურა რა ნაირად გამდიდრდა, რომ ახლა თავისი მხატვრობითი გაზეთიც უნდა გამოსცენ? მაშინ ტრიალებს თავში სხვადასხვა ტკბილი და სასიამოვნო ოცნებანი. აი, ამ ტკბილ ოცნებაში ვიყავ მაშინ, როცა დამეძინა და მეზმანა მართლა და ტკბილი სიზმარი: ვზივარ ჩემ სამწერლო ოთახში (კაბინეტში), ოთხივე მხარეს კედლები, განჯინები გატენილია სქელი და სქელი ქართული ნიგნებით და სხვადასხვა ისტორიულის სურათებით. შემოალო კარები ფოშტის მოხელემ, რომლის კისერს ამძიმებდა დიდი ჩანთა, სავსე ქართული სხვადასხვა გაზეთებით, მათ შორის „ტეატრიც“, რომლის სათაური ოქროს ასოებით ამშვენებდა ფოშტის მოხელის ჩანთას. გამოვართვი „ტეატრი“, „ივერია“, „დროება“, „ცისკარი“ და სხვა ბევრი და ბევრი გაზეთები. ყველაზე უფრო სასიამოვნო სანახავს წარმოადგენდა „ტეატრი“: პირველივე ნომერში პირველ გვერდზე ნახავდით გორგასლანის სურათს; მესამე ნომრის მესამე გვერდზე თამარ დედოფლის სურათს, რომელიც ჯარს ამხნევებს ყარსზე წასასვლელად; მეხუთე ნომრის მეხუთე გვერდზე რუსთაველი თავის ვეფხისტყაოსანს უკითხავს თამარს. სხვა ნომრებიც სავსეა მრავალი სხვადასხვა სურათებით ჩვენი ცხოვრებიდან. სურათების ავტორები სულ ქართველები არიან, რადგან იმათი გვარი თავდება „შვილით“ და „ძეთი“. ტკბილი იყო ეს ოცნება, მაგრამ სიზმარეული!..

მართლა და სიტყვამ სამხატვრო თეატრის გამოცხადებაში ბევრს გულში იმედი ჩაგვინერგა, გვეგონა ჩვენს ახალგაზდობას იმთონე ღონე ექმნებათ, რომ ერთის მხატვრობით ჟურნალს პირთეთრად გამოიყვანენ და თუ იმედი არა ჰქონდათ, არც იკისრებდნენ. მერე რა მოხვდა? ისა, რომ მთელი 1886 წ[ლის] განმავლობაში ორი სურათი მოგვცეს – თ[ავად] გიორგი ერისთავისა და გრიგოლ ორბელიანისა, და შემდეგ ეს სალიტერატურო-მხატვრობითი ჟურნალი გადაიქცა სალიტერატურო ლანძღვაგინებით ჟურნალათ. ამ ჩემი ნაცნობის სიზმარი და მართალი რამთონათ სამართლიანია, მხოლოდ ის კი მართალია, რომ ერთ ახალგაზდას აზრი მოსვლია ფოთოვგრაფით გადმოხატოს ძველი ნაშთები და რომელიმე რუსულ ჟურნალებში დააბეჭდინოს. ამ

ახალგაზდას შეეხვდი მე, რომელიც მიდიოდა აქაური ნაშთების  
გადმოსაღებათ და რომელმანც მთხოვა გავყოლოდი მას. მეც  
ბედნიერ შემთხვევას ვეძებდი, მინდოდა აქაური ნაშთების დავ-  
ლა და გავყევი კიდევაც. აი, ამ მოგზაურობით ვისარგებლებ და  
ამ წერილში აღვწერ იმ ნაშთებს, რომლის ნახვის შემთხვევაც  
მე მექმნება:

სოფელი ოპიზა<sup>94</sup> ძვეს ერთს ღრმა ხეობაში 25 ვერსტზე ართ-  
ვინიდამ. რომ შეგეძლოს იმ სოფლამდი მისვლა, უნდა გქონდეს  
მოთმინება მოყვარე მხატვრობისა და შეგეძლოს ფეხით სია-  
რული ვინრო ბილიკებზე, რომელიც მთის კალთებზე ხან ადის  
მალლა და ჩადის ძირს, სადაც ერთი სურათი უცვლის ალაგს  
მეორეს და იზიდავს მგზავრის ყურადღებას.

სოფელი ოპიზა წარმოადგენს ერთს მშვენიერთაგანს სურადას,  
რომელს ამშვენებს ნაშთი ძველი ეკლესიისა, რომელიც დგას  
ერთს .....<sup>95</sup> მშვენიერი არხიტექტურა და მასალა, რომლით არის  
იგი აგებული, ამტკიცებს, რომ ერთს დროს ამ მონასტერს ჰქო-  
ნია დიდი მნიშვნელობა როგორც ღვთის სადიდებლათ, ეგრეთვე  
თავის შესაფარებლად მტრისაგან. მთავარი ეკლესიის გარდა  
მშვენიერის გუმბათით, არიან სხვა შენობებიც, სულ ჩაქცეული  
რამთონიმე სართულიანი. როგორც ამბობენ, ამ შენობათაგანი  
ერთი ყოფილა სკოლად, მონაფეების საჯდომი ალაგები, ქვით  
ნაშენი, ახლაც ეტყობოდაო, მაგრამ ამ ორი წლის წინათ ჩაი-  
ქცა სრულებით და მე ვერ ვნახე. მაინც შეუბრალებელს დროს  
და მაჰმადიანების ფანატიკოსობას თავისი გაუტანიათ და მშვე-  
ნიერი ეკლესიიდან დაგვრჩენია საბრალო ნაშთი. გალესილება  
სრულებით ჩაქცეულა. ეკლესია შიგნიდამ ყოფილა ნახატი. ზედ-  
წანერა არსად არა სჩანს. როგორც მიაბებს ადგილის მცხოვრე-  
ბლებმა, ვილაც ტოპოგრაფს ნაულია ქვა ზედწანერით.

ცოტა შორს ოპიზიდან, სადაც კიდევე ფეხით იაროთ, ნახავთ  
მეორე მონასტერს – ფორთას.<sup>96</sup> თუმცა ოპიზაზე პატარაა, მა-  
გრამ სიმშვენიერებით ეს უფრო მალლა დგას. ფორთის მონ-  
ასტერი დგას ერთ ხევის პირს, იწყება .....<sup>97</sup> შენობები – ხუთ  
სართულამდის და თავდება ლამაზი ეკლესიით.<sup>98</sup>

ფორთაში კიდევ შესანიშნავია ბნელეთი (темница), რომელიც დარჩენილა მთლათ – ერთს ხევის პირას კლდეში ამოშენებული ოთხკუთხი ოთახის მსგავსად თალიანი ადგილი; შესავალი არსაიდგან აქვს, მხოლოდ ბანიდგან ერთი პატარა ფანჯარა, საიდგანაც შეუძლიან ჩასვლა მხოლოდ ერთ კაცს. ამ ბნელეთში ჩააგდებდნენ ხოლმე ბრალდებულებს, რომელნიც თავიანთ სიცოცხლეს ათავებდნენ შიმშილით და ტანჯვით. ძალიან ღრმაა და ჩასვლა ვერ გავბედე. სინათლე რომ მივანთე, მართლაც ვნახე ხროვა ადამიანის ძვლებისა, რომელსაც დასტრიალებდნენ ასობით ღამურები. იმ ადგილას, სადაც ეს ბნელეთია, ადგილის მცხოვრებნი გალავანს უძახიან. ამ ხეობის მცხოვრებს სახის გამოხაზულობის გარდა (ტიპის) ყველა დაუკარგავთ – ენაც, სარწმუნოებაც და უფლებაც, თავიანთ ქართველობაზე უარს კი არ ამბობენ. ამათი სიტყვით, დიდი ძალა ხალხი ცხოვრებულა ამ ხეობაში. ამას ამტკიცებენ წერიმალე მრავალი ნაშთები. მარტო ფორთაში ცხოვრებულა 50 ათასი სული. რითი უცხოვრიათ ამთონ ხალხს, გასაშტერებელია, როცა ხედავ ამ უნაყოფო უვალ მთებს. ეტყობა, ამათი ცხოვრების წყარო ყოფილა ღვინო. ბევრი ნაშთები ამას ამტკიცებენ. ისე ნაბიჯს არ დადგამ, რომ არ შეგვხვდეს ძველი ნაბალარის ადგილები. ალბათ, ამთონს ხალხს ცხოვრება უნდათ.

ერთს უდაბურს ხეობაში, დ[აბა] არდანუჯიღამ ახლო, ძვეს პატარა ღარიბი სოფელი რაბათი. ამ სოფელს შვეიცარიის ჰანგზე ხის შენობები გარს ჰრტყამენ ძველის ეკლესიის ნაშთი, შენახული საკმაო მთლათ ადგილობრივი მცხოვრების სომხების წყალობით, რომელნიც ოთხასის წლის წინათ გადმოსახლებულან აქა ანისიღამ და უნახიან ეს ეკლესია თავის ახალს და მშვენიერს დროს, მაგრამ დროს თავისი გაუტანია და ახლა იმ მშვენიერის მორთულობის შენობის მაგიერ ვხედავთ ნახევარ ჩამოქცეულს ნანგრევს, ისე ძველს, რომ შესვლა მასში და ლოცვა-წირვა საშიში ხვდება.

როგორც იქაური სომხები ამბობენ, იმათ მამა-პაპებს ეს ეკლესია უნახავთ ხელუხლებლად ახალი. ერთს კიდევ კარგათ ახსოვს, თუ როგორ ერთმა აჭარელმა ავაზაკმა ესროლა თოფი

და გადმოაგდებინა გუმბათიდან ვერცხლის ჯვარი. ამ ორმოცი წლის წინათ შემთხვევით მიწიდან ამოუღიათ ორი მოზრდილი ზარი, ერთი გატეხილი და მეორე – მთელი, რომელიც ნაულიათ ერზრუმის კარმირ-ვანქში და ახლაც იქა არისო. კარების ერთს ზღუდებზე ყოფილა ქართული ზედწაწერა, მაგრამ რადგან ქვარბილი ყოფილა, დროს ნაუშლია, ახლაც ეტყობა სიტყვები ხუცური ასოებით: „ეს ეკლესია...“

ეკლესიასთან გდია ერთი დიდი ქვის ჯვარი, რომელს სიმაღლეთ აქვს ცხრა მტკაველი, სიგანე – ექვსი მტკაველი, მაღლა ხუცურად აწერია: „ჩ“ე“, მარჯვენა მტკაველზე (უ), მარცხენა მკლავზე (ნ). შვაგულზე რახაც სახეა, მაგრამ ნაშლია და ვერ გაირჩევა, თუ რა არის გამოსახული.

ამ სოფლის დაარსებაზე მცხოვრებისაგან შემდეგი ლეგენდაა ზეპირგადმოცემული: ის არემარე, სადაც ეს ეკლესია დგას, ყოფილა დაბურული ტყით მოსვილი. ანი ქალაქის დაქცევის შემდეგ, ოთხი ძმა ჩავარდნილან ამ ხეობაში და მიმავალებულა ბილიკით სადღაც. შორიდგან მათ შეუნიშნავთ რალაც მბრჭყვინვავეი საგანი და იმ მბრჭყვინვავეი საგანისაკენ მიუქცევიათ გზა. მისულა ახლო, რომ უნახავს მშვენიერი ახლად-ახალი ეკლესია და ზედ გუმბათზე ვერცხლის ჯვარი, რომელიც გამხდარა მიზეზი ამ საშოვარისი. ეკლესიის გაშინჯვის დროს უდაბური ტყიდგან გამოსულა დიდი დათვი, მიჰვარდნია პატარა ძმას და გაუსრესია. თავის ძმის სიყვარულის ნიშნათ და იმ ეკლესიის პატივისცემათ მეორე ძმებს აუშენებია ქოხები ამ ეკლესიის ახლო, გადმოსახლებულან თავიანთი ცოლ-შვილით აქ და გაუმენებიათ სოფელი, რომელიც მალე გამრავლებულა და გამდიდრებულა. თათრობის დროს თუმცა ბევრჯერ გაქურდულან და ბევრიც შეწუხებაც გამოუვლიათ, მაგრამ მაინც თავიანთი ენა, სარწმუნოება და ხალხოსნობა ხელუხლებელი შეუნახავთ.

(უთარილო)

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ს. ბავრელის  
პირადი საარქივო ფონდი № 150, საქმე №15.

### კომენტარები

- <sup>1</sup> არტაანი/არტაპანი/არტანი - სამხრეთ საქართველოს ისტორიული მხარე და ციხე-ქალაქი, მდ. მტკვრის ზემო დინების ორივე მხარეს (ამჟამად თურქეთში).
- <sup>2</sup> აქ ს. ბავრელი გულისხმობს სოფელ ველს (არტაანის მაზრაში), საიდანაც მისი წინაპრები XIX ს-ის I ნახევარში გადასახლდნენ ახალქალაქის მაზრის სოფელ ბავრაში.
- <sup>3</sup> ახალქალაქი - ქალაქი სამხრეთ საქართველოში. გაშენებულია ახალქალაქის პლატოზე, მდ. ფარაენისა და მურჯახეთისწყლის მდინარეთა შუეთში.
- <sup>4</sup> აბულის მთა - მთა ჯავახეთში, აბულ-სამსარის ქედზე. სიმაღლე 3305 მ.
- <sup>5</sup> ვაჩიანი - სოფელი ახალქალაქის რაიონში, ახალქალაქის პლატოზე, ვაჩიანის ტბასთან.
- <sup>6</sup> არზრუმში/ერზურუმი - ქალაქი ჩრდილო-აღმოსავლეთ თურქეთში, ისტორიული თეოდოსიოპოლი, რომელსაც სახელი იმპერატორ თეოდოსიუს II-ის პატივსაცემად ეწოდა; ქართულად კარნუ-ქალაქი.
- <sup>7</sup> აქ ს. ბავრელი შეცდომას უშვებს: სოფლის სახელწოდებაა არა ცულდა, არამედ სულდა - სოფელი ახალქალაქის რაიონში, ჯავახეთის ზეგანზე.
- <sup>8</sup> კარნახი - სოფელი ახალქალაქის რაიონში, ჯავახეთის ზეგანზე, ხოზაფინის ტბის მახლობლად.
- <sup>9</sup> ხოზაფინის ტბა/კარნახის ტბა - ტბა სამხრეთ საქართველოში, ახალქალაქის რაიონში.
- <sup>10</sup> ჩაისოსი/ჩაისი - სოფელი, ამჟამად მდებარეობს თურქეთში, არდაჰანის (არტაანი) ვილაიეთში, ჩილდირის ილჩეში (რაიონი), თანამედროვე სახელწოდებაა ქაიაბეი.
- <sup>11</sup> სავარაუდოდ, აქ ავტორი შუა საუკუნეების სახელგანთქმულ ქართულ ციხე-სიმაგრეს - ქაჯეთის ციხეს (შეითან-ყალეს) უნდა გულისხმობდეს, რომელიც სოფელ რაბათის მახლობლად მდებარეობს.
- <sup>12</sup> მალარა - გამოქვაბული, მღვიმე (თურქ.).
- <sup>13</sup> რაბათი - სოფელი, ამჟამად მდებარეობს თურქეთში, არდაჰანის (არტაანი) ვილაიეთში, ჩილდირის ილჩეში (რაიონი). თანამედროვე სახელწოდებაა ილდირიმთეფე.
- <sup>14</sup> ბაგრახათუნი/ბეგრახათუნი - სოფელი, ამჟამად მდებარეობს თურქეთში, არდაჰანის (არტაანი) ვილაიეთში, ჩილდირის ილჩეში (რაიონი). თანამედროვე სახელწოდებაა ესქიბაირაჰათუნი.
- <sup>15</sup> ოლჩაკი/ოლჩეკი - სოფელი, ამჟამად მდებარეობს თურქეთში, არდაჰანის (არტაანი) ვილაიეთში, ცენტრალურ ილჩეში (რაიონი).



სავარაუდოდ, სოფლის ძველი, ქართული სახელწოდება უნდა ყოფილიყო ოლჩაგირი.

- 16 ვერსტი/ვერსი — (რუს. Верста) — სიგრძის საზომი ერთეული ძველ რუსეთში. XIX საუკუნიდან გავრცელებული იყო საქართველოშიც. XVIII საუკუნის ბოლოდან მეტრული სისტემის შემოღებამდე 1 ვერსტი უდრიდა 1,0668 კილომეტრს.
- 17 ტერმინ „თათრებით“ ს. ბავერელი მოიხსენიებს როგორც ეთნიკურ თურქებს, ისე გამაჰმადიანებულ ქართველებს.
- 18 იგულისხმებიან კათოლიკეები.
- 19 ბერლინის კონგრესი - მიმდინარეობდა 1878 წლის 1(13) VI-დან 1(13) VII-მდე. ბერლინის კონგრესით საბოლოოდ დასრულდა რუსეთ-ოსმალეთის 1877-78 წწ. ომი.
- 20 იგულისხმება ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე მიხეილ მეფისაშვილი, რომელიც რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომის შემდეგ ართვინის მახრის უფროსის თანამდებობაზე მსახურობდა.
- 21 ხიმშიაშვილი შერიფ-ბეგ (1829-1892 წწ.) - ქართველი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე.
- 22 დერვიშ-ფაშა - ოსმალთა ჯარების სარდალი რუსეთ-ოსმალეთის 1877-78 წწ. ომის პერიოდში.
- 23 ჩილდირი/ჩაღდირი - XIX ს-ში სოფელი; ამჟამად ქალაქი თურქეთში, არდაჰანის (არტაანი) ვილაიეთში, ილჩეს (რაიონი) ცენტრი. მისი ძველი ქართული სახელწოდებაა ძურძნა.
- 24 რამადანი - მუსლიმური კალენდრის (ჰიჯრის) მეცხრე თვე, როდესაც იქნა ზეგარდმოვლენილი ყურანი. რამადანში მუსლიმებმა მარხვა უნდა დაიკვან.
- 25 ველი - სოფელი, ამჟამად მდებარეობს თურქეთში, არდაჰანის (არტაანი) ვილაიეთში, ჰანაქის (ხანაკი) ილჩეში (რაიონი). თანამედროვე სახელწოდებაა სევიმლი.
- 26 საზარა/საზარი - სოფელი, ამჟამად მდებარეობს თურქეთში, არდაჰანის (არტაანი) ვილაიეთში, ცენტრალურ ილჩეში (რაიონი). თანამედროვე სახელწოდებაა ორთაგეჩითი.
- 27 დუდუნა - სოფელი, ამჟამად მდებარეობს თურქეთში, არდაჰანის (არტაანი) ვილაიეთში, ცენტრალურ ილჩეში (რაიონი). თანამედროვე სახელწოდებაა ბალიქჩილარი.
- 28 ური - სოფელი, ამჟამად მდებარეობს თურქეთში, არდაჰანის (არტაანი) ვილაიეთში, ცენტრალურ ილჩეში (რაიონი). თანამედროვე სახელწოდებაა ალთაში.
- 29 ხაროსამანი/ხაროსმანი - სოფელი, ამჟამად მდებარეობს თურქეთში, არტაჰანის (არტაანი) ვილაიეთში, ჩილდირის ილჩეში (რაიონი), თანამედროვე სახელწოდებაა დოლანქაია.

- 30 აქჩაქალე/ახჩაყალა - სოფელი, მდებარეობს თურქეთში, არდაჰანის (არტაანის) ვილაიეთში, ჩილდირის ილჩეში (რაიონი). ძველი ქართული სახელწოდებაა თეთრციხე.
- 31 ნაქალაქევი - სოფელი, ამჟამად მდებარეობს თურქეთში, არდაჰანის (არტაანი) ვილაიეთში, ჰანაქის (ხანაკი) ილჩეში (რაიონი). თანამედროვე სახელწოდებაა ორთაქენტი.
- 32 ბორქი - სოფელი, ამჟამად მდებარეობს თურქეთში, არდაჰანის (არტაანი) ვილაიეთში, ჰანაქის (ხანაკი) ილჩეში (რაიონი). ძველი ქართული სახელწოდებაა ბერგი.
- 33 ველის ციხე - შუა საუკუნეების ქართული ციხე-სიმაგრე, არაერთხელ მოიხსენიება როგორც ქართულ (ქართლის ცხოვრება, ვახუშტი ბაგრატიონი, მესხური დავითნის მატთანე და სხვ.), ისე უცხოურ (იბრაჰიმ ფეჩევი და სხვ.) წყაროებში. 1578 წელს ველის ციხე ქაჯეთის ციხესა და თეთრციხესთან ერთად ოსმალთა ჯარმა დაიპყრო ლალა მუსტაფა ფაშას მეთაურობით.
- 34 აქ ს. ბავრელი გულისხმობს შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილის მამას, აჭარის მმართველ აჰმედ-ფაშას, რომელიც აკონტროლებდა ტერიტორიას ფოცხოვიდან შავ ზღვამდე. აჰმედ-ფაშამ რუსეთ-ოსმალეთის 1828-1829 წწ. ომის დროს რუსთა ჯარებს აჭარაში შესვლის შესაძლებლობა არ მისცა, რისთვისაც ყარსის გუბერნატორობა მიიღო.
- 35 ნაჯვა/ნაჯვია - სოფელი, ამჟამად მდებარეობს თურქეთში, ართვინის ვილაიეთში, ცენტრალურ ილჩეში (რაიონი). თანამედროვე სახელწოდებაა ფისთიქლი.
- 36 სინკოთი/სინკოტი - სოფელი, ამჟამად მდებარეობს თურქეთში, ართვინის ვილაიეთში, ცენტრალურ ილჩეში (რაიონი). თანამედროვე სახელწოდებაა სუმბულუ.
- 37 ომანა/ომანი - სოფელი, ამჟამად მდებარეობს თურქეთში, ართვინის ვილაიეთში, ცენტრალურ ილჩეში (რაიონი). თანამედროვე სახელწოდებაა ორმანლი.
- 38 ბორჩხა - ქალაქი, ამჟამად მდებარეობს თურქეთში, ართვინის ვილაიეთში, ილჩეს (რაიონის) ცენტრში. თანამედროვე სახელწოდებაა ბორჩქა.
- 39 აქ ს. ბავრელი შეცდომას უშვებს: ხეობის სახელწოდებაა არა მულლური, არამედ მურლული. ამჟამად მთელი მურლულის ხეობა (ქალაქი მურგული და 11 სოფელი) ამავე სახელწოდების ილჩეშია (რაიონი) მოქცეული და ართვინის ვილაიეთში მდებარეობს.
- 40 ხება - სოფელი, ამჟამად მდებარეობს თურქეთში, ართვინის ვილაიეთში, ბორჩხის ილჩეში (რაიონი). თანამედროვე სახელწოდებაა ქარშიქოი.
- 41 ქემო მარადიდი - სოფელი ხელვაჩაურის რაიონში.
- 42 ზემო მარადიდი - სოფელი, ამჟამად მდებარეობს თურქეთში, ართვინის ვილაიეთში, ბორჩხის ილჩეში (რაიონი). თანამედროვე სახელწოდებაა მურათლი.

- 43 მაჭახლისპირი - სოფელი ხელვაჩაურის რაიონში.
- 44 რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წწ. ომის შედეგად, ბერლინის კონგრესის შემდეგ, ბათუმი პორტო-ფრანკოდ, ანუ თავისუფალ ნავსადგურად გამოცხადდა. XIX საუკუნის 80-იან წლებში, რუსეთმა ბათუმის პორტო-ფრანკოს სტატუსი ცალმხრივად გააუქმა.
- 45 ყურბან-ბაირამი (თურქ. - მსხვერპლთშენირვის დღესასწაული), მუსლიმების ყოველწლიური დღესასწაული, რომელსაც იხდიან ზულ-ჰიჯას (მუსლიმური მთვარის კალენდრის XII თვე) 10 რიცხვში. ყურბან-ბაირამის მთავარი რიტუალია სისხლიანი მსხვერპლის (ჩვეულებრივად ცხვრის) შეწირვა.
- 46 აქ ს. ბავრელი გულისხმობს ქალაქ არტანუჯს, შუა საუკუნეების მნიშვნელოვან ციხე-ქალაქს კლარჯეთში, საერისთავოს ცენტრს. 1550 წელს არტანუჯი ოსმალებმა დაიპყრეს. 1877-1878 წლებში რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ, რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მოექცა. 1921 წლიდან კვლავ თურქეთს ეკუთვნის. ამჟამად მდებარეობს ართვინის ვილაიეთში, არის ილჩეს (რაიონი) ცენტრი. მისი თანამედროვე სახელწოდებაა არდანუჩი.
- 47 აქ ს. ბავრელი გულისხმობს არტანუჯის ციხეს, რომელიც „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, V ს-ის II ნახევარში ვახტანგ გორგასლის ბრძანებით აშენდა. 735-738 წლებში არტანუჯის ციხე ააოხრა არაბმა სარდალმა მურვან ყრუმ. IX ს-ის დასაწყისში ციხე განაახლა ტაო-კლარჯეთის სამთავროს დამფუძნებელმა აშოტ I დიდმა კურაპალატმა.
- 48 იგულისხმება არტანუჯის ციხის ეკლესია, წმ. პეტრე-პავლეს სახელობისა, სადაც დასაფლავებულია აშოტ I დიდი კურაპალატი.
- 49 ბარათაშვილი სულხან (1821-1866 წწ.) - ქართველი ისტორიკოსი. მისი უმთავრესი ნაშრომია სანკტ-პეტერბურგში 1865-1871 წწ. გამოცემული „საქართველოს ისტორია“ (5 წიგნად).
- 50 აქ ს. ბავრელი გულისხმობს სომეხ კათოლიკეებს.
- 51 აქ ს. ბავრელი გულისხმობს გამაჰმადიანებულ ქართველებს.
- 52 მაჰლა, მაჰალე (თურქ.) - უბანი.
- 53 შესაძლოა, აქ ს. ბავრელი გულისხმობდეს სოფელ დიდ ჭინჭრობს (თანამედროვე სახელწოდებაა აღზიფექი), რომელიც ამჟამად მდებარეობს თურქეთში, არდაჰანის (არტაანი) ვილაიეთში, ცენტრალურ ილჩეში (რაიონი).
- 54 შესაძლოა, აქ ს. ბავრელი გულისხმობდეს სოფელ პატარა ჭინჭრობს (თანამედროვე სახელწოდებაა სუგოზე), რომელიც ამჟამად მდებარეობს თურქეთში, არდაჰანის (არტაანი) ვილაიეთში, ცენტრალურ ილჩეში (რაიონი).
- 55 ზინდისგომი/სინდისგომი - დაბა, ამჟამად მდებარეობს თურქეთში, არდაჰანის (არტაანი) ვილაიეთში, ცენტრალურ ილჩეში (რაიონი). თანამედროვე სახელწოდებაა იალნიზჩამი.

- 56 შადრევანი - სოფელი, ამჟამად მდებარეობს თურქეთში, არდაჰანის (არტაანი) ვილაიეთში, ცენტრალურ ილჩეში (რაიონი), თანამედროვე სახელწოდებაა ჩათალქოფრუ.
- 57 ქინძოთამარი/ქინძათამარი/კინნოთამარი - სოფელი, ამჟამად მდებარეობს თურქეთში, არდაჰანის (არტაანი) ვილაიეთში, ცენტრალურ ილჩეში (რაიონი), თანამედროვე სახელწოდებაა ბაღდაშანი.
- 58 უღელტეხილი ისტორიულ კლარჯეთში, ამჟამად თურქეთის რესპუბლიკაში.
- 59 შესაძლოა, აქ ს. ბავრელი გულისხმობდეს სოფელ დიკოშს (თანამედროვე სახელწოდებაა დაღჯი), რომელიც ამჟამად მდებარეობს თურქეთში, არდაჰანის (არტაანი) ვილაიეთში, ცენტრალურ ილჩეში (რაიონი).
- 60 ხევა - სოფელი, ამჟამად მდებარეობს თურქეთში, ართვინის ვილაიეთში, არდანუჩის (არტანუჯი) ილჩეში (რაიონი). თანამედროვე სახელწოდებაა გეჩითლი.
- 61 ლონგოთხევი/ლონგოთხევი/ლონგუთხევი/ლენგერხევი - სოფელი, ამჟამად მდებარეობს თურქეთში, ართვინის ვილაიეთში, არდანუჩის (არტანუჯი) ილჩეში (რაიონი). თანამედროვე სახელწოდებაა ბულანიქი.
- 62 ხერთვისი - სოფელი, ამჟამად მდებარეობს თურქეთში, ართვინის ვილაიეთში, არდანუჩის (არტანუჯი) ილჩეში (რაიონი). თანამედროვე სახელწოდებაა ქონაქლი.
- 63 შესაძლოა, აქ ს. ბავრელი გულისხმობდეს სოფელ ახაშიას (თანამედროვე სახელწოდებაა აქარსუ), რომელიც ამჟამად მდებარეობს თურქეთში, ართვინის ვილაიეთში, არდანუჩის (არტანუჯი) ილჩეში (რაიონი).
- 64 შავგულარი/შავკულარი/შავგულერი/მარგილე - სოფელი, ამჟამად მდებარეობს თურქეთში, ართვინის ვილაიეთში, არდანუჩის (არტანუჯი) ილჩეში (რაიონი). თანამედროვე სახელწოდებაა აშიქლარი.
- 65 მაცალახევი/მასალახეთი - სოფელი, ამჟამად მდებარეობს თურქეთში, ართვინის ვილაიეთში, არდანუჩის (არტანუჯი) ილჩეში (რაიონი). თანამედროვე სახელწოდებაა ნაღდოქენი.
- 66 შესაძლოა, აქ ს. ბავრელი გულისხმობდეს სოფელ ბასას (თანამედროვე სახელწოდებაა იოლუსთუ), რომელიც ამჟამად მდებარეობს თურქეთში, ართვინის ვილაიეთში, არდანუჩის (არტანუჯი) ილჩეში (რაიონი).
- 67 ბიჭა/ბეიჭე/ბეიჩე/ბიჯე - სოფელი, ამჟამად მდებარეობს თურქეთში, ართვინის ვილაიეთში, არდანუჩის (არტანუჯი) ილჩეში (რაიონი). თანამედროვე სახელწოდებაა თუთუნლუ.
- 68 ს. ბავრელის მიერ მოხსენიებული ე. წ. „თამარის ხიდი“ ამჟამადაც არსებობს სოფელ ახიზაში. იგი შედარებით დაუზიანებლად არის შემორჩენილი.
- 69 ახიზის ციხე (თურქ. - ფერჰათლი-ქალესი) - V ს-ის ციხე-სიმაგრე კლარჯეთში. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, ახიზის ციხე ააშენა ვახტანგ გორგასლის ძეშუმტე არტავაზმა. ამჟამად მდებარეობს თურქეთში.

- 70 ახისი/ახიზა/ახიზაქერე - სოფელი, ამჟამად მდებარეობს თურქეთში, ართვინის ვილაიეთში, არდანუჩის (არტანუჯი) ილჩეში (რაიონი). თანამედროვე სახელწოდებაა ფერჰათლი.
- 71 იმერხევის.
- 72 დოლისყანა/დოლისხანა - სოფელი, ამჟამად მდებარეობს თურქეთში, ართვინის ვილაიეთში, ცენტრალურ ილჩეში (რაიონი). თანამედროვე სახელწოდებაა ჰამამლი.
- 73 დოლისყანა - X ს-ის ძველი კლარჯეთში, მდ. ჭოროხის ხეობაში. გიორგი მერჩულეს ცნობით, აქ ეკლესია აშენდა წმ. გრიგოლ ხანძთელის მოღვაწეობის დროს.
- 74 თოლგომი - სოფელი, ამჟამად მდებარეობს თურქეთში, ართვინის ვილაიეთში, ცენტრალურ ილჩეში (რაიონი). თანამედროვე სახელწოდებაა სალქიმლი.
- 75 ბაქრაძე დიმიტრი (1826-1890 წწ.) - ისტორიკოსი, არქეოლოგი და ეთნოგრაფი, პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. დ. ბაქრაძემ XIX ს-ის 70-80-იან წლებში სამეცნიერო მიზნით იმოგზაურა საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ რაიონებში (გურია, აჭარა, შავშეთი, არტაანი, კლარჯეთი და სხვ.). მოგზაურობის შედეგი იყო ქართულ და რუსულ ენებზე გამოქვეყნებული ნაშრომები „არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში“, „შენიშვნა ბათუმის ოლქის შესახებ“, „ყარსის ოლქის ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევები“ და სხვ.
- 76 ემრულა მალქვაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ იხ. აგრეთვე: რ. სურმანიძე, ემრულა მალქვაძე (ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მეთაური), ჟურნ. „ლიტერატურული აჭარა“, 1968, №2, გვ. 86-92.
- 77 ტანძოთი/თანძოთი/თანზოთი - სოფელი, ამჟამად მდებარეობს თურქეთში, ართვინის ვილაიეთში, არდანუჩის (არტანუჯი) ილჩეში (რაიონი). თანამედროვე სახელწოდებაა აიდინქოი.
- 78 „ქორონიკონი 531“ თეორიულად შეიძლება უდრიდეს როგორც 1311 წელს (780+531), ისე 1843 წელს (1312+531). 1311 და 1843 წლებს შორის უპირატესობა უნდა მიენიჭოს 1311 წელს, რადგან ნაკლებ სავარაუდოა, რომ XIX ს-ის 40-იან წლებში ოსმალეთის შემადგენლობაში მყოფ სოფელ ტანძოთში ახალი, ქრისტიანული ეკლესია აეშენებინათ. იხ. აგრეთვე: დ. ხოშტარია, კლარჯეთის ეკლესიები და მონასტრები, თბ., 2005, გვ. 222-223.
- 79 აქ ს. ბაერელი შეცდომას უშვებს, როდესაც აღნიშნავს, რომ XIX ს-ის 80-იან წლებში „მაჰმადიანთ საქართველოდამ არაფერი წერებულა ქართულს გაზეთებში“. გარდა იმისა, რომ ს. ბაერელს აუინყდება 1885 წელს გაზეთ „დროება“-ში (12/VII, №148, გვ.2-3) გამოქვეყნებული საკუთარი სტატია „ხმა ახალაღებულ უდაბნოდამ“, იგი არაფერს ამბობს 1881-1890 წლებში ქართულ პერიოდიკაში დაბეჭდილ ისეთ საინტერესო პუბლიკაციებზე,

როგორებიცაა: ივანე გვარამაძე („ვინმე მესხი“), ახალციხური ფელეტონი [ფოცხოვის გზა. წარბათუბანი, ბახჩიანი და სხვ. ცანცარის ქალა. აღისა და ვალეს ეკლესიების აღწერა], გაზ. „დროება“, 1881, 11/VIII, №166, გვ.1-3; 12/VIII, №167, გვ.1-3; მისივე, არქეოლოგიური მოგზაურობა [ფოცხოვის ხეობა და ადგილობრივი სიძველენი], გაზ. „დროება“, 1882, 12/VIII, №167, გვ.1-2; 13/VIII, №168, გვ.1-3; 14/VIII, №169, გვ.1-3; მოსე ნათაძე, ქ. ოლთისი [არქეოლოგიური ნაშთები], გაზ. „ივერია“, 1888, 21/IX, №197, გვ.1-2; „მგზავრი“, ქ. ართვინი [გეოგრაფიული აღწერა მცხოვრებლები. განათლება], გაზ. „ივერია“, 1889, 15/VII, №148, გვ. 2 და სხვ.

80 ხოდი/ხოდისულფა - სოფელი, ამჟამად მდებარეობს თურქეთში, ართვინის ვილაიეთში, ცენტრალურ ილჩეში (რაიონი). თანამედროვე სახელწოდებაა აშალიმადენი.

81 ბელღევანი - სოფელი, ამჟამად მდებარეობს თურქეთში, ართვინის ვილაიეთში, ბორჩხის ილჩეში (რაიონი). თანამედროვე სახელწოდებაა გურეშენი.

82 ბაზგირეთი/ბაძგირეთი - სოფელი, ამჟამად მდებარეობს თურქეთში, ართვინის ვილაიეთში, შავშათის ილჩეში (რაიონი). თანამედროვე სახელწოდებაა მადენქოი.

83 დიღვირი/დიგვირი/დიღური - ქალაქი, ამჟამად მდებარეობს თურქეთში, არდაჰანის (არტანის) ვილაიეთში, ფოსოფის (ფოცხოვი) ილჩეს (რაიონი) ცენტრში. თანამედროვე სახელწოდებაა ფოსოფი.

84 იგულისხმება რუსეთ-ოსმალეთის 1828-1829 წლების ომი, რომლის მსვლელობისას რუსეთის არმიის ნაწილებმა, სხვა დასახლებულ პუნქტებთან ერთად, აიღეს ახალქალაქიც.

85 ბავრა - სოფელი ახალქალაქის რაიონში, ახალქალაქის პლატოზე, მდ. აბულის შესართავთან.

86 კარტიკამი - სოფელი ახალქალაქის რაიონში, ახალქალაქის პლატოზე.

87 ხულგუმო - სოფელი ახალქალაქის რაიონში, ახალქალაქის პლატოზე, მდ. ფარავნის მარჯვენა ნაპირას.

88 ტურცხი - სოფელი ახალქალაქის რაიონში, ახალქალაქის პლატოზე.

89 რუსეთ-ოსმალეთის 1828-1829 წწ. ომის შემდეგ, რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მოექცა სამცხე-ჯავახეთი. რუსმა მოხელეებმა იქ მცხოვრები ქართველი მაჰმადიანები ისეთ მიმემ მდგომარეობაში ჩააგდეს, რომ აიძულეს მშობლიური მინა-წყალი მიეტოვებინათ და ოსმალეთში გადასახლებულიყვნენ. რუსეთის ხელისუფლებამ მათ ნაცვლად სამცხე-ჯავახეთში ოსმალეთიდან, კერძოდ, არზრუმიდან 30 ათასი სომეხი გადმოასახლა.

90 იგულისხმებიან გამაჰმადიანებული ქართველები.

91 პროპაგანდის კონგრეგაცია („პროპაგანდა ფიდე“) - სრული სახელწოდებაა „რწმენის გამავრცელებელი კონგრეგაცია“. 1622 წელს რომის პაპის გრიგოლ XV-ის (1621-1623 წწ.) მიერ დაარსებული კონგრეგაციის

მიზანს აღმოსავლეთის მართლმადიდებლობაში კათოლიკობის გავრცელება და შესაბამისი ქვეყნების, მათ შორის, საქართველოს სამეფო-სამთავროების თავისი სულიერი ძალაუფლების გავლენაში მოქცევა წარმოადგენდა.

<sup>92</sup> რაბათი/იენირაბათი - სოფელი, ამჟამად მდებარეობს თურქეთში, ართვინის ვილაიეთში, არდანუჩის (არტანუჯი) ილჩეში (რაიონი). სოფლის ძველი, ქართული სახელწოდება უცნობია. იენირაბათში დგას ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, ჯვარგუმბათოვანი ტიპის ტაძარი, რომელსაც მკვლევართა ნაწილი შატბერდის მონასტერთან აიგივებს.

<sup>93</sup> მართალია, დოკუმენტს თარიღი არ უზის, მაგრამ ტექსტში ავტორის მიერ ტერმინის „საქართველოს რესპუბლიკა“ მოხსენიება გვაფიქრებინებს, რომ იგი 1918-1921 წლებში უნდა იყოს დაწერილი.

<sup>94</sup> ოპიზა - სოფელი, ამჟამად მდებარეობს თურქეთში, ართვინის ვილაიეთში, ცენტრალურ ილჩეში (რაიონი). თანამედროვე სახელწოდებაა ბალჯილარი.

<sup>95</sup> აქ რამდენიმე სიტყვა ვერ წავიკითხეთ.

<sup>96</sup> ფორთა/პორტა - სოფელი, ამჟამად მდებარეობს თურქეთში, ართვინის ვილაიეთში, ცენტრალურ ილჩეში (რაიონი). თანამედროვე სახელწოდებაა ფირნალი/ფინარლი. მკვლევართა ნაწილი სოფლის ერთ-ერთ უბანში არსებულ შუა საუკუნეების მონასტრის ნაშთებს გრიგოლ ხანძთელის მიერ დაარსებულ ხანძთის მონასტერთან აიგივებს.

<sup>97</sup> აქ რამდენიმე სიტყვა ვერ წავიკითხეთ.

<sup>98</sup> ამის შემდეგ ორი ფურცელი ამოხეულია, სავარაუდოდ, თვითონ ს. ბავრელის მიერ.

Solomon Aslanishvili-Bavreli

## LETTERS ON "OTTOMAN GEORGIA"

### Summary

As is known, under the San Stefano Treaty and the decisions of the Berlin Congress, the Russian empire annexed several provinces of Meshkheti captured from Georgia by Turkey in the second half of the 16th century, namely Klarjeti, Shavshet-Imerkhevi, Ajaria with Batumi, Artaani and Oltisi. Their return to the homeland caused great joy and enthusiasm of the Georgian society. Many representatives of the intelligentsia familiarized themselves with the cited provinces. In 1878-1921, while the named provinces were part, first of Russia, and then of the Georgian Democratic Republic, any citizen of the state could travel to these places and describe them.

Solomon Aslanishvili ("Barveli") was one of the Georgian figures who devoted quite a few publications to the theme of "Turkish Georgia". With his almost half a century of journalistic work, he left us a rich legacy, making a major contribution to the study of the history of Georgian Mulims.

The publications of Solomon Aslanishvili-Bavreli, being an invaluable source for the study of the end of the second half of the 19th- and early 20th century history of Meskheti, are now considered to be bibliographic rarities. Hence we have decided to make them available to the broad sections of society and specialists, supplying his articles with an appropriate critical apparatus on the problem. We have entitled the present edition "Articles on "Turkish Georgia". The choice of this title was due to the fact that Georgian public figures of the second half of the 19th century conditionally referred to the territory of historical Meskheti within the Ottoman empire as "Ottoman Georgia" or "Turkish Georgia".

In 1887-1878 Solomon Aslanishvili worked at the Surami post and telegraph office. It was at this time that he began to cooperate – under the penname "Bavreli" - with Ilia Chavchavadze's *Iveria* and Sergei Meskhi's *Droeba*.



Bavreli was the first Georgian journalist to begin writing in the press on topical questions of the everyday life of Georgian Mohammedans after the war. In the words of Zakaria Chichinadze, "Within a short period of time Solomon familiarized Georgians of the period with the life of Georgian Mohammedans of the entire Artaaani commune, through the medium of the Georgian *Droeba* newspaper. Until then we knew nothing about Georgian Mohammedans of Artaaani".

The evidence preserved in Bavreli's publications in *Iveria*, *Droeba* and *Jvari vazisa* on the every day life, customs and mores, historical monuments, etc. of the local population constitute an important first source for the study of the history of "Ottoman Georgia." Bavreli devoted 26 articles ( 5 of them with continuations) to this theme published in the cited periodicals in 1878-1906.

The problems discussed in Bavreli's publications may be divided into several thematic groups: 1) reports on the following towns and villages: Ardahan (Artaaani) which, according to him, in 1878 was an absolutely faceless, militarized town –"a desert of empty life"; Artanuji, with his description of the location of the town, the roads leading to it, streets, dwelling houses, mosques, cemetery, the number of local residents, their outward appearance, features of character, dress, etc. Besides, we find information about Borchkhi and Batumi in Bavreli's articles.

2) Evidence on the following villages: Vachiani, Tsulda (Sulda), Kartsakhi, Chaisosi (in Javakheti); Rabat, Bagrakhatun, Olchak (in Erusheti); Childir; Veli, Chumi, Pariqma, Sazara, Qizilkale, Duduna, Uri, Kharisaman, Akhchaqala, Nakalakevi, Borki, Kvemo Jinchara, Zemo Jinchara, Zindisgomi, Shadrevani, Kindzatamara, Dikasheni (in Artaaani); Kheva(Khevi), Longitkhevi, Khertvisi, Akhasheni, Shavgulari, Shvatakhevi, Matsalakhevi, Botsa, Bicha, Akhiza, Vazikhevi, Dolisqana, Zeda Tolgomi, Kveda Tolgomi, Lomasheni, Tandzoti, Sinkoti, Najva, Oni, Omana, Ghamasheni, Maradidi, Kheba (in Klarjeti and Livana, or in the province of Artanuji and Artvin); Machakhelispiri (in Ajara).

3) Evidence on the following churches: ruins of a church in v. Olchak (in Erusheti); ruins of a church in v. Pariqma; ruins of a church in v. Qizilkale; ruins of a church in v. Duduna; ruins of a church in v. Uri; ruins of a church in v. Bork; a well-preserved church in his native village of Veli; ruins of a large church in the town of Artanuji; ruins of a church in v. Kvemo Jinchara; ruins of a church in Zemo Jinchara, ruins of a church in v. Shadrevani; ruins of a church in v. Dikasheni; ruins of a church in v. Akhiza; a well-preserved church in v. Dolisqana; ruins of a church in v. Lomasheni; St. Maria church in v. Tandzoti, built (according to its Georgian inscription) in Koronikon 531; church in v. Rabat (near Artanuji); church in v. Opiza; church in v. Porta.

4) Evidence on the following fortresses and towers; Gvelaverdi fortress, Gvelasheni fortress (in Artaani); ruins of a tower in v. Olchak (in Erusheti); the "fairly large old fortress" in Artaani, which is in "absolute disuse"; fortress in v. Pariqma; fortress in v. Qizilkale; fortress in v. Uri; fortress in v. Veli; ruins of a tower near Borchkha; Artanuji fortress; Artvin fortress; "old fortress on a high rock" near the pass of Yalanuscham; Akhiza fortress.

5) Evidence on the following bridges and bathhouses: remains of an old bath in v. Veli; the so. called Tamar's bridge in v. Akhiza.

6) Evidence on ethnography; folk traditions: Bavreli describes Javakheti-Artaani dwellings, the town of Ardahan (Artaani), the Murghuli valley, the Machakhela valley, etc; folk traditions are recorded by him about Lake Khozapini (Kartsakhi), Artanuji fortress, the heroic past of the population of the Veli village, as well as their adoption of the Catholic faith in 1723, and so on.

7) Evidence on historical antiquities: Bavreli notes the presence of a wonder-working icon in the Catholic church in Artvin, "left behind in old times by Georgians."

8) Evidence on the functioning of the Russian state system in the newly incorporated regions, the beaurocracy of the officials and their indifferent attitude to the local population.

9) Evidence on the *muhajir* movement of the population of Artaani, Artanuji, Shavsheti and Ajara.

10) Evidence on the functioning of the roads, post and telegraph, health service, trade and industry, and the attitude of local residents to laws.

11) Evidence on mineral ores: Bavreli notes that in the village of Gumushkhane (near Artanuji) "there had been some ore, as attested by traces preserved to the present day". He calls on the authorities to give more attention to the prospecting for ores in the region and creating jobs for the local residents.

12) Evidence on the demographic situation in the towns, hamlets and villages: in Bavreli's words, Javakheti is largely settled by Armenians resettled from Arzrum in the 19th century, as well as Tarakamas, and so on.

13) Evidence on Georgian scholars and public figures: in one of his articles Bavreli speaks of the well-known Georgian state and public figure, governor of Artvin district, Mikheil Mepisashvili, to whom the local Islamized Georgians were very grateful. This is how they characterized him: "Mikheil-Agha is our man, we can make him understand everything; he knows our grief and sorrows and our customary law; he will never contemplate evil against us and is very good".

## პირთა საკიებელი

### ა

- აბოი 192  
 ათაბეგოვი თეიფურ-ბეგ 143  
 აკოფ-ალა 106  
 ალექსანდრე მაკედონელი 111  
 ალექსანი 193  
 ალი-ალა 88  
 აპოსტოლი 192, 193  
 ასლან ბეგი 39, 40  
 ასლანი 18, 193  
 ასლანიშვილი ევლამპი 17  
 ასლანიშვილი სოლომონ („ბაერელი“)  
 13, 14, 15, 16, 17, 18, 19, 20,  
 21, 22, 23, 24, 25, 26, 27, 28,  
 29, 31, 32, 33, 207, 209, 212  
 ასლანიშვილი შალვა 21  
 ასლანოვი 18, 20, 33  
 აშოტ I დიდი კურაპალატი 210  
 ახოზაძე ვ 21  
 აჰმედ-ფაშა 209

### ბ

- ბაღლაშათ ვარინე 74  
 ბარათაშვილი 110  
 ბარათაშვილი სულხან 210  
 ბაქრაძე დიმიტრი 12, 32, 164, 212  
 ბენევაგლი 192

### გ

- გაბოიანი 201  
 გერასიმი 82, 83, 84, 92, 98

- გიგოლეილი 192  
 გეგეი 192  
 გეგიაძე კონსტანტინე 11  
 გვარამაძე ივანე („ვინმე მესხი“) 12,  
 13, 18  
 გოგებაშვილი იაკობ 14  
 გოგიაშვილი ვლადიმერ 12, 13  
 გოგიტიძე 181  
 გორგაძე სერგი 12, 13

### დ

- დავითი 193  
 დათიკო კარადიბანიჩი 202  
 დაუშვილი რუსუდან 26  
 დევიცივი ვლადიმერ 12, 13  
 დერვიშ-ფაშა 58, 60, 208  
 დრანდოი 192

### ე

- ევლამპი 187  
 ევსელიანი იასონ 49  
 ელენე (ლენიჩკა) 21  
 ელიზბარი 192, 193  
 ელიკი 193  
 ემინ-აფენდი 117, 118  
 ერისთავი გიორგი 203  
 ერისთავი მიხეილ 21  
 ერისთავი რაფიელ 11, 15  
 ეფრემა 193  
 ეფრემია 192

3

ვართაპეტი 121  
ვასილი 191  
ვახტანგ გორგასალი 210  
ვახუშტი ბატონიშვილი 9  
ვეიდენბაუმი ევგენი 12, 13

თ

თათაი 192, 193  
თამარ დედოფალი 72, 109, 170  
თამარაშვილი მიხეილ 25  
თამარი 20  
თაყაიშვილი ექვთიმე 12  
თ ბეგი 106  
თურან-ბეგი 174

ი

იაზონი 111  
იასია 193  
იაკუფ-ალა 132  
იგითხანი 192  
იესელიანი 138  
ივან ივანიჩი 202  
იზნა-ნური 106, 107  
იმედი 192

კ

კაზიმირ სტანისლავიჩი 202  
კალატოზიშვილი 201  
კერესელიძე ივანე 11  
კოპტონაშვილი ვასილ 12, 13  
კოჭორიძე დ 16, 17, 20, 22, 23  
კოხი კარლ 10

ლ

ლაზარევი 184  
ლევანე 35, 36, 37, 38, 41  
ლეილა 130  
ლეონიძე 18  
ლექსო 129  
ლინდენი 22

ლომსაძე შოთა 15, 16, 17, 20  
ლორთქიფანიძე კირილე 14

მ

მაისურაძე ილია 15, 17, 18, 20, 22, 23  
მალქვაძე ემრულა 31, 173, 174, 212  
მამად ამირ ოღლი 133  
მამად-ალა 89  
მამაცაშვილი ლონდა 10  
მანან-ხანუმი 164  
მარგარიტა 21  
მარი ნიკო 12  
მარინე (მონამე) 177  
მაქანდრიანთ გრიგოლი 195  
მაჰმედი 106, 107  
მეზინიშვილი ჰასარად 72, 73  
მესროფი 192, 193  
მესხი სერგეი 11, 12, 14, 23, 27  
მეფისაშვილი მიხეილ (მეფისოვი, მიხაილ ალა) 21, 32, 54, 70, 154, 207  
მეჰრ-ალი 66  
მირონოვი 169, 170  
მიქელაძე დავით 11, 15  
მურვან ყრუ 210  
მჭედლიშვილი ლევან 12, 13

ნ

ნათაძე ალექსანდრე 12, 13

ო

ობრიძე (ორბიძე) ოსმან 88, 89  
ორბელიანი გრიგოლ 203  
ოსმან ჩამ ჰუსეინ ოღლი 133  
ოქრუაი 192, 193

პ

პავლე 192  
პავლეი 193

პავლინოვი ა 12, 13  
 პატრი ბასილოსი 74  
 პატრი ფოლიქარფი 74  
 პეტრე ანდრეას შვილი 192  
 პეტრეი 193  
 პოლიკარპო მანთოელი 188, 191,  
 192, 194, 195, 196, 197

ჟ

ჟოჟომი 193

რ

რაზდერიშინი 70, 154, 169  
 რამიდ ჰასან ოღლი 133  
 როვიგელი ჯამბატისტა 194  
 როზენი გეორგ 10  
 რუსთველი 80

ს

სავაი 192  
 საითიძე გოჩა 13, 16, 17, 19, 20, 22,  
 23  
 სალი ჰასა ოღლი 133  
 სარუხანოვი 180  
 სიმეონიდი 184  
 სიმონი 187, 188  
 სპენსერი ო 10  
 სულეიმან ფაშა 167  
 სუმბული 192  
 სუნბული 193  
 სურმანიძე რამაზ 11

ტ

ტერგუკასოვი 59  
 ტერ სიმონ 193

უ

უვაროვი პრასკოვია 12, 13

ფ

ფარნაოზი 111  
 ფუთურიძე გიორგი 9  
 ფურცელაძე ანტონ 14

ძ

ქელალ ოღლი ოსმან-ალა 11  
 ქისპათიანი 163  
 ქურდაძე ლელა 16, 17, 19, 20, 22,  
 23

ყ

ყაარაგიზი 193  
 ყაზბეგი გიორგი 10, 11, 15  
 ყაუხჩიშვილი სიმონ 9  
 ყიფშიძე ალექსანდრე („ფრონელი“)  
 12, 13  
 ყორღანოვი 145

შ

შალვა 21  
 შაჰყულოვი (შაჰყულიანი) 189, 190  
 შენგელია გ 15, 20, 22  
 შერემეტიევი 179, 181  
 შიო 193  
 შიოშვილი პეტრე 192  
 შუბინსკოი 21

ჩ

ჩელეზი ევლია 9  
 ჩხაიძე მზია 13

ც

ცაცო 193

ც

ნერეთელი გიორგი 14  
 ნერეთელი დავით 12, 13  
 ნულუკიძე ტატო 24

ჭ

ჭავჭავაძე ილია 14, 23, 27  
 ჭიჭინაძე ზაქარია 12, 14, 15, 17, 19,  
 20, 22, 23, 26, 27, 33

**ჯ**

ჯაიანი ივანე 12, 13  
ჯოჯოი 192

**ხ**

ხარაზი მამია 11  
ხაჩატურა 195, 196

**ჟ**

ხიმშიაშვილი 29, 71, 75, 143  
ხიმშიაშვილი შარიფ-ბეგ 54, 208, 209  
ხოჯევათ ნიკოლოზი 74

ჰამიდ-ბეგი 69  
ჰასო 129

**გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი**

**ა**

აბულის მთა 207  
ალაგეზის წყალი 45  
ანი 199  
არდანუჯი, არტანუჯი 28, 29, 30, 31, 102, 110, 111, 112, 115, 118, 135, 137, 141, 152, 155, 163, 167, 169, 171, 210  
არდანუჯი-ჩაი 102, 109, 111, 135, 138, 140  
ართვინი 28, 30, 31, 58, 61, 114, 115, 116, 117, 119, 122, 141, 143, 152, 155, 167, 168, 169, 184  
არზრუმი 32, 36, 161, 207  
არტაპანი, არტაანი 9, 28, 29, 30, 31, 34, 37, 44, 45, 50, 52, 54, 56, 63, 71, 109, 131, 138, 154, 155, 162, 207  
ატალახა 141  
ალბაზი 35  
აჭარა (ქვემო და ზემო აჭარა) 9, 10, 24, 54, 58, 60, 61, 77, 96, 153, 155  
აჭარისწყალი 96  
ახალქალაქი 24, 34, 35, 37, 45, 189, 200, 207, 213  
ახალციხე 24, 162

ახალციხის საათაბაგო 40  
ახალციხის საფაშო 9, 10  
ახაშენი 28, 136, 149  
ახაშია 211  
ახიზი, ახისი 28, 29, 30, 139, 140, 211, 212  
ახიზის ციხე 211  
ახჩაყალა 28, 72, 209

**ბ**

ბაგრაბათუნი 28, 42, 207  
ბაგრა 17, 18, 189, 197, 200, 213  
ბაზვირეთი 185, 213  
ბათუმი 28, 60, 97, 99, 100, 152, 153, 162, 164, 167, 210  
ბაიბურთი 167  
ბასა 211  
ბასიანი 9  
ბელლევანი 184, 213  
ბიჭა 28, 138, 211  
ბოგინის წყალი 89  
ბორქი 28, 29, 72, 209  
ბორჩალო 40  
ბორჩხა 28, 30, 89, 209  
ბოცა 28, 138

**ბ**

გველავერდი 30, 43  
გველაშენი 30, 43  
გვერადა 118  
გუმუშხანა 31, 170

**დ**

დარა-მაჰლა 114  
დიკაშენი 28, 29  
დიკოში 211  
დიღვირი 186, 213  
დოლის ხანა 28, 29, 140, 142, 212  
დუდუნა 28, 29, 69, 208  
დუზ-მაჰლა 114

**ე**

ერზინგენი 161  
ერუშეთი 9

**ვ**

ვაზიხევი 28, 140  
ვაიო 184  
ვარსხეთი 109, 113  
ვაჩიანი 28, 35, 36, 207  
ველი 17, 28, 29, 30, 68, 72, 75, 186,  
191, 194, 207, 208  
ველის ციხე 17, 209

**ზ**

ზანსული 184  
ზინდისგომი 28, 125, 210  
ზეზუნა 38  
ზემო ჯინჭარა 28, 29

**თ**

თეთრციხე 17  
თოღგომი 28, 61, 142, 212  
თრიალეთი 35

**ი**

იალანუს-ჩამი 126, 127

იმერეთი 10, 155  
იმერხევი 212  
ირანი 10  
იშკანარი 111

**კ**

კარა-ჩასი 39  
კარტიკამი 17, 189, 197, 200, 213  
კარნახი 28, 37, 42, 207  
კარნახის ტბა 207  
კინნოთამარა 181  
კლარჯეთი 9  
კოლა 9  
კოლოს-მთა 115  
კორზა 115  
ლაზისტანი 10  
ლივანი 35, 114, 124  
ლონგოთხევი 28, 135, 211  
ლომაშენი 28, 29, 143

**მ**

მარადიდი 28, 90, 91  
მაცალახევი 28, 138, 211  
მაჭახელის-პირი 29, 93, 95, 210  
მაჭახელის ნყალი 94  
მეტეხის ციხე 22, 23  
მესხეთი 9, 10, 12, 14  
მოსკოვი 22  
მტკვარი 44, 45, 73, 126  
მულღური 89, 184, 209

**ნ**

ნაქალაქევი 28, 72, 209  
ნაჯვა 28, 87, 209

**ო**

ოლთისი 161  
ოლჩაკი 28, 29, 42, 43, 207  
ომანი 28, 89, 209  
ონი 28, 87  
ოპიზა 30, 204, 214

ორთა-მაპლა 114  
ორჯოხი 183  
ოსმალეთი 10

რ

რაბათი 28, 30, 39, 41, 149, 198,  
205, 207, 214  
რამაზან-თაბი 43  
რუსეთი 10, 30, 22

ს

საზარა 28, 68, 208  
საიფეთი 114  
სამცხე 9  
სამცხე-საათაბაგო 9, 14  
სინკოტი 28, 88, 209  
სპერი 9  
სურამი 23, 24

ტ

ტანძოთი 28, 29, 176, 177, 212  
ტაო 9  
ტრაპიზონი 161  
ტურცხი 17, 189, 200, 213

უ

ური 28, 29, 30, 69, 71, 208

ფ

ფარიყმა 28, 29, 30, 68  
ფორთა 30, 204, 205, 214

ქ

ქართლი 34, 155  
ქართლ-კახეთი 10  
ქაჯეთის ციხე 17, 207  
ქვენა ჯინჭარა 28, 29, 125  
ქინძათამარა 28, 126, 211  
ქობულეთი 60  
ქუარდება 113

ლ

ლამაშენი 28, 90

ყ

ყამარის მთა 72  
ყარსი 162  
ყიზილ-ყალა (ყიზილქალე) 28, 29,  
30, 68

შ

შადრევანი 28, 29, 125, 126, 211  
შავგულარი 28, 137, 211  
შავშეთი 154  
შავშეთ-იმერხევი 9  
შავშეთის მდინარე 140, 142  
შეითან-ქიოფრუსი 109  
შეითან-ქობრი 138  
შვათა-ხევი 28, 137

ჩ

ჩავოსტანი 43  
ჩაისოსი 28, 38, 207  
ჩალდირი 17, 28, 66, 208  
ჩრდილი 9  
ჩუმი 28, 68

ც

ცულდა (სულდა) 28, 37, 40, 207  
ციხის-ძირი 162

ჭ

ჭანეთი 9  
ჭინჭრობი 210  
ჭოროხი 80, 87, 102, 143

ჯ

ჯავახეთი 9, 37, 38, 39, 155  
ჯალდრის ტბა 39  
ჯალდრის წყალი 39



**ძ**

ძურძნა 208

**ბ**

ბარისამანი 28, 71, 208

ბარბან-თაფა 142

ბატილა 87

ბება 28, 90, 209

ბევა 28, 131, 167, 211

ბერთვისი 28, 136, 211

ხოდი 183, 184, 213

ბოზაპინის ტბა 38, 207

ხულგუმო 17, 189, 197, 200, 213

## ეთნიკურ სახელთა საძიებელი

**ბ**

ბერძნები 23, 94

**თ**

თათრები 42, 46, 115, 116, 118,  
119, 168, 208

თარაქამები 32

**ლ**

ლაზები 89

ლეკები 38

**ო**

ოსები 49, 102, 124, 139, 146, 172

**ს**

სომხები 32, 36, 37, 46, 77, 79, 94,  
115, 116, 117, 120, 161, 168, 183,  
189, 210, 213

**უ**

ურები 46

**ფ**

ფრანგები 46, 115, 168

**ქ**

ქართველები 11, 32, 35, 115, 122,  
133, 153, 186, 210, 213

ქურთები 35, 97, 126, 129, 130

**ყ**

ყაზახები 146, 152, 172

**ჩ**

ჩერქეზები 70

SOUTH CAUCASUS AND ANATOLIA

5

Solomon Aslanishvili-Bavreli

LETTERS ON "OTTOMAN GEORGIA"

Text prepared for publication, with an introductory article, notes and indexes by  
Lela Kurdadze and Gocha Saitidze

ARTANUJI Publishers

Tbilisi 2008

სამეცნიერო ჯგუფი

ეთერ ბაიღოშვილი  
თამარ გეგია  
ნათელა თუხარელი  
ლიკა სხირტლაძე  
ვიოლა ტულუში  
ილია ხელანია

გარეკანის პირველ გვერდზე:

თურქეთი. ხანძთის მონასტერი სოფელ ფორთასთან.  
ბუბა კუდავას ფოტო. 2003.

სამეცნიეროება არტანუჯი

თბილისი, ილია ქაეჭავაძის გამზ. 17<sup>ა</sup>. 25-05-22, 91-22-83, 8(93) 25-05-22.

[www.artanuji.ge](http://www.artanuji.ge)

## სერია „სამხრეთ კავკასია და ანატოლია“

### გამოცა:

1. ზაძარია შიშინაძე. ქართველთა გამუსლიმება სამხრეთ-დასავლეთ კავკასიაში (ზეპირი გადმოცემების მიხედვით). მასალები შეკრიბა და წინასიტყვაობა დაურთო ზ. ნინიკაშვილმა. 2004.
2. ევგენი ვეიდენბაუმი. ბათუმიდან ართვინამდე (მგზავრის ჩანაწერები). თარგმნეს მზია ჩხაიძემ და გოჩა საითიძემ. შესავალი, კომენტარები და საძიებლები დაურთო გოჩა საითიძემ. 2005.
3. დავით ხოშტარია. კლარჯეთის ეკლესიები და მონასტრები. 2005.
4. ზურაბ ბატიაშვილი. ქართველები ოსმალური პერიოდის ტრაპიზონში. 2008.
5. სოლომონ ასლანიშვილი-ბავრალი. წერილები „ოსმალის საქართველოზე“. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, შესავალი წერილი, შენიშვნები და საძიებლები დაურთეს ლელა ქურდაძემ და გოჩა საითიძემ. 2008.

### გამოსაცემად მზადდება:

1. დიმიტრი თუშანიშვილი. სამხრეთი და სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს ხუროთმოძღვრების (უძველესი დროიდან XIV ს-მდე) ბიბლიოგრაფიისათვის.
2. ზურაბ ბატიაშვილი. კაპადოკია.
3. ირინე გივინაშვილი. ერუშეთის ზეგანი (ზაქი): X საუკუნის ქართული ეკლესია.
4. ვილი რიკმერ-რიკმერსი. ლაზეთი და აჭარა. ბ. სტრატონილ-საუარი. ბაიბურთიდან ისპირის გავლით ლაზეთისკენ. ინგლისურიდან თარგმნა მარიამ ზალდასტანიშვილმა. შესავალი წერილი, შენიშვნები და საძიებლები დაურთეს გოჩა საითიძემ და ზურაბ ჯანელიძემ.
5. თედორე უსპენსკი. ნარკვევები ტრაპიზონის იმპერიის ისტორიიდან. რუსულიდან თარგმნეს ნესტან ბაგაურმა და ვლადიმერ კეკელიამ.

267.009  
3  
ეროვნული  
ბიბლიოთეკა



... არდანუჯი და შთელი მისი თემის, ანუ შავშეთის, არდანუჯის და იმერხევის სოფლების მცხოვრები ქართველი მაჰმადიანებიც იმან გააცნო ქართველობას... მკითხველი, გადაშლიდა თუ არა იმ დროის გაზეთს, შიგ ვეველა ს. ბაერელის წერილს ეძებდა, რადგანაც იგი აცნობებდა ქართველ ერს დიდის ხანიდამ მოწყვეტილი და მოგლეჯილი ქართველ მაჰმადიანთა ცხოვრებას.

... ბატონმა ასლანოვმა ქართული ისტორია კარგად იცის, მის გულში ღრმად არის ჩანერგილი საქართველოს ერის სიყვარული და ნამეტურ დასავლეთ-სამხრეთ საქართველოსი. მან მიმოვლო ეს კუთხეები და ბევრი რამ ძველი ნაშთები დიდი გულმღულარებით აღწერა. მის ნაწერებში ბევრი რამ ძვირფასი ცნობები მოიპოვება ჩვენის ისტორიის და ნაშთების შესახებ, რადგანაც დასავლეთ-სამხრეთ საქართველოს შესახებ ჩვენ ამ სამი საუკუნის განმავლობაში ბევრი რამ დაგვიკარგეთ და დავივიწყეთ.

ზაქარია ჭიჭინაძე

